საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№46 (233)
11 - 17 დეკემბერი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

7
## ვის კისერზეა ლაფანყურის ცოდვა?

8
## «ნაციონალური მოძრაობა», რესპუბლიკელები, ალასანიას ჯგუფი და კიდევ რამდენიმე დეპუტატი გაერთიანდება, პარლამენტში ახალი უმრავლესობა შეიქმნება»

„საქართველო ვერ ასცდება კრიზისს, თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნა. ღარიბაშვილი დადგება ამ აუცილებლობის წინაშე, ვინაიდან პარლამენტში არსებული ძალები გადაჯგუფდებიან“





## პარაფირებული, პრიალა და მაკაზე უკეთესი

## 10 შეკითხვა ევროპუმე ხელისუფლებას

## ოკუპი მემკვიდრეობით პარანოიაზე 6

# რუსეთი ამიერკავკასიიდან წასვლას არ აპირებს



რუსეთს საქართველოზე ზეწოლის საკმაოდ ბევრი ბერკეტი აქვს, სავარაუდოდ, მეტი, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე და, ალბათ, ეს საკმარისი საბაბია იმისთვის, რომ დავფიქრდეთ, რა შეიძლება გააკეთონ იმისთვის, რომ ისინი ჩვენ წინააღმდეგ არ აამოქმედონ. 4

11
## «ნაცმოძრაობა» ვერ ბედავდა ეკლესიაზე ისე ღიად შეტევას, როგორც ამას ზოგიერთი რესპუბლიკელი აკეთებს

12
## ამერიკას არ სჭირდება დემოკრატიული საქართველო, ამერიკას სჭირდება მონა!

# კეტჩუპსისხლიანები




გლებ გარანიჩი REUTERS-ის ფოტორეპორტიორი, რომელმაც საქართველოში დადგმული კადრებით გაითქვა სახელი

კიევში ფოტოფაქტების ფალსიფიცირება დაავალეს მაიდანზე „ნაცემ“ ფოტოგრაფს გვარად გარანიჩს, რომელმაც 2008 წელს სახელი გაითქვა აგვისტოს ომში დადგმული კადრებით. კიევში მისი ამოცანა იყო, დაეფიქსირებინა სპეცრაზმ „ბერკუტის“ მიერ მომიტინგეთა „სისხლიანი“ დარბევის ფაქტი. 2

5
## ფრთხილად, თქვენ ისევ გისმენენ!



პიდმანჩულა, პიდვულა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კიევში ფოტოფაქტების ფალსიფიცირება დაავალეს მაიდანზე „ნაცემ“ ფოტოგრაფს გვარად გარანიჩს, რომელმაც 2008 წელს სახელი გაითქვა აგვისტოს ომში დადგმული კადრებით. კიევში მისი ამოცანა იყო, დაეფიქსირებინა სპეცრაზმ „ბერკუტის“ მიერ მომიტინგეთა „სისხლიანი“ დარბევის ფაქტი.**

# კეტჩუპსისხლიანები

**აღშფოთდა, ანერვიულდა, აძაგძაგდა ევროპული დემოკრატიის ციტადელის — ევროკავშირის თავსა მჯდომარე ელიტა:**

**— დაარბიეს!**

**— დაარბიეს!**

**— დაარბიეს დემონსტრანტები კიევში! (ყოფილ ზალეჟნაიას, ამჟამად ევრომაიდანზე).**

**თბილისში 26 მაისს მერაბიშვილ-სააკაშვილის სპეცრაზმების მიერ ჩაწიხლული აქცია დახოცილ-დასახიჩრებული დემონსტრანტებით, ნაცემ-ნაბეგვი ადამიანებით, დაბორკილები რომ ეყარნენ თავსხმა წვიმაში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წინ, როგორც რიყეზე ამოგდებული თევზები, ჩვენი ძვირფასი ევრო მეგობრების მიერ მხოლოდ ძალაგადამეტებულ მოქმედებად შეაფასეს.**

**„ლაითად“.**

**ხოლო ამერიკელმა „ექსპერტებმა“, რომლებიც თურმე მონიტორებით თვალს ადევნებდნენ ახალი კონკისტადორების ამ დაუნდობლობას, ბევრი არ უხეხიათ, — პირდაპირ გაათეთრეს შავი ყორანი — სააკაშვილი მიხეილი და მისი ოპრიჩნინა. მაშინაც და სამომავლოდაც.**

კიევის ევრომაიდანზე თავგაჩეხილი და დასისხლიანებული კაციშვილი არავინ ყოფილა. მაგრამ უნდა ყოფილიყო, როგორც ნაპერწკალი, რომელიც, ერთის მხრივ, ააგიზგიზებდა „რევოლუციურ ხანძარს“ უკრაინაში, მეორე მხრივ, საბაბს მისცემდა „თეთხელთათმანიან“ ევროლიბერალებს თავის გემოზე ეწიოკათ და ევიშვიშათ.

უნდა ყოფილიყო და შექმნეს. ***(იხ. ფოტო №1)***

ჰყავთ ასეთი პროვოკატორები მასმედიაში, კერძოდ, ფოტორეპორტიორთა გილდიაში. კარგად დაფინანსებული „ფოტოაგენტები“.

**საქართველოში ჩვენს ფოტორეპორტიორებს, რომლებმაც თავიანთი გადაღებული დოკუმენტური კადრებით მსოფლიოს დაანახეს ჭეშმარიტი სურათი 26 მაისის „ბართლომის ღამის“, ჯაშუშობაში დასდო ბრალი ყოფილმა ხელისუფლებამ და ციხეებში ჩაყარა.**

**ასეთი იყო და რჩება ორმაგი სტანდარტები იანუსების კასტის.**

გუშინ ინტერნეტში (http://polemika.com.ua/news-133029.html) დაიდო მასალა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ამ პარანორმალური მოვლენის ახსნის საშუალებას გვაძლევს.

**თურმე ძალიან მარტივი ყოფილა, ისეთივე მარტივი და პრიმიტიული, როგორიც იყო, მაგალითად, ხურჩაში დადგმული ტერაქტი: ზუგდიდის მხრიდან (!) რომ ესროლეს და ააფეთქეს ავტობუსი, რომელმაც გალის რაიონიდან ჩამოიყვანა ამომრჩევლები და რომელიც „რაღაც სასწაულით“ „თავდასხმის“ მომენტში ცარიელი იყო.**

გახსოვთ, რა თქმა უნდა, რა ამბავიც ატეხა გებელსის პროპაგანდის სამინისტრომ ამ „ფაქტისა“ გამო — აფხაზეთის მხარემ ააფეთქაო.

თუ რუსებმა...

უცხოეთისთვის გათვალისწინებული საჩვენებელი აგიტაცია!

**(ფოტო №1)**

**კიევში ასეთი ფოტოფაქტების ფალსიფიცირება დაავალეს მაიდანზე „ნაცემ“ ფოტოგრაფს გვარად გარანიჩს, რომელმაც 2008 წელს სახელი გაითქვა აგვისტოს ომში დადგმული კადრებით. კიევში მისი ამოცანა იყო, დაეფიქსირებინა სპეცრაზმ „ბერკუტის“ მიერ მომიტინგეთა „სისხლიანი“ დარბევის ფაქტი.**

საიტი http://polemika.com.ua/news-133029.html აქვეყნებს „როიტერის“ ამ ფოტოგრაფის მიერ საქართველოში გადაღებულ კადრებს და დეტალურად განმარტავს მათ არაბუნებრიობას, უფრო ზუსტად, რომ ისინი დადგმულია.

აი, ეს პუბლიკაცია:

**„მაიდანზე ნაცემმა ფოტოგრაფმა საქართველოში გადაღებული დადგმული კადრებით „გაითქვა სახელი“**

გასაგებია, ვინც უნდა გაეგზავნათ მაიდანის მიტინგის დაშლის გადასაღებად.

**ხედავთ, თავი რომ სისხლითა აქვს მოთხვრილი? ეტყობა, „ბერკუტისგან“ მოხვდა, თუმცა შეიძლება, კეტჩუპიც იყოს. ეფექტური ფოტოსთვის. მით უფრო, რომ „როიტერის“ ამ ფოტოკორესპონდენტს უყვარს ეფექტური ფოტოები...**

**იგი განთქმულია იმით, რომ ბრწყინვალედ იმუშავა საქართველოში, დადგმული ფოტოების სერია შექმნა. არა ყალბი, არამედ დადგმული ფოტოების. განსხვავება დიდია. მისი დამქირავებლები შემდეგ შეეცადნენ თავისმართლებას, საზოგადოებრიობას წარუდგინეს ფოტოორიგინალები. მაგრამ ამან ვერა და ვერ გააქარწყლა თავდაპირველი შთაბეჭდილება, მათი დადგმითი ხასიათის გამო რომ შეიქმნა. ფოტოები ნამდვილია, მაგრამ მათზე აღბეჭდილია როლების შემსრულებელი მსახიობები. შეიძლება მსახიობები არა, მაგრამ — ჩვეულებრივი ადამიანები ფოტოგრაფის მიერ განაწილებულ როლებში.**

***(ფოტოები №№2-3)***

მაშ, — **წერს ავტორი,** — თუ დაგავიწყდათ ეს ფოტოგრაფი, გაგახსენებთ kvisaz.ru-ს ჩანაწერს:

„წითლით ავღნიშნე დეტალები, რომლებიც მიგვითითებს, რომ ამ ფოტოსურათების ობიექტები ერთმანეთს ჰგავს. იმდენად ჰგავს, რომ სიყალბის შთაბეჭდილება თვალშისაცემია.

ყველაფერი მესმის და გასაგებია: **ომი, მანევრები... მაგრამ რა საჭიროა ცხედრის თრევა? რა საჭირო იყო მისი გადაბრუნება ან საბანში გახვევა?! რა უცნაური სტრიპტიზია შავპერანგიანი მამაკაცის?!**

შემდეგ: **მამაკაცი კუბოკრულ პერანგში. მას შემდეგ, რაც მას გადააბრუნებენ, აშკარად გამოჩნდება, რომ კარგადაა შენახული.** საკითხავია: **რუსები ბომბავდნენ თუ სნაიპერის შაშხანიდან ესროდნენ ღრუბლებს ზემოდან?!**

ხელზე წათხაპნილი სისხლის გარდა, სხვაგან კიდევ სად ჩანს სისხლის კვალი?!

აი, ფოტო სამხრეთ ოსეთიდან — იქ ნამსხვრევების კვალი აშკარაა. აქ კი ვერ მიხვდები, რა საიდუმლო ზემოქმედება განიცადა ადამიანის ორგანიზმმა?

დავუშვათ, ჭურვის ნამსხვრევები არ მოხვედრია. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ თუნდაც თავში მოხვედრილ აგურის ნატეხს, ან აფეთქების ტალღას რაღაც კვალი ხომ უნდა დაემჩნია? თუნდაც აწეწილი თმები ან ცხვირიდან წამოსული სისხლი.

**„როიტერის“ ეს ორი ფოტო პლიუსია იმ თეორიის სასარგებლოდ, რომლის მიხედვით სწორედ ასეთი უნდა იყოს და არის კიდეც ნაყალბევი კადრები. ყოჩაღ, ფოტოგრაფებო, ვერაფერს იტყვი! ახლა გასაგებია, რატომაა ფოტოები ასეთი ლამაზი.**

**ლამაზად გამომზირალი ინფორმაციული ომი.**

ვის რად სჭირდება თავწაგლეჯილი მოხუცებულების გვამების ხილვა?! ვის სჭირდება დაგლეჯილი კატის კნუტის ნახვა?! მაგრამ თუ ლამაზ ადამიანებს სასიამოვნო პოზებში დააწვენ და სთხოვ, განასახიერონ გლოვით დამწუხრებული პერსონები, სულ სხვა შედეგს მიიღებ: აქვითინდება მსოფლიო საზოგადოებრიობა!

შემდეგი ფოტო ამავე მსახიობის მონაწილეობით.

***(ფოტო №4)***

ახლა სურათი მთლიანობაში წარმოჩნდა.

ზედმეტი მოუვიდათ.

ამჯერად ამ კუბოკრულპერანგიან კაცს სამხედროები მიათრევენ.

„როიტერის“ ეს ფოტოგრაფი მუშაობს ახლა მაიდანზე, სურათებს იღებს დასავლეთისთვის...

**დიდი ხანია, რაც დამუშავებულია ასეთი მოვლენების გაშუქების მექანიზმები. სპეციალური მეთოდისტები რეკომენდაციას იძლევიან, რა და როგორ უნდა გაკეთდეს.**

აი, მაგალითად, „ოტპორელები“, ჩვენი „კმარელების“ „ბიძაშვილები“ ბელგრადიდან, გვეუბნებიან: **„ოტპორელებს“ მომარაგებული აქვთ შესანიშნავი ცინიკური პროვოკაციების უდიდესი რაოდენობა. ერთ-ერთს ეწოდება „გოგონა თეთრებში“. თუ მანიფესტაციის დროს მოსალოდნელია პოლიციასთან შეჯახება, წინა რიგში უნდა დააყენოთ თეთრკაბიანი ქალიშვილები და მათ მიუშვიროთ „მეგობარი ჟურნალისტების“ კამერები.**

**შეჯახების დროს გოგონებს აუცილებლად მოხვდებათ, შეიძლება გადათელონ კიდეც, დაჭრან. გოგონების ნაზი, შეშინებული სახეები, დასისხლიანებული თეთრი კაბები — ასეთი კადრი მთელ მსოფლიოს მოივლის. გენიალურია, ხომ ასეა?“**

თუ თეთრკაბიანი გოგონები ვერ მოძებნეთ, მაშინ გამოიყვანეთ ჩიორა თაქთაქიშვილი და ცხვირიდან გამოჟონილი სისხლით წათხაპნილ მის სახეზე სრულად აისახება ბევრზე გათვალისწინებული ჩანაფიქრი.

**არმაზ სანებლიძე**



ფოტო №1



ფოტო №2

ფოტო №3



ფოტო №4

**P.S. დაბოლოს, მკითხველის გასახალისებლად — ანეკდოტი, რომელიც დღეს კიევში პოპულარულია და სპეცრაზმ „ბერკუტს“ შეეხება.**

**ბერკუტი მთის არწივია.**

**მაშ ასე: კიევის აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც ხალხში უწოდებენ „გზა დასავლეთისკენ“, ძველი „ჟიგული“ შეეჯახება ახალთახალ „ტოიოტას“. გადმოლაგდებიან ჩამუქებულშუშებიანი მანქანიდან „ბაკლანები“ და თავზე დაადგებიან „ჟიგულის“ პატრონს — ხანდაზმულ კაცს, რომელიც აბსოლუტურად დაბნეული და საქციელწამხდარი დგას.**

**— დიდ ხარჯში ჩავარდი, ბიძაჩემო! — ეუბნება ერთი თვიკმაყოფილი ტიპი.**

**— მე რა მაბადია, — შეწუხდება ძიაკაცი, — ჩემი შვილი მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორია, დავურეკავ და გაგისწორდებათ. ოღონდ მობილური ტელეფონი მათხოვეთო.**

**იმათ გაეხარდებათ — დიდ ფულს წავგლეჯთო ფაბრიკის დირექტორს და ათხოვებენ მობილურს. დარეკავს.**

**რამდენიმე წუთში მოვარდება ორი მიკროავტობუსი. გადმოცვივდებიან „ბერკუტის“ მებრძოლები. მიწაზე დააწვენენ „ბაკლანებს“ და ერთი-ორს წაუთაქებენ კიდეც.**

**როცა სიტუაცია დამშვიდდება, „ბერკუტის“ (მთის არწივის) რაზმის უფროსი მივა მოხუცებულთან და ეტყვის:**

**— მამაჩემო, რამდენჯერ უნდა აგიხსნა, რომ მე მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორად კი არ ვმუშაობ, სპეცრაზმ „ბერკუტის“ მეთაური ვარ!**

**P.P.S. პუბლიკაციაზე მუშაობის დროს გამოქვეყნებული ფოტოების ექსპერტიზა არ ჩაგვიტარებია. პუბლიკაცია მომზადებულია უკრაინული მედიის მასალების მიხედვით.**

**ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება უკრაინაში მოხდეს, სახელმწიფოს დაშლა და მასშტაბური სისხლისღვრაა, რადგან მას, სხვა უარყოფით შედეგებთან ერთად, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში პროცესების რადიკალიზაცია და მათ „ცხელ ფაზაში" გადაყვანა მოჰყვება, რაც უდავოდ მოახდენს ნეგატიურ გავლენას ყველა ქვეყნის, მათ შორის უსაფრთხოების გარანტიების არმქონე, უკიდურესად დასუსტებული საქართველოს, მომავალზე.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მაიდანი მათი არსობისა

**„ნაცები" შინ არ ვარგოდნენ, უკრაინაში გარბოდნენ. საქართველოს პარლამენტის ათამდე დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან" გასულ კვირას კიევის ცენტრში, კარვებში იჯდა და ამ ფორმით გამოხატავდა სოლიდარობას უკრაინული ოპოზიციის მიმართ. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში უცხოელი პარლამენტარების მსგავს ჯგუფურ და, რბილად რომ ვთქვათ, ექსცენტრიულ ჩართვას რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმეებში ანალოგი არ აქვს. რას დაეძებენ „ნაციონალები" უკრაინულ „ევრომაიდანზე"?**







**ქართული ტელეაუდიტორიის უდიდეს ნაწილს, სავარაუდოდ, მწარედ ელიმებოდა, როდესაც აღშფოთებისგან გალურჯებული ნაცდეპუტატები უკრაინელი სამართალდამცავების ხისტ მოქმედებას აპროტესტებდნენ, ისე, თითქოს საქართველოში არც 7 ნოემბრის, არც 26 მაისის დარბევა მომხდარა, როდესაც სააკაშვილის პოლიციამ უკრაინულ „ბერკუტზე" განუზომლად დიდი, სადისტური სისასტიკე გამოავლინა.** თუმცა ამ უზნეო მონოლოგებზე გაცილებით საშიშია უკრაინაში მიმდინარე პროცესების აღქმის პრიმიტიული მოდელი, რომელსაც საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები ქართულ საზოგადოებაში ნერგავენ, რადგან მან შეიძლება არაადეკვატური დასკვნებისკენ (და შემდგომ — მოქმედებისკენ) გვიბიძგოს.

პოლონეთის ყოფილი პრემიერი ეჟი ბუზეკი გასულ კვირას, აგრეთვე, ჩავიდა კიევში, ოპოზიციის ლიდერებს შეხვდა და მიტინგზე მგზნებარე სიტყვაც წარმოთქვა. მაგრამ, ქართველი დეპუტატებისგან განსხვავებით, მას არ უცდია პოლონური საზოგადოების მოტყუება უხეში პროპაგანდისტული შტამპების გამოყენებით, არამედ (პოლონეთის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში) პატიოსნად მიანიშნა პროცესის სირთულესა და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე: **„უკრაინის ოპოზიციასა და ხელისუფლებას სახელმწიფოს დაშლის ეშინიათ. დაპირისპირება, რომელიც საგარეო პოლიტიკაში შეხედულებების სტრატეგიული განსხვავებებისგან გამომდინარეობს, საშიშია. უკრაინის დაშლის საფრთხე ახლა უფრო დიდია, ვიდრე „ნარინჯისფერი რევოლუციის" დროს. მაიდანზე შეკრებილები პროტესტს გამოხატავენ პრეზიდენტ იანუკოვიჩის მიმართ, მათი ნაწილი ძალზე პროევროპულია, მაგრამ გადაჭარბებული იქნებოდა იმის თქმა, რომ სახელმწიფოს მეთაურის ყველა მოწინააღმდეგე მხარს უჭერს ევროკავშირს"** (ყურადღება მივაქციოთ ბოლო ფრაზას, როცა პოლონელი პოლიტიკოსი არა იანუკოვიჩის მომხრეებზე, არამედ მოწინააღმდეგეებზე საუბრობს). **ეჟი ბუზეკი უკრაინის ევროინტეგრაციის თანმიმდევრული მომხრეა და ვიქტორ იანუკოვიჩის მიმართ ფრიად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პოლონურ საზოგადოებასთან საუბარში ცდილობს, სიტუაცია ობიექტურად აღწეროს და გულწრფელად ესაუბროს მას პროცესის რადიკალიზაციასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, კერძოდ, უკრაინის დაშლაზე, რომელიც, დიდი ალბათობით, მთელი კონტინენტის დესტაბილიზაციას გამოიწვევს.**

ამის საპირისპიროდ, **ქართველი პოლიტიკოსები** (უპირველესად, „ნაციონალები", თუმცა ამ მხრივ რესპუბლიკელებიც სცოდავენ) **სთავაზობენ ქართულ აუდიტორიას პრიმიტიულ მოდელს, რომლის ფარგლებში „ევროპაზე მეოცნებე უკრაინელი ხალხი პრორუს დიქტატორ იანუკოვიჩს უპირისპირდება", ხოლო უკრაინელ ოპოზიციონერებს** (პირადაპირ თუ ქვეტექსტში) **მოუწოდებენ „მიდით, მიაწექით!", ისე, რომ საერთოდ არ ითვალისწინებენ იმ საფრთხეებს, რომლებზეც ბუზეკი მიუთითებს.** და ეს მაშინ, როდესაც საუბარი ერთ მუშტად შეკრულ „უკრაინელ ხალხზე" უაღრესად არაკორექტულია; **მოსახლეობის დიდი ნაწილი (რომელიც, ძირითადად, აღმოსავლეთ უკრაინაში ცხოვრობს) მომიტინგეთა მოთხოვნებს არ იზიარებს. თუ ჩვენ პატივს ვცემთ დემოკრატიას, როგორც მთავარ ევროპულ იდეას, პატივი ამ ადამიანების პოზიციასაც უნდა ვცეთ. ამავე დროს, ვიქტორ იანუკოვიჩი გაცილებით რბილად ეპყრობა ქუჩაში გამოსულ ოპოზიციას ვიდრე ნებისმიერი პოსტსაბჭოთა მმართველი (თუნდაც იგივე სააკაშვილი).**

გავითვალისწინოთ ისიც, რომ უკრაინის პრეზიდენტი და პარლამენტი კანონიერად არჩეულია, მისი ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არ დგას და ეს უნდა ვაღიაროთ, მიუხედავად იმისა, მოგვწონს მათი ბოლოდროინდელი მოქმედებები თუ არა. საბოლოო ჯამში, ყველაფერი ძალიან მარტივია — **მიუხედავად იმისა, რომ მაიდანზე საკმაოდ ბევრი ადამიანი იკრიბება, ისინი ნამდვილად არ წარმოადგენენ „მთელ უკრაინას", ხოლო ოპოზიციის ლიდერების მცდელობამ, საწადელს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით მიაღწიონ, შეიძლება ქაოსი, სამოქალაქო ომი და ერთიანი უკრაინული სახელმწიფოს დაშლა გამოიწვიოს;** დიალოგსა და კომპრომისს რამდენადმე რეალისტური ალტერნატივა არ აქვს. საუკეთესო გამოსავალი უკრაინელი ოპოზიციონერებისთვის, ალბათ, 2015 წლის არჩევნებზე კონცენტრირებაა, რომლის მოგება (თუ გააზრებულად იმოქმედებენ) ნამდვილად ძალუძთ. **მართალია, ოპოზიციას ჯერ არ დაუკარგავს მომიტინგეთა დახმარებით ხელისუფლების აღების შანსი, მაგრამ ამას, სავარაუდოდ, იმდენად მასშტაბური კრიზისი მოჰყვება, რომ ეს, ერთი შეხედვით, სანატრელი პრიზი უმძიმეს სასჯელად მოეჩვენება.** პარადოქსი ისაა, რომ ამ შედეგს როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების სრული გამარჯვება მოიტანს და ამიტომ (რაზეც საუბრობს ბუზეკი) საუკეთესო გამოსავალი უკრაინისთვის ამ ეტაპზე კომპრომისია.

და მაინც, რატომ არ შეუძლიათ ქართველ პოლიტიკოსებს საკუთარ მოსახლეობას ეჟი ბუზეკივით ესაუბრონ და ამის ნაცვლად კი იაფფასიანი პროპაგანდისტებივით არ მოიქცნენ? ან, პირიქით, **რატომ არ კივის, ქართველი კოლეგების მსგავსად, პოლონეთის ყოფილი პრემიერი „უკომპრომისო ბრძოლაზე ბოროტების იმპერიასთან" და არ აღვივებს აუდიტორიაში ნაციონალისტურ ფსიქოზს „კრესი ვსხოდნის"** (პოლ. — „აღმოსავლეთის განაპირი", ტერიტორია, რომელიც ძველად პოლონეთს ეკუთვნოდა, ამჟამად კი მისი ნაწილი უკრაინის შემადგენლობაშია) **მოახლოებულ დაბრუნებასთან დაკავშირებით? ის არ უმალავს პოლონელებს სიტუაციის სირთულეს და აუღელვებელი განსჯის უფლებას არ ართმევს** (თუ მის ინტერვიუში არის მანიპულირების მცდელობა, ის გაცილებით დახვეწილია), ხოლო **ჩვენი პოლიტიკოსები, რაოდენ უხეშად უნდა გაიჟღეროს, ბანალურად გვატყუებენ და, ობიექტურთან მიახლოებული ანალიზის ნაცვლად, რეალობისგან მოწყვეტილ ლოზუნგებს გვაჩეჩებენ; ასე იყო 2008 წლის ომის წინ, ასეა დღესაც.**

უკრაინული კრიზისის საინფორმაციო მოდელი, რომელსაც ქართველი პოლიტიკოსები ქართულ საზოგადოებასა და მედიაში ამკვიდრებენ, ისევე, როგორც „ცივი ომის" დროს, ვაშინგტონისა და მოსკოვის ყოვლისმომცველი დაპირისპირების იდეას ეფუძნება, მკაცრად შავ-თეთრია, არ ითვალისწინებს რეგიონის ქვეყნების განსაკუთრებულ ინტერესებს (შორეულ ჩინეთზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია). ის აპრიორი გამორიცხავს „ერეტიკულ" მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ, მაგალითად, **აშშ-ისა და ევროკავშირის** (უპირველესად, გერმანიის) **ინტერესები უკრაინაში და შესაბამისი სამოქმედო გეგმები შეიძლება ერთმანეთთან სერიოზულ წინააღმდეგობაში მოვიდეს.** რეალობის ინტერპრეტირება ამ მოდელზე დაყრდნობით უარყოფს ყოყმანს, ზედმეტ დაფიქრებას და „მესამე გზის" ძიებას (შესაბამისად, „ახალი ფინეთის" როლს რუსეთის მოსაზღვრე პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის) და მთავარ კითხვას ძალიან მარტივად აყალიბებს: **„ამერიკა თუ რუსეთი?".** პრობლემა ისაა, რომ **ეს მიდგომა ადეკვატურად არ ასახავს მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის სირთულეს და მრავალფეროვნებას და სუსტი სახელმწიფოების მიერ მეტნაკლებად დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას უარყოფს, შესაბამისად, დამოუკიდებლობის იდეას ეწინააღმდეგება.**

როდესაც ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვა" დაიწყო, სააკაშვილის რეჟიმი კოგნიტურ დისონანსში ჩავარდა, რომელმაც მის კრახში არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა. იმის ნაცვლად, რომ მოეხდინა ადაპტირება ახალი რეალობის მიმართ, მან ამ რეალობის უარყოფა დაიწყო, კიდევ უფრო არაადეკვატური გახდა და ამით საქართველოში ხელისუფლების შეცვლა გააიოლა. **დღეს კიევში განვითარებული მოვლენები აძლევს „ნაციონალებს" შესაძლებლობას, საკუთარი ბიპოლარული მითოლოგიის რეანიმირება მოახდინონ, დაარწმუნონ საკუთარი თავი და ქართული საზოგადოება იმაში, რომ სამყარო სწორედ ისეთია, როგორც მათ წარმოუდგენიათ** (და არა ისეთი, როგორიც სინამდვილეშია). **ეს, ალბათ, არა მხოლოდ და არა იმდენად პოლიტიკაა, რამდენადაც ნოსტალგია ფსიქოლოგიურ სტაბილურობაზე, რომელსაც „გადატვირთვის" დაწყებისთანავე საბოლოოდ დაემშვიდობნენ.** კიევში, მაიდანზე ყველაფერი (ერთის შეხედვით) მარტივია: მარჯვნივ — დასავლეთი, მარცხნივ — რუსეთი და დაკარგული ფუნქციის დაბრუნების შესაძლებლობა, ალბათ, სავსებით რეალურად ეჩვენებათ.

ძნელი სათქმელია, მართლა იღებენ თუ არა „ნაციონალები" ფულს იანუკოვიჩის ოპონენტებისგან მაიდანის აქციებში მონაწილეობისთვის, რაზეც სოციალურ ქსელებში არაერთი მინიშნება გაკეთდა. ერთის მხრივ, ძნელი დასაჯერებელია, ამ კონტინგენტმა რამე უფასოდ გააკეთოს, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ, სავარაუდოდ, იმედი აქვთ, რომ უკრაინის ახალი ხელმძღვანელობა დაეხმარება, ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. ამასთანავე, შესაძლებლობა ეძლევათ, აჩვენონ თავის პარტნიორებს შტატებსა და ევროპაში (აქ მთავრობები არ იგულისხმება), რომ ბრძოლა ჯერ კიდევ შეუძლიათ. ამას ემატება ზემოთ ნახსენები ფსიქოლოგიური ფაქტორი და, **ალბათ, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ „ნაციონალი" დეპუტატები უკრაინაში „პოსლეზე", მომავალი** (პოლიტიკური თუ ფინანსური) **ბონუსების იმედით მუშაობენ. საბოლოო ჯამში, ეს მათი პრობლემაა და არა ჩვენი; საზოგადოებისთვის სულ სხვა რამ არის აქტუალური: რატომ უნდა შევაფასოთ უკრაინაში განვითარებული მოვლენები მათ მიერ შემოთავაზებულ არაკორექტულ, პრიმიტიულ მოდელზე დაყრდნობით?** (ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ვის ვგულშემატკივრობთ — უკრაინულ ოპოზიციას თუ იანუკოვიჩს; ეს საფეხბურთო მატჩი არაა).

**ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება უკრაინაში მოხდეს, სახელმწიფოს დაშლა და მასშტაბური სისხლისღვრაა, რადგან მას, სხვა უარყოფით შედეგებთან ერთად, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში პროცესების რადიკალიზაცია და მათ „ცხელ ფაზაში" გადაყვანა მოჰყვება, რაც უდავოდ მოახდენს ნეგატიურ გავლენას ყველა ქვეყნის, მათ შორის უსაფრთხოების გარანტიების არმქონე, უკიდურესად დასუსტებული საქართველოს, მომავალზე.** აქედან გამომდინარე, „ნაციონალი" დეპუტატების მოქმედება კიევში და მოწოდებები უკომპრომისო ბრძოლისკენ, ალბათ, ძალზე უპასუხისმგებლოა. მაგრამ, ცამდე მართლებიც რომ იყვნენ, მსგავსი ჩარევა უცხო ქვეყნის საქმეებში უპრეცედენტოა და საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებულ სტანდარტებს არ შეესაბამება. **სასურველია, პარლამენტის თავჯდომარემ, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა მკაფიოდ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია და ამ დეპუტატების მოქმედება შეაფასონ.** „გიჟი თავისუფალია და, რასაც უნდა, აკეთებს" ტიპის ფრაზები არასაკმარისია, მსგავსი სასაცილო და სამარცხვინო განცხადებები შეიძლება გაავრცელოს ცირკის ან ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექციამ, სახელმწიფოს კი გაცილებით მეტი მოეთხოვება.

**იმედია, კრიზისი უკრაინაში მშვიდობიანად დასრულდება და, სხვა ყველაფერთან ერთად, ხელს შეუწყობს იმას, რომ ქართულმა საზოგადოებამ დამოუკიდებელი, შიზოფრენიული პროპაგანდისტული კონსტრუქციებისგან სრულიად თავისუფალი, სახელმწიფოებრივი აზროვნება ისწავლოს.**

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთს საქართველოზე ზეწოლის საკმაოდ ბევრი ბერკეტი აქვს, სავარაუდოდ, მეტი, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე და, ალბათ, ეს საკმარისი საგზაა იმისთვის, რომ დავფიქრდეთ, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ისინი ჩვენ წინააღმდეგ არ ამოქმედოს. ილუზიები და, საუკეთესო შემთხვევაში, ფაქტების კონსტატაცია საქმეს არ შველის. საჭიროა რეალისტური საგარეო პოლიტიკის შემუშავება, დასაწყისისთვის კი მასზე სერიოზული დისკუსიის დაწყება.**

# რუსეთი ამიერკავკასიიდან წასვლას არ აპირებს

**„რაც შეეხება ამიერკავკასიას, რუსეთი აქედან წასვლას არასოდეს აპირებდა. პირიქით, ჩვენ ვაპირებთ, გავამყაროთ ჩვენი პოზიციები ამიერკავკასიაში. ჩვენ გავამყარებთ პოზიციებს, ყოველივე საუკეთესოზე დაყრდნობით, რაც ჩვენი წინაპრებისგან გვერგო, რეგიონის ყველა ქვეყანასთან, მათ შორის სომხეთთან, ურთიერთობაზე დაყრდნობით“, — ვლადიმერ პუტინის ამ განცხადებამ, რომელიც სომხეთში ვიზიტის დროს გააკეთა, კიდევ უფრო გაამძაფრა დაძაბული მოლოდინი მოსკოვის ზეწოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოში ვილნიუსის სამიტის და კიევში განვითარებული მოვლენების შემდეგ დამკვიდრდა. ქართული საზოგადოება ცდილობს, წინასწარ ამოიცნოს, რას მოიმოქმედებს კრემლი საქართველოში, რათა რეგიონში, ვლადიმერ პუტინის თქმის არ იყოს, „პოზიციები გაამყაროს“.**



> **„რაც შეეხება ამიერკავკასიას, რუსეთი აქედან წასვლას არასოდეს აპირებდა. პირიქით, ჩვენ ვაპირებთ, გავამყაროთ ჩვენი პოზიციები ამიერკავკასიაში“**

## მათ აღარ ახსოვთ აფხაზეთი

ბოლო დროს ქართველი პოლიტიკოსების თუ ექსპერტების გამოსვლებში ერთი უცნაური მოტივი ფიქსირდება. ისინი საუბრობენ იმაზე, რომ **რუსეთს გაუჭირდება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების ბლოკირება, რადგან მასზე ზემოქმედების გაცილებით ნაკლები ბერკეტი აქვს, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, მაგალითად, უკრაინაზე. როგორც ჩანს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს და იქ შექმნილ სიტუაციას ისინი ზეწოლის ბერკეტად** (უსერიოზულეს ბერკეტად, რომლის მსგავსი კრემლს უკრაინაში არ აქვს) **აღარ განიხილავენ, რაც, ალბათ, ძალზე შემაშფოთებელი სიგნალია.**

ფაქტია, რომ სეპარატისტული რეგიონების პრობლემა კვლავაც რჩება მთავარ წინაღობად ნატოში საქართველოს გაწევრიანების გზაზე და მისი ევროპელი წევრები (მაგალითად, გერმანია) პირდაპირ ან ირიბად მიუთითებენ იმაზე, რომ არ შეუძლიათ მიიღონ ალიანსში სახელმწიფო, რომელსაც ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ასეთი სერიოზული პრობლემები აქვს. მაგრამ **ევროპელების პოზიცია თანდათან შეიცვლება, თუ საქართველოს წარმომადგენლები თავის განცხადებებში ერთმანეთისგან განაცალკევებენ სეპარატისტულ რესპუბლიკებს და დანარჩენ საქართველოს, შექმნიან შთაბეჭდილებას, რომ არსებულ რეალობას შეეგუენ, ალიარების იდეა დასავლეთში თანდათან ლეგიტიმური გახდება, ხოლო რაღაც მომენტში, ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება საუკეთესო გამოსავლად მოეჩვენოთ.** ასე რომ, **ის პოლიტიკოსები და ექსპერტები, რომელნიც არ განიხილავენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, როგორც საქართველოზე ზეწოლის ბერკეტებს, და საერთოდ აღარ ახსენებენ მათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კონტექსტში, ალბათ, უმძიმეს შეცდომას უშვებენ. ხოლო ჩვენი მდგომარეობა, ალბათ, გაცილებით რთულია, ვიდრე იმავე უკრაინის და მისი შელამაზების მცდელობა მეტად უპასუხისმგებლო ჩანს.**

ამ მოსაზრებას ზეწოლის ბერკეტების არარსებობაზე რამდენიმე ვარიაცია აქვს, ერთ-ერთი მათგანის ფარგლებში საუბარია ეკონომიკურ სანქციებზე, რომელთა ხელახალი შემოღება საქართველოს გაცილებით ნაკლებ ზიანს მოუტანს, ვიდრე უკრაინას (საერთოდ, ორ ქვეყანას შორის პირდაპირი პარალელების გავლება არაკორექტულია მათი განსხვავებული მასშტაბიდან, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე). ამ მიდგომის ფარგლებში რუსეთის ერთადერთ შესაძლებელ ნაბიჯად ქართული პროდუქციისთვის ბაზრის დახურვა სახელდება, რომელიც ფრიად უსიამოვნო ეფექტს წარმოშობს და ისედაც აგონიაში მყოფ აგრარულ სექტორს კიდევ ერთ დარტყმას მიაყენებს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მომაკვდინებელი არ იქნება.

დროებით თავი დავანებოთ იმ შესაძლო არასტანდარტულ სვლებს, რომელთა გამოყენებით რუსეთმა შეიძლება საქართველოს ეკონომიკა სრული განადგურების პირას მიიყვანოს და ჩავთვალოთ, რომ ბაზრის დახურვა კრემლის ხელთ არსებული ზეწოლის ერთადერთი საშუალებაა. პრობლემა ისაა, რომ **წმინდა ეკონომიკური სტრატეგიების ნაკლებობა ბუნებრივად გამოიწვევს გადახრას სამხედრო-პოლიტიკური ზეწოლისკენ, ამ კონტექსტში ფარდობითი და მეტწილად წარმოსახვითი ეკონომიკური დაცულობა შეიძლება არა საფრთხის გამანეიტრალებელ, არამედ, პირიქით, მის გამაძლიერებელ ფაქტორად მოგვევლინოს. მარტივად რომ ვთქვათ, რა არის უფრო საშიში — ემბარგო თუ ახალი გართულებები ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით?**

**საქართველო უკრაინა არაა და მოსკოვი არ განიხილავს სერიოზულ საფრთხედ ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს ევროკავშირთან, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს (არ დაგვავიწყდეს, რომ ის ჯერჯერობით ხელმოწერილი არ არის). თუ ხელი არ შეეშლება მის ეკონომიკურ კომუნიკაციას სომხეთთან, რომელიც საბაჟო კავშირში გაერთიანებას აპირებს, ხოლო ქართული დიპლომატია აზრიანად იმოქმედებს, რუსები, სავარაუდოდ, განიხილავენ ამას როგორც უსიამოვნო, მაგრამ უმნიშვნელო ეპიზოდს.** სიტყვამ მოიტანა და ერევანში პუტინის ვიზიტის შემდეგ სომხეთისთვის რუსული გაზის ფასი (ათას კუბურ მეტრზე) 270 დოლარიდან 189 დოლარამდე შემცირდა. რუსეთმა, აგრეთვე, გააუქმა საექსპორტო ბაჟი სომხეთში გასატან ნავთობპროდუქტებზე, ამასთანავე, სომხეთს შეეძლება რუსული შეიარაღება გაცილებით იაფად შეიძინოს, ვიდრე წინა წლებში და ა. შ. ამ ორი ქვეყნის ინტერესებშია, რომ საქართველო, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფარგლებში მოექცეს, მაგრამ ეს არ გახდება მათთვის ზეპრინციპული საკითხი, თუ ჩვენ ტერიტორიაზე ტრანზიტთან დაკავშირებული პროლემები არ შეექმნებათ. ასე რომ, **მოსალოდნელ ეკონომიურ სანქციებზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს** (ან მოლდოვას) **რუსები „მეორე უკრაინად“, ეკონომიკური ომების წინა ხაზად არ განიხილავენ.**

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთი არ შეეცდება, საქართველოს უარი ათქმევინოს ნატოსა და ევროკავშირში სწრაფვაზე. მოსკოვში მიიჩნევენ, რომ ორივე გზა დღესდღეობით საიმედოდ ჩახერგილია, უპირველესად, „ძველი ევროპის“ ქვეყნების პოზიციის გამო. მაგრამ „საკითხის საბოლოო გადაწყვეტად“ ის, სავარაუდოდ, ჩათვლის სიტუაციას, როდესაც **ოფიციალური თბილისი თვითონ იტყვის უარს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე** (ევროკავშირი და ოცნება მასზე ამ კონტექსტში მეორეხარისხოვანია) **და ამას საკანონმდებლო დონეზე დააფიქსირებს. ამ შედეგის მიღწევისთვის მოსკოვი, რასაკვირველია, მიმართავს ზეწოლას, მაგრამ მისი პირდაპირი დაკავშირება ასოცირების ხელშეკრულებასთან, ალბათ, მაინც არაკორექტულია.** ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი საბაბი ან მორიგი იმპულსი მოსკოვის შემდგომი მოქმედებისთვის, მაგრამ არა როგორც მთავარი მიზეზი.

## ბალადა პოლონურ კავალერიაზე

საქართველოში ერთობ პარადოქსული ვითარება შეიქმნა. ერთის მხრივ, პოლიტიკოსები და საექსპერტო საზოგადოება თანხმდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ „რუსეთის ზეწოლა იქნება“, მაგრამ **არავინ მსჯელობს იმაზე, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს ზეწოლა თავიდან ავიცილოთ ან მისი მოსალოდნელი ზარალის მინიმიზაცია მოვახდინოთ. ჩვენ გვესმის მხოლოდ ზოგადი და, სხვათა შორის, საკმაოდ გაუბედავი ფრაზები, რომელთა მოკლე შინაარსი ორ სიტყვამდე დაიყვანება „როგორმე გავუძლებთ“ ან კიდევ: „მათ დაჟანგული ტანკები აქვთ“ ტიპის პროპაგანდისტული შელოცვები. ქართული პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა არ ეძებს მანევრს, გონივრულ ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს და თითქოს დინებას მიჰყვება. საზოგადოების დიდი ნაწილი კი ფატალისტურად ელოდება მომენტს, როდესაც საქართველო შეეჯახება (და, შესაძლოა, შეაკვდება) რუსეთს, რაც დაახლოებით ისეთ შედეგს მოიტანს, როგორიც პოლონური კავალერიისა და გერმანული ტანკებების შეტაკებას მოჰყვა.**

ლამაზი ლეგენდა კავალერისტებზე, რომლებმაც თითქოს ტანკებს შეუტიეს მეორე მსოფლიო ომის პირველსავე დღეს, 1939 წლის 1 სექტემბერს დაიბადა (მცირე ექსკურსი სამხედრო ისტორიაში, ალბათ, არაფერს დაგვაკლებს; ის შეიძლება ილუსტრაციისთვის გამოგვადგეს). ის ორივე მხარეს აძლევდა ხელს, რადგან, ერთის მხრივ, ხაზს უსვამდა გერმანელების ტექნიკურ უპირატესობას, მეორე მხრივ კი — პოლონელების ჰეროიზმს; მის გავრცელებას ხელი ჰაინც გუდერიანის მემუარებმა შეუწყო; სინამდვილეში კი სულ სხვა რამ მოხდა.

დავიწყოთ იმით, რომ პოლონური (ისევე როგორც საბჭოთა და ბევრი სხვა) არმიის წესდებები და ინსტრუქციები, კერძოდ კი 1930 წლის „საერთო ინსტრუქცია ბრძოლის წარმოების შესახებ“, ცხენოსანთა შეტევის რეგლამენტაციას საერთოდ არ ახდენდნენ. კავალერისტები ცხენებით უნდა გადაადგილებულიყვნენ, მაგრამ ბრძოლაში ისინი ერთვებოდნენ, როგორც ჩვეულებრივი ქვეითები. ცხენოსანთა შეტევა, გამონაკლისის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვებოდა, თუ კავალერისტები მოულოდნელად წააწყდებოდნენ მოწინააღმდეგეს ან თუ ის დემორალიზებული იყო და გარბოდა.

1 სექტემბერს, დღის პირველ ნახევარში პომორიეს ულანთა მე-18 პოლკის მებრძოლები საზღვრის სიახლოვეს იმყოფებოდნენ და, როგორც ჩვეულებრივი ქვეითები, თავდაცვით ბრძოლას აწარმოებდნენ. დღის მეორე ნახევარში მათ მიიღეს ბრძანება, განეხორციელებინათ კონტრდარტყმა. ამ ამოცანის შესრულებისთვის შეიქმნა მანევრული რაზმი (2 ესკადრონი და 2 ოცეული), რომელიც გერმანელების ზურგში უნდა გასულიყო. მოწინავე ოცეულმა აღმოაჩინა ტყის პირას დაბანაკებული გერმანელი ქვეითები; ვერმახტის ჯარისკაცები ისვენებდნენ. პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა მასტალეჟმა გადაწყვიტა, მოულოდნელობით ესარგებლა. **ეს, ალბათ, ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა — უკანასკნელად პოლონური კავალერიის ბრწყინვალე ისტორიაში გაისმა ბრძანება „შაბლე დლონ!“** (იშიშვლეთ ხმლები!) **და დაღმავალი მზის ფონზე ცხენოსანთა შეტევა დაიწყო, მაგრამ ისინი უტევდნენ არა გერმანულ ტანკებს, როგორც ლეგენდა მოგვითხრობს, არამედ თავზარდაცემულ ქვეითებს, რომლებიც პანიკაში ჩავარდნენ და გაიქცნენ. უცებ აღმოჩნდა, რომ ოდნავ მოშორებით იდგა რამდენიმე გერმანული ჯავშანმანქანა** (და არა ტანკი)**, რომლებიც პოლონელებმა თავიდან ვერ შეამჩნიეს, მათ ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი გახსნეს; სროლა ერთმა გერმანულმა ქვემეხმაც დაიწყო. 26 პოლონელი კავალერისტი** (მათ შორის პოლკის მეთაური) **დაიღუპა, 50-მდე დაიჭრა. პოლონელები ბრძოლის ველს სასწრაფოდ გაეცალნენ. სულ ეს იყო; ისტორიული დოკუმენტები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ მოხდა სწორედ ეს და არანაირ შეტევას ტანკებზე ადგილი არ ჰქონია. ვერაფერს ვიზამთ, ლეგენდებში ხშირად ისეთი რამ გვხვდება, რასაც ფსიქიკურად ჯანმრთელი მეთაური ბრძოლის ველზე არასოდეს გააკეთებს** (ყოველივე თქმული პოლონელი მებრძოლების თავდადებას სულაც არ აკნინებს).

**ის, რასაც ჩვენი პოლიტიკოსები აკეთებენ, ალბათ, გაცილებით უარესია. პოლონელი პოლკოვნიკისგან განსხვავებით, ისინი ხედავენ ტანკებს** (როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით)**, მაგრამ მათთან პირისპირ შეხვედრის არიდებაზე, მანევრზე აპრიორი უარს ამბობენ. ამას გმირობასთან საერთო, ალბათ, არაფერი აქვს, ეს უფრო სისულელე და უპასუხისმგებლობაა, რომელიც შთამომავლობას ლამაზ ლეგენდასაც კი არ დაუტოვებს. საჭიროა მანევრი, მაგრამ მასზე არავინ ფიქრობს და ორი აშკარად არათანაზომადი ძალის მორიგი შეტაკება თანდათან გარდაუვალი ხდება.**

## თურქული გამბიტი: მეორე სერია

როდესაც მოსალოდნელი რუსულ-ქართული გართულებების კონტექსტში საქართველოს ზოგიერთ რეგიონში სიტუაციის შესაძლო გამწვავებაზე საუბრობენ, ხშირად ახსენებენ ახალი სეპარატისტული გამოსვლების საფრთხეს, მაგრამ პრაქტიკულად არავინ მიუთითებს იმაზე, რომ მორიგი პრობლემა შეიძ-

▶



**2014 წლისთვის კიდევ ერთ ახალ ტექნიკურ მოწყობილობას ელოდებიან, რომელიც შესაბამის სტრუქტურებს მისცემს შესაძლებლობას, GPS მოწყობილობებში მონაცემების ფიზიკური კვლევა ჩაატაროს და დაადგინოს ციფრული მოწყობილობის ადგილმდებარეობა და კავშირი. გასაგებად რომ ვთქვათ, მათ ზუსტად ეცოდინებათ თქვენი გადაადგილების მარშრუტი.**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლება „არასტანდარტული“ გამოდგეს. ალბათ, არავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ახალი კრიზისი მაინცდამაინც უცხო ქვეყნის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტული მოძრაობის და ცენტრალური ხელისუფლების კონფლიქტის ნიადაგზე აღმოცენდება.

**2004 წელს, როდესაც სააკაშვილი-აბაშიძის დაპირისპირების გამო სიტუაცია აჭარაში გართულდა, თურქეთის ელჩმა აზერბაიჯანში, უნალ ჩევიკოზმა, დაუდასტურა ჟურნალისტებს, რომ თურქეთს, ყარსის 1921 წლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია აჭარაში ჯარი შეიყვანოს. მაშინ ამ განცხადებას საქართველოში ყურადღება არ მიაქციეს.** მიხეილ სააკაშვილი, მისი ძველი თანამებრძოლების მოგონებების თანახმად (ლევან ბერძენიშვილმა თავის ინტერვიუებში ეს ეპიზოდი არაერთგზის ახსენა), ადმინისტრაციულ საზღვართან სამხედრო შენაერთების კონცენტრირებას, მეტიც, ბათუმის დაბომბვას აპირებდა, რაც უდავოდ მისცემდა თურქეთს აქტიური ჩარევის საბაბს. მადლობა ღმერთს, სააკაშვილი მაშინ შეაჩერეს, ხოლო კრიზისი სისხლისღვრის გარეშე დასრულდა. **მეორედ თურქების აჭარაში შესაძლო შესვლის თემა აქტუალური 2008 წლის აგვისტოში, ომის დროს გახდა, როდესაც ერდოღანი სასწრაფოდ მოსკოვში გაემგზავრა და პუტინთან მოლაპარაკებები გამართა,** რომელსაც, ისევე, როგორც თურქული ჯარების კონცენტრაციას საზღვარზე, საქართველოში არაერთი კონსპიროლოგიური ვერსია დაუკავშირეს.

ყოველივე ამის შემდეგ **თურქეთის გავლენა აჭარაში არაპროპორციულად გაიზარდა. იქ ბევრი თურქი დასახლდა, რომელთა ნაწილს სააკაშვილის ხელისუფლებამ ქართული პასპორტები დაურიგა, მათსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაძაბულობის პირველი ნიშნები გაჩნდა, რამდენიმე ექსპერტი ალაპარაკდა მოსალოდნელ პროვოკაციასა და კონფლიქტზე.** ამასთანავე, მნიშვნელოვნად შეიცვალა თურქეთიც, მისი ამბიციები გაორმაგდა, მოქმედება საგარეო არენაზე უფრო აქტიური გახდა, ხოლო მისი მთავარი პარტნიორის, აშშ-ის ჩართულობა რეგიონულ საქმეებში და, შესაბამისად, შემაკავებელი როლი შემცირდა. მეტიც, მან თურქეთზე რეგიონში მთელი რიგი პასუხისმგებლობების დელეგირება მოახდინა, რაც კარგად გამოჩნდა სირიის კრიზისის დროს და რიგ სხვა ეპიზოდებში.

**თუ აჭარაში** (უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების პროვოცირებით თუ სტიქიურად) **მოხდება მასშტაბური დაპირისპირება თურქებსა და ქართველებს შორის და შეიქმნება სიტუაცია, რომელიც თურქეთს აქტიური ჩარევისკენ უბიძგებს** (ახლა ეს გაცილებით რეალურია ვიდრე წინა წლებში; სამშვიდობო მისია დაერქმევა ამას თუ სხვა რამ, მნიშვნელობა არ აქვს), **რუსეთმა, კრიზისის პირველ ეტაპზე, შეიძლება უარი თქვას მის შეკავებაზე დიპლომატიური მეთოდებით, ძალისმიერზე ხომ საუბარი ზედმეტია.**

რამდენად მზად არის დასავლეთი, არა აბსტრაქტული დასავლეთი, არამედ ის დასავლეთი, რომელიც სირიის კრიზისის დროს ვიხილეთ, შეასრულოს იგივე როლი, რაც კაიზერის გერმანიამ 1918-ში და თურქები შეაკავოს? ეღირს თუ არა ამის გაკეთება? თუ ის ამაზე უარს იტყვის, რუსეთი საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე უპირობო დომინირებას მიაღწევს.

გამორიცხული არაა, რომ იგივე განმეორდეს, რაც ასიოდე წლის წინ მოხდა, მოსკოვის, შემდგომ კი ყარსის ხელშეკრულების დადების დროს (ცხადია, თანამედროვე, გაცილებით დახვეწილ ფორმებში), ანუ **საქართველოს გაყოფა რუსეთისა და თურქეთის კონსენსუსის საფუძველზე. რუსულმა დიპლომატიამ შეიძლება ეს კომბინაცია მიმზიდველად ჩათვალოს, რადგან თურქეთის პოზიციამ, გარკვეულ პირობებში, შეიძლება დასავლეთის ძალისხმევის ბლოკირება მოახდინოს.** ამ ჰიპოთეტური ვარიანტის მთელი „მუღამი“ სწორედ ამაშია (თურქეთისა და წამყვანი დასავლური ქვეყნების კონსოლიდირებული პოზიციის არარსებობა ასეთ სიტუაციაში დღევანდელი, პროდასავლური საქართველოსთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია) და, ამასთანავე, საქართველოს ორიენტაციას, დიდი ალბათობით, 180 გრადუსით რუსეთის სასარგებლოდ შეცვლის. **ძნელი სათქმელია, რამდენად მზად არის მკვეთრი ნაბიჯებისთვის თურქეთი, რომელიც საგარეო პოლიტიკაში ფრთხილ ქემალისტურ ტრადიციასა და გაცილებით აგრესიულ ახალ სტრატეგიებს შორის მერყეობს, მაგრამ პროცესების გამწვავებამ და მზარდმა ამბიციებმა შეიძლება აიძულოს სწორედ ამ სცენარის კალაპოტში ამოქმედდეს.**

ეს არ არის ერთადერთი წარმოსახვითი ვარიანტი, რომლის ფარგლებში **არათუ რუსეთის ზეწოლამ, არამედ მისმა დემონსტრაციულმა დისტანცირებამ პროცესებისგან** (ცხადია, ფარული თამაშის წარმოებით) **საქართველოს შეიძლება უდიდესი პრობლემები შეუქმნას, სამცხე-ჯავახეთზე და სხვა პოტენციურად პრობლემურ რეგიონებზე** (მათი ჩამონათვალი გაცილებით ვრცელია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, უბრალოდ, კრემლის ტაქტიკა, სავარაუდოდ, სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებული იქნება და ყველგან როდი ჩაჯდება „კლასიკური სეპარატისტული“ მოდელის ლოგიკაში) **რომ არაფერი ვთქვათ.**

რუსეთს საქართველოზე ზეწოლის საკმაოდ ბევრი ბერკეტი აქვს, სავარაუდოდ, მეტი, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე და, ალბათ, ეს საკმარისი საბაბია იმისთვის, რომ დავფიქრდეთ, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ისინი ჩვენ წინააღმდეგ არ აამოქმედოს. ილუზიები და, საუკეთესო შემთხვევაში, ფაქტების კონსტატაცია საქმეს არ შველის. საჭიროა რეალისტური საგარეო პოლიტიკის შემუშავება, დასაწყისისთვის კი მასზე სერიოზული დისკუსიის დაწყება.

**დიმიტრი მონიავა**

# ფრთხილად, თქვენ ისევ გისმენენ!

**„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ახალი მოსული იყო, როდესაც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია თავდაცვის ექსმინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა უკანონო მოსმენაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს კომპიუტერიდან ფარულად უსმენდნენ. ყოფილი თავდაცვის მინისტრის მტკიცებით, მას არჩევნების შემდეგ, 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საფრანგეთში კომპიუტერის მეშვეობით უსმენდნენ. მაშინ მოქმედმა მინისტრმა ალასანიამ ბრალდება უარყო — ჩვენ აღარ ვუსმენთ, პირიქით, მოსმენების სამსახური გავაუქმეთო.**

**ოპერატიულ-სამძებრო მიზნებისთვის სატელეფონო საუბრებს ყველგან უსმენენ. აქ მთავარია მკაფიო ზღვარი — კანონიერ, ანუ სანქცირებულ და უკანონო მოსმენებს შორის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ფარული მიყურადება არ იყოს პოლიტიკურად მოტივირებული.**



როგორც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ გახდა ცნობილი, ახალმა ხელისუფლებამ ახალი სპეციალური აღჭურვილობა ჩამოიტანა, რომლის დახმარებითაც ნებისმიერი მობილური ტელეფონიდან დაკარგული ან წაშლილი ინფორმაციის აღდგენა უკვე შესაძლებელია. ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს უკვე შეუძლია 3400-მდე მოდელის მობილური ტელეფონიდან და სიმბარათიდან წაშლილი ინფორმაციის ამოღება-აღდგენა. მართალია, ოფიციალურად ეს ასე გაფორმდა: მოქალაქეებს თუ სურთ, რომ მიიღონ ძველი მობილურიდან ინფორმაცია, ამისთვის გამოვიყენებთო, მაგრამ სადაა იმის გარანტია, რომ სპეცსამსახურები ამას უკანონო ფარული თვალთვალისა და მიყურადებისთვის არ გამოიყენებენ?!

როგორც ოფიციალურ ცნობაშია ნათქვამი, **მობილური ტელეფონის გამოშვების თარიღის, ფირმისა და პარამეტრების მიუხედავად, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ექსპერტიზის ლაბორატორიის ახალი ხელსაწყოს — UNIVERSAL FORENSICS EXTRACTION DEVICE (UFED) დახმარებით შეუძლია წაშლილი კონტაქტების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების, ფოტო, ვიდეო და აუდიო ფაილების აღდგენა.**

ახალი მოდული — UFED CHINEX რამდენიმე თვის წინ შეიძინეს, რომლის მეშვეობითაც ჩინური წარმოების ტელეფონებიდანაც შესაძლებელია წაშლილი და დაზიანებული ინფორმაციის აღდგენა და ამოღება, ამ ფაქტს თავად ბიუროშიც ადასტურებენ. **სერვისის ფარგლებში შესაძლებელია: მობილური ტელეფონიდან და სიმბარათიდან ინფორმაციის ამოღება და აღდგენა; სიმბარათიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ამოღება; მობილური ტელეფონიდან წაშლილი მოკლეტექსტური შეტყობინების აღდგენა და ამოღება; მობილური ტელეფონიდან კონტაქტების ამოღება; მობილური ტელეფონიდან წაშლილი კონტაქტის აღდგენა და ამოღება; მობილური ტელეფონიდან ფოტო გამოსახულების ან ხმოვანი ფაილის ამოღება; მობილური ტელეფონიდან განხორციელებული, მიღებული, გამოტოვებული ზარების ამოღება; მობილური ტელეფონიდან წაშლილი ზარების ამოღებაც კი.** ანუ გამოდის, რომ ახლა არა მხოლოდ თქვენი მოსმენა, არამედ ადრე არსებული ძველი ტელეფონებიდან თქვენი სატელეფონო შეტყობინებების, სურათებისა და სხვა ინფორმაციის ამოღებაც გახდა შესაძლებელი.

მობილური ტელეფონიდან და სიმბარათებიდან ინფორმაციის ამოღებისა და აღდგენის სერვისის შესასრულებლად ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ახალი ულტრათანამედროვე აღჭურვილობა UNIVERSAL FORENSICS EXTRACTION DEVICE (UFED) შეიძინა. ხოლო უკვე **2014 წლისთვის კიდევ ერთ ახალ ტექნიკურ მოწყობილობას ელოდებიან, რაც შესაბამის სტრუქტურებს მისცემს შესაძლებლობას GPS მოწყობილობებში მონაცემების ფიზიკური კვლევა ჩაატაროს და დაადგინოს ციფრული მოწყობილობის ადგილმდებარეობა და კავშირი. გასაგებად რომ ვთქვათ, მათ ზუსტად ეცოდინებათ თქვენი გადაადგილების მარშრუტი.** რისთვის იქნება ეს ხელსაწყოები საბოლოო ჯამში გამოყენებული, ამის დადგენა რთულია, რადგან, მოქმედი კანონმდებლობით, ერთ პირს არ აქვს უფლება, მეორე სამოქალაქო პირის ინტერნეტსაშუალების ადგილმდებარეობა დაადგინოს, მაშინ გამოდის, რომ ამ ხელსაწყოების ასეთი ფორსირებული წესით შეძენა, სავარაუდოდ, ძალოვანი სტრუქტურების ინტერესებში უფრო უნდა იყოს, ვიდრე რიგითი მოქალაქეების, რომლებსაც საკუთარი ინტერნეტსივრცის გაკონტროლება ისედაც შეუძლიათ, სხვების მუქარის ან შანტაჟის გამოსავლენად კი მაინც სამართალდამცავებს უნდა მიმართონ. დამეთანხმებით, ეს ყველაფერი გონივრულ ეჭვს აჩენს მოსმენების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით.

ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ პროკურატურამ, 6 თვის მონაცემებით, სასამართლოს სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ შუამდგომლობით 1207-ჯერ მიმართა. აღნიშნული ინფორმაცია მთავარი პროკურატურისგან „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) გამოითხოვა. **„აღნიშნული შუამდგომლობები შეიცავს საიდუმლო მონაცემებს და, აქედან გამომდინარე, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, მოგაწოდოთ ინფორმაცია ქსეროასლების ან ელექტრონული სახით“,** — ნათქვამია პროკურატურის წერილში, რომელსაც ხელს აწერს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩილინგარაშვილი.

ერთიანი სტატისტიკა არ აქვს მთავარ პროკურატურას. მთავარი პროკურორის ყოფილმა მოადგილემ შოთა რეხვიაშვილმა საილუსტრაციოდ წარმოადგინა ცალკეული დეპარტამენტების სტატისტიკა. მაგალითად, **ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის და უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაზე სისხლის სამართლებრივი დევნის დეპარტამენტის პროკურორთა მიერ 2012 წლის განმავლობაში სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის თემატიკაზე შეტანილი იყო 1063 შუამდგომლობა და სასამართლომ ყველა უპირობოდ დააკმაყოფილა.**

სასამართლოსა და პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ფარულ მიყურადებაზე სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვების, ანუ პროკურატურის შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი ხელისუფლების ცვლილების შემდეგ შემცირებულია, თუმცა საკმაოდ მაღალია პროკურორების შუამდგომლობების რაოდენობა, რომლითაც სასამართლოსგან ფარულ მოსმენებზე ნებართვას ითხოვენ. მაგალითად, მთავარი პროკურორის მოადგილის განცხადებით, **2012 წლის 1 ნოემბრიდან 2013 წლის 1 მაისამდე პერიოდში, ანუ ექვს თვეში, სასამართლოში შეიტანეს 632 შუამდგომლობა ფარულ მოსმენაზე, აქედან 83 საქმეზე (147 პირის მიმართ) არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობები მოსამართლეების მხრიდან. 2013 წლის მანძილზე თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურიდან 1195 შუამდგომლობა მიიღო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში ფარული მიყურადებისა და ჩაწერის თაობაზე და აქედან 1064 დაკმაყოფილდა,** ანუ თუკი წინა წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მხოლოდ 8 შუამდგომლობაზე ეთქვა პროკურატურას უარი, 2013 წლის განვლილ პერიოდში უარის მაჩვენებელი 131-მდე გაიზარდა. პროკურატურის თქმით, შინაგან საქმეთა საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმღვანელობის დანაყოფის მონაცემებით, 2012 წლის 1 ნოემბრიდან 2013 წლის 1 მაისამდე 30 შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა სასამართლომ.

ფარული მოსმენების შესახებ არანაირი სტატისტიკა არ წარმოუდგენიათ არც თავდაცვის და არც შინაგან საქმეთა სამინისტროს. **ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას ექვსი ორგანო ახორციელებს და, შესაბამისად, მოპოვებული მასალები გაბნეულია ამ ორგანოებში. ყველაზე დიდი რაოდენობით ასეთი მასალები შინაგან საქმეთა სამინისტროში ინახება.** ამ მასალების დაცვა-შენახვასა და სისტემატიზაციაზე პასუხისმგებელია შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი. აღნიშნული დეპარტამენტის გარდა, კიდევ სხვა პირებს, იმავე შს მინისტრის მოადგილეებს აქვთ თუ არა დაშვება ამ მასალებზე? — ამ კითხვებზე პასუხები არაა გაცემული. **კონკრეტიკაზე და მოსმენების კონკრეტულ ციფრებზე არასამთავრობო სექტორსა და ჟურნალისტებს უარს იმ მოტივით ეუბნებიან, რომ ეს „გრიფით საიდუმლო“ ოპერატიული ინფორმაციის შემცველი მასალაა და, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ვერ გაგიმხელთო, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციები მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკურ ციფრებს ითხოვენ, თუ რომელი უწყება რამდენ ადამიანზე ახორციელებს ფარულ სატელეფონო მოსმენებს. მაგრამ ახლაც, ისევე, როგორც სააკაშვილის დროს, კითხვას უპასუხოდ ტოვებენ! ან ეს ის თემაა, როცა ქურდს ქუდი ეწვის.**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

პალატა N41

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განმარტეთ, გეთაყვა — აფხაზეთი, სამაჩაბლო, რომლებიც რუსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აქვს აღიარებული, რუსეთის სამხედრო ბაზები, რომლებიც ამ რეგიონებშია განთავსებული, ასიათასობით დევნილი, მილიონამდე რუსეთში ემიგრირებული ჩვენი თანამოქალაქე, რომლებიც იქიდან გამოგზავნილი ფულით აქ ოჯახებს ინახავენ, მცირეოდენი, მაგრამ მაინც პროგრესი ექსპორტში, რომელიც რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაშვებით მივიღეთ, არ არის საკმარისი ბერკეტი?**

# პარაფირებული, პრიალა და მაპზე უკეთესი

## ოპუსი მემკვიდრეობით პარანოიაზე

**სუბიექტური, არაადეკვატური, ავადმყოფური მიზეზებით განპირობებული მსჯელობა, რეალურ საფუძველს მოკლებული, ალოგიკური, ცრუ დასკვნები არის ბოდვა — ასე უბნობენ დასტაქრები. პარანოიდული ბოდვითი სინდრომი ხასიათდება ინტერპრეტაციული ბოდვით, რომელიც აღმოცენებულია პაციენტის სუბიექტურ ლოგიკასა და ფაქტების ცალმხრივი გააზრებით მიღებულ ფსევდომტკიცებულებებზე. ავადმყოფებს ბოდვის დროს აღენიშნებათ რეფორმატულობისა და გამომგონებლობის აკვიატება, ისინი გამუდმებით ამუშავებენ ზეფასეულ, არქიმნიშვნელოვან იდეებს, ზოგადსაკაცობრიო პროექტებს, მუდმივი ძრავის კონსტრუქციებს, ბოდავენ ნატოში გაწევრიანებისა თუ ასოცირების პარაფირების შედეგად მოსალოდნელ ოქროს მთებზე, რძის მდინარეებსა და შოკოლადის პრიალა ყაბაყებზე...**



არ იფიქროთ, რომ შესავალში ფარულად მივანიშნებდი ჩვენებურ მედასავლეთე ვაიპოლიტიკოსებზე, რომლებიც, აგერ უკვე ოცი წელიწადია, დაუღალავად გვკვებავენ ნატოსა თუ ევროკავშირის ციური მანანების ბოდვითი იდეებით.

მერწმუნეთ, არც ყოფილ პრეზიდენტს ვგულისხმობ ირიბად და არც მოქმედს, არც ყოფილ „ნაცმოძრაობას“ და არც მოქმედ „ნაცმოძრაობას“ (კოალიციაში რესპუბლიკელებს ეძახიან), არც ერთ მათგანზე არ მივუთითებ, რომ ბოდვითი ფსიქოზით არიან შეპყრობილნი და არც იმის თქმა მინდა, რომ ნატო-ევროკავშირის ოცწლიანი ბლავილი პარანოიკის ბოდვითი იდეებია.

უბრალოდ, მოგიყვანთ ამონარიდს კომპეტენტური სამედიცინო ცნობარიდან და დასკვნები, ისევე, როგორც შედარებები და პერსონიფიკაცია, თქვენთვის მომინდვია.

მაშ ასე:

**„კლინიკურ სურათში სჭარბობს განდიდების მანია, ავადმყოფები დარწმუნებულნი არიან თავიანთ მაღალ დანიშნულებაში, განსაკუთრებულ მისიაში. ისინი საკუთარ თავს აცხადებენ სამყაროს მხსნელებად, აკუთვნებენ მაღალ ჯილდოებს და ორდენებს, გააჩნიათ „წინასწარგანჭვრეტის ნიჭი“, „გენიალური უნარი“, ნებისმიერი წინააღმდეგობა იდეების რეალიზაციაში მათთვის მიუღებელია. ბოდვითი სინდრომის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცრუ, გამოგონილ მოგონებებს“...**

შორს ვარ აზრისგან, რომ სააკაშვილის აკვიატებას — „პირველად საქართველოში“, ასევე მის სურვილს, მუდმივად გაჯიბრებოდა და გაესწრო დავით აღმაშენებლისთვის, წარმოედგინა თავი „დემოკრატიის შუქურად“, რაიმე საერთო აქვს განდიდების მანიასთან; ამჯერად არც სხვა, როგორც ძველი, ასევე ახალი პრეზიდენტებისა და მმართველი პარტიებისთვის დამახასიათებელ სიმპტომებზე გავაკეთებ მინიშნებას, მიუხედავად იმისა, რომ ერთნიც და მეორენიც უხვად ავლენენ პარანოიდული ბოდვისთვის დამახასიათებელ სიმპტომებს — მე ექიმი არ ვარ, რომ მათ დამამშვიდებელი პერანგი ჩავაცვა და სახელოები ზურგსუკან გავუნასკვო.

სამაგიეროდ, **ვარ საქართველოს მოქალაქე და მაქვს კონსტიტუციური უფლება, ვკითხო, პირველ რიგში, ახალ ხელისუფლებას — ბატონებო, თქვენ ხომ არ ბოდავთ? ან რა მოწიეთ ასეთი, რომ ხმოვანი და ვიზუალური ჰალუცინაციები ერთდროულად გეწვიათ?!**

„შალახოს“ აკომპანიმენტით ასოცირების პარაფირებას (თუ პირიქით) ხელი წაუკითხავად რომ მოაწერეთ, ამაზე დროს არ დავკარგავ...

არც იმაზე დავკარგავ დროს, რომ ვილნიუსის სამიტამდე და სამიტის მერე „მამაო ჩვენოსავით“ იმეორებთ — ეს რა ისტორიული ნაბიჯი გადავდგით, ეს რა წარმატებას მივაღწიეთ, ეს რა რძის მდინარეები და შოკოლადის ყაბაყები მოვიპოვეთ, როგორ ავშენდით, გავკეთდით და გავბრწყინდით საოცნებო იბერიასავითო...

ვიმეორებ, ბატონებო: **თქვენ ან ბოდავთ, ან შამგონის თრიაქს ეწევით, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ქცევა და საუბარი „წინასწარგანჭვრეტის ნიჭზე“, „გენიალურ უნარებზე“, პარაფირებაზე, მაპზე უკეთესსა და მეოთხე წელიწადს აშენებულ ოქროს სარაიაზე შარლატანობა ან ბოდვის სიმულაციაა...**

და ვინაიდან თქვენი წარმომადგენლები ცოცხალი თავით არ განმარტავენ, რას მივაწეროთ ხელისუფლების ეიფორია — ბოდვას თუ რაიმე ჩვენთვის უცნობ ისეთ რეალობას, რომელიც იმ „მზეთუნახავ“ 1000-გვერდიან პარაფირებულში წერია, გავბედავ და საჯაროდ დავსვამ რამდენიმე შეკითხვას.

**პირველი:**

შევარდნაძე-სააკაშვილიდან მოყოლებული, ახალი ხელისუფლებით დასრულებული, ნატო-ევროკავშირითა თუ ასოცირების პარაფირებით დიდ წარმატებას, მიწიერ სამოთხეს გვპირდებით — მოლოდინი ამ პარაფირების მიმართ ლამის ისეთივე შექმნით, როგორც გამოცხადების მიმართ, მაგრამ **არავინ — არც ძველი და არც ახალი ხელისუფლებიდან — არ განმარტა, თუ კონკრეტულად რას უნდა ველოდოთ, კერძოდ, რას მოგვიტანს ეს პარაფირება. რა პლიუსები და (ან) მინუსები აქვს მას, რისგან დაგვიცავს და რისი უნდა გვეშინოდეს ამ პარაფირების გამო?**

**მეორე:**

უკრაინამ შეაჩერა უკვე პარაფირებული შეთანხმება, სომხეთმა უარი თქვა, აზერბაიჯანმაც. ფაქტია, რომ ეს არის გამოწვეული რუსეთის მზარდი გავლენით. ამიტომ **კეთილი ინებეთ და აგვიხსენით, დაგვისაბუთეთ, რამდენად აუცილებელი, „ისტორიული“ იყო ჩვენთვის ეს აქტი.** რა, კიევი, ერევანი, ბაქო უგუნურები არიან, უარს რომ ამბობენ და, როგორც ჩანს, ითვალისწინებენ იმ ნეგატივს, რომელიც შეიძლება ამ პარაფირებას მოჰყვეს და რომლის გათვალისწინებაზეც ჩვენ უარი ვთქვით?

**მესამე:**

ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, მნიშვნელოვანი ამ პარაფირებულ შეთანხმებაში არის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი და ვიზების გამარტივება, მაგრამ ეს ხომ ჩვენთვის გინდ ყოფილა, გინდ არა, რადგან არ გვაქვს ეკონომიკა, არ გვაქვს წარმოება და, შესაბამისად, არ გაგვაჩნია ისეთი მოცულობის საექსპორტო პროდუქცია, რომ თავისუფალი სავაჭრო სივრცის გამოყენება შევძლოთ. თანაც **თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, იმ პირობებში, როდესაც არ გვაქვს საკუთარი წარმოება, ეკონომიკა, ხომ უკიდურესად მძიმე დღეში ჩააგდებს უამისოდაც მომაკვდავ ადგილობრივ წარმოებასა და სოფლის მეურნეობას? ბაზარზე შემოვა გაცილებით ძვირი პროდუქტი და ვინ აგებს პასუხს იმაზე, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს დახლებზე ფასები გვექნება ევროპული, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავალი — ძველებურად მწირი, „ქართული“?**

**მეოთხე:**

**რატომ არის პანაცეა ვიზების გამარტივება ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობის მესამედზე მეტი ისედაც საზღვარგარეთაა წასული, იქაური მოხუცების მოსავლელად და მოჯამაგირეებად** და რა არის ჩვენთვის პრიორიტეტი — დარჩენილებსაც გავუადვილოთ მონური შრომისა და მათხოვრული ჯამაგირისთვის ქვეყნიდან გადახვეწა თუ აქ შევუქმნათ მათ ღირსეული შრომისა და ცხოვრების პირობები?

**მეხუთე:**

როდესაც პარაფირებაზე ან, გნებავთ, ევროინტეგრაციაზე ვსაუბრობთ, სულაც უკვე გადაწყვეტილი რომ იყოს ეს საკითხი ჩვენს სასარგებლოდ, **აფხაზების აზრი ამასთან დაკავშირებით ვიცით?**

**თუ აფხაზების აზრი აღარ გვაინტერესებს?**

იქნებ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ახალი ხელისუფლების დღის წესრიგიდანაც ამოღებულია?

**მეექვსე:**

საყოველთაო ხბოს აღტაცება და რძიანი შოკოლადის ყაბაყების მოლოდინია შექმნილი ბრიტანეთში დაგეგმილი ნატოს მომავალი სამიტისგან; გვარწმუნებთ, რომ იქ მორიგ მაპზე უკეთესსა და პრიალას მოგვცემენ. ვთქვათ, ვირწმუნეთ „ნატოს სახარება“ და მართლაც სადმე წევრ-კორად მიგვიღეს, დამეთანხმებით, რომ **საზოგადოებამ უნდა იცოდეს — ეს მაპზე უკეთესი და პრიალა — აფხაზეთთან ერთად გვეხება, ანუ მთელ საქართველოს ეხება თუ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც შევარდნაძე-სააკაშვილის „ბრძნული პოლიტიკისა“ და ნატო-ევროკავშირის ბღავილის შედეგად შემოგვრჩა?**

**მოკლედ, განმარტეთ, ბატონებო, პრიალას, პარაფირებულსა და მაპზე უკეთესს აფხაზეთთან ერთად ვიღებთ თუ მის გარეშე, და თუ აფხაზეთის გარეშე, მაშინ დაგვისაბუთეთ, რატომ გვიღირს მსხვერპლად ქვეყნის ტერიტორიების თითქმის მესამედის გაღება.**

**მეშვიდე:**

დოკუმენტის პარაფირების შედეგად მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრისას საგარეო საქმეთა მინისტრმა, აგრეთვე, სხვა ოფიციალურმა პირებმა, საზეპიროსავით გაიმეორეს, რომ რუსეთს აღარ აქვს საქართველოზე ზეგავლენის ისეთი ბერკეტები, როგორიც უკრაინასთან დაკავშირებით ჰქონდაო. **განმარტეთ, გეთაყვა — აფხაზეთი, სამაჩაბლო, რომლებიც რუსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აქვს აღიარებული, რუსეთის სამხედრო ბაზები, რომლებიც ამ რეგიონებშია განთავსებული, ასიათასობით დევნილი, მილიონამდე რუსეთში ემიგრირებული ჩვენი თანამოქალაქე, რომლებიც იქიდან გამოგზავნილი ფულით აქ ოჯახებს ინახავენ, მცირეოდენი, მაგრამ მაინც პროგრესი ექსპორტში, რომელიც რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაშვებით მივიღეთ, არ არის საკმარისი ბერკეტი?**

**მერვე:**

ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია ასეთია — ევროპა ჩვენთანაა, პარაფირებაც მოვახდინეთ, რუსეთთან კი დიპლომატიურ ურთიერთობას მხოლოდ დეოკუპაციის, აღიარების გაწვევის შემდეგ აღვადგენთო.

თუ ტყემლის კენწეროდან ახალჩამოვარდნილი არ არის, **ნებისმიერი არაგონებასუსტი პოლიტიკოსისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ამ პირობებით, ჩვენი ამ რიტორიკით რუსეთი არც აღიარებას გაიწვევს, არც ბაზებს გაიყვანს და, ვიდრე კვლავ ნატო-ევროკავშირს გავყვირით, არაერთ სხვა გადაულახავ წინააღმდეგობას შეგვიქმნის.** აქედან გამომდინარე, ხომ არ ნიშნავს ეს პოზიცია (რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას მხოლოდ დეოკუპაციის, აღიარების გაწვევის შემდეგ აღვადგენ) იმას, რომ რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას არასდროს აღვადგენთ?

და, **თუკი რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას არასდროს აღვადგენთ, რა შეუშლის მოსკოვს ხელს, ცალმხრივად, ისე, რომ არც გაგვაფრთხილოს, გავიდეს ყარსის ხელშეკრულებიდან?**

რაც მთავარია, კონკრეტულად ვინ არის პასუხისმგებელი ნატო-ევროკავშირის აქტიურად მობღავილეთაგან, იმაზე, რომ, რუსეთის ყარსის ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიები ან მოსკოვსა და ანკარას შორის კონსენსუსის შედეგად გაიყოფა (უკეთეს შემთხვევაში), ან სულაც თურქეთი „აგვითვისებს“?

**მეცხრე:**

რითაა იმ კავშირთან (ევროკავშირი) ასოცირების შეთანხმების პარაფირება ისტორიული, რომელიც, როგორც ახალი ხელისუფლება ამბობს, გვიკრძალავს სააკაშვილის დაპატიმრებას, ითხოვს მერაბიშვილის გაშვებას, ღიად და კატეგორიულად ითხოვს, რომ თავი დავანებოთ სამართლიანობის აღდგენაზე საუბარს და იმის ნაცვლად, რომ ადამიანების გამაუპატიურებელი და ავაზაკი ჩინოვნიკები გავასამართლოთ, ითხოვს გეიაღლუმის ტაკუცუნა მონაწილეები წავახალისოთ და ქაშვეთში პედერასტებს ჯვარი დავწეროთ?

**განმარტეთ, გეთაყვა: კონკრეტულად ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქართველოში გვექნება იუვენალური სამართალი, ევროპული კანონები, მამათმავლების დაკანონებული ჯვრისწერა და ჩვენი ტრადიციული საზოგადოების, ქრისტიანული მორალისთვის მიუღებელი ყველა ის აღვირახსნილობა, რომელსაც დღემდე ეწინააღმდეგება ეკლესია და მოსახლეობის უმრავლესობა.**

**მეათე:**

ეს პარაფირება ხომ ავტომატურად ნიშნავს რუსეთთან, შესაბამისად, სოხუმთან და ცხინვალთან დიალოგის ისედაც მწირ შესაძლებლობათა ამოწურვას, დაკარგული ტერიტორიების ჩამოწერას და ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხეების მნიშვნელოვან ზრდას?

**იქნებ ამ პარაფირებული, პრიალა და მაპზე უკეთესი ისტერიის რეალური მიზანი არის ბანალური ოინბაზობა, კერძოდ, მომავალ წელს, როდესაც სულთმობრძავ ეკონომიკას კონვულსიები დაეწყება, ბიუჯეტი ისევ რამდენიმე ასეული მილიონით გაირღვევა, მოსახლეობა დაიმშევა — ხელისუფლებამ საპროტესტო მუხტი ძველი, ნაცადი ზღაპრით დააგდოს — აგერ წუთიწუთზე მოვაწერთ ხელს მორიგ ბოდვაზე და ყველანი რძის მდინარეებში ვიბანავებთ, შოკოლადის ყაბაყებით ხელშიო?!**

მომიტევეთ ცინიზმი, ბატონებო, მაგრამ, **თუკი მართლა ამ აფერისთვის არ ამზადებთ ამხელა ფარსს, მაშინ ღვთის გულისთვის ა-გვიხ-სე-ნით: ლევან ბერძენიშვილის ხბოს აღტაცების გარდა, რას მივიღებთ სანაცვლოდ, ამ ყბადაღებული პარაფირებისგან?!**

ვეჭვობ, რომ მარტოდენ ძვირფასი ბატონი ბერძენიშვილის ხბოს აღტაცება ამად გვიღირდეს!

**პატივისცემით,**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**„ბაჩო ახალაიას ამ საქმესთან დაკავშირებით ბრალიც არ აქვს წაყენებული. არადა, ჩემი ძმა ბაჩო ახალაიას ბრძანებით მოკლეს, თუმცა ისიც ცხადია, რომ ახალაია თავად ასეთ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, მიხეილ სააკაშვილთან შეუთანხმებლად, ვერ მიიღებდა. სწორედ სააკაშვილის შეკვეთა იყო ამ ბიჭების დახოცვა, რადგან ყოფილი ხელისუფლების მიზანი იყო, წინასაარჩევნოდ ქვეყანაში როგორმე არეულობა გამოეწვია, რათა ხელისუფლებაში დარჩენილიყო. ჩემი ძმაც იმ ხელისუფლების უკანონო ქმედების მსხვერლი გახდა.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვის კისერზეა ლაფანყურის ცოდვა?

**ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის გამოძიება, უკვე ერთი წელია, უშედეგოდ მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ დაღუპული არჩილ ჩოხელის ოჯახი თავიდანვე პოლიტიკურ ანგარიშსწორებასა და ყოფილი მაღალჩინოსნების დანაშაულზე საუბრობდა, სიმართლე დღემდე არ გარკვეულა. რატომ გაჭიანურდა საქმის გამოძიება და ვინ არის დაინტერესებული ფაქტების დამალვით, „საქართველო და მსოფლიოს“ გარდაცვლილი არჩილ ჩოხელის და — ხათუნა ჩოხელი ესაუბრა.**



ხათუნა ჩოხელი:

## ჩემი ძმა, არჩილ ჩოხელი, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო მოკლეს

**— ქალბატონო ხათუნა, უკვე ერთი წელი გავიდა, რაც პირადად თქვენ პროკურატურაში საჩივარი შეიტანეთ და საქმის ობიექტურად გამოძიება მოითხოვეთ. თუ არის რაიმე სიახლე აღნიშნული საქმის ირგვლივ?**

— გამოძიება ამ ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ ძალიან უკმაყოფილო ვარ, რადგან იგი რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით არ წარიმართა. თუმცა მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველთან არსებული საზოგადოებრივი საბჭო შეიქმნა, რომელიც ლაფანყურის სპეცოპერაციის დეტალებს შეისწავლის, იმედი გაგვიჩნდა, რომ ამჯერად მაინც გამოძიება ობიექტურად წარიმართება. როგორც გვპირდებიან, 6 თვეში მაინც გაირკვევა სიმართლე.

**— რატომ არ ენდობით გამოძიებას?**

— პროკურატურამ აღნიშნული საქმე გადასცა შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტს, მაგრამ ვფიქრობ, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, არ სურდათ საქმის ძირფესვიანი და ობიექტური გამოძიება.

**— ყოფილი შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პირადად გეწვიათ ოჯახში და საქმის ობიექტურად გამოძიებას დაგპირდათ... ამის მიუხედავად, რატომ გაჭიანურდა ერთი წლის განმავლობაში საქმის გამოძიება?**

— ღარიბაშვილი ისეთი სამაგალითო პიროვნებაა, დარწმუნებული ვარ, მართლაც დაინტერესებული იყო საქმის ობიექტურად გამოძიებით, მაგრამ ვფიქრობ, **ამ საქმეში ისეთი პირები არიან გარეულნი, რომლებიც პირადად იყვნენ დაინტერსებულნი იმით, რომ ეს საქმე არ გამოძიებულიყო. ის ადამიანები კი, მოგეხსენებათ, ისევ მუშაობენ თანამდებობებზე. ამის გამოა, რომ საქმის გამოძიება წინ ვერ წავიდა.** გამომძიებელ ლადო დათაშვილს ბოლოს მარტში შევხდი და მაშინაც მისგან არარეალური ფაქტები მოვისმინე. ის ხალხიც არ დაუკითხავთ, რომელიც სპეცოპერაციაში უშუალოდ მონაწილეობდა. მას შემდეგ საერთოდ არც შეგვხმიანებია, რომ თუნდაც გამოძიების თაობაზე რაიმე ახლადაღმოჩენილი ფაქტების შესახებ ეცნობებინა.

**— თქვენ თავიდანვე პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბრობდით და პირადად სდებდით ბრალს მიხეილ სააკაშვილს, ბაჩო ახალაიას, გიორგი ლორთქიფანიძეს, სანდრო ამირიძეს, მამუკა აბაშიძეს... რომელიმე მათგანი თუ დაიკითხა?**

— მიხეილ სააკაშვილი და ბაჩო ახალაია რომ არ დაუკითხავთ ლაფანყურის საქმესთან დაკავშირებით, ეს დანამდვილებით ვიცი. **ბაჩო ახალაიას ამ საქმესთან დაკავშირებით ბრალიც არ აქვს წაყენებული. არადა, ჩემი ძმა ბაჩო ახალაიას ბრძანებით მოკლეს, თუმცა ისიც ცხადია, რომ ახალაია თავად ასეთ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, მიხეილ სააკაშვილთან შეუთანხმებლად, ვერ მიიღებდა.** სწორედ სააკაშვილის შეკვეთა იყო ამ ბიჭების დახოცვა, რადგან ყოფილი ხელისუფლების მიზანი იყო, წინასაარჩევნოდ ქვეყანაში როგორმე არეულობა გამოეწვია, რათა ხელისუფლებაში დარჩენილიყო. ჩემი ძმაც იმ ხელისუფლების უკანონო ქმედების მსხვერლი გახდა.

**სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ, სანამ ეს სპეცოპერაცია ჩატარდებოდა, ცოტა ხნით ადრე, ბაჩო ახალაიას ხელმძღვანელობით, შავნაბადას სპეცრაზმის დარბევა და იქ გადატრიალების ინსცენირება იგეგმებოდა. და რადგან ეს არ გამოუვიდათ, შემდეგ სიტუაციის არევა ლაფანყურში სცადეს.**

ვსვამ კითხვას: ვინ უნდა აგოს პასუხი ჩემი უდანაშაულო ძმის სიკვდილის გამო? იქნებ აგვიხსნან ბოლოსდაბოლოს, ვის კისერზეა ლაფანყურის ცოდვა? დღემდე რატომ არ აქვს ბრალი წაყენებული არავის, თუნდაც ბაჩო ახალაიას? ნუთუ ერთი ნაძირალას ახირების გამო მოხდა ეს ყველაფერი? რომ არა ბაჩო ახალაიას მიერ გაცემული ბრძანება მათი ჩახოცვის შესახებ, დღეს ჩემი ძმა ცოცხალი იქნებოდა. ამიტომ მეც და ჩემს ოჯახსაც პროტესტის გრძნობა უფრო და უფრო გვიმძაფრდება. თუმცა ბაჩო ახალაის ან ყოფილ პრეზიდენტს, რომელმაც თავის სიგიჟეს გადააყოლა საქართველო, ვინ მისცა იმის ვაჟკაცობა, სიმართლე აღიარონ.

**მინდა, ბაჩო ახალაიას მეუღლეს, ანი ნადარეიშვილს, გამოვეხმაურო, რომელმაც „ფეისბუქში“ დაწერა, ეს ყველაფერი ზღაპარიაო. ღმერთს ვთხოვ, ასეთი ზღაპრები მის ოჯახს შეემთხვეს და მერე მიხვდებიან, როგორია, როდესაც ამხელა ტკივილს ატარებ... ასეთი ჯალათი და სისხლისმსმელი ქმარი რომ მყოლოდა, ხმას არ ამოვიღებდი.** იქნებ ჩემ ოჯახსაც შემოიხედონ, ნახონ, როგორ დაგვინგრიეს ცხოვრება, გამოუზიდურეს მშობლები, არჩილის გარეშე ცხოვრება ჩვენთვის წარმოუდგენელია, ძალიან გვიჭირს. დიახაც, უნდა აგონ პასუხი, მკვლელებმაც, შემკვეთებმაც და შემსრულებლებმაც. აბა, თავადაც გამწარდნენ, დაუხოცოთ შვილები, დედმამიშვილები, ახლობლები და ყველაფერს მერე მიხვდებიან.

მოვითხოვთ, პირველ რიგში, პასუხი აგოს ბაჩო ახალაიამ, ვინაიდან მაშინ სწორედ ის იყო შს მინისტრი და სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, დღეს მის უდანაშაულობაზე საუბარი, თითქოს ახალაია „მამა აბრამის ბატკანია“, როცა მის გაუგონარ ჯალათობასა და სისასტიკეზე მთელი საქართველო ლაპარაკობს. მას იმდენი უდანაშაულო ადამიანი ჰყავს გამწარებული, ურჩევნია, ციხეში იყოს, ვიდრე გარეთ. ეს თავადაც კარგად იცის და იმიტომაც მივიდა თავისი ფეხით დაკითხვაზე პროკურატურაში.

**— ქალბატონო ხათუნა, პირდაპირ გასცა ბრძანება ბაჩო ახალაიამ, მათი დახოცვის შესახებ? რამ შეგიქმნათ ასეთი ეჭვის საფუძველი?**

— ჩემი ძმა, არჩილ ჩოხელი, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო მოკლეს. სამსახურში ყოველთვის აგრძნობინებდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნულ ხელფასს იღებდა და მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა გამოსცა გაზეთი, რომელშიც ჩამოთვლილი იყვნენ ისინი, ვინც იღებდნენ მის მიერ დანიშნულ ხელფასს, ძალიან ხშირად ამ გაზეთს სამსახურში, მაგიდაზე უტოვებდნენ მას. **სამსახურში ყველა გააფრთხილეს, თუ წინასაარჩევნოდ ივანიშვილი რომელიმე მათგანს ფულს შესთავაზებდა, ხელმძღვანელობისთვის უნდა ეთქვათ. ერთ-ერთი მორიგი შეკრების დროს, როცა არჩილს დააგვიანდა, მას გააგონეს სიტყვები: „თუმცა, ამას რაო... ეს მაინც იღებს ივანიშვილის დანიშნულ ხელფასს და მაინც არაფერს გვეტყვისო“. ეს ჩემს ძმას თავად აქვს ნათქვამი. მას ივანიშვილის მომხრედ მოიაზრებდნენ და ეს ძალიან არ მოსწონდათ.**



ეჭვის საფუძველს ქმნის ისიც, რომ გარდაცვალების შესახებ ოჯახს არავინ შეატყობინა. დღემდე ექსპერტიზის დასკვნაც არ გვაქვს. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სადაც გარდაცვლილი შეიყვანეს, გვეუბნებიან, რომ ასეთი არავინ მოუყვანიათო, როცა ამ ფაქტის მოწმე არსებობს.

**თავიდანვე გასაქანი არ მოგვცეს. მიცვალებული ნორმალურად ვერ ვიტირეთ. მთელი სოდი და კუდი ჩვენს სახლში იყო. გადაცმული, სამოქალაქოფორმიანი თანამშრომლებით იყო სახლი სავსე. საკუთარ სახლში გვაკონტროლებდნენ და არაფრის უფლებას არ გვაძლევდნენ. საგურამოს ერთ-ერთი პოლიციელი — პაატა ბერიძე, რომელიც, სხვათა შორის, დღეს ისევ მუშაობს, პირდაპირ სახლში გვივარდებოდა. გამუდმებით ტელეფონზე საუბრობდა და ვიღაცებისგან დირექტივებს იღებდა, თუ როგორ ემოქმედა. ახლა მაინც დაკითხონ და ათქმევინონ, ვისგან იღებდა დავალებებს?! მამაჩემს საწოლში დაადგებოდა ხოლმე თავზე, გასაქანს არ გვაძლევდა და ჭირისუფალი როგორ ტიროდა და ვინ რას ამბობდა, თითოეულ სიტყვას ხელისუფლებას გადასცემდა.**

საქმეში უამრავი საეჭვო ფაქტი გამოიკვეთა, რომელიც ადასტურებს, რომ არჩილ ჩოხელი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. სპეცოპერაციის დროს ადგილზე დაახლოებით 15 კაცი მაინც იმყოფებოდა, ყველა მათგანი აცხადებს, რომ არც ერთმა არ იცის, სად გაქრა უცებ ჩემი ძმა და რა ვითარებაში დაიღუპა. რანაირად არ იციან, რა ვითარებაში გარდაიცვალა, როცა ერთად იყვნენ? დარწმუნებული ვარ, რაც იქ მოხდა, სულ მცირე, ორმა კაცმა მაინც იცის. დეტალურად უნდა დაიკითხოს ყველა მისი თანამშრომელი, რომელიც სპეცოპერაციის დროს არჩილთან ერთად იყო...

**— ფიქრობთ, რომ ისინი რაღაცას მალავენ?**

— დიახ, მალავენ. შესაძლოა, ყველა მათგანმა არ იცოდეს, რა დაემართა ჩემს ძმას, მაგრამ მინიმუმ ორმა კაცმა მაინც იცის, რა ვითარებაში გარდაიცვალა არჩილი. გამომძიებელი ამბობს, ცამეტივემ ერთი და იგივე ჩვენება მომცაო, მასთან საუბარს არანაირი აზრი არ აქვს.

სხვათა შორის, ამ საქმეში დიდ როლს თამაშობდა მამუკა აბაშიძე, რომელიც იქ იმყოფებოდა. ამას წინათ თქვეს, რომ ბაჩო ახალაიას საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ ბრალი მოუხსნა. რატომ მოუხსნეს ბრალი არ ვიცი. ისიც თანამონაწილე იყო ამ ყველაფრის. რატომ? **რატომ მალავენ და ასაიდუმლოებენ, რა ვითარებაში გარდაიცვალა, ხომ შეიძლებოდა სამედიცინო დახმარება დროულად აღმოეჩინათ? რატომ მიატოვეს ორი დღის განმავლობაში მარტო? უამრავი რამაა ბურუსით მოცული.**

მინდა, ასევე აღვნიშნო, რომ კახეთის სამხარეო სამმართველოს კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა, როგორც უბრძანეს, „პირნათლად“ შეასრულეს დავალება.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლებამ, ავღანეთის, ერაყის, ლაფანყურისა და 2008 წლის ომის დროს დაღუპული და დაინვალიდებული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებს ბინები გადასცა. თქვენ თუ გადმოგცეს ბინა?**

— სხვათა შორის, ბევრმა დაგვირეკა. ტელესიუჟეტიც ვნახე, რომ თქვეს, ლაფანყურში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებს გადასცეს ბინებიო. არადა, სპეცოპერაციის დროს მხოლოდ ერთი სამხედრო მოსამსახურე — ვლადიმერ ხვედელიძე გარდაიცვალა, რომლის ოჯახსაც, როგორც ვიცი, ერთ თვეში გადასცეს ბინა. ამჯერად, არ ვიცი, ვის რა გადასცეს. ჩვენ არავინ დაგვკავშირებია.

სხვათა შორის, როდესაც არჩილი გარდაიცვალა, იმ პერიოდში, ოღონდ გავჩუმებულიყავით, ხმა არ ამოგვეღო და ყოფილი ხელისუფლება ათას რაღაცას გვპირდებოდა — ბინასაც გვჩუქნიდა და ყველანაირი ხარჯის ანაზღაურებასაც დაგვპირდა, მაგრამ დღემდე არავის არაფერი გაუკეთებია.

ესაუბრა **შორენა ცივქარაშვილი**

**«მინდა, ბაჩო ახალაიას მეუღლეს, ანი ნადარეიშვილს, გამოვეხმაურო, რომელმაც „ფეისბუქში“ დაწერა, ეს ყველაფერი ზღაპარიაო. ღმერთს ვთხოვ, ასეთი ზღაპრები მის ოჯახს შეემთხვეს და მერე მიხვდებიან, როგორია, როდესაც ამხელა ტკივილს ატარებ... ასეთი ჯალათი და სისხლისმსმელი ქმარი რომ მყოლოდა, ხმას არ ამოვიღებდი»**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველო ვერ ასცდება კრიზისს, თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნა. ღარიბაშვილი დადგება ამ აუცილებლობის წინაშე, ვინაიდან პარლამენტში არსებული ძალები გადაჯგუფდებიან. ვიმეორებ: ღარიბაშვილი იძულებული გახდება, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს.“**

# შეთქმულება ღარიბაშვილის წინააღმდეგ!

## სოსო მანჯავიძე: «ნაცმოძრაობა», რესპუბლიკელები, ალასანიას ჯგუფი და კიდევ რამდენიმე დეპუტატი გაერთიანდება, პარლამენტში ახალი უმრავლესობა შეიქმნება



**რა დინებებია მმართველ კოალიციაში, რესპუბლიკელებსა და „ნაცებს“ ფლირტი აქვთ და „ნაცმოძრაობის“ ახალი ჯგუფი „ოცნებაში“ გადადის? რეალურად რატომ წავიდა საგანელიძე პოლიტიკიდან, რატომ ჩააჩოჩეს ქუცნაშვილი და ვინ იქნება შემდეგი? ვის გაწირავენ? „საქართველო და მსოფლიოს“ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი სოსო მანჯავიძე ესაუბრა.**

— დავიწყოთ იმით, რომ ბევრს არ სჯეროდა, როდესაც ვამბობდით, ხელისუფლებაში წამყვან პოლიტიკურ ძალას რესპუბლიკური პარტია რომ წარმოადგენს, თუმცა ახლა ეს ყველასთვის ცხადია. **რესპუბლიკელები იზოლირებულად არ შეიძლება განვიხილოთ. ამ პოლიტიკური ძალის იდეოლოგიას იზიარებენ და ატარებენ დასავლეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები** (ესენი ერთად მოქმედებენ), კერძოდ, „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველო“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და ა. შ. ესენი ილებენ გარკვეულ თანხებსა და სპეციალურ იდეოლოგიურ გაიდლაინებს დასავლეთისგან ქვეყანაში მათი პოლიტიკის გასატარებლად. მოგეხსენებათ, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. უფასო ყველი არ არსებობს, უფასო ყველი ყოველთვის არის სათაგურში... ვიმეორებ, ამათ მათი იდეოლოგიის გატარებაში ეძლევათ ფული, გრანტები — აი, ეს არის ე. წ. ნეოლიბერალური მართვის სქემა მესამე ქვეყნებისთვის, რომელიც ჩვენთან დაუბრკოლებრივ ხორციელდება.

ერთი სიტყვით, **რესპუბლიკური პარტია არის ძალიან ძლიერი ჯგუფი იდეოლოგიურად, ფინანსურად აღჭურვილი, პოლიტიკური გამოცდილებით გამობრძმედილი, თავისი მომხრეებითა და, ასე ვთქვათ, სოციალური ქსელით, რომელსაც ისინი აქტიურად იყენებენ, ასევე საინფორმაციო ქსელით. „რუსთავი 2“, „იმედი“ და „მაესტრო“ რესპუბლიკელებისა და „ნაციონალების“ ხელშია.** ეს ორი ძალა რეალურად ერთი და იგივეა და ამასაც ძალიან მალე დაინახავს საზოგადოება. ესენი მუდმივად პოლიტიკურ პინგ-პონგს თამაშობდნენ, ვითომ ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, სინამდვილეში კი ერთნი იყვნენ და მოსახლეობის გამოთაყვანებისკენ იყო ეს ყველაფერი მიმართული. ასევე არის ალასანიას გუნდი. არავის ეგონოს, რომ ესენი და ალასანია დაპირისპირებულნი არიან. **ალასანიას გუნდიც ზუსტად იმავე გავლენების მატარებელია, უბრალოდ, რესპუბლიკელები გაცილებით უფრო კომპეტენტურები, მონოლითურები და ძლიერები არიან. დაიმახსოვრეთ, ალასანიას ჯგუფი მათ პრინციპულ საკითხებზე არასდროს დაუპირისპირდება, მხოლოდ პიროვნულ დონეზე, ანუ ხელისუფლებისთვის ბრძოლისთვის თუ დაუპირისპირდება.**

ხელისუფლებისთვის ბრძოლა ის კი არ არის, რომ რაიმე ტიპის პრინციპულ საკითხებზე ედავოს, არა, თანამდებობების დაკავებასა და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებაზეა საუბარი, ქვეყნისთვის კი ეს არაფერს შეცვლის. სხვათა შორის, ალასანია საკუთარმა თავმა და დაუფიქრებელმა გამონათქვამებმა დაასუსტა. ვიმეორებ, ალასანია და რესპუბლიკელები მუდმივად იქნებიან დაპირისპირებულნი მხოლოდ იმის გამო, რომ დაიკავონ ამ სისტემაში უფრო მაღალი ადგილი. რაც შეეხება იმას, კიდევ ვინ დატოვებს ან ვის გააძევებენ „ქართული ოცნებიდან“, „ჩორნაია მეტკა“ ვისაც დაედო, ის.

**— დააკონკრეტეთ...**

— მასალა „კუდის აგენტები ქართულ ოცნებაში“ როცა დაიბეჭდა, გამოვედი და დავსვი კითხვა, — თუ ავთენტურია ეს, რატომ დუმს „ქართული ოცნება“ და, თუ არ არის ავთენთტური, მაშინ რატომ არ არის სასამართლოში გადაცემული საქმე-მეთქი, და რა მივიღეთ ამის მაგივრად? დუმილი და გათავისუფლება დაკავებული თანამდებობებიდან. გამოდის, დუმილი თანხმობის ნიშანია... და შემდეგი ქმედებაც ამას ადასტურებს. სხვათა შორის, ისედაც დღესავით ნათელი იყო, როგორ კომპლექტდებოდა „ქართული ოცნება“. **„ოცნება“ ისევე, როგორც მთელი პოლიტიკური სპექტრი, კომპლექტდებოდა კომპრომატების არსებობის მიხედვით – იყო კომპრომატი, იყო დეპუტატი, არ იყო კომპრომატი, არ იყო დეპუტატი. პარადოქსია, არა? თუმცა ეს პარადოქსი მხოლოდ ქართული პოლიტიკის უნიკალურობა არ არის, ასეთი ტიპის პრაქტიკა, დიდი ხანია, დამკვიდრებულია დასავლეთში, კერძოდ, ამერიკაში, სადაც არსებობენ ე. წ. ინკუბატორები, რომლებსაც გამოჰყავთ ასეთი ტიპის პოლიტიკოსები.** და ასეთი პოლიტიკოსები არამარტო აშშ-ის პოლიტიკური ელიტის დასაკომპლექტებლად გამოჰყავთ (პოლიტიკოსმა იქ კარგა ხანია დაკარგა პროცესებზე ისეთი ტიპის გავლენის მოხდენის საშუალება, როგორიც ჰქონდა ძველად, ახლა ისინი მარიონეტები არიან), არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც. აი, ეს ინკუბატორები ზრდიან მსგავსი ტიპის პოლიტიკოსებს ჩვენთან, რომელთაც არ აქვთ არანაირი მხარდაჭერა ხალხში, იმართებიან მათ მიერ, ვისზეც არსებობს კომპრომატები.

**ხედავთ, თითქმის ყველა ადამიანი, რომლებიც იმ პუბლიკაციაში იყო ნახსენები, თანამდებობიდან გაუშვეს. ეს ხალხი შავ სიაში იყო, ბიძინამ, რა თქმა უნდა, იცოდა მათი საქმენი საგმირონი, მაგრამ მხოლოდ მაშინ მოიცილა, როცა ეს ინფორმაცია გასაჯაროვდა. რატომ? ის, რომ გაჟღერებულიყო სასამართლოში და დადასტურებულიყო, რომ სიმართლეა, სად მიდიოდა? აი, ეს არის.**

რაც შეეხება ირინა იმერლიშვილის დაწინაურებას (მას არ შეეხნენ), აი, ეს ნამდვილად სავალალო ფაქტია. ვინც აცნობიერებს უშიშროების საბჭოს მდივნობა რა კომპეტენციასა და ანთებულ გულს მოითხოვს, ხვდება, რომ ქალბატონი ირინა მას ვერასდროს უხელმძღვანელებს; მეტიც, რას გააფუჭებს, კაცმა არ იცის. არავინ ფიქრობს, რომ უშიშროების საბჭომ რაღაც უნდა გააკეთოს, ისევე, როგორც საპრეზიდენტო ინსტიტუტმა. ვინმემ გაიგო, რას აკეთებს ბატონი გიორგი მარგველაშვილი? დარწმუნებული ვარ, ბატონი გიორგიც გაოცებულია. მოკლედ, შემდეგი იქნება ის, ვინც იმ სიაშია, მაგრამ არ გამოქვეყნდა გაურკვეველი მიზეზების გამო, თუმცა დღეს უფრო საინტერესო ის არის, თუ რა კონფიგურაცია დალაგდება ძალიან მალე.

**— თქვენი აზრით, რა კონფიგურაცია დალაგდება?** ▶

## სოსო ჯაჭვლიანი:

# პატრიარქს ნებისმიერ უმრავლესობაზე და უმრავლესობის წარმომადგენელზე მეტი უფლება აქვს, საქვეყნო საქმეებში ჩაერიოს!



**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რეჟისორი და მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი.**

**— ბატონო სოსო, წინასაარჩევნო პერიოდში გიორგი მარგველაშვილი ხაზგასმით აცხადებდა, რომ 27 ოქტომბერს კოაბიტაცია დასრულდებოდა. მას შემდეგ თითქმის ორი თვე გავიდა, როგორ ფიქრობთ, დასრულდა თუ არა კოაბიტაცია?**

— თავის დროზე გიორგი მარგველაშვილის განცხადებამ, ამ კოაბიტაციის დასრულებასთან დაკავშირებით, ხალხში ამის იმედი გააჩინა და ეს სავსებით ბუნებრივია; თუმცა ადამიანებს ისიც კარგად ესმით, რომ თვე-ნახევარი არ არის საკმარისი მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის. ვფიქრობ, საზოგადოება ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმშია და ამით ერთგვარ შანსს აძლევს ხელისუფლებას. ამ შანსის გამოუყენებლობა კი დიდი იმედგაცრუება იქნება, რასაც ამომრჩეველი უბრალოდ არ გვაპატიებს. ჩვენ ეს კარგად უნდა გვესმოდეს.

**— თქვენი აზრით, არის თუ არა სამართლიანობის აღდგენის პროცესში ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი დასავლეთის ზეწოლა? ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვესმის განცხადებები პოლიტიკურ დევნაზე, შერჩევით სამართალზე და ა. შ.**

— არა თუ განცხადებები გვესმის, ზოგჯერ ქმედებებსაც ვხედავთ, მაგალითად, შარშან ბიბლიოთეკის შენობასთან რომ ინციდენტი მოხდა, ჩამოვიდნენ ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები და გახსოვთ, ვითომ ნაცემი „ნაციონალები“ მოინახულეს. მერე აჩვენეს ამათი შეწუხებული სიფათები და ტრაგიკული სახით აუწყეს მთელ მსოფლიოს, რომ თურმე რა ველური ხალხია ეს ქართველები. ახლა ამ ყველაფერს რატომ ვიხსენებ, **რა თქმა უნდა, სააკაშვილს ჰყავს საკუთარი ლობისტები და მხარდამჭერები ევროპაშიც, ამერიკაშიც, რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ ესენი მკვდრეთით აღადგინონ, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა, უბრალოდ, შეუძლებელია. ეს იქნება სრული ამოვარდნა ბუნების კანონიდან, იმიტომ, რომ მათ თვითონვე გამოუტანეს თავიანთ თავს სასიკვდილო განაჩენი.** პროკურატურაზე ზემოქმედებას რაც შეეხება, თუკი თვითონ გამოძიება იქნება პრინციპული და ობიექტური, დარწმუნებული ვარ, ვერც ამერიკის, ვერც ევროპის ან სხვა რომელიმე გარე ძალის ჩარევა ამ პროცესს ვერ შეაფერხებს.

**— სააკაშვილი თითქმის თვე-ნახევარია, ამერიკაშია და, როგორც ამბობენ, შეხვედრებს მართავს. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ეს საფრთხის შემცველი ხელისუფლებისთვის?**

— სააკაშვილს ქვეყანა რომ ებარა, მაშინაც ასე დახტოდა. ახლა, როცა საბოლოოდ აწყვეტილი აქვს, რა გასაკვირია, რომ ვერ ისვენებს?! რამდენიმე დღის წინ უკრაინაშიც ჩასულა და თურმე იქ ხალხისთვის მიუმართავს, ესაა მისი ხასიათი და მოქმედების სტილი. რას იზამ, ნათქვამია: „გიჟი მიუშვი ნებასაო...“.

**— გასაგებია, მაგრამ ამ გიჟმა 2003 წელს შევარდნაძეს ხელისუფლება დაამხო თავზე. ისე, 2009 წელს, ოპოზიცია რომ ოთხი თვე ქუჩაში იდგა უშედეგოდ, მას უთქვამს, მათ ადგილას 24 საათში რევოლუციას მოვაწყობდიო...**

— ჰოდა, მოაწყოს ახლა, თუ ეგეთი მაგარია... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ისე კი, ერთ რამეში გეთანხმებით, სააკაშვილი მართლა არის გარკვეული საფრთხე იმ თვალსაზრისით, რომ მას აქვს პროვოკაციის დიდი უნარი.

**— გინდათ, თქვათ, რომ დღესაც შეიძლება მისგან რაიმე პროვოკაციას ველოდოთ?**

— პროვოკაცია არაა უკრაინაში ჩასვლა და ოპოზიციის გვერდით დადგომა, აბა, რა არის? კი, ბატონო, შენ გაქვს შენი მოქალაქეობრივი პოზიცია, მაგრამ ასე ცალსახად შეიძლება ერთ მხარეს დადგე და ხალხს აჯანყებისკენ, დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდო?

**— დავაკონკრეტოთ: ამან შეიძლება ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებზე უარყოფითად იმოქმედოს?**

— არამარტო ქართულ-უკრაინულზე, რუსულზეც. რაც უნდა იყოს, ის მაინც ქვეყნის სახეა, ყოფილი პრეზიდენტია და მისი ქმედება ყოველთვის გაიგივებულია სახელმწიფოსთან. ამას რომ ვერ აცნობიერებდა ეს გიჟი, იმიტომ მივიღეთ 2008 წელს ტრაგედია, თუმცა იმედი მაქვს, უკრაინის ხელისუფლებას კარგად ესმის, ვინც არის სააკაშვილი.

**— რაკი სააკაშვილზე ვსაუბრობთ, ბარემ გკითხავთ: ამას წინათ სანდრა რულოვსმა განაცხადა, მიშა სავსეა ენერგიით და ის პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებსო. როგორ აფასებთ** ▶

**„ადამიანი შეიძლება იყოს უჩინო, ეროვნული სულისკვეთების, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, არ ჰქონდეს ბევრი ფული, მაგრამ იყოს ღირსეული! ხალხმა სწორედ ასეთი პიროვნებები უნდა აირჩიოს. პარლამენტში და მთლიანად ხელისუფლებაში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ ეროვნული ძალები. დღევანდელი პარლამენტი ქართული საზოგადოების განწყობას არ გამოხატავს.“**

შემოსაღებულნი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— „ნაცმოძრაობა“, რესპუბლიკელები, ალასანიას ჯგუფი და კიდევ რამდენიმე დეპუტატი გაერთიანდება, პარლამენტში ახალი უმრავლესობა შეიქმნება.

**— და ღარიბაშვილის „ქართული ოცნება“?**

— ღარიბაშვილი თავისი პარტიის, სახელმწიფო აპარატისა და მის მიერ დაკომპლექტებული ძალოვანი ბლოკის ამარაა და გარშემორტყმულია იმ პოლიტიკური ძალებით, რომლებსაც საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება და კავშირები აქვთ და რომლებიც ცდილობენ, აღადგინონ სრული კონტროლი სახელმწიფო აპარატზე. აი, ეს არის ბრძოლის არსი. აი, ვინ ვის და რატომ ებრძვის. ეს ჯგუფი საკადრო გადაწყვეტილებებით, იმ საშუალებებით, რომლებიც აქვთ საინფორმაციო სივრცეში, ფინანსური ნაკადებით, საბოტაჟის გამოწვევითა და სხვა მეთოდებით შეეცდება, ძალოვანი ბლოკისა და ღარიბაშვილის აღმასრულებელი ხელისუფლების სრული დისკრედიტაცია მოახდინოს. მინდა გითხრათ, პასუხისმგებლობა ყოველთვის აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკისრება. და ამ დროს ღარიბაშვილის გუნდი არ ფლობს არც სათანადო უნარ-ჩვევებს და, რაც მთავარია, „ოცნების“ პოლიტიკური შემადგენელი ბუნებაში, ფაქტობრივად, არ არსებობს. ვერ დამისახელებთ ავტორიტეტულ პოლიტიკურ ლიდერებს „ოცნებაში“, რომლებსაც ექნებათ იმის მორალური რესურსი, რომ კრიზისის შემთხვევაში დახმარება გაუწიონ ახალ მთავრობას. **საქართველო ვერ ასცდება კრიზისს, თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნა. ღარიბაშვილი დადგება ამ აუცილებლობის წინაშე, ვინაიდან პარლამენტში არსებული ძალები გადაჯგუფდებიან. ვიმეორებ: ღარიბაშვილი იძულებული გახდება, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს.**

**— დაბოლოს, თქვენს ამ განცხადებაზეც მინდა გკითხოთ: „პრემიერის მრჩეველი რეგიონულ საკითხებში ირაკლი მელაშვილი და იმერეთის რეგიონის უშიშროების სამსახურის უფროსი ზაზა მეფარიშვილი ქუთაისის საკრებულოში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ უმრავლესობის არსებობის ფაქტს ვერ ეგუებიან და მუდმივად ფრაქციის დაშლას ცდილობენო“. რა ხდება?**

— მეტი რაღა უნდა მოხდეს, იმერეთის უშიშროების სამსახური ჩვენი ფრაქციის წევრებს უშიშროების შენობაში იბარებდა და ფრაქციის დატოვებას სთხოვდა. ისინი ცდილობენ, ქუთაისის საკრებულოში „ქართული ოცნების“ მიერ კონტროლირებადი უმრავლესობა შეიქმნას. დაშინებისა და შანტაჟის შედეგად 2 დეკემბერს 4 წევრს ფრაქციის დატოვების შესახებ განცხადება იძულებით დააწერინეს. ჩემი ინფორმაციით, **ღარიბაშვილს ამ ფაქტებთან კავშირი არ აქვს, ჩვენ მელაშვილისა და მეფარიშვილის თანამდებობებიდან დაუყოვნებლივ გადაყენებას ვითხოვთ. მელაშვილი აკონტროლებს რეგიონებს, რესპუბლიკელების მითითებით მოქმედებს და გვებრძვის, მათ არ უნდათ, სხვა პოლიტიკური ძალა იყოს წარმოდგენილი საკრებულოში. რესპუბლიკელები ზოგადად ვთქვი, თორემ მათი სახელი ლეგიონია.**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**მის შანსს გრძელვადიან პერსპექტივაში?**

— სააკაშვილი რომ ენერგიით იქნება სავსე, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ენერგიას გააჩნია. მას არ აქვს მთავარი, რაც ჩემი აზრით, გადამწყვეტია პოლიტიკაში, — რაციონალიზმი, აქედან გამომდინარე, მოზღვავებული ენერგია მისთვის წარმატების საწინდარი კი არ არის, არამედ დამღუპველია. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანს რაღაც შიგნიდან არ ასვენებს, ღრღნის. ჩვენ ამას წერას ვეძახით. აი, ამ წერას ჰყავს მიშა ატანილი და ვერ აცნობიერებს. შანსზე კი რა გითხრათ... 9 წლის მანძილზე მას რამდენიმე შანსი ჰქონდა, რომ პოლიტიკური ღირსება შეენარჩუნებინა და ვერ გამოიყენა; ახლა ის, უბრალოდ, აჩრდილია, ლანდი, რომელიც ვერასოდეს მობრუნდება პოლიტიკურ სააქაოში.

**— თვითმმართველობის ახალი კოდექსის თაობაზე არაერთი მოსაზრება გამოითქვა, ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებით მძაფრი რეაქცია მოჰყვა პატრიარქის განცხადებას სეპარატიზმის საფრთხეებთან დაკავშირებით. მხედველობაში მაქვს თამარ კორძაიას განცხადება. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— ეს არის იმდენად საფრთხილო საკითხი, რომ არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო. უბრალოდ, აქ ერთი რამეა, **პატრიარქმა რადგან საფრთხეზე ისაუბრა, ესე იგი მან რაღაც დაინახა და, თუ კი ჩვენ ახლა გვინდა, რომ ეს კითხვის ნიშნები მოიხსნას, მაშინ კანონპროექტი მაქსიმალურად უნდა გასაჯაროვდეს.** სხვა დანარჩენზე რა გითხრათ, **ის ირონიული განცხადებები, რომლებიც შემდეგ პატრიარქის შეფასებას მოჰყვა, ჩემთვის შეურაცხმყოფელია და მიუღებელი...**

**— საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა, მათ შორის ქალბატონმა თამარ კორძაიამაც, განაცხადა, რომ საპატრიარქო ზედმეტად ერევა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

— მე ვფიქრობ, რომ პატრიარქს, როგორც ერის სულიერ მამას და საჭეთმპყრობელს, ნებისმიერ უმრავლესობაზე თუ უმრავლესობის წარმომადგენელზე მეტად აქვს უფლება, საქვეყნო საქმეში ჩაერიოს. ის ერთადერთია, რომლის მიმართაც ხალხს სრული ნდობა გააჩნია, ამიტომ ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ წინა ხელისუფლებას და არ უნდა დავიწყოთ მისი უწმინდესობის ლანძღვა. ამას აკეთებდა სააკაშვილის რეჟიმი 9 წლის მანძილზე მიზანმიმართულად.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

# ვისი დანახვა არ უნდა და ვის ნახვას ისურვებდა პარლამენტში ლეიბორისტი გიორგი გუგავა



**პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ უფრო და უფრო ხშირად დგება ეჭვქვეშ მოქმედი პარლამენტის ლეგიტიმურობის საკითხი, რადგანაც ამომრჩევლები „ოცნების“ სახელით პარლამენტში შესულ პოლიტიკურ პარტიებსა თუ სუბიექტებს, რომ არა ივანიშვილის ფაქტორი, არათუ ხმას, წამლად ერთ ჭიქა წყალს არ მისცემდნენ და იმავე რესპუბლიკელების საარჩევნო შედეგებს თუ დავაკვირდებით, ნათელია, რომ არა ლოკომოტივი, სახელად ბიძინა ივანიშვილი, ეს პარტია საარჩევნო ბარიერსაც ვერ გადალახავდა.
„საქართველო და მსოფლიომ“ გადაწყვიტა, შეემოწმებინა ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის ლეგიტიმურობის ხარისხი და მკითხველისთვის შეეთავაზებინა რუბრიკა „შემოსაღებულნი“, რომლის რესპონდენტიც ერთადერთ შეკითხვას — ვისი დანახვა არ გინდათ და ვის ნახვას ისურვებდით პარლამენტში? — უპასუხებენ. რუბრიკის პირველი სტუმარი ლეიბორისტი გიორგი გუგავა გახლავთ:**









— პარლამენტში ერთმნიშვნელოვნად **არ უნდა იყვნენ ე.წ. თეატრალები და რესპუბლიკური პარტიის აბსოლუტურად ყველა წარმომადგენელი. სათითაოდ მათ ჩამოთვლას აზრი არ აქვს, რადგან ვგულისხმობ უკლებლივ ყველა რესპუბლიკელს, რომლებიც ივანიშვილმა შემოგვასაღა.** პარლამენტიდან ასევე გასაძევებელია „ნაციონალური მოძრაობის“ უკლებლივ ყველა წარმომადგენელი. ეს არის დამნაშავე ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ-პოლიციური ძალადობრივი რეჟიმის ჩამოყალიბებასთან საქართველოში. **„ნაციონალური მოძრაობის“ აბსოლუტურად ყველა წარმომადგენელი გაძევებული უნდა იქნას არამხოლოდ პარლამენტიდან, არამედ მთლიანად ქართული პოლიტიკური სივრციდან.**

ალტერნატიული, განსხვავებული ეროვნული ხელისუფლების ნაცვლად, რომელსაც საზოგადოება ივანიშვილისგან ელოდა, **კოაბიტაციის შედეგად მივიღეთ ერთმანეთზე დაქორწინებული „ნაცმოძრაობა“ და „ოცნება“, ანუ ერთიანი იდეოლოგიის, ერთიანი ცნობიერების, ერთიანი შეხედულებების ორგანიზმი — ფაქტობრივად, ერთი გამსხვილებული „ნაცმოძრაობა“.** მათ ხალხის დასანახად მოედანი აქვთ გაყოფილი და მხოლოდ ამის გამო შეიძლება წაიკამათონ ერთმანეთთან. მათი პოლიტიკა, მიზანი და იდეოლოგია ერთნაირია. **საპარლამენტო ხელისუფლება, ფაქტობრივად, მათ ხელშია, დაწყებული პარლამენტით და დამთავრებული კომიტეტის თავმჯდომარეებით. დღეს პრაქტიკულად სახელისუფლო იდეოლოგიას ისინი წარმართავენ და წარმოადგენენ.** მათი იდეოლოგია კი სრულიად ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლურია. ალბათ, გახსოვთ, მათი წარმომადგენლების ზერელე და ყოველგვარ ინტერესსმოკლებული დამოკიდებულება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის მიმართ. მათი ამგვარი საქმიანობით თუ გაგრძელდა ქვეყნის განვითარება, მაშინ შეგიძლიათ აბსოლუტურად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს ჩვენს ქვეყანას უბედურებისა და მარცხის მეტს არაფერს მოუტანს.

**პარლამენტში არ უნდა იყვნენ „ფულის მუთაქები“ — ბეჟუაშვილები და ნაყოფიები.** ისინი, თავის დროზე, სააკაშვილის ბანაკში იყვნენ, ახლა კი ივანიშვილის გუნდში გადავიდნენ. ისინი, შევარდნაძის ხელისუფლებით დაწყებული და ივანიშვილით დამთავრებული, მშვენივრად გრძნობენ ამ ვერტიკალში თავს. ამით კი, რა თქმა უნდა, ქვეყანას ძარცვავენ. ნაძარცვის ნაწილი სახელისუფლო ყულაბაში მიაქვთ, ნაწილით მათი პირადი ანგარიშები ივსება. გაღატაკებული ხალხი კი ამით უფრო მეტად ღატაკდება.

**„მრეწველთა პარტია“, თოფაძე-ტყემალაძის შესანიშნავი დუეტი, შევარდნაძიდან მოყოლებული, მუდმივად თანამშრომლობდა ყველა ხელისუფლებასთან.** ისინი მუდამ თავიანთი ბიზნესით იყვნენ დაკავებულნი და ვაჭრობის მეტს პოლიტიკაში არაფერს აკეთებდნენ. დღესაც პარლამენტში სწორედ ამ ნიშნით არიან შესულნი და მათ ყულაბას პარლამენტარობით კიდევ დამატებითი მილიონები მიემატება. ქვეყანა კი ვერანაირ სარგებელს ვერ ნახავს. **აქვე მინდა გითხრათ ზვიად ძიძიგურისა და კონსერვატიული პარტიის შესახებ. მისთვის ზვიადისტობა მანდატია ყველა ხელისუფლებაში. ქართულ პოლიტიკაში, მისი შემხედვარე, შეიძლება ვისაუბროთ ძიძიგურიზმის ტენდენციაზე.** ეს კი გამოიხატება იმაში, თუ როგორ შეიძლება მოერგო ყველა სიტუაციას, ყველა პოლიტიკურ გარემოსა და აბსოლუტურად ყველა მთავრობას. გამაგებინეთ, როგორ შეიძლება იყო ყოველთვის ხელისუფლებაში?! მისი განსახილველი თემა მხოლოდ ჩოხა და ჩიხტიკოპია. **პარლამენტში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებს არ აქვთ არც ეროვნული იდეოლოგია, არც მყარი პოლიტიკური მრწამსი და შეხედულებები და არად აგდებენ სახელმწიფო ინტერესებს. მათთვის მთავარია საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება და ამ გზით ფულის მოხვეჭა.** ეს ელიტა აუცილებლად უნდა იქნას გაყვანილი პოლიტიკური მოედნიდან.

საზოგადოებაში ძალიან ბევრი ღირსეული წარმომადგენელია. ისინი ერთ პარტიაში, ერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში არ არიან მოქცეულნი, ამიტომ მიჭირს დაკონკრეტება. **ადამიანი შეიძლება იყოს უჩინო, ეროვნული სულისკვეთების, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, არ ჰქონდეს ბევრი ფული, მაგრამ იყოს ღირსეული! ხალხმა სწორედ ასეთი პიროვნებები უნდა აირჩიოს.** ქართული რეალობა კი, სამწუხაროდ, ასეთი ადამიანების სიმცირეს განიცდის. სამაგიეროდ, ბევრია „ჩალა“. ისინი საზოგადოებისთვის ცნობად სახეებს წარმოადგენენ. **პარლამენტში და მთლიანად ხელისუფლებაში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ ეროვნული ძალები. დღევანდელი პარლამენტი ქართული საზოგადოების განწყობას არ გამოხატავს.** ის, ალბათ, საქართველოს ისტორიაში ყველაზე უსახური, ყველაზე მორჩილი და ყველაზე ანტიეროვნული პარლამენტია.

ჩაიწერა
**შორენა ღვაჩლიანმა**

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ე. წ. პოლიტოლოგები, ექსპერტები, სხვადასხვა ჯურის მემონიტორინგეები და „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლები“ ყველა მეთოდის გამოყენებით ცდილობენ, ჩაახშონ ის წმინდა ფასეულობები, რომელთა დასაცავად, რომელთა გადასარჩენად „არადემოკრატი და არაცივილური“ ერები საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ, აშენებდნენ, ქმნიდნენ მატერიალურ თუ კულტურულ ფასეულობებს.**

# დემოკრატია გინდებლარიენ? — with pleasure!

**ჩვენს გაზეთში ამ რამდენიმე ხნის წინ ვწერდი იმ ე.წ. აგრესიულ დემოკრატიაზე, რომელიც, კაცობრიობის ცივილური (ნამდვილად ცივილური და არა დამახინჯებული და გაუკულმართებული) ნაწილის სამწუხაროდ, კიბოს მეტასტაზებივით მოედო აღმოსავლეთ ევროპასა და აზიის ქვეყნებს.**

არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ ყველა ტოტალიტარული სახელმწიფო ე.წ. „პროგრესული იდეების“ გავრცელებას, „ჩაგრული ადამიანების გათავისუფლებას“ თეატრის გრიმიორის ოსტატობით ირგებს და ცხვრის ტყავში გადაცმული მგლის მენტალიტეტით ანადგურებს ქვეყნების ლიდერებს, ეკონომიკას, ტრადიციებსა და მომავალს. ამ უდიდეს პრობლემაზე ბევრი რამ დაწერილა და თქმულა, გამოქვეყნებულა სხვადასხვა ექსპერტისა თუ რომელიმე კონკრეტული დარგის სპეციალისტის მოსაზრება, გამოთქმულა პროგნოზები და დასახულა გადარჩენის, დიახ, სწორედაც რომ გადარჩენის, გზები. არის საუბრები ჩრდილოვან ხელისუფლებაზე, მასონებზე, რამდენიმე ოლიგარქის მიერ მსოფლიო ეკონომიკის მართვაზე. მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების მიერ ნებისმიერი ბიზნესის (არ აქვს მნიშვნელობა, ავიამშენებელი ქარხანა იქნება თუ უბრალო ჯიხური) კონტროლის სურვილზე.

**საზოგადოების ამ შეშფოთებას საკმაოდ წარმატებულად უპირისპირდება პიარ კამპანიის „შესანიშნავი“ მეთოდი, ანუ პრობლემის სრული იგნორი; რეალური ფაქტების გაბიაბურება, ღიმილით ნათქვამი ფრაზა – კარგი რა, რა დროს მასონებსა და ჩრდილოვან ხელისუფლებაზეა საუბარი; გარეთ ოცდამეერთე საუკუნე დგას.**

**ყველაზე საინტერესო და შემაშფოთებელი კი ის არის, რომ ამ პიარში ყველაზე აქტიურად საზოგადოების საკმაოდ ინტელექტუალური და მართლაც რომ პროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენლები მონაწილეობენ. რეალური ინფორმაციის ნაკლებობა** (ფაქტობრივად, არარსებობა) **მათ ოპონენტებს ძალიან ცუდ, წამგებიან პოზიციაში აგდებს და ასეთ დროს რატომღაც XIX საუკუნის შესანიშნავი პოეტის, შარლ-პიერ ბოდლერის, ცნობილი გამოთქმა – „ეშმაკის ყველაზე დიდი ტყუილი ის არის, რომ დაგვარწმუნოს თავის არარსებობაში“, მახსენდება.**

მოდით და მასონები, ისტორიული შეთქმულებების თეორიები, სიონელი ბრძენები და სხვა მსგავსი მოსაზრებები გვერდზე გადავდოთ (ისე, მაგარია არა, როცა ასეთ რაღაცებს თუ ვილაცებს „გვერდზე რომ გადადებ“) და ბიზნეს ინტერესებზე ვისაუბროთ. იმ ბიზნეს ინტერესებზე, რომელთა გამტარებლები, დემოკრატიისა და ნათელი მომავლის ნიღაბს ამოფარებულნი, სისხლში ახშობენ მათი ნამდვილი მიზნების წინააღმდეგ გამოხატულ არამხოლოდ აქტიურ ქმედებას, არამედ გამოთქმულ ნებისმიერ მოსაზრებასაც კი.

სამწუხაროდ, ასეთ დროს **ნამდვილი დემოკრატია, ადამიანების სწრაფვა** (აშენოს, შექმნას რაღაც ახალი კაცობრიობისთვის — სასარგებლო ფესვებზე, საუკუნეებგავლილ წარსულზე დაყრდნობით აღზარდოს მომავალი) **იღუპება საერთაშორისო სამხედრო მისიების მიერ მოწყობილ სასაკლაოებზე თუ საკონცენტრაციო ბანაკებში.**

სამწუხაროდ, **იგნორის პიარის შემსრულებლები თავიანთი დუმილით, თავიანთი ინფანტილური დამოკიდებულებით ხელს უწყობენ აგრესიული დემოკრატიის გავრცელებას და ხშირ შემთხვევაში ისინი თავად გამოდიან აგრესიის „გამპრავებლების“ როლში.**

თანამედროვეებზე არაფერს ვიტყვი, რადგან სხვადასხვა მედიასაშუალების მეშვეობით, ყველანი კარგად ვხედავთ ასეთ ექსპერტებს და პოლიტოლოგებს. დარწმუნებული ვარ, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას არანაირი ბიზნესინტერესი არ გააჩნია და, სამწუხაროდ, მართლა დარწმუნებულია, რომ, „ოღონდ დემოკრატიამ გაიმარჯვოს და თუნდაც ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა“.

**კარლ ლიკბნეხტი, რომელიც სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო და მთელი ცხოვრება მილიტარიზმის წინააღმდეგ იბრძოდა** („მილიტარიზმი კაპიტალიზმის უმთავრესი საყრდენია“, 1904 წ., „კრუპი, რომელიც ქვემეხების მეფეა, სხვა სამხედრო მრეწველებთან ერთად ომის მთავარი გამჩაღებელია“, 1913 წ.), **1914 წლის 4 აგვისტოს რაიხსტაგის სხდომაზე დაეთანხმა გერმანიის აგრესიას და ფრაზით: „როდესაც ახლადფეხადგმული გერმანული მრეწველობა გაშლილ სუფრასთან მივიდა, მას ყველა ადგილი დაკავებული დახვდა. ამიტომ იგი იძულებულია, დაიცვას თავისი ინტერესები“, — გაამართლა იგი.**

**ტროცკისტები კომუნიზმის გამარჯვების სურვილითა და საყოველთაო თანასწორობის ლოზუნგით ანადგურებდნენ „წარსულს“.**

**ჰიტლერი კომუნიზმსა და ბოლშევიკების მიერ დამონებული ხალხების გათავისუფლების „დროშით იბრძოდა“.**

სამწუხაროდ, **ზუსტად იგივე პათოსი ისმის „აგრესიული დემოკრატიის“ „გამპრავებელთა“ ფრაზებში. ისინი არამხოლოდ ამართლებენ, ყველანაირი საშუალებებით ხელს უწყობენ იმ საშინელებებს, რომლებიც დღეს დემოკრატიის სახელით ხდება.**

**ლიბია — დემოკრატიის გამარჯვებამდე:**

**1. ბენზინი წყალზე იაფი ღირდა: 1 ლიტრი — 0,14 დოლარი;**

**2. ახალდაქორწინებულებს სახელმწიფო ჩუქნის 64 ათას დოლარს ბინის შესაძენად;**

**3. განათლება და ჯანდაცვა მთლიანად უფასოა;**

**4. უმუშევრების დახმარება თვეში — 730 დოლარი;**

**5. ყოველ ახალშობილზე სახელმწიფო 7000 დოლარს იხდიდა;**

**6. მცირე ბიზნესის წამოწყებისთვის სახელმწიფო ერთჯერადად 20 ათას დოლარს გასცემდა;**

**7. საზღვარგარეთ განათლების მიღებასა და სტაჟირებას სახელმწიფო უზრუნველყოფდა;**

**8. შექმნილი იყო მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სპეციალური მაღაზიების ქსელი, რომელშიც ყველა პროდუქტი სიმბოლურ ფასებში იყიდებოდა;**

**9. არსებობდა აფთიაქების კატეგორია, რომლებშიც მედიკამენტები უფასოდ გაიცემოდა. წამლების გაყალბება სიკვდილით ისჯებოდა;**

**10. მოსახლეობისთვის ბინის ქირა და ელექტროენერგიის გადასახადი გაუქმებული იყო;**

**11. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მუამარ კადაფიმ ქვეყნიდან გააძევა საერთაშორისო კორპორაციები;**

**12. შავკანიანთა უფლებები გაუთანაბრდა თეთრკანიანთა უფლებებს;**

**13. ლიბიის მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა;**

**14. ბავშვთა სიკვდილიანობა ცხრაჯერ შემცირდა;**

**15. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 51.5-დან 74,5-მდე გაიზარდა;**



1886 წ. თავისუფლების ქანდაკების სახე აღმართვამდე.

და იყო კიდევ უამრავი სოციალური სიკეთე, რომლებიც დემოკრატიის გამარჯვებას შეეწირა.

**2011 წლის აპრილში აფრიკულ ქვეყანა კოტ დივუარში სამშვიდობო მანდატით მყოფმა 12300 ფრანგმა სამხედრომ და გაეროს მანდატით მყოფმა 9000-იანმა სამშვიდობო ჯარმა „დემოკრატია დაამყარეს“.**

დემოკრატიის სახელით მოსულმა პრეზიდენტმა ალასან ოუატარამ თანამოქალაქეებს მიმართვისას განაცხადა: „ჩემი შეიარაღებული ძალები დემოკრატიისა და ხალხის საარჩევნო უფლების დასაცავად მოქმედებს“.

რა მოხდა სინამდვილეში: როგორც მოგეხსენებათ, კოტ დივუარი კაკაოს ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყანაა, მაგრამ მოსახლეობა ამ სიკეთიდან, ფაქტობრივად, ვერაფერს იღებს. ვერ იღებს იმის გამო, რომ კაკაოს მწარმოებელი კომპანიები საერთაშორისო კორპორაციების ხელშია. ასევე **არსებობს სხვადასხვა ხელშეკრულება, რომელთა ძალითაც კოტ დივუარს საკუთარ ქვეყანაში წარმოებულ პროდუქტზე არანაირი უფლება არ გააჩნია. სხვადასხვა სანქციამ და კაკაოს ექსპორტზე ბოიკოტმა ქვეყანა, რომელიც კაკაოს მარცვლის უდიდესი მწარმოებელი და დასავლეთ აფრიკის მეორე ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოა, დააჩოქა, რამაც ბანკების ერთ თვეზე მეტი ხნით დახურვაც გამოიწვია.**

თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ეს უკვე კარგადაა ცნობილი, მაგრამ ასევე კარგად ჩანს, რომ „დემოკრატია“ და „ამომრჩევლის უფლებები“ ნამდვილად არაფერ შუაშია.

**დემოკრატიის სახელით დაბომბილი ბელგრადი, სეპარატიზმის კერებად ქცეული ევროპული ქვეყანა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ წარმატებული ეკონომიკა და წარმატებული სახელმწიფო მოწყობა ჰქონდა.**

არ მინდა დაგამძიმოთ იმ საშინელებების გახსენებით, რომლებიც იუგოსლავიაში ხდებოდა. ესეც ყველამ კარგად იცის.

**ვრცელდება „დემოკრატია“. ვრცელდება უზომო ძალადობით, ზეწოლით. ბავშვების, ქალების, ჯანსაღი მამაკაცების ფიზიკური განადგურებით. ხდება მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება.**

აგრესიული დემოკრატიის გავრცელებაში ყველაზე საშინელ იარაღს თანამედროვე ტექნოლოგიების მაქსიმალური ჩართულობა წარმოადგენს.

თუ „დასავლური ღირებულებების“ გავრცელების მიზნით ჯვაროსნები კონსტანტინოპოლს ჩვეულებრივი შარაგზის ყაჩაღების მეთოდებით ძარცვავდნენ, თუ პოლონელები „ევროპასთან“ დაახლოების მიზნით უკრაინას პირველივე შესაძლებლობისთანავე აოხრებდნენ, თუ ინგლისელები ამერიკის მკვიდრ მოსახლეობას ფიზიკურად ანადგურებდნენ და გადარჩენილებს რეზერვაციებში ათავსებდნენ, თუ... მკვიდრ მოსახლეობას მხოლოდ უხეში იარაღის ძალით უსწორდებოდნენ, დღეს ყველა სახის მედიასაშუალება ახალი ადამიანის, ანუ ამორფული ხორცის გროვის შექმნას ემსახურება. **ე. წ. პოლიტოლოგები, ექსპერტები, სხვადასხვა ჯურის მემონიტორინგეები და „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლები“ ყველა მეთოდის გამოყენებით ცდილობენ, ჩაახშონ ის წმინდა ფასეულობები, რომელთა დასაცავად, რომელთა გადასარჩენად „არადემოკრატი და არაცივილური“ ერები საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ, აშენებდნენ, ქმნიდნენ მატერიალურ თუ კულტურულ ფასეულობებს.**

ტყუილი! დიახ, ტყუილი, რეალობის აბსოლუტურად საწინააღმდეგო ფორმით წარმოჩენა არის აგრესორების ერთ-ერთი მთავარი იარაღი.

ხბოს აღტაცებითა და კინტაურის ცეკვით შეხვდა საქართველოს „პროგრესულად მოაზროვნე“ ნაწილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულების პარაფირებას.

გახმიანდა უამრავი პერსპექტივა. გამოჩნდა „სინათლე გვირაბის ბოლოს“.

ევროკავშირთან ინტეგრაციისგან გამოწვეულ აღტკინებაზე ნიკიტა ხრუშჩოვის ნათქვამი ფრაზა „კომუნიზმი ჰორიზონტზე გამოჩნდაო“, გამახსენდა.

ევროკავშირიც ჰორიზონტზეა. არადა, ჰორიზონტს რა მანძილითაც უახლოვდები, იმ მანძილით გშორდება.

**ევროკავშირის ხუთმა ქვეყანამ „ევროვიზია 2014“-ში მონაწილეობაზე უარი თქვეს. ბულგარეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, კვიპროსი და ხორვატია ამ მართლაცდა ლამაზ კონკურსს არასაკმარისი ფულადი სახსრების გამო ეთიშებიან. საქართველო ამ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას, მიიღებს, რადგანაც ჯერჯერობით ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ ვართ.**

ყველას გვახსოვს ამ რამდენიმე წლის განმავლობაში საბერძნეთში განვითარებული ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები. პრობლემები, რომლებიც ევროკავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლის გამო განვითარდა.

ამ რამდენიმე დღის წინ საბერძნეთის პარლამენტმა იგნორირება გაუკეთა ე. წ. რეკომენდაციებს და 2014 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. კენჭისყრა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში გვიან ღამით დასრულდა. მთავარი ფინანსური დოკუმენტის შესახებ გადაწყვეტილება დადებითად შეაფასა საბერძნეთის მთავრობამაც. დარწმუნებული ვარ, პორტუგალიაც გაიზიარებს საბერძნეთის მართლაც ღირსეულ ნაბიჯს და ევროკავშირული ჭაობიდან თავის დახსნას დაიწყებს.

**„თანამედროვე დემოკრატია“ ებრძვის არამხოლოდ ადგილობრივ ეკონომიკას, არამედ რწმენას, კულტურას, ტრადიციებს, სულიერებას. მაგალითად, ნატოს ჯარების მიერ ჩრდილოეთ აფრიკაში გაღვივებული რელიგიური სეპარატიზმიც კმარა. „დემოკრატების“ ბოროტებამ, მათმა სეპარატიზმმა და ამ აგრესიულმა დემოკრატიამ ნიუტონის მესამე კანონი აამუშავა. „ცივილურმა სამყარომ“ შედეგად F=-F, ანუ ქმედება უდრის უკუქმედებას მიიღეს. ლიბანი სულ მალე შარიათის კანონების ქვეყნად გამოცხადდება.**

იუგოსლავიაში დასავლური ღირებულებების სახელით განადგურებული უამრავი მართლმადიდებლური მონასტერი ნათლად გვიჩვენებს იმ „დემოკრატიის“ ნამდვილ სახეს, რომელსაც კინტაურით შეხვდა ჩვენი პოლიტელიტა.

ამ წერილს კი საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, შოთა გორგოძის, სიტყვების მცირე პერიფრაზით დავამთავრებ: დემოკრატია გინდებლარიენ? — with pleasure!

**გია გაბრიჭიძე**

„რას ნიშნავს აზრის გამოთქმის თავისუფლება — საზოგადოების შეურაცხყოფას? ერის მთავარი სულიერი ფასეულობის, ფუნდამენტის არაფრად ჩაგდებას? აბა, ისრაელში გაბედოს ვინმემ და სინაგოგის კრიტიკა დაიწყოს ან რაბინათის, წარმოგიდგენიათ, რა მოუვა?! და ამის გამო ვინმე იტყვის, რომ ისრაელი საქართველოზე ნაკლებად დემოკრატიული ქვეყანაა?!“

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლევან ჩაჩუა: «ნაცმოძრაობა» ვერ ბედავდა ეკლესიაზე ისე ღიად შეტევას, როგორც ამას ზოგიერთი რესპუბლიკელი აკეთებს

**„ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში ანტიმართლმადიდებლურმა კამპანიამ იმხელა მასშტაბებს მიაღწია, ამ მხრივ ახალ ხელისუფლებას კიდევ თუ ჰქონდა რამე გასაკეთებელი, ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ თურმე ჯერ სად ვართ — ფანჯიკიძის მიერ ვილნიუსში ხელმოწერილ დოკუმენტს მელანი არ შეშრობოდა, რომ საქართველოში მოქმედმა ლიბერასტულმა ელემენტებმა პატრიარქისა და მთლიანად საპატრიარქოს წინააღმდეგ პროპაგანდის ახალი ტალღა ააგორეს. პროცესის მედროშედ, ალბათ, სავსებით ლოგიკურად, რესპუბლიკელი თამარ კორძაია მოგვევლინა, თუმცა მას არც პარლამენტს გარეთ მყოფი დანი და ძმანი ჩამორჩნენ, — დაწყებული ორგანიზაცია „იდენტობიდან“, დამთავრებული თეოლოგებად ცნობილი ცალკეული სუბიექტებით, ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში ფსევდოლიბერალთა აქტივი სრულად დაირაზმა. მეტიც, ბოლო დღეებში გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებები არ იკმარეს და გასულ კვირას საპატრიარქოსთან აქცია — პერფორმანსიც ჩაატარეს სახელწოდებით: „საჭიროებს დეზინფექციას“... ვინ და რა ძალები დგას მათ უკან, რა მიზანს ემსახურება საპატრიარქოს დისკრედიტაციის მცდელობა და რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ ყველაფერმა, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ლევან ჩაჩუა.**



**— ბატონო ლევან, რამდენიმე დღეა, პატრიარქის მისამართით, საპარლამენტო უმრავლესობის დონეზე მადისკრედიტებელი განცხადებები გვესმის. თამარ კორძაია და ლევან ბერძენიშვილი უკვე პირდაპირ აკრიტიკებენ ეკლესიას, სასულიერო პირებსა და სარწმუნოებას... თქვენი აზრით, რა ხდება რეალურად, რამდენად შეიძლება შეფასდეს ეს მიზანმიმართულ კამპანიად?**

— უპირველესად, მადლობას გიხდით, რომ აზრის გამოთქმის საშუალებას მაძლევთ. რაც შეეხება შეკითხვას, მე პირადად თქვენი გაზეთის მეშვეობით, ტელევიზიითაც და ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობა მექნებოდა, წინასაარჩევნო პერიოდში ხაზგასმით ვამბობდი, რომ ჩვენ წინ გველოდება უმძიმესი წლები. მეტიც, არაერთხელ მითქვამს, რომ შესაძლოა, მივიღოთ იმაზე გაცილებით უარესი მდგომარეობა, ვიდრე „ნაცმოძრაობის“ დროს იყო. ზუსტად ამ საფრთხეების დანახვამ გადამაწყვეტინა პოლიტიკაში წასვლაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი მოლოდინი გამართლდა და **დღეს ჩვენ ვხედავთ გამძვინვარებულ ანტიმართლმადიდებლურ კამპანიას, რომლის შემოქმედებიც, კარგად ვიცით, ვინც არიან. ეს არის ხელისუფლებაში მოკალათებული ძალა, რესპუბლიკელების სახით, და მათი წყალობით მივიღეთ ის, რომ, ფაქტობრივად, მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური რეინკარნაცია...**

**— პატრიარქისა და საპატრიარქოს მისამართით გაკეთებულმა განცხადებებმა, მართალია, საზოგადოების დიდი ნაწილი გააღიზიანა, მაგრამ „ლიბერალები“ ამას დემოკრატიის მთავარი პრინციპით — გამოხატვის თავისუფლებით ხსნიან. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— რას ნიშნავს აზრის გამოთქმის თავისუფლება — საზოგადოების შეურაცხყოფას? ერის მთავარი სულიერი ფასეულობის, ფუნდამენტის არაფრად ჩაგდებას? აბა, ისრაელში გაბედოს ვინმემ და სინაგოგის კრიტიკა დაიწყოს ან რაბინათის, წარმოგიდგენიათ, რა მოუვა?! და ამის გამო ვინმე იტყვის, რომ ისრაელი საქართველოზე ნაკლებად დემოკრატიული ქვეყანაა?!

**— ისინი, ვინც ეკლესიას აკრიტიკებენ, ხშირად აცხადებენ, რომ საპატრიარქო ზედმეტად ერევა პოლიტიკაში. თქვენი აზრით, ეს ორი სფერო რამდენად უნდა იყოს ან არის ერთმანეთთან დაკავშირებული?**

— და რა კუთხით ერევა ეკლესია პოლიტიკაში?! საპატრიარქო ფართო ცნებაა, ეს არის მრავალი ადამიანისგან შემდგარი აპარატი, დაწყებული დარაჯით, დამთავრებული მდივნით და კონკრეტულად ვის გულისხმობენ? განცხადებებს აკეთებს პატრიარქი, როგორც ყველაზე დიდი ქომაგი ჩვენი ეროვნული ცნობიერების, სულიერების და აქ, უბრალოდ, ჩნდება მარტივი შეკითხვა: რა, მას არ აქვს უფლება, საკუთარი გულისტკივილი გამოხატოს ან მრევლს — სრულიად ერს მიმართოს?! **ამათ რა უნდათ, იცით? რომ გაიტანონ ნებისმიერი კანონპროექტი, რომელიც დაშლის, დააქცევს სახელმწიფოს და ხმა არავინ ამოიღოს. ზუსტად ამიტომ ცდილობენ საზოგადოებრივი პროცესების დისტანცირებას ეკლესიისგან...**

**— დღეს ბევრს საუბრობენ რესპუბლიკური პარტიის ურეიტინგობაზე, ხშირად გვესმის ხოლმე ფრაზა: ერთპროცენტიანი პარტია... როგორ ფიქრობთ, რატომ გადააბარა ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლების მნიშვნელოვანი სადავეები სწორედ ამ ურეიტინგო პარტიას?**

— ბიძინა ივანიშვილის ნაცვლად ვერ ვილაპარაკებ, ამაზე მან თვითონ უნდა გიპასუხოთ; ზოგადად, მე იმთავითვე ვამბობდი, რომ ეს რესპუბლიკელები სერიოზულ ბარიერებს შეუქმნიდნენ არამარტო საზოგადოებას, არამედ თვითონ კოალიციასაც, თუმცა მაშინდელმა პრემიერმა მათ ყველაზე მეტი ნდობა გამოუცხადა.

**— მაშინ ასე შევხედოთ ამ ყველაფერს: საზოგადოებას რატომ არ ჰქონდა ამაზე ადეკვატური რეაქცია?**

— ამას შეიძლება ორი ახსნა ჰქონდეს: ერთი ის, რომ მაშინ ერის მთავარ ამოცანას, ფაქტობრივად, ფიზიკური გადარჩენა წარმოადგენდა და მეორე — ყველას, მათ შორის მეც, ეგონა, რომ ივანიშვილი გადამწყვეტ მომენტში მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამდა, რომელიც ყველაფერს შეცვლიდა...

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— უბრალოდ, თავის დროზე, როცა ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკაში და რესპუბლიკური პარტია დაიყენა გვერდით, ყველას ეგონა, რომ ეს რაღაც დროებითი გაერთიანება იყო. შესაბამისად, **საზოგადოებაში მუსირებდა ასეთი აზრი: ის ყველაფერ ამას ამერიკელების, ევროპელების დასანახად აკეთებს, თორემ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, რა რესპუბლიკელები, ყველას მოიშორებსო. სამწუხაროდ, ეს მოლოდინიც აბსოლუტურად მცდარი აღმოჩნდა, დღეს კი ჩვენ ვხედავთ, რომ, არა თუ რესპუბლიკელების მოშორებაზე არაა ლაპარაკი, არამედ საკანონმდებლო ხელისუფლება, ფაქტობრივად, მათ ჩაიბარეს.** ასევე, ცდილობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებშიც თავიანთი წარმომადგენლების შეყვანას და საბოლოოდ სანამდე მიგვიყვანს ეს პროცესი, კაცმა არ იცის...

**— რესპუბლიკური პარტიის წინ წამოწევა, კოალიციას რეიტინგის ფასად უჯდება, საზოგადოებაში სულ უფრო იზრდება უკმაყოფილება და იმედგაცრუება, რომელსაც ხალხი საბოლოოდ მასობრივი დაუმორჩილებლობისკენ მიჰყავს.**

— ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, ისეთ რეალობაში ვიმყოფებით, რესპუბლიკურ პარტიაზე ნებისმიერი შეხება ნიშნავს, რომ პირადად ეხები ბატონ ბიძინას და ამერიკის ელჩს, ბატონ ნორლანდს. შემდეგ რა შედეგი მოჰყვება ამას, ყველამ ვიცით...

**— რა შედეგი?**

— საკმარისია, მათთვის მიუღებელი ერთი განცხადება გააკეთო ან რაიმე ნაბიჯი გადადგა, მორჩა, იხურება სივრცე და, შესაბამისად, შენი პოლიტიკური კარიერის მზეც ნელ-ნელა დაიწყებს ჩასვენებას. ამის მაგალითები ადრეც ბევრი გვინახავს, ამიტომ აქ მოცემულობა ძალზედ მარტივია: ან ხარ ამათთან და თამაშობ მათი წესებით, ან მზად უნდა იყო იმისთვის, რომ შენთვის წინსვლის, წარმატების ყველა კარი დაიხურება.

**— თუმცა ეს, ალბათ, „ნაცმოძრაობას“ არ ეხება.**

— „ნაცმოძრაობა“ არცაა ხელისუფლების რეალური ოპონენტი. მთავარ, ფუნდამენტურ საკითხებში, რომლებიც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მათი ხედვები თითქმის იდენტურია და ახლა ქუთაისში განლაგდება პარლამენტი თუ თბილისში — ამაზე აზრთა სხვადასხვაობა არაფერს წყვეტს.

**— ისე, ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში „ნაცმოძრაობაც“ ვერ ბედავდა ეკლესიაზე ისეთ ღია შეტევას, როგორც დღეს ამას რესპუბლიკელების ზოგიერთი წარმომადგენელი აკეთებს.**

— უბრალოდ, საქმე ისაა, რომ „ნაცებს“ პირველად მოუხდათ ყველაფრის გაკეთება. მათ არ ჰქონდათ არც გამოცდილება, არც მყარად ჩამოყალიბებული სტრატეგია და, რაც მთავარია, არ იცოდნენ, რა რეაქცია ექნებოდა ხალხს ამა თუ იმ ე. წ. რეფორმაზე. **რესპუბლიკელებს უკვე იდეოლოგიური საფუძველი გააჩნიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი რამეს კი არ იწყებენ გაუკვლავ გზაზე, არამედ აგრძელებენ. შესაბამისად, მათი მოქმედება ბევრად უფრო საშიშია, ბევრად უფრო სწრაფი და ეფექტიანი.**

**— თუკი რესპუბლიკური პარტია „ნაცმოძრაობის“ რეინკარნირებული ვარიანტია, როგორ ფიქრობთ, რამდენად მოსალოდნელია რეპრესიები? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ხელისუფლება უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ძირეული რეფორმების განხორციელებას აპირებს, რომელთაც საზოგადოება, დიდი ალბათობით, პროტესტით შეხვდება.**

— კიდევ ვიმეორებ: ეს ხელისუფლება, რესპუბლიკელების სახით, „ნაციონალებზე“ ბევრად უფრო აგრესიული ძალაა, ამიტომ, თუ ამათ ბოლომდე ჩაიგდეს ქვეყანა ხელში, მერე რეპრესიები, ცოცხები და გლდანის ციხე მონაგონი იქნება; ესენი სამოქალაქო ომს გამოიწვევენ.

**— რაც შეეხება ვილნიუსში ხელმოწერილ დოკუმენტს, ტექსტი ჯერჯერობით ქართულად არაა თარგმნილი, მაგრამ უკვე საუბრობენ, რომ, ამ შეთანხმების თანახმად, საქართველოს მნიშვნელოვანი რეკომენდაციების გათვალისწინება მოუწევს ადამიანის უფლებების კუთხით. თქვენი აზრით, რას უნდა ველოდოთ?**

— მე ველოდები წლევანდელი 17 მაისის მსგავს მოვლენებს საქართველოში და წინდაწინვე ვეუბნები ხელისუფლებას: **თუკი იმ დოკუმენტში, რომელსაც დღემდე რატომღაც ასაიდუმლოებენ, ქართველი კაცის ეროვნული ცნობიერებისთვის მიუღებელი რამ წერია, მაშინ ჩვენი უწმინდესიც, ერიც და ეკლესიაც მზად არიან, ნებისმიერი გამოწვევა მიიღონ, რათა არ დაუშვან გარყვნილება.** მერწმუნეთ, ის ასი ათასი ადამიანი, რომელიც წლეულს, 17-ში გამოვიდა, მინიმუმ გაორმაგდება და მიიღებენ ბევრად უფრო ფართომასშტაბიან აქციებს, თუ, კიდევ ვიმეორებ, მოინდომებენ ერთსქესიანთა ქორწინებებს, გეიაღლუმებსა და მოლის ყვირილს მინარეთებიდან.

> **«წლეულს, 17 მაისს 100 ათასი კაცი თუ გამოვიდა ქუჩაში, გაისად, მინიმუმ, ორჯერ მეტი გამოვა»**

**— წლევანდელი 17 მაისი ახსენეთ და მაშინ ხელისუფლების მიმართ ძირითადად კრიტიკა ისმოდა, რომ მან ვერ უზრუნველყო უმცირესობის გამოხატვის თავისუფლების დაცვა. როგორ ფიქრობთ, გაისად ხომ არ არის მოსალოდნელი უფრო მკაცრი ზომების მიღება სამართალდამცავების მხრიდან?**

— ეს მოლოდინი, რა თქმა უნდა, მაქვს; მეტიც, ამათ შეიძლება სპეცრაზმიც გამოიყვანონ და ჯარიც, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, რომ, რეპრესიების მიუხედავად, ქართველი ხალხი ხერხემალში არ გადატყდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში საზოგადოება ისე მიეჩვია ხელისუფლებისგან ძალადობას, მაგით უკვე ვერავის შეაშინებენ; ასე რომ, რანაირადაც უნდა ეცადონ, არ გამოუვათ ხელისუფლებაში მოკალათებულ ზოგიერთ ბნელ ძალებს თავიანთი მზაკვრული ჩანაფიქრის ასე იოლად განხორციელება.

**— დღეს უკვე ყველა ხვდება, რომ საზოგადოების მოლოდინი „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ აღსასრულთან დაკავშირებით მცდარი იყო. თქვენი აზრით, რა შანსი აქვს ამ პარტიას მომავალში? საუბარია მათ შესაძლო მობრუნებაზე ხელისუფლებაში.**

— სამწუხაროდ, ჩვენ — ქართველებს ხანდახან არ გვინდა, გამოვუტყდეთ საკუთარ თავს იმაში, რომ მორიგი პოლიტიკური აფერის მსხვერპლი გავხდით და კვლავ გაგვაბრიყვეს. დაბრუნებას უნდა აპირებდეს ის, ვინც ხელისუფლებიდან წავიდა, **„ნაცმოძრაობა“ კი რეალურად არსად წასულა. წარმოიდგინეთ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მათი კაცია, მათია დედაქალაქის მერიც; საკრებულოებშიც, ადგილობრივ თვითმმართველობებშიც სულ თავიანთი ხალხი ჰყავთ და პლიუს ამას — კიდევ 40 პროცენტით არიან პარლამენტში წარმოდგენილნი. ახლა, ვისაც რა უნდა, ის დაარქვას ამას, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენ დღეს ისევ ორხელისუფლებიანობის პირობებში ვართ.** არც 1 და არც 27 ოქტომბრის არჩევნებით ძირეულად არაფერი შეცვლილა; რაც მოხდა, ეს იყო შეთქმულება და საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

დემოკრატიის სახელით
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შევარდნაძე ამერიკელების მონა გახლდათ, იმ დონეზე, რომ თავადაც კი ხანდახან უკმაყოფილებას გამოთქვამდა ამერიკული დიქტატის მისამართით. ერთხელ მან ასეთი რამ თქვა: „სიტყვა ვერ მითქვამს ისე, რომ ამერიკის ელჩი თავზე არ დამადგესო“.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# ამერიკას არ სჭირდება დემოკრატიული საქართველო, ამერიკას სჭირდება მონა!



**„პარაფირებით“ აღტყინებული ქართველი ლიბერალები, ლიბერალებს აყოლილი კონსერვატორები, ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული „ფორუმელები“, რომ აღარაფერი თქვას კაცმა „ნაცებზე“, გონებადაბინდულები ხალხს არწმუნებენ, რომ იქ, სადაც მალე საქართველო შევა, ევროკავშირი რომ ჰქვია, ძალიან მაგარი ცხოვრება გვექნება. გვექნება თუ არა მართლაც საოცნებო ცხოვრება? რა მოგვიტანა და რას მოგვიტანს „დემოკრატიის სახელით“ ევროატლანტიკური ალიანსი და ევროკავშირი? რა დარჩება ჩვენი ქვეყნისგან და რას ფიქრობენ იმ ქვეყნების მცხოვრებნი, რომელთაც ეს „ოცნება“ უკვე აუსრულდათ? — ამ კითხვებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა უპასუხა.**

— დემოკრატიისა და ევროატლანტიკური სივრცისკენ ლტოლვით ჩვენ ისეთი დემოკრატია მივიღეთ, რომელიც ნამდვილი დემოკრატიისგან ძალიან შორს არის. რატომ ვახსენე ევროატლანტიკური სივრცე? სწორედაც ისინი არიან „დემოკრატიის მამები“ და მათ შეძლეს ჩვენი აზროვნებისა და მენტალიტეტის დეგრადირება.

ყველა ერს თავისი დემოკრატია აქვს. ძალიან „დემოკრატიულ“ ამერიკაში არც თუ ისე დიდი ხნის წინ შავკანიანებს ახლოსაც არ იკარებდნენ. ამერიკის ყოფილმა ელჩმა — მაილსმა ყოფილი სახელმწიფო მდივნის — კოლინ პაუელის წიგნი მაჩუქა, რომელშიც ავტორს საკუთარი ცხოვრება აქვს აღწერილი. ის ფერადკანიანია. წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული გასული საუკუნის 80-იან წლებში, როგორ არ უნდოდათ ამერიკელებს იმის გაგონება, რომ ფერადკანიანებსა და თეთრკანიანებს შორის რაიმე ნორმალური დამოკიდებულება ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ნაბიჯები გადაიდგა და დღეს ამერიკას ფერადკანიანი პრეზიდენტი ჰყავს, არ ნიშნავს დემოკრატიას. **ამერიკა დემოკრატიის ნიღბით სხვა ქვეყნებში შედის და იქ „საკუთარ დემოკრატიას“ ამყარებს. ისინი ამ ნიღბით იმონებენ ქვეყნებს და ასე შემოვიდნენ საქართველოშიც.**

საბჭოთა კავშირი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ერებს ისტორია, კულტურა და ენა შეენარჩუნებინათ. 1953 წლის შემდეგ ისევ ისე რომ გაგრძელებულიყო, როგორც იყო, დღეს მასზე დიდი ქვეყანა არ იარსებებდა.

დემოკრატია, რომელსაც დასავლეთში თავისი ჩარჩოები აქვს, შექმნილია მათ მიერ და მათთვის, მაგრამ, რასაც ჩვენთვის აკეთებენ, დაძალებაა; გვაძალებენ, ვიყოთ ისეთები, როგორებიც თავად არიან, არ უყურებენ წარსულს, ისტორიას, ბუნებას.

**— როგორები გავხდით ჩვენ?**

— გავხდით ინდიფერენტულები, გვაქვს ზედაპირული დემოკრატია, რომელიც ჩაცმაში, ცუდ ქცევაში გამოიხატება. **ამერიკასა და ევროპას თავისთვის სხვა დემოკრატია აქვთ, სადაც აკრძალვებიც არის და ცენზურაც, მაგრამ ჩვენთვის არის ის, რაც ალენ დალესმა ბრძანა: „დემოკრატიითა და მისი ფასეულობებით უნდა გაირყვნა“. გარყვნილი და კორუმპირებული ადვილი სამართავია. დღეს ჩვენ გვყავს ახალგაზრდობა, რომელსაც გასაღებს ძალიან იოლად მოუძებნი.**

**— ოცი წელია, „დემოკრატიის მამები“ ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ ყველა უმსგავსობას იწონებენ.**

— თუკი ისინი თვლიან, რომ ჩვენი აღმზრდელები და ჭკუის დამრიგებლები არიან, თუკი გვაძლევენ თანხებს გრანტის სახით, გვიქმნიან არასამთავრობო ორგანიზაციებს, მთავრობაში ჩანერგილი ჰყავთ საკუთარი წარმომადგენლები, მაშინ ცოტათი მკაცრიც უნდა ყოფილიყვნენ — არ უნდა დაეშვათ თავისი მოცემული ფულის უაზრო ფლანგვა, მაგრამ **ამერიკელების მიზანი საქართველოში დემოკრატიის აშენება არ ყოფილა. მათი სურვილი იყო გაბრიოლინებული თავით ამერიკის უკანალში შევსულიყავით. მათ მოახერხეს კორუფციის უმაღლეს დონეზე აყვანა. ამერიკა საქართველოს მთავრობის აღვირახსნილობას არათუ წერტილს უსვამს, ხელსაც კი უწყობს.**

სააკაშვილს წლების განმავლობაში ავტოტერაქტებს აკეთებინებდნენ და მერე ხელს რუსეთს ადებდნენ. ეს, დემოკრატია კი არა, ცილისწამებაა, თანაც ბინძური, რომელიც მძიმე შედეგით მთავრდება და სწორედ ეს მოხდა 2008 წელს. ამერიკამ საქართველოში ისეთი ჯალათური სისტემა შექმნა, რომელიც ყველანაირი დემოკრატიის დამთრგუნავია.

წლების განმავლობაში **„თავისუფლების ინსტიტუტი“, სოროსის ფონდი, „ახალგაზრდა იურისტები“ და სხვა მრავალი ორგანიზაცია ევროპელებისა და ამერიკელების შექმნილია და ისე გვტენიან, როგორც ვირს პიტნას.** სწორედ ამ ორგანიზაციების ხელით ახერხებს ამერიკა საქართველოში ყველა სიბინძურის დანერგვას.

**— რაში სჭირდებოდა ამერიკასა და ევროპას ასეთი საქართველო?**

— ჩვენი დამონება უნდოდათ და ამას იმ თავისივე გაწვრთნილი ჩვენი მოქალაქეების ხელით აკეთებდნენ. **ამერიკას არაფერში სჭირდება დემოკრატიული საქართველო; მას უნდა, რომ მონა იყო.**

ჩვენ წლების განმავლობაში დემოკრატიის სახელითა და ხელდასმით ბევრი რამ გადავიტანეთ, პირველ რიგში კი — ცოცხები, რაც ამერიკული დემოკრატიის ნათელი დასტურია. მანამდეც არ გამოვიარეთ ცოტა რამ. ამერიკელებმა არ მიიღეს გამსახურდია, მას და მის პოლიტიკის დინების საწინააღმდეგოდ მოცურავე დაარქვეს. საქართველოში 1991 წლის ზაფხულში კონგრესის ორი დელეგაცია ჩამოვიდა. მათ ჩამოსვლას ედპ-ს მიტინგი დაემთხვა, სადაც სროლებიც იყო. არ ვიცი, ეს პროვოცირებული იყო თუ, უბრალოდ, დაემთხვა, მაგრამ ეს ფაქტი ამერიკელებმა გამსახურდიას საწინააღმდეგოდ ძალიან კარგად გამოიყენეს.

**ზვიად გამსახურდის არავითარი დასაყრდენი არ ჰქონდა უცხოეთში, გამსახურდია მიიჩნევდა, რომ ისინი საქართველოს მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი. მას ეს გრძნობა ნიქსონის საქართველოში ჩამოსვლამაც ვერ გაუნელა. შემდეგ მოვლენები როგორც განვითარდა, ყველასთვის ცნობილია.** შევარდნაძე ჩამოვიდა, რომელიც ამერიკამაც და დასავლეთმაც გულში ჩაიხუტა, რადგან მას დიდი წვლილი მიუძღოდა საბჭოთა კავშირის დაშლაში. სწორედ ამ დამსახურებისთვის ზის დღესაც კრწანისში, თორემ სააკაშვილის მეცადინეობით დიდი ხნის წინ იჯდებოდა ციხეში. **ამერიკელებმა შევარდნაძესთან იმდენად კარგად იმუშავეს, რომ მან ყველაფერი გააკეთა, რათა ტერიტორიები არ დაებრუნებინა, ტერიტორიების ფაქტობრივ დაკარგვას ხელი შევარდნაძემ შეუწყო. მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში შევარდნაძე ამერიკელების მონა გახლდათ, იმ დონეზე, რომ თავადაც კი ხანდახან უკმაყოფილებას გამოთქვამდა ამერიკული დიქტატის მისამართით. ერთხელ მან ასეთი რამ თქვა: „სიტყვა ვერ მითქვამს ისე, რომ ამერიკის ელჩი თავზე არ დამადგესო“.**

შევარდნაძის და შემდეგ უკვე სააკაშვილის ასეთმა ნაბიჯებმა მოგვიტანა ის, რომ დაკარგულ ტერიტორიებს უფრო დავშორდით. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ ამერიკელები და ევროპელები მოწადინებულნი იყვნენ, ჩვენი ქვეყნის პრობლემების მოგვარებაში დაგვხმარებოდნენ, მაგრამ მათ სინამდვილეში ეს სულაც არ აინტერესებდათ. საუბრის დასაწყისში გითხარით, რომ მაილსთან კარგი ურთიერთობა მქონდა-მეთქი, იმ პერიოდში ჩვენ ვხვდებოდით და მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით აფხაზებთან ავსტრიასა და გერმანიაში. იქიდან დაბრუნებულს სულ მქონდა სურვილი, ჩემი მოსაზრება და შთაბეჭდილებები ამერიკის ელჩისთვის გამეზიარებინა, მაგრამ ის არც კი მისმენდა ან, თუ მისმენდა, უგულისყუროდ, ვგრძნობდი, რომ მას ეს საკითხი საერთოდ არ აინტერესებდა. **მახსენდება იმ პერიოდში მოარული ხმა: „ამერიკა საქართველოს აფხაზეთს უყიდის“. ეს მაშინაც სასაცილო იყო, მაგრამ ამ ფრაზას იმეორებდნენ საელჩოების წარმომადგენლები, საკმაოდ ცნობილი ადამიანები, მათ გვარებს არ დავასახელებ.**

სწორედ შევარდნაძის დროს დაფუძნდა ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე და რომელთა მუშაობაც ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული. შევარდნაძის დროს აღზევდნენ ის ახალგაზრდები, რომლებმაც მერე ამერიკელებს თავისი თავი სულ სხვანაირად შესთავაზეს. მათ იმის გაკეთება შეძლეს, რაც შევარდნაძის დროს არ მოხდა — ახალგაზრდებმა მთელი საქართველო გადააგვარეს.

**სააკაშვილის მიერ მოწყობილი რევოლუცია, ყველა პარამეტრებით, მართლაც, რევოლუცია გამოდგა. მან მოახერხა, სრულიად გადაეგვარებინა და შეეცვალა ქართული მენტალიტეტი. ჩვენ მოგვცეს სატყუარა ნატოსა და ევროკავშირის სახით, რომელიც იმდენად იყო მხარდაჭერილი პროპაგანდით, რომ გადაქანებულმა ხალხმა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდებმა სხვა არაფრის მოსმენა აღარ ისურვეს. 24 ათასზე მეტი ახალგაზრდა გრანტებით მოიწამლა, ეს კი საკმაოდ ბევრია პატარა საქართველოსთვის.**

## «დღეს არსებული ხელისუფლება «ნაციონალური» ხელისუფლების გაგრძელებაა»

განათლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და სხვა ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგები მიწასთან გასწორდა. წინ წამოსწიეს ტურიზმი, რათა ვიღაცას მოემსახურო, მაგრამ ტურიზმით ნაცხოვრები ქვეყანა იშვიათია. ამერიკამ და ევროპამ მოახერხეს იოლი ცხოვრების კულტივირება. ჩვენი ხელისუფლება თვლიდა, რომ ყველაფერს უცხოეთიდან შემოიტანდა, არაფერს შექმნიდა და ლაღად ცხოვრებას შეძლებდა, ამ იდეის ფუნდამენტური ჩაბეტონება კი ამერიკელებმა მოახდინეს. მათ ქართველებში სერიოზულ მომავალზე ფიქრი ჩაკლეს.

ყველა საღად მოაზროვნე გარიყეს, მოხდა საზოგადოების დისკვალიფიკაცია; ყოფილი მეცნიერ-მუშაკები ბაზრობებზე დგანან. ამერიკელებმა მიზანს მიაღწიეს. ამ პროცესის შეჩერება კი ძალიან ძნელია.

**— მაგრამ შესაძლებელი...**

— დღეს არსებული ხელისუფლება „ნაციონალური“ ხელისუფლების გაგრძელებაა, შედარებით შერბილებულ ფორმებში, მაგრამ მაინც იმგვარად მოაზროვნე, როგორც მათი წინამორბედები.

**— შესაძლებელია, ახლა ჩემი შეკითხვა თემას ასცდეს, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ: მინდა, დავიჯერო, რომ ივანიშვილს ჰქონდა სურვილი ქვეყნის სწორ, ეროვნულ რელსებზე გადაყვანის, მაგრამ ამბობენ, მას საშუალება არ მისცესო. შესაძლებელია, რომ ეს სიმართლე იყოს?**

— შესაძლებელია, რომ მას ამის საშუალებას არ მისცეს, ვინაიდან ამერიკელებს არ სურთ ძლიერი საქართველო. მათი სურვილია, ხელისუფლებამ ეს ქვეყანა ისე მართოს, რომ გაითვალისწინოს ამერიკის ელჩის მოთხოვნები. **ჩვენს ქვეყანაში შევარდნაძის დროიდან მოყოლებული ხელისუფლებას ამერიკის ელჩი წარმოადგენს. შტატებს არაფერში სჭირდება ქართველის დამოუკიდებელი აზროვნება, ის თითის ქნევით გვაკეთებინებს იმას, რაც სურს. მას სურდა და სააკაშვილის რეჟიმი ფაშიზმად გადააქცია.**

პროცესის შეჩერება მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პატრიოტული ძალები იჩენენ თავს; მათ რადიკალურად უნდა შეცვალონ კურსი, ევროპასთან ბატონყმურ ურთიერთობას თავი უნდა დაანებონ, თუმცა ამ პროცესებში მხარდაჭერაც საჭიროა, მხარდამჭერი კი ერთადერთია — რუსეთი. მაგრამ რატომ გაგვიკეთებს ის ამ სიკეთეს? 23 წლის განმავლობაში მხოლოდ მისი გინებით ვიყავით დაკავებულნი, ის ვერ ხედავდა ჩვენში ცხოვრების სტილის შეცვლის სურვილს. ხელისუფლება იცვლებოდა, მაგრამ აზროვნება — არა. **23 წელიწადი ანტიქართულ და ანტირუსულ ნაბიჯებს ვდგამდით. რუსი მტრად დავსახეთ, თუმცა, დღეს რომ საქართველო არსებობს, რუსეთის დიდი დამსახურებაა, ხოლო ამერიკიდან და ევროპიდან რაც გვაქვს, ამასაც ვხედავთ: დანგრეული ქვეყანა, პროფესიონალიზმის თვალსაზრისით დისკვალიფიცირებული საქართველო, მეცნიერება — დაკნინებული, განათლება — ნულის დონეზე და, რაც მთავარია, მილიონ-ნახევარი ემიგრანტი და, თუ სავიზო რეჟიმი გაიოლდა, ამ რიცხვს კიდევ ერთი იმდენი მიემატება.**

ჩვენს ქვეყანას სჭირდება პატრიოტი, რომელიც თავს გადადებს, მაგრამ ასეთი ადამიანი არ მეგულება. და თუ ოდესმე გამოჩნდება, ეს ქვეყანა იქამდე იარსებებს? — ეჭვი მეპარება. მყავს ბულგარელი მეგობრები, რომლებიც ევროკავშირში შესვლის შემდეგ მოთქვამენ და ამბობენ, რომ ქვეყანა დაიქცა.

ესაუბრა
ეკა ნასყიდაშვილი

„საგარეჯოს „ოცნების“ ექვსივე პარტიის კოალიციის უგულებელყოფა და იგნორირება თინა ხიდაშელს სწორედაც რომ პოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდება. მარგინალიზაცია მან საკმაოდ წარმატებით მოახერხა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და აქვს მცდელობა, ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებამდეც ამ რეჟიმში მიგვიყვანოს, რაც მხოლოდ მის წისქვილზე ასხამს წყალს და არა ქვეყნის.“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რით დაემუქრა დეპუტატი თინა ხიდაშელი «ქართული ოცნების» შტაბის წარმომადგენლებს და გადაჰყვება თუ არა იგი საგარეჯოს გამგებლის საქმეს?

**რამდენიმე თვის წინ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა ინტერვიუ სათაურით „რა შეუთვალა მოდულის შენობიდან საგარეჯოს გამგებელმა თინა ხიდაშელს“. დღეს საგარეჯოში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ამ თემაზე წერა კვლავ გვიწევს, მოგეხსენებათ, კოალიცია „ქართული ოცნების“ საგარეჯოს საარჩევნო შტაბის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც გაპროტესტებულია საგარეჯოს გამგებლის, გიორგი ლოლაძის, პოლიტიკური მოღვაწეობა. შტაბის წევრები ლოლაძის თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვენ. შეგახსენებთ, რომ საგარეჯოს გამგებელი და მისი მოადგილე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი 80 ათასის მითვისების გამო დააკავეს, თუმცა, როგორც ამბობენ, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის — თინა ხიდაშელის ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს. მაშინ ხიდაშელი ჩვენთან საუბარში ამტკიცებდა, რომ გამგებელს ფული არ გაუფლანგავს. „გაუგებრობა იყო თუ არა, ამას სასამართლო დაადგენს. ისინი პატიმრობაში აღარ არიან. გამოძიება გრძელდება, უფრო სწორად, არ ვიცი, გრძელდება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს, წესით. მე ამ საქმის ყველა დეტალი ვიცი. დარწმუნებული ვარ, სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე“, — აცხადებდა, ხიდაშელი. თუმცა არსებობდა კულუარული ინფორმაცია, რომ საგარეჯოს გამგებელმა გიორგი ლოლაძემ თინა ხიდაშელს შეუთვალა, — მომხედე, თორემ ვაღიარებ, სად მიდიოდა „ატკატებიო“... მაინც რა ხდება დღეს საგარეჯოში და კონკრეტულად რა ბრალდებებს უყენებენ თინა ხიდაშელს? „საქართველო და მსოფლიოს“ „ქართული ოცნების“ წევრი ალექსანდრე მეზვრიშვილი დაუკავშირდა.**



## ალექსანდრე მეზვრიშვილი:

# «ნაცებსა» და თინა ხიდაშელს შორის რომ ფარული გარიგება არსებობდა, უდავოა!

**— საგარეჯოს გამგებელი გიორგი ლოლაძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყო მიცემული საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის პროექტების თანხის არამიზნობრივი ხარჯვის ბრალდებით, ახლაც არსებობს ეკონომიკური ხასიათის ბრალდებები მის წინაალმდეგ, რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამ ეჭვმიტანილ კაცს ასე მფარველობს თინა ხიდაშელი?**

— გიორგი ლოლაძე პასუხისგებაში უსაფუძვლოდ რომ არ იყო მიცემული, ეს ეჭვს არ იწვევს... გაინტერესებთ, რატომ მფარველობს მას თინა ხიდაშელი? — თინას „პროექტია“ და იმიტომ. დიახ, ლოლაძე ხიდაშელს რაიონის კონტროლისთვის სჭირდებოდა, თუმცა, როგორც დღევანდელმა მოვლენებმა გახადა ცნობილი, გიორგი ლოლაძე თინა ხიდაშელის შეცდომა აღმოჩნდა. ახლა ის ამას კარგად ხვდება, მაგრამ აღიარება არ უნდა, რადგან ხიდაშელს, მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, უკან დახევა არ სჩვევია, უკომპრომისოა, რაც ამ ეტაპზე არავითარი პოზიტივის მომტანი არ არის რაიონში. ვიმეორებ: **თინა ხიდაშელს უნდოდა, ჰყოლოდა საიმედო დასაყრდენი რაიონში, მისი ნების უსიტყვოდ აღმსრულებელი და რაში გამოიყენებდა ის ასეთ ბერკეტს, უკვე მისი პირადი საქმეა, ხვდებით, ალბათ...**

**— რამდენადაც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, მოდულში მყოფმა ლოლაძემ თინა ხიდაშელს დუმილის სანაცვლოდ გარანტიები მოსთხოვა. მაინც რატომ არის ხიდაშელისთვის გიორგი ლოლაძე უფრო ფასეული, ვიდრე საგარეჯოს რაიონისთვის გამოყოფილი ყველა პროექტი, პლუს კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის ექვსივე პარტიის აზრი?**

— ხიდაშელს ლოლაძემ რა შეუთვალა მოდულის შენობიდან და შეუთვალა თუ არა რამე საერთოდ, არ ვიცი და ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, თუმცა რატომ არის გიორგი ლოლაძე ხიდაშელისთვის ფასეული, უკვე მოგახსენეთ... ლოლაძის ხელით მას უნდოდა, ეკონტროლებინა რაიონისთვის გამოყოფილი პროექტების თანხები, ალბათ, რაიონის სასიკეთოდ, მაგრამ გიორგი ლოლაძე ასეთი მისიისთვის არ აღმოჩნდა მზად, რაც მასზე ცნობილი სისხლის სამართლის საქმის აღძვრამაც დაამტკიცა, სადაც, სულ ცოტა, მისი, როგორც მაღალი თანამდებობის პირის, გულგრილობა და დაუდევრობა იხატება. **საგარეჯოს „ოცნების“ ექვსივე პარტიის კოალიციის უგულებელყოფა და იგნორირება თინა ხიდაშელს სწორედაც რომ პოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდება. მარგინალიზაცია მან საკმაოდ წარმატებით მოახერხა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და აქვს მცდელობა, ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებამდეც ამ რეჟიმში მიგვიყვანოს, რაც მხოლოდ მის წისქვილზე ასხამს წყალს და არა ქვეყნის.** ამ რეალობით ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე, არათუ კოალიციის გამარჯვება, არამედ საგარეჯოელი ხალხის მხრიდან სრული ბოიკოტია მოსალოდნელი, მაგრამ კოალიცია „ქართული ოცნება“, საბედნიეროდ, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და გაბედულად გაილაშქრა თინა ხიდაშელის ფენომენის წინააღმდეგ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოვახერხებთ ჯანსაღი ძალების დაბალანსებას და საგარეჯოელ ხალხთან ერთად შევძლებთ რაიონში პროცესების ნორმალურად წარმართვას.

# «ამ რეალობით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, არათუ კოალიციის გამარჯვება, საგარეჯოელი ხალხის მხრიდან სრული ბოიკოტია მოსალოდნელი»

**— სად იყვნენ არჩევნების წინ ის ადამიანები, რომლებიც მერე ლოლაძემ თანამდებობებზე დანიშნა? როგორც ირკვევა, ისინი საარჩევნო პროცესში „ქართულ ოცნებასთან“ ერთად არ იბრძოდნენ, თორემ „ქართული ოცნების“ პარტიები ამხელა აგრესიით არ იქნებოდნენ მათ მიმართ განწყობილნი; გასაგებია, რომ საქმე გვაქვს ნეპოტიზმთან, მაგრამ ეს ნეპოტიზმი ნათესაობაზეა დაფუძნებული, ძმაბიჭობაზე თუ ფინანსებზე? დამისახელეთ ამ ადამიანების გვარები...**

(ერთი-ორი რესპუბლიკური პარტიიდანაც). **მისი მმართველობა დამყარებული იყო წმინდა წყლის ტრაიბალურ ნეპოტისტურ კურსთან, რომელმაც კატასტროფულ შედეგებამდე მიიყვანა მისი „რეჟიმი“.** ამ „რეჟიმის“ კოჰორტაში იყვნენ და არიან დღესაც ბესიკ მარტაშვილი, თეიმურაზ ჯინჯიხაძე, თენგიზ ივანელაშვილი, სოსო თედიაშვილი, მარიკა თოლომაშვილი, ცისმარი თედიაშვილი, გია მაისურაძე და ძმანი მათნი. ეს ადამიანები მაღალი თანამდებობის პირები არიან. მოდით, აღარ შეგაწყენთ თავს მათი სხვა სატელიტების არაფრისმთქმელი გვარების ჩამოთვლით.

**— 600 კაცის ხელმოწერილი წერილი მარტო საგარეჯოში კი არა, ქვეყნის მასშტაბითაც სერიოზულია. რით ხსნით ამ ფაქტს, რომ ამ წერილს იგნორირებას უკეთებს ხიდაშელი? იმით ხომ არა, რომ არსებობდა ფარული გარიგება ჯერ კიდევ არჩევნების წინ „ნაცებსა“ და ხიდაშელს შორის? და ახლა უკვე გამარჯვებული თინა ხიდაშელი „ნაცებისთვის“ მიცემულ სიტყვას ასრულებს?**

— ეს 600 ადამიანი კოალიციის (ადგილობრივი) შტაბის აქტივია, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნები 66.7%-ით მოიგო, რაც კახეთის რეგიონში შედეგით მესამეა. ყველაფერი ეს მიღწეული იქნა იმ წინასაარჩევნო სოციალური მდგომარეობის ფონზე, ასევე

— არჩევნების წინ (როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო) ლოლაძესა და მის რაზმს შტაბთან საერთო არაფერი ჰქონიათ (თუმცა ისინი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ). **ლოლაძე, როგორც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, თინა ხიდაშელის შექმნილი ლეგენდაა! გამგებლად კურთხევის შემდეგ ლოლაძემ ნათესაურ-ძმაკაცურ-მეზობლური მიდგომით დანიშნა მთელი რიგი საპასუხისმგებლო კადრები** დიდი იმედგაცრუების, ნიჰილიზმისა და მაჟორიტარის მიმართ უაღრესად აგრესიული პრეტენზიების გარემოში. იგნორს რატომ უკეთებსო, მეკითხებით! სხვა არც არაფერი აქვს სათქმელი, ერთის გარდა — კომენტარებს დაბოლმილ, თანამდებობას დახარბებულ ხალხის პრეტენზიებზე არ ვაკეთებო! ეს არის ყველაზე მარტივი გამოსავალი თინა ხიდაშელის მხრიდან, რაც ისევ პოლიტიკური პარტიების დისკრედიტაციასა და კონფლიქტის პირადულ ემოციებში გადაყვანს ემსახურება.

**„ნაცებსა“ და თინა ხიდაშელს შორის რომ არსებობდა ფარული გარიგება, უდავოა. მაგ: ის გაურიგდა საკრებულოს და 99%-იანი ხმის უპირატესობით დაამტკიცა ყველასთვის უცნობი გიორგი ლოლაძე გამგებლად! და ასევე უკან დააბრუნა და საკრებულომ აღადგინა თანამდებობაზე უკვე სახელგატეხილი და კორუფციაში ბრალდებული ეს კაცი. გარდა ამისა, მან თანამდებობაზე დატოვა რესურსცენტრის უფროსი მანანა ცუცქირიძე, რათა მისი ადგილი არ დაეკავებინა პარტია „ქართული ოცნების“ წევრს, ბიძინა ივანიშვილისთვის პატივსაცემ ადამიანს — თამარ სუხიაშვილს. თეიმურაზ ჯინჯიხაძე** („ნაციონალების“ მაჟორიტარი დეპუტატის ნდობით აღჭურვილი პირი), **რომელიც საკრებულოს მთავარი სპეციალისტი იყო, თინა ხიდაშელის მარჯვენა ხელი გახდა** (სწორედ მისი ორგანიზებული იყო ის ავადსახსენებლი კორუფციული გარიგება, რომლის დროსაც 67 ათას ლარზე მეტი დაიტაცეს და 8 ადამიანი დააკავეს, მათ შორის — გიორგი ლოლაძე). ბიუროში კოალიციის ლიდერების შეხვედრების დროს ჩემს კითხვაზე — რატომ დატოვა მან თანამდებობაზე თეიმურაზ ჯინჯიხაძე და ენდობოდა თუ არა მას, თინა ხიდაშელმა მიპასუხა: ჯინჯიხაძე, რომ მოვედი, აქ დამხვდა და მითხრა, მე იმას ვემსახურები, ვინც მთავრობაშია და თქვენც ასევე დაგემორჩილებითო! აქედან გასაგებია თინა ხიდაშელის ორმაგი სტანდარტები. მას ხელს აძლევს უპრინციპო ადამიანების თანადგომა, რომლებიც გასვრილი არიან „ნაციონალებთან“.

**— ხიდაშელმა გითხრათ, 20-კაციანი აქციით ვერ დამაშინებთო. კანონმდებლობამ და მართლმსაჯულებამ უდანაშაულოდ სცნო ლოლაძე, რისი იმედი გაქვთ დღეს? სამართლის პოვნა ჩვენში არც ისე იოლია, რა ზომებს მიიღებთ, თუ ხიდაშელი ისევ ჯიუტად დარჩება იმ პოზიციაზე, რომ, კანონის კი არა, მისი სურვილების შესაბამისად უნდა იმართებოდეს საგარეჯო?**

— თინა ხიდაშელმა იმ ცნობილ შეხვედრაზე თავისივე ბიუროში ცინიკურად განგვიცხადა: თქვენ პრობლემებს ვერ შემიქმნით, საპროტესტო აქციების გრაფიკს, თუ გინდათ, მე შეგიდგენთ, ამაში დიდი გამოცდილება მაქვსო!

დღეს რომ სამართლის პოვნა არც ისე ადვილია საქართველოში, არ ვიზიარებ. საბედნიეროდ, აღარ არის „ნაციონალური“ ფაშიზმის ხანა. ჩვენ აქციებსაც მოვაწყობთ და, რამდენ კაცსაც გვინდა და რამდენიც საქმეს დასჭირდება, იმდენს გამოვიყვანთ. რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, საქმე არ მივა უკიდურესი პროტესტის ფორმებამდე, თორემ თინა ხიდაშელიც დამარცხდება.

**— დაბოლოს, კანონი ხიდაშელისთვის არ კანონობს, „ოცნების“ გამოსვლები მას არ აღელვებს, საგარეჯოს მოსახლეობის დამოკიდებულება მისთვის სულერთია, ფინანსები მის ჭკუაზე ტრიალებს... რამდენად აიტანს საგარეჯო ასეთ „ქურდს“ თუ „ფეოდალს“ რაიონის ფაქტობრივ მმართველად?**

— ცნობილია, რომ გიორგი ლოლაძე, რომელიც ერთი თვე არც არის, რაც აღადგინეს სამსახურში, შვებულებაში გასულა, რაც, ალბათ, მორიგი სვლაა. შეიძლება თინა ხიდაშელი გამბიტის განხორციელებას აპირებს, ვნახოთ, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ჩვენ მისი შესაძლო სვლები გათვლილი გვაქვს და საჭადრაკო პარტია იმედის მომცემია. ჩვენ არ გვჭირდება არავითარი პოლიტიკური ხრიკი! ჩვენ მხარეს შიშველი სიმართლეა, რის ნაკლებობასაც განიცდის მოწინააღმდეგე.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

ვაი ქაჯუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**200 წლის წინ ერეკლე მეფის მიერ გაკეთებული არჩევანი — საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირება, ჭეშმარიტად ისტორიული აღმოჩნდა ქართველი ერისთვის, რადგანაც მისი წყალობით ჩვენ ფიზიკურად გადავრჩით, როგორც ქართველი ერი. თუკი ამჟამად ჩრდილოეთის ნაცვლად დასავლეთს ავირჩევთ, ამ არჩევანსაც მხოლოდ მაშინ შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული, თუ ისიც გაუძლებს დროის გამოცდას და პოზიტიური აღმოჩნდება საქართველოსთვის.**

# ევროკავშირის «ევროპული» წესი: ჯერ ხელი მოაწერე, შინაარსს მერე გაგაცნობ

**„დღეს არის საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის მისალოცი დღე“, „ისტორიული მოვლენა“, „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“, „ასე ახლოს არასოდეს მისულა საქართველო ევროპასთან“ და კიდევ ბევრი სხვა, ყურისთვის სასიამოვნო სიტყვა გვესმის 29 ნოემბრის შემდეგ, როცა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირება მოხდა ვილნიუსში, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტზე. ამას გვეუბნებიან როგორც ახალი, ისე ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები და იმაშიც გვარწმუნებენ, რომ დასავლეთი „ისტორიული არჩევანია“, რაც ისეთივე სიმართლეა, როგორც ცნობილი მაღალი კაცის ცნობილი ფრაზა: „თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია“.**



დასავლეთისკენ, ანუ კლასიკური (და არა თანამედროვე!) დასავლური ღირებულებებისკენ სწრაფვის, მხოლოდ სწრაფვის ისტორიულ არჩევანად მონათვლა, უბრალოდ, არასწორია. **გახდება თუ არა არჩევანი ისტორიული, ამას დრო გვიჩვენებს. 200 წლის წინ ერეკლე მეფის მიერ გაკეთებული არჩევანი – საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირება ჭეშმარიტად ისტორიული აღმოჩნდა ქართველი ერისთვის, რადგანაც მისი წყალობით ფიზიკურად გადავრჩით, როგორც ქართველი ერი. თუკი ამჟამად ჩრდილოეთის ნაცვლად დასავლეთს ავირჩევთ, ამ არჩევანსაც მხოლოდ მაშინ შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული, თუ ისიც გაუძლებს დროის გამოცდას და პოზიტიური აღმოჩნდება საქართველოსთვის.** იმ შემთხვევაში კი, თუ ჩვენ თანამედროვე დასავლური ღირებულებების გადმოღებით საკუთარ სახეს დავკარგავთ და გადაშენების პირას მისულები გადავგვარდებით კიდეც, მაშინ ამ არჩევანს ისტორიულს ვერ დავარქმევთ, ეს მკრეხელობა იქნება.

ასოცირების შეთანხმებას მივუბრუნდეთ. იმათგან განსხვავებით, ვინც ამ შეთანხმებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს უწოდებს, ბევრი ეკონომისტი და ექსპერტი აბსოლუტურად საპირისპიროს(!) ამტკიცებს, მათი აზრით, შეთანხმებაზე **„ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა“** ხელის მოწერა **დაგვღუპავს!**

ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში სიმართლე სადღაც შუაშია, თუმცა — ყოველთვის არა. ჩვენ შემთხვევაში რომ არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, ვის დავუჯეროთ? ჩვენ ხომ ბევრჯერ გაგვაცურეს უკეთესი მომავლის დაპირებებით! მე თქვენ გეტყვით და, საჯარო დისკუსიები გამართეს, რომ რაიმე გაგვეგო. უბრალოდ, **გამუდმებით გვიცხადებენ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება იქნება თუ ნატოში, ეს მთელი საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა! თუ შეედავე და ეჭვი შეიტანე ამ განცხადების სისწორეში, ან ჩრდილოეთისკენ გააპარე მზერა, სამშობლოს მოღალატის იარლიყი გარანტირებული გაქვს. ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს საქართველოში საკმაოდ არიან ადამიანები, რომლებიც არ უშინდებიან მათთვის დაუმსახურებლად მიკერებულ იარლიყებს და სათქმელ სიტყვას სინდის-ნამუსის საზომით უდგებიან მხოლოდ!**

ევროკავშირთან ასოცირება უმეტესობაში კარგ ასოციაციებს იწვევს და ამაში გასაკვირიც არაფერია, მაღალი ცხოვრების დონის და დემოკრატიის ხარისხის მქონე ევროპა რატომ უნდა იწვევდეს უსიამოვნო ასოციაციებს?! მაგრამ გრძნობებზე დაყრდნობით ხომ არ უნდა წყდებოდეს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეები! 1000-გვერდიანი შეთანხმებიდან საზოგადოებისთვის 1000 სიტყვა, ანუ 3 გვერდი მაინც არ უნდა გაეცნოთ, რომელიც კონკრეტული გათვლებით, ციფრებით დაგვარწმუნებდა საქართველოს ხელისუფლების არჩევანის სისწორეში?! კარგს და თავის მოსაწონს განა ვინ მალავს? არავინ! მაგრამ, ამ **ევროკავშირს ერთი უცნაური „ევროპული“ წესი ჰქონია თურმე – ჯერ ხელს მოგაწერინებენ დოკუმენტზე და შინაარსს მერე გაგაცნობენ!** ასეთ „წესს“ ხომ მოფიქრება უნდა, რომელი დალაგებული ადამიანი ჩათვლის ამას დემოკრატიის ნორმად?!

## ევროკავშირს ერთი უცნაური «ევროპული» წესი ჰქონია თურმე — ჯერ ხელს მოგაწერინებენ დოკუმენტზე და შინაარსს მერე გაგაცნობენ!

**ამიტომაც ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთმა შეთანხმებამ საქართველოს და მსგავს სასტარტო პირობებში მყოფ რომელიმე სახელმწიფოს ეკონომიკურ აღმასვლაში ხელი შეუწყოს.** დაჯერება-არდაჯერების გარდა, ჩემი პესიმისტური პროგნოზის ფაქტობრივ დასტურს თავად ევროკავშირში ვპოულობ, სადაც ოფიციალური სტატისტიკით დაახლოებით 20% მოსახლეობისა, ანუ ყოველი მეხუთე მცხოვრები (500 მილიონიდან 100 მილიონი!) სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება! ეჭვი არ მეპარება, ბევრი მაინც ინატრებს: ნეტამც იმათ სიღარიბის ზღვრამდე მიგვაღწევინა, ბედნიერი ვიქნებოდით, მარტო ამისთვის ღირს ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერაო. მიღწევით აუცილებლად მივაღწევთ ოდესმე, შესაძლოა, 20-25 წელიწადშიც, მაგრამ იმ დროისთვის იქ სიღარიბის განმსაზღვრელი უკვე სხვა, გაცილებით მაღალი ზღვარი იქნება. დარწმუნებული ვარ, ნაწილობრივ გაუმჯობესდება სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა, მაგრამ განათლება-მეცნიერების ხაზით საბჭოთა კავშირის დროინდელ დონესაც ვერ მივაღწევთ; **თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, მეცნიერების განვითარების უფლება, უბრალოდ, არ მოგვცემენ – ჩვენისთანა სახელმწიფოებისთვის მკაფიოდაა განსაზღვრული გასავითარებელი დარგები – მაღალ დონეზე გვექნება არა ერთ დროს მსოფლიოში სახელგანთქმული ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, მათემატიკის, ფიზიოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, გეოლოგიის და სხვა სამეცნიერო სკოლები, არამედ მომსახურების სფერო — გიდების, მთარგმნელების, მიმტანების, სასტუმროს მომსახურე პერსონალის, მძღოლებისა და სხვა მსგავსი პროფესიის ხალხის მოსამზადებელი საერთაშორისო დონის სასწავლებლები, ისეთი დონის, რომ ევროპა-ამერიკაშიც ექნება გასავალი მათ დიპლომებს!**

შევეცადოთ, განვიხილოთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებული სახელმწიფოების პოზიცია და მოსახლეობის რეაქცია როგორც მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე მოლდოვასა და უკრაინაში; ვნახოთ ამერიკა-ევროპის გამოხმაურებაც.

**სომხეთი** — ერთი პერიოდი, სომხეთმა ვითომ დააპირა კიდეც შეთანხმების პარაფირება (ჩვენი და მოლდოვის მსგავსად), მაგრამ ეს ყველასთვის ადვილად მისახვედრი სვლა იყო ხელისუფლების მხრიდან, რათა რუსეთისგან რაც შეიძლება მეტი შეღავათი მიეღო. **სომხეთში მშვენივრად მოეხსენებათ, რომ პოლიტიკურად და ეკონომიკურად რუსეთზე დამოკიდებულ სახელმწიფოს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების არავითარი შანსი არ გააჩნია. რუსეთის მხარდაჭერის გარეშე ყარაბაღი რამდენიმე დღეში დაიკარგება და რუსული გაზის გარეშე** (რუსეთის ბაზარიც რომ არ ვახსენოთ) **ცუდი დღე დაადგებათ!** ამ სვლამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაამართლა — სომხეთმა რუსეთისგან ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი სუბსიდირების გარანტია მიიღო და ყარაბაღის დაკარგვის საშიშროებაც, ამ ეტაპზე, მოიხსნა! **ევროკავშირისგან რას მიიღებდა? სავიზო რეჟიმის შემსუბუქებას ან გაუქმებას და ევროპის ბაზარზე პროდუქციის თავისუფლად შეტანის უფლებას, რაც ნამდვილად არ იქნებოდა საკმარისი კომპენსაცია,** რადგან, სანამ სომხური პროდუქცია (გნებავთ, ქართული, უკრაინული და ა. შ.) ევროპის ბაზარზე ფეხს ისე მოიკიდებს, რომ კონკურენცია გაუწიოს ევროპულს, მანამ სომხეთს (სხვასაც) პირში სული ამოძვრება, ყოველ შემთხვევაში, კარგი დღე არ დაადგება.

**აზერბაიჯანი** ნავთობგაზის წყალობით ეკონომიკურად უზრუნველყოფილი სახელმწიფოა, ანუ თითქოს — რუსეთისგანაც დამოუკიდებელი. და, ამის მიუხედავად, ისიც თავს იკავებს ასოცირების შეთანხმების პარაფირებისგან. რატომ? — მხოლოდ და მხოლოდ პრაგმატული მოსაზრებებით. **ევროპას ყოველთვის დასჭირდება მისი ნავთობ-გაზი და გასაღების პრობლემა არასდროს დაუდგება აზერბაიჯანს; მეორე მხრივ კი, რუსეთის ბაზრისა და ყარაბაღის პრობლემაც რომ არ ჩავაგდოთ სათვალავში** (არადა, არც არჩაგდება შეიძლება, იმდენად მნიშვნელოვანია ორივე!), **კეთილმეზობლური ურთიერთობა კარის მეზობელ, ნახევარი ევრაზიის მფლობელ, რესურსებით მსოფლიოს უმდიდრეს, ხასიათით კი დათვის მეტსახელის მატარებელ სახელმწიფოსთან ყველა ნორმალური ხელისუფლების პირველი საზრუნავი უნდა იყოს. ამას მტკიცება არ სჭირდება. ეს აქსიომაა!** ასეთი სახელმწიფოს ნების საწინააღმდეგოდ არც ერთი ჭკუათმყოფელი ხელისუფალი არ მიდის. ▶

## ხუხაშვილი «ნაცმოძრაობის» ბრალდებას პასუხობს

როგორც ექსპერტი აცხადებს, მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის დანაშაულზე პასუხისმგებელი ის პირები არიან, რომლებიც მის წინააღმდეგ მსგავს განცხადებებს აკეთებენ.

„ჩხატარაშვილი იყო დანაშაულებრივი სისტემის წარმომადგენელი, არჩევნების შემდეგ მასთან კომუნიკაცია მქონდა. რამდენიმე შეხვედრა გვქონდა. მაშინ კვლევას ვატარებდი, დანაშაულებრივი სისტემის ანატომიას ვსწავლობდით და ყველა ასეთი ადამიანი საინტერესო იყო. გარკვეული ინფორმაცია მისგან მივიღე, ბევრი ვერაფერი, მაგრამ რაღაც ინფორმაცია მივიღე, ეს იყო ჩვენი ურთიერთობა. ის, რომ ჩემი თანაშემწე იყო და ა.შ. ზღაპრებია, „ნაციონალური მოძრაობის“ დამახასიათებელი. მის დანაშაულზე პასუხისმგებლები ის ადამიანები არიან, რომლებიც ახლა ასე ტლიკინებენ“, — განაცხადა ხუხაშვილმა. საპარლამენტო უმცირესობის წევრის, თინა ბოკუჩავას, განცხადებით, დაკავებული დავით ჩხატარაშვილი ხუხაშვილის და ნაცვლიშვილის მფარველობის ქვეშ იყო.

მთავარი პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილე დავით ჩხატარაშვილი დღეს დააკავეს.

როგორც მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, დავით ჩხატარაშვილის დაკავება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას უკავშირდება.



# როდესაც ევროკავშირი მწვავე რეაქციას იძლევა, მაშინ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ რაღაც ინტერესები არ ამოძრავებს მას და გეგმები არ ჩაეშალა, რატომ მოუწოდებს სხვა სახელმწიფოს ხალხს მასობრივი საპროტესტო გამოსვლებისკენ, რატომ ხვდება დემონსტრატიულად გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გიდო ვესტერველე ოპოზიციის ლიდერებს და რატომ მიდის იგი პროტესტანტებთან მიტინგზე კიევში?

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოლდოვაზე** იგივე უნდა ითქვას, რაც **საქართველოზე**, რადგანაც თითქმის მსგავსნი ვართ სიდიდით, მოსახლეობის რაოდენობით, პრობლემებით, ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობით და იმ გადაწყვეტილებითაც, რომელიც ვილნიუსში ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერაში გამოიხატა.

ახლა **უკრაინაზე** — დაწვრილებით, რადგან იგი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც პარაფირების ეტაპი გავლილი ჰქონდა და ვილნიუსში უკვე ხელმოწერით უნდა დაედასტურებინა თავისი არჩევანი, მაგრამ სამიტამდე ერთი კვირით ადრე ევროკავშირთან ინტეგრირება გადაიფიქრა.

მიუხედავად იანუკოვიჩის განცხადებისა, რომ უკრაინა მაშინ წამოიწყებს ლაპარაკს ევროკავშირთან შეთანხმების თაობაზე, **„როცა ის ჩვენს ინტერესებს უპასუხებს“,** დასავლეთი უკრაინის ამ გადაწყვეტილებას რუსეთის მხრიდან განხორციელებული ზეწოლით ხსნის. იყო რაიმე ზეწოლა რუსეთისგან? რა თქმა უნდა, იყო! მაგრამ ისიც უდავოა, რომ ეს ზეწოლა არ ყოფილა ფარული და გამოიხატებოდა პუტინის მიერ ღიად გაცხადებულ გაფრთხილებაში (არამხოლოდ უკრაინის!): **კარგად დაფიქრდით, თუ რა სარგებელს მიიღებთ ევროკავშირთან ასოცირების და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, და რას დაკარგავთ ეკონომიკურად და პოლიტიკურადაც რუსეთის მხრიდან მიღებული საპასუხო კონტრზომების შედეგად.** პუტინიც რომ არ აფრთხილებდეს მის მეზობელ, მასთან პოლიტიკურ-ეკონომიკურად დაკავშირებულ სახელმწიფოებს ამის თაობაზე, ყოველი ასეთი სახელმწიფოს ხელისუფლება ვალდებულია(!), თავისით აკეთებდეს გაანგარიშებებს მოსალოდნელ შედეგებზე და მოსახლეობას უხსნიდეს მსგავსი ხელშეკრულებების მიზანშეწონილობას. ამის თაობაზე ევროკავშირ-რუსეთის თანამშრომლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ევროპარლამენტში — ვერნერ შულცმა Der Standart-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ასე განაცხადა: **„აუცილებელია ევროკავშირმა კიდევ უფრო უკეთესად, ვიდრე ადრე, განმარტოს ევროპა-უკრაინის პარტნიორობის ყველა უპირატესობა“.** ეს სიტყვები ხომ საქართველოსაც ზუსტად ისევე ეხება, როგორც უკრაინას. **ჩვენ კი, განმარტების ნაცვლად, მხოლოდ არაფრისმთქმელი, ბრტყელ-ბრტყელი დამაიმედებელი ფრაზებით გველაპარაკებიან და სავარაუდო პროგნოზს იმ სავალალო შედეგებზე, რომლებიც ამ შეთანხმების ხელმოწერას შეიძლება მოჰყვეს მომავალში, არავინ აკეთებს!**

ვინაიდან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე საბოლოო ხელმოწერა საქართველოსთვის 2014 წლის სექტემბრისთვისაა დაგეგმილი, პუტინიც, ანუ რუსეთი განსაკუთრებულ „ყურადღებას“ მაგ დროისთვის დაგვითმობს, მოცლით კი, ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ მოიცლის (მოლდოვასთვისაც). **საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება იმის თაობაზე, რომ „რუსეთს აღარ აქვს საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტები, მან ზეწოლის ყველა რესურსი ამოწურა“, ჩვენი მთავარი დიპლომატის პროფესიონალურ ნაკლზე უფრო მეტყველებს, ვიდრე მოსახლეობის დამშვიდების მცდელობაზე!**

აქვე ვიტყვი, რომ უკრაინის სცენარის მსგავსი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად დღევანდელი ხელისუფლება, ანუ „ქოცები“, „ნაცები“ და, რაღა თქმა უნდა, ამერიკის ელჩი, ყველა ღონეს იხმარენ, რათა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ან საერთოდ არ დაინიშნოს, ანდა მხოლოდ სექტემბრის შემდეგ, „შეთანხმებაზე“ ხელმოწერის შემდეგ ჩატარდეს! მიუხედავად იმისა, რომ იმავე ვერნერ შულცის მიხედვით: **„უკრაინისთვის** (საქართველოსთვისაც — ი. ლ.) **საუკეთესო ვარიანტი რეფერენდუმის ჩატარებაა ევროინტეგრაციის თაობაზე“,** დარწმუნებული ვარ, რეფერენდუმს არავინ ჩაატარებს ჩვენთან!




**რა ეკონომიკურ დასჯასაც რუსეთი უპირებდა უკრაინას, ანალოგიურს მოიფიქრებს მოლდოვისა და საქართველოსთვისაც (ჩვენ შემთხვევაში — უფრო პოლიტიკურს, ვიდრე ეკონომიკურს); ხოლო რაც შეეხება იმას, თუ როდის მივიღებთ სარგებელს შეთანხმებაზე ხელმოწერით, ამის დრო როდის დადგება, ევროპა მიახლოებით პასუხსაც ვერ იძლევა!**

უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებით განაწყენებული, პროდასავლურად განწყობილი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები ნოემბრის ბოლო კვირაში დაიწყო და მომიტინგეთა რაოდენობა მთელი კვირის განმავლობაში, სხვადასხვა მონაცემებით, 3-დან 15 ათასამდე მერყეობდა (3-მილიონიან კიევში!). ათი და ასი ათასობით პროტესტანტი ქუჩაში მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდა, რაც პოლიცია ზედმეტად მკაცრად გაუსწორდა მანიფესტანტებს (**არც დაშავებულთა რაოდენობით, არც დაშავების სიმძიმით კიევის მოვლენები ახლოსაც ვერ მოვა თბილისში 2011 წლის 26 მაისის სისხლიან ღამესთან. კიევში ლამის თანაბრად დაზარალდნენ მომიტინგეები და პოლიციელები, თბილისში კი – მხოლოდ მომიტინგეები, თანაც ასობით; თბილისში არავინ აპირებდა სადმე შევარდნას, კიევში კი მერიის შენობაც დაიკავეს, პროფკავშირებისაც და მთავრობის სახლის შტურმით აღებაც სცადეს!**).

საპროტესტო გამოსვლებში არაფერია მიუღებელი ან უცნაური, გასაოცარი მხოლოდ ამერიკა-ევროპის პოზიცია გამოდგა. თუკი რომელიმე სახელმწიფო მომგებიან შეთანხმებაზე ხელმოწერას გადაიფიქრებს და ამით საკუთარ თავს მტრობს, შეიძლება სინანული გამოთქვა და გადარწმუნებასაც შეეცადო. ეს აბსოლუტურად სწორი და მისაღები ფორმა იქნება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, მაგრამ, როდესაც ევროკავშირი მწვავე რეაქციას იძლევა, მაშინ ბუნებრივი კითხვა ჩნდება: **თუ რაღაც ინტერესები არ ამოძრავებს მას და გეგმები არ ჩაეშალა, რატომ მოუწოდებს სხვა სახელმწიფოს ხალხს მასობრივი საპროტესტო გამოსვლებისკენ, რატომ ხვდება დემონსტრატიულად გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გიდო ვესტერველე ოპოზიციის ლიდერებს და რატომ მიდის იგი პროტესტანტებთან მიტინგზე კიევში?!** (არაევროკავშირის წევრი საქართველოდან კიევში ჩასული „ნაცების“ დელეგაციის, ვიცესპიკერ გია ბარამიძის თავკაცობით, პარლამენტის წევრების მიტინგზე გამოსვლასთან დაკავშირებით აღარაფერს ვლაპარაკობ!). **ეს რომელი დემოკრატიის და სხვის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკის ჩარჩოებში ჯდება, მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის შემუშავებულ ჩარჩოებში?!**

კიდევ უფრო მოულოდნელია ამერიკის (აშშ) პოზიცია. თითქოსდა, რა შუაშია ამერიკა, რაში უნდა ანაღვლებდეს ან ეკითხებოდეს, 28 სახელმწიფოს გაერთიანებასთან ვინ რა შეთანხმებას მოაწერს თუ არ მოაწერს ხელს; **სად გაგონილა, უკრაინის ხელმოუწერლობით განაწყენებული ამერიკა სანქციებს უწესებდეს ამ სახელმწიფოს, რომელსაც მის წინაშე იოტისოდენა დანაშაული არ მიუძღვის?!** იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა არ გადაიფიქრებს და ხელს არ მოაწერს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, ამერიკის ადმინისტრაცია აპირებს, განიხილოს, ერთის მხრივ, იანუკოვიჩისთვის და მისი მინისტრთა კაბინეტის წევრებისთვის ამერიკაში და ევროკავშირის(!) ქვეყნებში შესვლის აკრძალვის და, მეორე მხრივ, უკრაინის ხელისუფლებასთან დაკავშირებული კომპანიების საბანკო ანგარიშების გაყინვის საკითხი! **აი, ეს არის წმინდა წყლის შანტაჟი და საშინაო საქმეებში ჩარევა! ასეთ ულტიმატუმს უყენებენ, ასეთი შანტაჟის ენით ელაპარაკებიან 50-მილიონიან სახელმწიფოს, რომელსაც გვერდით დამცველად მოძმე რუსეთი უდგას და... ხელს მაინც რუსეთისკენ იშვერენ, მის ზეწოლაზე ლაპარაკობენ!**

ევროპის მსგავსად, ამერიკის კიდევ უფრო არაადეკვატური რეაქცია ნებისმიერ ადამიანში ეჭვებს აღძრავს, რადგანაც ანალოგიურ შემთხვევებში, კეთილმოსურნე მხარე, ჩვეულებრივ, წყნარად აცხადებს: თუ ამჟამად ვერ გადაგიწყვეტიათ ხელმოწერა, არ ხართ დარწმუნებული თქვენი ნაბიჯის სისწორეში, ჩვენ არ გაჩქარებთ, კიდევ დაგვაკვირდით და, როდესაც დარწმუნდებით, რომ ჩვენთან ინტეგრაცია სასიკეთოდ წაადგება თქვენს ხალხს, თქვენც მაშინ შემოგვიერთდით! მაგრამ როდესაც ამის ნაცვლად სანქციებით იმუქრებიან?! ე.ი. მთლად ისე არ უნდა იყოს საქმე, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობენ ვარდისფერ ფერებში!

ამ რეაქციის მიზეზისა და უკრაინის გადაწყვეტილების მართებულობის ახსნას Independent-ის მიმომხილველის, ტომ პეკის, წერილში ვპოულობთ: **„ევროკავშირის ერთიანი ბაზრის გაფართოება თეორიულად კარგია ბრიტანული ბიზნესისთვის“.** და კიდევ: **„ევროკავშირთან ასოციაციის და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ხელმოწერას მკაცრი ეკონომიკური დასჯა მოჰყვებოდა რუსეთის მხრიდან, ევროპას კი, ამ დროს, მხოლოდ შორეულ პერსპექტივაში შეუძლია რაღაც გარკვეული უპირატესობების შეთავაზება“.**

ინგლისელი (და არა ქართველი ან რუსი!) მიმომხილველის ამ ორ წინადადებაში, პრინციპში, ყველაფერია ნათქვამი, თანაც, სავსებით გასაგებად – ის, რაც კარგია ბრიტანული ბიზნესისთვის, კარგი იქნება გერმანული და სხვათა ბიზნესისთვისაც; **რა ეკონომიკურ დასჯასაც რუსეთი უპირებდა უკრაინას, ანალოგიურს მოიფიქრებს მოლდოვისა და საქართველოსთვისაც** (ჩვენ შემთხვევაში უფრო პოლიტიკურს, ვიდრე ეკონომიკურს); **ხოლო რაც შეეხება იმას, თუ როდის მივიღებთ სარგებელს შეთანხმებაზე ხელმოწერით, ამის დრო როდის დადგება, ევროპა მიახლოებით პასუხსაც ვერ იძლევა!** აბა, ამის შემდეგ რომელი წინდახედული ხელისუფალი გარისკავს და „გაზაფხულის იონჯას“ გამოეკიდება, როცა გაზაფხულამდე შეიძლება ვერც კი მიაღწიოს და როცა არავინ უწყის, ნანატრი გაზაფხული როდის დადგება! და დადგება თუ არა, საერთოდ!

**ამერიკა ევროკავშირის ხელით ცდილობს რუსეთის გავლენის სფეროების შეზღუდვას — უკრაინის, მოლდოვის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და შემდეგ შუა აზიის ქვეყნების რუსეთისგან ჩამოშორებას, რუსეთის დასუსტებას და არა — საქართველოს ან სხვების გაძლიერებას!** სწორედაც, **ამ დასახული მიზნისკენ სავალ გზაზე განცდილი წარუმატებლობა (განსაკუთრებით უკრაინაში და ნაწილობრივ სომხეთსა და აზერბაიჯანში) არის მათი გაწიწმატების მიზეზი.**

**იაკობ ლეჟავა**

**ამერიკა ევროკავშირის ხელით ცდილობს რუსეთის გავლენის სფეროების შეზღუდვას — უკრაინის, მოლდოვის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და შემდეგ შუა აზიის ქვეყნების რუსეთისგან ჩამოშორებას, რუსეთის დასუსტებას და არა — საქართველოს ან სხვების გაძლიერებას!**

**P.S. ორი დღის წინ ახალი სასიხარულო ამბავი გვამცნო საგარეო საქმეთა მინისტრმა — შესაძლოა, დაგეგმილზე ადრე, გაზაფხულზე მოგვაწერინონ შეთანხმებაზე ხელი! ჩქარობს ევროკავშირი ჩვენს დახმარებას, ძალიან ჩქარობს!**

## პარლამენტის შენობასთან ხუდონჰესის მშენებლობის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა

**თბილისში, პარლამენტის შენობასთან ხუდონჰესის მშენებლობის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა. აქცია „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფმა“ გამართა.** როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ლაშა ჩხარტიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფი“ მიმართავს საქართველოს პრემიერმინისტრს, არ დაუშვას ხუდონჰესის მშენებლობა.

„დღეს აქ ჩვენ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ გავაპროტესტოთ მთავრობის გეგმა, აშენდეს ხუდონჰესი. არადა, მთავრობის დაპირება იყო, რომ საქართველოში დიდი კაშხლები და ჰესები არ აშენდებოდა. ხუდონჰესის მშენებლობით იკარგება სვანეთის უნიკალური ტერიტორია, ასევე იკარგება კულტურული მემკვიდრეობის ის ძეგლები, რომლებიც იუნესკოს სიაშია შეტანილი. გარდა ამისა, ხალხს ართმევენ საკუთარ სახლ-კარს“, — განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა. მისივე თქმით, ასევე აუცილებელია და მათი მოთხოვნაა, აღნიშნულ საკითხზე რეფერენდუმი ჩატარდეს.

აღნიშნული აქციის მიმდინარეობის დროს პარლამენტთან მცირე შელაპარაკებაც მოხდა. ხუდონჰესის მშენებლობის საწინაამღდეგო აქციის პარალელურად, პარლამენტთან შეიკრიბნენ უკრაინის მხარდამჭერი აქციის მონაწილეები, რომლებსაც ასევე 14:00 საათზე ჰქონდათ აქცია დაანონსებული. კონფლიქტი მალევე ამოიწურა. უკრაინის მხარდამჭერი აქციის მონაწილეებმა კი განაცხადეს, რომ ისინი დამოუკიდებლად მართავენ აქციას და ის აგრესია, რომელიც მათ მიმართ იყო, გაუგებარია.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბალტიის ქვეყნების სპეცსამსახურების წინაშე სტრატეგიული ამოცანები დგას: ძირი გამოუთხარონ რუსეთის გეოპოლიტიკურ გავლენას ბალტიისპირეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, გააძლიერონ ევროკავშირის გავლენა რეგიონში, სპეციალური ოპერაციების განხორციელებით განახორციელონ პოსტსაბჭოთა სივრცის დეზინტეგრაცია იმ პროექტის მიხედვით, რომლის სახელწოდებაა „აღმოსავლეთის პარტნიორობა“.**

# რა ყულფში გავყავით თავი

დღეს ვაქვეყნებთ უცხოურ ელექტრონულ პრესაში, უფრო ზუსტად, ინტერნეტქსელში გამოქვეყნებულ ორ წერილს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში — ლიტვაში, პოლონეთში და სხვაგან არსებული სიტუაციის შესახებ, რომლის საქართველოში ჩამოყალიბების პერსპექტივა ვილნიუსში გაფორმებული პარაფირების შემდეგ გარდუვალად ისახება: მობრძანდით ედემის ბაღში!
როგორია ეს არამიწიერი სამოთხე, წაიკითხეთ და თავად განსაჯეთ.

## ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ლიტვაში განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობს

**დოკუმენტურ ფილმს „აგენტი გამოძახებით“, რომელიც ლიტვის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის მუშაობის მეთოდებს ამხელს, საფუძვლად უდევს დაშინებითა და შანტაჟით გადაბირებული კალინინგრადელი ქალბატონის „ირინას“ აღსარება.**

თავიდან „ირინას“ გამოყენებას რუსეთის იმ ეკსკლავის ტერიტორიაზე აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ გეგმები შეიცვალა. კურატორებმა „ირინა“ ლიტველი პოლიტიკოსების, მეწარმეების, ჟურნალისტებისა და დიპლომატიური კორპუსის წევრების წინააღმდეგ მაკომპრომენტირებელი მასალების შეგროვებაზე გადართეს. **მის კურატორთა შორის იყვნენ ლიტვის ყოფილი კონსული კალინინგრადში — მინდაუგას იაცკევიჩუსი და რენატას პიატკუსი, რომელიც დღეს სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის კონტრდაზვერვას ხელმძღვანელობს. ორივე მათგანი პარალელურ ხელფასებს იღებს აშშ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში.**

მას შემდეგ, რაც ლიტვამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, წლები გავიდა და ვაშინგტონს არასოდეს ეჭვი არ შეჰპარვია ამ ქვეყნის პოლიტიკური ელიტის „იდეოლოგიურ სანდოობაში“... მაგრამ, გამორიცხული არ არის, რომ ვიღაცა საიდუმლოდ ეხმარება მოსკოვს, ან „ბელარუსის დიქტატორ“ ლუკაშენკოს... **ლიტველი პოლიტიკოსებისა და სამხედროების წინააღმდეგ აღნიშნული დეპარტამენტის აგენტურის მიერ შეგროვებულ მაკომპრომენტირებელ მასალებს, ამერიკელები უმეტესად ლიტვის ხელმძღვანელ წრეებზე ზემოქმედებისთვის იყენებენ.** „ირინამ“ ილაპარაკა იმაზე, როგორ ავალებდნენ მას, შეექმნა მაკომპრომენტირებელი სიტუაციები ყოფილი პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების, აგრეთვე, მოქმედი პრეზიდენტის გრიბაუსკაიტეს, პერსპექტიული პოლიტიკოსებისა და სამხედრო მოღვაწეების წინააღმდეგ. ყველაფერი საგულდაგულოდ ფიქსირდებოდა, მრავლდებოდა და გადაეცემოდა ამერიკელებს.

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ლიტვაში განუსაზღვრელი გაბატონების შესახებ პირველად ალაპარაკდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე საიდუმლო საპატიმროების სკანდალური მხილების შემდეგ. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალური ავიარეისებით 2002-2006 წლებში ლიტვაში ჩაჰყავდათ ალ-ყაიდასთან კავშირში შემჩნეული პირები. მათ აწამებდნენ, და წამებაში მონაწილეობდნენ აშშ და ლიტვის სპეცსამსახურების თანამშრომლები. ეს ციხეები დახურეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასალები მასმედიაში გამოქვეყნდა, პატიმრები კი გუანტანამოს აშშ-ს ბაზაზე გადაიყვანეს.**

**ლიტვის ხელისუფლება საბოტირებს AMNESTY INTERNATIONAL-ის სიმართლის დასადგენად წარმართულ ძალისხმევას, რასაც სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის აუცილებლობით ამართლებს.** ლიტვის გენერალურმა პროკურორმა ციხეების საქმე 2011 წლის იანვარში დახურა. სწორედ ამას ცდილობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტურა ვილნიუსში: არ დაეშვა კონკრეტული ფაქტების, სახელების, განსაკუთრებით, ამერიკის იმ აგენტების ვინაობის გაჟონვა, რომლებიც ოპერაციაში იყვნენ ჩართული.

**1990 წლიდან ამერიკელებმა დაიქვემდებარეს ლიტვაში დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ფორმირების პროცესი.**

**მომზადების ამერიკული ცენტრები გაიარა ფაქტობრივად ყველა ამერიკელმა ოპერატიულმა თანამშრომელმა.** შესაბამის ტრენინგს დაექვემდებარნენ სამხედრო დაზვერვის, ნარკოტრაფიკთან ბრძოლის და სხვა ძალოვანი სტრუქტურების მუშაკები. **ლიტველი პარტნიორების გამოყენება სარისკო ოპერაციებში, განსაკუთრებით, რუსეთისა და ბელარუსის ტერიტორიებზე აშშ სპეცსამსახურებისთვის ჩვეულებრივ საქმედ იქცა.**

კალინინგრადის ოლქში ლიტველი აგენტების გამოაშკარავება ყოველთვის წარმოაჩენდა მათ ოპერატიულ დამოკიდებულებას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კურატორებთან. **დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის ლოზუნგების საფარქვეშ ათობით არასამთავრობო ორ-**



## 1990 წლიდან ამერიკელებმა დაიქვემდებარეს ლიტვაში დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ფორმირების პროცესი

**განიზაცია, რომლებსაც ლიტვიდან ხელმძღვანელობენ, ბელარუსში სიტუაციის დესტაბილიზაციისთვის იღვწის. დღეს ლიტვაში ბაზირებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი რეზიდენტურა.** მისი მთავარი მისამართია — ვილნიუსი, აშშ საელჩო, აკმენუს ქუჩა, №6.

კალილინგრადის ოლქში ყოველთვის წაახალისებდნენ სეპარატისტულ ტენდენციებს, აფინანსებდნენ ზოგიერთ ადგილობრივ პოლიტიკოსს, რომლებიც „ავტონომიის მიღებაზე“ იყვნენ ორიენტირებულები. ამჟამად ისინი მიჩუმდნენ, თავიანთი საათის დადგომას ელიან. „ავტონომისტები“ იშვიათად თუ წამოჰყოფენ თავს გარეგნულად უწყინარი დისკუსიების მოწყობით კალინინგრადისთვის სახელის გადარქმევის თემაზე. საზოგადოებრიობას ერთსა და იმავე ვარიანტებს სთავაზობენ: კენისბერგი, კრულევეცი, კარლოიავიჩუსი. **2003 წელს გაუქმებული ბალტიის რესპუბლიკური პარტიის ყოფილი ლიდერი, მეწარმე სერგეი პასკო გულახდილად აცხადებს, რომ ისტორიული სახელის დაბრუნების გარეშე ევროპაში ვერ ვიცხოვრებთო...**

**ამ პარტიის მომხრენი მიესალმებიან კიევის „ევრომაიდანს“, როგორც თვითონ აცხადებენ, საკუთარ თავს ევროპელებად მიიჩნევენ და აქვთ საკუთარი ღირსების გრძნობა: „პრუსიელი რეგიონალისტები (!) სოლიდარულნი არიან ყველა იმ უკრაინელისადმი, ვისაც... საქმე არა აქვს კრემლის წნეხთან“.**

დაზვერვის შესახებ ლიტვის ახალი კანონი იქმნებოდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ჩრდილოვანი მონაწილეობით. მაგრამ ქვეყნის ოფიციალური ორგანოები ამაზე კრინტს არ ძრავენ. ისინი მხოლოდ აქებადიდებენ ამ დოკუმენტს. საინტერესოა, რომ **ამ კანონის მიხედვით, ლეგალურად მოქმედებენ სახელმწიფო უშიშროების ადგილობრივი სამსახურების მხოლოდ ხელმძღვანელები. რიგითი თანამშრომლები კომერციული და სხვა სტრუქტურების საფარქვეშ მუშაობენ (!).**

**2012 წლის ოქტომბერში ლიტვის სეიმმა მიიღო კანონი, რომელიც სპეცსამსახურებს ნებას რთავს სასამართლოს სანქციის გარეშე უთვალთვალონ ნებისმიერ ადამიანს სამი დღის განმავლობაში.** კრიმინალური დაზვერვის კანონი დასაშვებად მიიჩნევს თვალთვალის დროს აგენტურის გამოყენებას, ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, როგორიცაა საიდუმლო ოპერაციები, ჩხრეკა, მიყურადება, ჩასაფრება და ა.შ. ლიტვის ოპოზიციონერი დეპუტატები მიიჩნევენ, რომ კანონი დაზვერვის შესახებ არ იძლევა ადამიანების დაცულობის გარანტიას და გამორიცხული არ არის მისი ბოროტად, თუნდაც პოლიტიკური მიზნებისთვის, გამოყენება.

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის დაცვას ლიტვაში უზრუნველყოფს აშშ ელჩი დებორა მაკარტი. ამ ქალბატონის კარიერაში არის საკმაოდ ეგზოტიკური დანიშვნები, რაც საეჭვოს ხდის მის მხოლოდ სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლის საკითხს.** იგი იყო ნარკოტიკებთან და ტერორიზმთან ბრძოლის მთავარი კონსულტანტი. მისი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი გასაიდუმლოებულია. 2006-დან 2008 წლამდე მაკარტი „სპეციალური კოორდინატორი“ იყო ვენესუელის პრობლემატიკის საკითხებში, ანუ შეხება ჰქონდა ამ ქვეყნის სადაზვერვო ინფორმაციასთან. 2008-10 წლებში მეორე პირი იყო აშშ საბერძნეთის საელჩოში. იმ პერიოდში ქვეყანაში მკვეთრად გამწვავდა სიტუაცია საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გამო და სერიოზული საფრთხე შეექმნა ამერიკულ დაწესებულებებს.

ლიტვის აშშ საელჩოში სადაზვერვო სამუშაოს ხელმძღვანელობენ დებორა მაკარტის მოადგილე **რობერტ სილბერშტეინი** და პოლიტიკური განყოფილების გამგე **ჯოზეფ ჰამილტონი.**

ლიტვაში სამსახურის პირობები, შეიძლებოდა კომფორტულიც კი ყოფილიყო, რომ არა ადგილობრივი „მაგარი ბიჭების“ გაფაფხურების შემთხვევები, რომლებსაც შეზარხოშების შემთხვევაში გაეღვიძებათ პატრიოტული გრძნობები და „ნატოს ხაზით“ ჩამოსულ ამერიკელებს უჩვენებენ, ვინ არის ლიტვის ნამდვილი პატრონი. მატულობს ოპერატიული დატვირთვაც.

**ბალტიის ქვეყნების სპეცსამსახურების წინაშე სტრატეგიული ამოცანები დგას: ძირი გამოუთხარონ რუსეთის გეოპოლიტიკურ გავლენას ბალტიისპირეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, გააძლიერონ ევროკავშირის გავლენა რეგიონში, სპეციალური ოპერაციების განხორციელებით განახორციელონ პოსტსაბჭოთა სივრცის დეზინტეგრაცია იმ პროექტის მიხედვით, რომლის სახელწოდებაა „აღმოსავლეთის პარტნიორობა“.**

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტურა ლიტვაში ამჟამად დაკავებულია უკრაინაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა წარგზავნით საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მისაღებად და რეზონანსული გამოსვლების ორგანიზებით, რომლებიც „უკრაინის საშინაო საქმეებში რუსეთის ჩარევის“ წინააღმდეგ იქნება მიმართული, აქტიურად მუშაობენ „რუსული პროპაგანდის“ ნეიტრალიზაციისთვის. ამით აიხსნება ნტვ-ს არხის გათიშვა ბალტიის ქვეყნებისთვის დოკუმენტური ფილმის „აგენტი გამოძახებით“ ტრანსლირების დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე.

**ნილ ნიკანდროვი**
www.fondsk.ru

**P.S. საქართველოს „თავისუფალი მოქალაქენი“, ნაცმოძრაობის „ცნობადი“ სახეები, რომლებიც საქართველოში თავიანთი აქციების ჩასატარებლად ხალხს ვერ აგროვებენ, წეროების მწკრივად მოეწყვნენ, მეთაური წინ ჩაიყენეს და კიევში ჩაფრინდნენ. აბა, ამათთან აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს რა ხელი აქვს?!**

**გლობალური გულაგის შექმნა არც შარშან, არც ათი წლის წინათ არ დაწყებულა. ბანაკები, რომლებიც ამ სისტემის შემადგენელი ნაწილია, არც ჰიტლერს გამოუგონებია, არც ლენინსა და ტროცკის. საბჭოთა გულაგი დასავლეთის გამოცდილების მხოლოდ გადმოღება იყო. პირველი ნამდვილი საკონცენტრაციო ბანაკი შექმნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ ჩრდილოეთისა და სამხრეთის სამოქალაქო ომის დროს (1861-1865 წლებში). ასეთი ბანაკი სამხრეთელებმა გამართეს ანდრესნოვილის პატარა დასახლებაში.**

ცნობისათვის
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გლობალური «გულაგის» აღმოსავლეთევროპული «კუნძულები»

**ის, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის სპეცბანაკები არსებობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, პოლონეთში, რუმინეთში, ლიტვაში, უკრაინაში, ბულგარეთში, კოსოვო-ალბანეთის რეჟიმის კონტროლს დამორჩილებულ მაკედონიაში, ერთ-ერთმა პირველმა შვეიცარიის მასმედიამ განაცხადა.**




2005 წლის დეკემბერში პოლონურმა **Gazeta Wyborcza**-მ დაადასტურა, **პოლონეთში ფუნქციონირებს „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მთავარი ევროპული საიდუმლო საპყრობილე“.** მაშინ მიჩუმათებული სკანდალი ამ დღეებში გაგრძელდა. სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოში დაიწყო სარჩელის განხილვა, რომელიც შეიტანა გუანტანამოს ამერიკული ციხის ორმა პალესტინელმა პატიმარმა **ალ-ნასირმა** და **აბუ ზუბეიდმა.** ეს ორი კაცი ჩივის, რომ **აშშ-ის სპეცსამსახურებს ისინი სწორედ პოლონეთის სამხედრო ციხეში ჰყავდათ დატყვევებული.**

იურისტები რამდენიმე თვის განმავლობაში მოითხოვდნენ პრესისთვის დახურულად გამოეცხადებინათ სასამართლო სხდომები. მაგრამ გამოძიების შედეგები, გატაცებისა და წამების დეტალები მაინც გასაჯაროვდა. გაირკვა, რომ **პოლონელები აქტიურად უწყობდნენ ხელს იმას, რასაც ცსს ენაზე ეწოდება „დაკითხვის ჩატარების გაფართოებული ტექნიკა“ და გულისხმობს დახვეწილ წამებასა და ადამიანური ღირსების გათელვას, რაც გამოიხატება ადამიანის ორგანიზმის გაუწყლოებაში, გადამეტცივებაში, „შეთბობაში“ სიკვდილის მუქარით, როცა ადამიანს კეფაზე პისტოლეტის ლულას მიადებენ, ან ბურღს ჩართავენ.** სწორედ ასე დაჰკითხავდნენ პატიმრებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ციხეში, რომელიც მდებარეობდა სოფელ **სტარი კეიკუტში**, ვარშავიდან 170 კილომეტრის დაცილებით.

**ევროსაბჭომ რუმინეთს ბრალი დასდო საიდუმლო ციხეების შექმნაში ჯერ კიდევ 2007 წელს** (თუმცა ისინი აქ, სულ ცოტა, ოთხი წლით ადრე გაჩნდა). **ლიტვაში სპეცციხეები, რომლებიც ვილნიუსიდან 20-40 კილომეტრითაა დაშორებული, 2002 წლიდან ამოქმედდა, ხოლო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და სახელმწიფო უშიშროების ადგილობრივი დეპარტამენტის ერთობლივმა ოპერაციამ, რომელიც წამების სესიის სახით ავღანეთიდან ჩამოყვანილ „ცოცხალ მასალაზე“ ჩატარდა, მიიღო „ქარვის მოგერიების“ სახელწოდება.**

რად სჭირდებათ ამერიკელებს პატიმართა ღირსების ფეხქვეშ გათელვა მთელ მსოფლიოს მოდებულ სპეცციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში?

დღეს კარგადაა ცნობილი ამერიკელთა ასეთი „ხელგაშლილობა“. განსაცვიფრებელია გლობალური გულაგის გეოგრაფია. **ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიული კომისიის წარმომადგენლის დიკ მარტის განცხადებით, ის, რასაც ამერიკელები ჩადიან ტუსაღი მუსლიმების წინააღმდეგ, სამარცხვინოა. ევროპული „კუნძულების“ გარდა, ამერიკელების მიერ შექმნილი გლობალური გულაგის ციხეებში, რომლებიც განლაგებულია ავღანეთში** (არანაკლებ ცხრისა), **პაკისტანში, კუნძულ დიეგო გარსიაზე ინდოეთის ოკეანეში, იორდანიაში, ერაყში** (არანაკლებ ცამეტისა), **სირიაში, კუბაში, აზერბაიჯანში, ყატარში, საუდის არაბეთში, ტაილანდში და სხვა ქვეყნებში, იანკებს არავისი ერიდებათ, არავისი რცხვენიათ, რადგან, მათი აზრით, ისინი მოფარებულია ცივილიზებული მსოფლიოს თვალს, და ამიტომ ჩადიან რაც სურთ და როგორც სურთ, ყველაფერს.** ამ ჩამონათვალის გარდა, **საკონცენტრაციო ბანაკები ფუნქციონირებს აშშ სამხედრო ბაზებზე და სამხედრო ხომალდებზე (!) კი.**

The Washington Post-ის მონაცემებით, პატიმარი მუსლიმების წამება სპეცსამსახურების მიერ დამუშავებული განსაკუთრებული მეთოდიკის ნაწილი იმთავითვე იყო. **დაპატიმრებულთა ნებისყოფა რომ გაეტეხათ, მათ აშიშვლებდნენ, რაც ისლამის მიმდევართათვის უდიდესი შეურაცხყოფაა და მათ ფსიქიკაზე საშინელ ზეგავლენას ახდენს.** ადვოკატები, რომლებიც წამების მონაწილე აშშ სამხედრო ძალების მოსამსახურეებს იცავდნენ, აცხადებდნენ, რომ ისინი ამას სადიზმის გამო კი არ ჩადიოდნენ, არამედ ზემდგომთა ბრძანებას ასრულებდნენ.

აშშ სამხედრო დაზვერვის სპეციალისტები ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში შეუდგნენ ფუნდამენტალიზმის მიმდევართა რეაქციის შესწავლას კრიტიკულ სტიმულებზე. მიზანი — ადამიანების რეფლექსური მართვის აპრობირებული ტექნოლოგიების შექმნა. **მსგავსი კვლევებით თავის დროზე დაკავებულები იყვნენ ჰენრის გიმლერის სპეციალისტები ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში, რომლებიც ნიუნბერგის ტრიბუნალმა სამხედრო დამნაშავეებად აღიარა.** ეს, ასე ვთქვათ, მეცნიერული მიღწევა გამოიყენეს „არაბული გაზაფხულის“, ლიბიის, სირიის წინააღმდეგ აგრესიის დროს და სხვა შემთხვევებშიც.

**ანდრესნოვილის ბანაკში, პატიმრებს აწამებდნენ არა იმიტომ, რომ სამხედრო ცნობები მიეღოთ, არამედ სადისტური მოთხოვნილებების და «სამეცნიერო ინტერესების» დასაკმაყოფილებლად**

**გლობალური გულაგის საკონცენტრიო ბანაკების, ციხეებისა და სპეციზოლატორების უმრავლესობაში მოთავსებულ პატიმრებს არავინ აღრიცხავდა, ამიტომ ციხეების თანამშრომლები მათ ისე ექცეოდნენ, როგორც მოესურვებოდათ.** ის, თუ რა მდიდარი ფანტაზიის პატრონები არიან ჰოლივუდის კინოპროდუქციაზე აღზრდილი ეს ინდივიდები, ცივილიზებულმა სამყარომ გაიგო მაშინ, როცა ნახა „აბუ გრეიბის“ ციხეში გადაღებული კადრები — ალიკვალი თბილისის საპატიმროების კადრებისა: ვისწავლეთ მათგან და გავუსწარით კიდეც მასწავლებლებს.

**გლობალური გულაგის შექმნა არც შარშან, არც ათი წლის წინათ არ დაწყებულა. ბანაკები, რომლებიც ამ სისტემის შემადგენელი ნაწილია, არც ჰიტლერს გამოუგონებია, არც ლენინსა და ტროცკის. საბჭოთა გულაგი დასავლეთის გამოცდილების მხოლოდ გადმოღება იყო. პირველი ნამდვილი საკონცენტრაციო ბანაკი შექმნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ ჩრდილოეთისა და სამხრეთის სამოქალაქო ომის დროს (1861-1865 წლებში). ასეთი ბანაკი სამხრეთელებმა გამართეს ანდრესნოვილის პატარა დასახლებაში.** აქ 10 ათასი ტყვე ჩრდილოეთელი დაიღუპა. 300-ზე მეტი პატიმარი დახვრიტეს მხოლოდ იმიტომ, რომ გადააბიჯეს საზღვრის გავლებულ ხაზს. უკვე იქ, **ანდრესნოვილის ბანაკში, პატიმრებს აწამებდნენ არა იმიტომ, რომ სამხედრო ცნობები მიეღოთ, არამედ სადისტური მოთხოვნილებების და „სამეცნიერო ინტერესების“ დასაკმაყოფილებლად.** ომის დამთავრების შემდეგ ჩრდილოელებმა ბანაკის კომენდანტი სიკვდილით დასაჯეს როგორც სამხედრო დამნაშავე. საკონცენტრაციო ბანაკები ჩრდილოელებსაც ჰქონდათ ორგანიზებული, იქაც მხეცურად ეპყრობოდნენ ტყვეებს, მაგრამ რადგან ჩრდილოელებმა გაიმარჯვეს, მათი დანაშაული კვალი თითქმის მთლიანადაა წაშლილი.

**სიკვდილის ფაბრიკების შექმნაში თავისი წვლილი დიდი ბრიტანეთის იმპერიამაც შეიტანა. თავისუფალ ბრიტანელებს შორეული წარსულიდან მოყოლებული ავსტრალიაში ასახლებდნენ. მთელი კონტინენტის სატუსაღოდ გადაქცევა არცერთ ნაცისტს არ მოუვიდოდა აზრად.** ინგლისისა და ბურების ომის დროს (1899-1902 წლები) ინგლისელებმა გამოიყენეს არა მხოლოდ იმ პერიოდისთვის „პროგრესის“ უახლესი მიღწევები, მაგალითად, ფეთქებადი ტყვიების სახით, შრაპნელები, გადამწვარი მიწის ტაქტიკა, მძევალთა მასობრივი აყვანა, არამედ მავთულხლართების შეღობილი, პერიმეტრზე განლაგებული ტყვიამფრქვევებით გამაგრებული საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც უამრავი ბური დაიღუპა. **ცხელი აფრიკული ჰავის პირობებში ავადმყოფთა და გარდაცვლილთა გვამების სიმრავლის გამო ეპიდემიის გავრცელება თავიდან რომ აეცილებინათ, ინგლისელებმა საკონცენტრაციო ბანაკებში კრემატორიუმები აამუშავეს. ჰიტლერსა და მის ხელქვეითებს არაფერი ახლის გამოგონება არ დასჭირებიათ, მათ ანგლოსაქსებიდან გადმოიღეს სიკვდილის ბანაკებში მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების განადგურების აპრობირებული პრაქტიკა.**

დავუბრუნდეთ დღევანდელობას, როცა არა მარტო საკონცენტრაციო ბანაკები, არამედ კომპიუტერებიც კი ჩააყენეს კაცობრიობის ამოწყვეტის სამსახურში. ტექნიკური პროგრესის წყალობით კომპიუტერში შეაქვთ დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების რიცხობრივი კოდები. ჯერ კიდევ 1997 წელს, დიდი ხნით ადრე გლობალური მიყურადების სკანდალის აგორებამდე, სნოუდენის მიერ მხილებამდე, „მანინგის საქმის“ გასაჯაროებამდე და ა.შ. **აშშ მთავრობამ 500 მილიონი დოლარი გამოყო საყოველთაო ქსელური კომპიუტერიზაციისთვის, რაც მიზნად ისახავდა ყველა ფულად ოპერაციაზე, სამედიცინო მომსახურებაზე და ა.შ. კონტროლის დაწესებას. ეს სისტემა ბიომეტრული ბარათების საშუალებით იკვრება ცნობილ სუპერკომპიუტერში სიმბოლური სახელწოდებით „მხეცი“ (BEAST).** ბიომეტრული ბარათების დანერგვით, რომლებზეც დატანილია ადამიანის ორგანიზმის ყველა მონაცემი, წარმოუდგენელი ტექტროტრონულ მონობაში კაცობრიობის ჩაგდებაა. ადამიანები დანომრილები იქნებიან ისევე, როგორც ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრები იყვნენ, საკონცენტრაციო ბანაკების სისტემა კი ამერიკელების მიერ უკვე მოსინჯულია.

**ნიკოლაი მალიშევსკი**
**www.fondsk.ru**



## საქართველოს საპატრიარქო თავისუფლების მოედანზე მომხდარ ფაქტს ემიჯნება

**როგორც საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოს ეკლესია ემიჯნება ყოველგვარ ძალადობრივ ქმედებას და მას დაუშვებლად მიიჩნევს, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც მოქმედი კანონმდებლობით რელიგიურ ორგანიზაციებს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის უფლება აქვთ.**

ამასთან, საპატრიარქოში განმარტავენ, რომ ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის 26 საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებულ უნიკალურ კეთილგანწყობილ ურთიერთობაში სწორედაც რომ ეკლესიას აქვს შეტანილი დიდი წვლილი, რადგან საუკუნეების მანძილზე იგი აყალიბებდა საზოგადოებრივ აზროვნებას.

**„ა.წ. 4 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე ებრაულ დღესასწაულ „ხანუკასთან“ დაკავშირებით მოხდა მენორას დადგმა და მერიაზე გაკეთებული პლაკატით ხალხისთვის საპატრიარქოსგან ამ დღესასწაულის მილოცვა, რაც მრევლისა და სასულიერო პირების ნაწილმა გააპროტესტა, ორმა ახალგაზრდამ კი ბანერი ჩამოხია, რის გამოც ისინი დააკავეს. საქართველოს ეკლესია ემიჯნება ყოველგვარ ძალადობრივ ქმედებას და მას დაუშვებლად მიიჩნევს. მითუმეტეს, მოქმედი კანონმდებლობით რელიგიურ ორგანიზაციებს აქვთ უფლება, ისარგებლონ გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა რელიგიურ გაერთიანებებშიც არიან ადამიანები, რომლებიც მსგავს სიტუაციებში მკვეთრად რეაგირებენ. ამიტომაც ასეთ შემთხვევებში სხვა მხარეც არის გასათვალისწინებელი, კერძოდ რელიგიათშორისი და ხალხთაშორისი ურთიერთობები, რაც უდიდესი ფასეულობაა. ფაქტია, რომ ქართველ და ებრაელ ხალხს შორის 26 საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებულ უნიკალურ კეთილგანწყობილ ურთიერთობაში სწორედაც რომ ეკლესიას აქვს შეტანილი დიდი წვლილი, რადგან საუკუნეების მანძილზე იგი აყალიბებდა საზოგადოებრივ აზროვნებას. ვფიქრობთ, არც ჩვენ და არც ქართველ ებრაელთა თემს არავისგან გვესწავლება, როგორ შევინარჩუნოთ და გავაღრმავოთ ეს დამოკიდებულება“,** — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

დემოკრატიის სახელით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაქცინების ფარმაცევტული მწარმოებლები არაფერს ამბობენ უზარმაზარ უარყოფით მხარეზე, რომელსაც ვაქცინაცია ბავშვების ჯანმრთელობაზე ახდენს. იგი მიზეზი ხდება აუტიზმისა და მრავალრიცხოვანი ნერვული დეფორმაციის. ამ დაავადებათა მიზეზი ტოქსიკური ადიუვანტები და კონსერვანტებია, რომლებიც ვაქცინების უმრავლესობაშია გამოყენებული. ბევრი ვაქცინა, განსაკუთრებით, კომბინირებული, რომლებიც გაიაფებულია მესამე მსოფლიოში გასაყიდად, შეიცავს ე.წ. ტიმეროსალს, ამ უკანასკნელში კი 50 პროცენტამდე კონსერვანტად გამოყენებულია ვერცხლისწყალი.**

# დასავლური კაპიტალი კაცობრიობის წინააღმდეგ!

## მილიარდერთა «ოქროს კლუბისთვის» იდეალურია პლანეტის მოსახლეობის 95 პროცენტით შემცირება 225 მილიონამდე

**უფრო ზუსტი იქნებოდა, გვეთქვა — კაცობრიობის და, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ. მაგრამ, მოგეხსენებათ, „ჯერ თავო და თავოო..." ლაპარაკია დედამიწაზე მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე — ევგენიკის ახალ ნაირსახეობაზე, რომელსაც კეთილშობილ განზრახვათა „ოქროსკანტიანი ლანგრით" გვაწვდიან (ოსტაპ ბენდერის საყვარელი გამოთქმა) ბილ გეიტსის მსგავსი ამერიკელი სუპერმილიარდერები, რაც სინამდვილეში ნაცისტების ბოდვითი იდეის — ჰიტლერულ გერმანიაში „რასობრივი სიწმინდისთვის" მოსახლეობის იძულებითი სტერილიზაციის ელემენტარული პლაგიატია.**
**და კიდევ — ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანებზე სამედიცინო ექსპერიმენტების განხორციელების მსოფლიო მასშტაბით განვრცობილი კაცთმოძულეობა.**

ჯერ „ოქროსკანტიანი ლანგრის" შესახებ: Microsoft-ის დამფუძნებელი და მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, რომელსაც ფილანტროპის სახელი აქვს გაგდებული, თავის მილიარდებს ხარჯავს დაავადებათა და სურსათის უკმარისობის პრობლემების გადასაწყვეტად აფრიკაში.

კეთილშობილი ფილანტროპია, მოწყალე და გამცემი სიკეთისა.

მაგრამ სწორედ ამ „კეთილშობილებამ" კალიფორნიაში ახლახან გამართულ კონფერენციაზე მოიხსნა ნიღაბი და დაგვანახა თავისი ქველმოქმედების ჭეშმარიტი მიზანი. სიტყვის წარმოთქმის დაახლოებით მეოთხე წუთზე **გეიტსმა განაცხადა: „მსოფლიოში დღეს 6,8 მილიარდი ადამიანია. ეს რიცხვი დაახლოებით 9 მილიარდამდე გაიზრდება. თუ განვახორციელებთ დიდ სამუშაოს ახალი ვაქცინების დასამზადებლად, ჯანმრთელობის დასაცავად, რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარგში, შევამცირებთ მას, შესაძლოა, 10 ან 15 პროცენტით".**

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ამ გზით მისი რაოდენობის 10-15 პროცენტით შემცირების ალოგიკურობა, რამდენადაც დაუჯერებლად შეიძლება მოგეჩვენოთ, იმდენჯერ და უფრო მეტადაც ახლოა ჭეშმარიტებასთან. ბილ გეიტსმა იცის, რასაც და როგორც ლაპარაკობს, როცა ვაქცინაციაზე ამბობს სიტყვას. **ჯერ კიდევ 2010 წლის იანვარში დავოსის მსოფლიო ელიტურ ეკონომიკურ ფორუმზე გეიტსმა გამოაცხადა, რომ მომდევნო წელიწადში მისი ფონდი 10 მილიარდ დოლარს (დაახლოებით 7.5 მილიარდ ევროს) გამოჰყოფდა ახალი ვაქცინების დასამზადებლად და განვითარებულ ქვეყნებში გასაგზავნად.**

რომელ ვაქცინებზეა ლაპარაკი?

ამ პრობლემით დაინტერესებულ ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ **ვაქცინაციის მიზანი ადამიანების ჯანმრთელობის დასუსტებაა, რაც მათ ორგანიზმს დაავადებათა მიმართ წინააღმდეგობის გაწევის უნარს უქვეითებს და ლეტალური შედეგით მთავრდება.**

ახლა გთხოვთ, გაიხსენოთ ერთი მოვლენა, რომელმაც კატასტროფამდე მიიყვანა თუნდაც საქართველოს მეცხოველეობის ერთი დარგი.

ღორის გრიპის — HLN-ის გლობალური პანდემიის გამო ატეხილი სრულიად უსაფუძვლო და ზედმეტი პანიკის შემდეგ მრეწველობაგანვითარებულ ქვეყნებში შეუმოწმებელი ვაქცინის ასობით მილიონის ღირებულების დოზა დაილექა. გადაწყდა ამ ნარჩენისგან გათავისუფლება მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისთვის მისი გადაცემის გზით. საფრანგეთმა 94 მილიონი დოზიდან 91 მილიონი გადასცა, რაც სარკოზის მთავრობამ თავის დროზე ფარმაცევტული გიგანტებისგან შეიძინა; დიდმა ბრიტანეთმა 60 მილიონიდან — 55.


ბილ გეიტსი

**ბილ გეიტსი: მსოფლიოში დღეს 6,8 მილიარდი ადამიანია. ეს რიცხვი დაახლოებით 9 მილიარდამდე გაიზრდება. თუ განვახორციელებთ დიდ სამუშაოს ახალი ვაქცინების დასამზადებლად, ჯანმრთელობის დასაცავად, რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარგში, შევამცირებთ მას, შესაძლოა, 10 ან 15 პროცენტით**

იგივე ისტორია განმეორდა გერმანიასა და ნორვეგიაში.

დოქტორმა **თომას ჯეფერსონმა,** რომის Cochran Researcgh Ceter-იდან აღნიშნა: **„რატომ არიგებენ ვაქცინებს განვითარებად ქვეყნებში? პანდემია გაუქმდა მსოფლიოს უმეტეს ნაწილში. ღარიბი ქვეყნების მოსახლეობას უმეტესი საშიშროება ემუქრება გულისა და გულსისხლძარღვოვან დაავადებათა გამო, ვირუსი კი სიის მხოლოდ ქვედა ნაწილში ფიგურირებს. რა სამედიცინო მიზეზი დაედო საფუძვლად 180 მილიონი დოზის უსასყიდლოდ გაცემას?"**

ნიშანდობლივია, რომ „ღორის ჭირი" ყველაზე ზომიერი გრიპი იყო „დამწერლობითი ისტორიის" მანძილზე. **ვაქცინების ფარმაცევტული მწარმოებლები არაფერს ამბობენ უზარმაზარ უარყოფით მხარეზე, რომელსაც ვაქცინაცია ბავშვების ჯანმრთელობაზე ახდენს. იგი მიზეზი ხდება აუტიზმისა და მრავალრიცხოვანი ნერვული დეფორმაციის. ამ დაავადებათა მიზეზი ტოქსიკური ადიუვანტები და კონსერვანტებია, რომლებიც ვაქცინების უმრავლესობაშია გამოყენებული. ბევრი ვაქცინა, განსაკუთრებით, კომბინირებული, რომლებიც გაიაფებულია მესამე მსოფლიოში გასაყიდად, შეიცავს ე.წ. ტიმეროსალს, ამ უკანასკნელში კი 50 პროცენტამდე კონსერვანტად გამოყენებულია ვერცხლისწყალი.**

1999 წლის ივლისში ვაქცინაციის საკითხების ამერიკის ეროვნულმა საინფორმაციო ცენტრმა თავის პრესრელიზში განაცხადა, რომ **ვერცხლისწყლის კუმულაციურმა ეფექტმა შეიძლება ტვინის დაზიანება გამოიწვიოს. პედიატრიის ამერიკის აკადემიამ და დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრმა გაავრცელეს რეკომენდაცია ვაქცინიდან ტიმერსოლის ამოღების შესახებ, თანაც — რაც შეიძლება მალე.**

### ევგენიკის ახალი ფორმები?

გეიტსის ინტერესი ფერადკანიანი მოსახლეობისა და სხვა უმცირესობათა შემცირების შესახებ, სამწუხაროდ, ახალი არ არის.

ფაშისტებზე უკვე ვთქვით. **1920 წელს როკფელერის ფონდი აფინანსებდა გერმანიაში წარმოებულ ცდებს ევგენიკის დარგში, კერძოდ, კაიზერ-ვილჰელმის სახელობის ინსტიტუტებში ბერლინსა და მიუნჰენში. იგივე გრძელდებოდა მესამე რაიხის პერიოდშიც.** სწორედ ჯონ როკფელერ III, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ევგენიკის მომხრე იყო გადასახდელებისგან გათავისუფლებული თავისი ფონდის სახსრებს მოსახლეობის შემცირების ახალი მალთუსიანური მოძრაობისკენ წარმართავდა ნიუ იორკში განთავსებული თავისი კერძო საბჭოს მეშვეობით. ეს 1950 წლიდან ხდებოდა.

ბილ გეიტსის კარგი მეგობარი **დევიდ როკფელერი** და მისი როკფელერის ფონდი მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციასთან ერთად 1972 წლიდან ჩართული იყო სხვა „ახალი ვაქცინის" გაუმჯობესების დიდ პროექტში. **ამ პროექტის შედეგად 1990 წლის დასაწყისიდან შესაძლებელი გახდა საცდელ ზღვის გოჭებად ადამიანების გამოყენება.** ►

მოკლედ

## ირაკლი ალასანიასა და ჯონ მაკკეინს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა

**საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასა და ამერიკელ სენატორ ჯონ მაკკეინს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა.** როგორც „ინტერპრესნიუსს" თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, მხარეებმა საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები განიხილეს. საუბარი შეეხო ქვეყნისა და რეგიონის უსაფრთხოების, ასევე საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხებს. საუბრისას ირაკლი ალასანიამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და ქვეყნის ნატოში გაწევრიანების მიმართ ურყევი მხარდაჭერისთვის ამერიკელ სენატორს მადლობა გადაუხადა.





**„კარგი კლუბის“ შეხვედრა ორგანიზებული იყო გლობალური ეკონომიკური ვარდნისა და მრავალრიცხოვანი სამედიცინო და ეკოლოგიური კრიზისების პასუხად. მაგრამ პლუტოკრატების „კარგი კლუბის“ საიდუმლო შეხვედრის ცენტრალური თემა იყო პრიორიტეტული საკითხი, რომელიც ბილ გეიტსმა დააყენა, კერძოდ კი, შობადობისა და მოსახლეობის გლობალურ შემცირებაზე მათ მიერვე დაწესებული კონტროლის ეფექტიანობის გაზრდა.**

დემოკრატიის სახელით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია კურირებდა ტეტანუსის საწინააღმდეგო მასობრივ კამპანიებს ნიკარაგუასა, მექსიკასა და ფილიპინებზე.**

კათოლიკურ ორგანიზაცია Comite Pro de Mexiko-ს ეჭვი შეეპარა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პროგრამის მოტივებში და გადაწყვიტა, შეემოწმებინა ვაქცინის მრავალი ამპულა. აღმოჩნდა, რომ ვაქცინის შემადგენლობაში შედიოდა ადამიანის ქორიონიტული გონადოპრინი, ანუ **ხგჩ**. ეს ფრიად საიდუმლო კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებული იყო ჟანგიანი რკინით მიყენებული ჭრილობით ან მიწაში არსებული ზოგიერთი ბაქტერიებით მოწამვლისგან ადამიანის დასაცავად.

**ხგჩ ბუნებრივი ჰორმონია, რომელიც ორსულობის მოშლის საწინააღმდეგოდ გამოიყენება. მაგრამ ტეტანუსის გამომწვევის ხგჩ-სთან შეთავსება იწვევს ანტისხეულაკების შეთავსებას, რაც ნაყოფის დაღუპვის წინაპირობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო აბორტის ფარული ფორმა. მსგავსი დასკვნები ხგჩ ჰორმონებიანი ვაქცინების შესახებ ფილიპინებიდან და ნიკარაგუადანაც იყო მიღებული.**

არანაკლებ საშიშია გენური მოდიფიკაციის „თანმხლები“ ქიმიური ჰერბიციდები, როგორიცაა Roundup “Noncanto”, რომელსაც უფრო ფართოდ გამოიყენებენ მსოფლიოში. იგი შეიცავს უაღრესად ტოქსიკურ გლიფოსანტურ ნაერთებს. **დამოუკიდებელი მკვლევარების მიერ ჩატარებულმა ტესტირებამ გამოავლინა ტოქსიკური კონცენტრაციის ისეთი ოდენობა, რომელიც ადამიანისა და ცხოველისთვის უსაფრთხოების დონეს აჭარბებს.**

აშშ-ის მთავრობის ერთი ძველი პროექტით გამოიყენეს სიმინდის გენმოდიფიცირებული ჯიში, რომელიც მექსიკასა და სხვა ლათინოამერიკულ ქვეყანაში კვების ძირითადი პროდუქტია. ამ ჯიშის ტესტირება აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და კალიფორნიის ბიოტექნოლოგიური კომპანიის — „ეპიციტის“ დაფინანსებით განხორციელდა, „ეპიციტის“ პრეზიდენტმა **მიტჩ ჰაინმა წარმატებული მუშაობის ერთ-ერთ შედეგად მიიჩნია, რომ მათ ჰქონდათ სათბური სიმინდის ისეთი ჯიშით, „რომელიც სპერმის საწინააღმდეგო ანტისხეულაკებს წარმოქმნის“.**

**სპერმის საწინააღმდეგო სხეულაკები, რომლებიც ადამიანის სხეულში საკვებთან ერთად მოხვდება, შეიძლება ითქვას, დემოგრაფიული განვითარების წასალეკად მიმართული ცუნამის ტალღაა.**

ასეთი სიმინდის საქართველოში გავრცელებას ხომ არ გვაძალებდა სააკაშვილის რეჟიმი? კიდევ კარგი, არც ხალხმა, არც ჩვენმა ბუნებრივმა პირობებმა არ იგუა იგი და ჩაეშალათ ქართველების ამოსაწყვეტად შემუშავებული კაცთმოძულეობის გეგმა.

**ჰეინი ამტკიცებდა, ისეთი ღონისძიებებით, როგორებიც ეს-ესაა ვახსენეთ, გადაწყდება მსოფლიოს „ჭარბმოსახლეობის“ პრობლემა. ამგვარი სიმინდით ღარიბი ქვეყნების გამოკვების მორალური და ეთიკური ასპექტი ზემოთ დასახელებულ მოღვაწეს არ აღელვებს.**

**ამორალური სააკაშვილი კი ასეთ დანაშაულს მოსახლეობაზე თავგადადებულ ზრუნვად გვასაღებდა.**

მკვლელი „მამა-მარჩენალი“.

**გენმოდიფიცირებული სიმინდის ღარიბი ქვეყნებისთვის მიწოდება ბილ გეიტსისა და როკფელერის ფონდების დაფინანსებით ხორციელდებოდა.** გავრცელებული ცნობის მიხედვით, 2009 წლის 5 მაისს როკფელერის უნივერსიტეტის რექტორის — სერ პოლ ნურსის სახლში გაიმართა შეხვედრა ამერიკის ზოგიერთი ყველაზე მდიდარი ადამიანის მონაწილეობით. მათ შორის იმყოფებოდა ინვესტორების გურუ **უორენ ბაფეტი**, რომელმაც 2006 წელს გადაწყვიტა თავისი 30-მილიარდიანი ფონდის გეიტსის ფონდთან გაერთიანება, მსოფლიოში უდიდესი კერძო ფონდის შესაქმნელად 60 მილიონი დოლარის მოცულობით.

შეხვედრის მასპინძელი ბანკირი **დევიდ როკფელერი** იყო. ექსკლუზიურ შეთანხმებებს ხელი მოაწერეს გეიტსმა, როკფელერმა და ბაფეტმა. დაირქვეს სახელი „კარგი კლუბი“. შეხვედრას ესწრებოდა მედიამეფე **ტედ ტერნერი, მილიარდერი, CNN-ის დამფუძნებელი, რომელმაც ჯერ კიდევ 1996 წელს საბუნებისმეტყველო ჟურნალ Audubon-ს განუცხადა, რომ პლანეტის მოსახლეობის 95 პროცენტით შემცირება 225 მილიონამდე „იდეალური“ იქნებოდა.**

„კარგი კლუბის“ პირველ სხდომაზე მიწვეულთა ჩამონათვალი შეიძლება მაინც ჩაითვალოს „მსოფლიო მთავრობის“ მიახლოებით ანალოგად. სხდომას ესწრებოდნენ: **ელი ბროდი,** რომელმაც თავისი მილიარდები უძრავ ქონებაზე გააკეთა, ნიუ იორკის მილიარდერი მერი **მაიკლ ბლუმბერგი**, მილიარდერი უოლსტრიტიდან და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების საბჭოს თავმჯდომარე **პიტერ პეტერსონი.** ამათ გარდა, **ჯულდიან რობერტსონი**, რომელმაც მილიარდები ხეჯფონდში დააგროვა, მუშაობდა სოროსთან და უტევდა ტაილანდის, ინდონეზიის, სამხრეთ კორეისა და აზიის ეკონომიკური ვეფხვების ვალუტებს, რამაც საბოლოო ჯამში დააჩქარა აზიის კრიზისი 1997-1998 წლებში. „კარგი კლუბის“ პირველ სესიაზე იყვნენ **პატი სტოუნსაიფერი,** გეიტსების ფონდის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი და **ჯონ მორგრიჯი** Cisco Systems-იდან. ამ ჯგუფში წარმოდგენილია კომბინირებულ სისტემა 125 მილიარდი დოლარის მოცულობით.

გავრცელებული ცნობის თანახმად (რამაც, როგორც ჩანს, ერთ-ერთი მონაწილის მეშვეობით გაჟონა), **შეხვედრა ორგანიზებული იყო გლობალური ეკონომიკური ვარდნისა და მრავალრიცხოვანი სამედიცინო და ეკოლოგიური კრიზისების პასუხად. მაგრამ პლუტოკრატების „კარგი კლუბის“ საიდუმლო შეხვედრის ცენტრალური თემა იყო პრიორიტეტული საკითხი, რომელიც ბილ გეიტსმა დააყენა, კერძოდ კი, შობადობისა და მოსახლეობის გლობალურ შემცირებაზე მათ მიერვე დაწესებული კონტროლის ეფექტიანობის გაზრდა.** მოლაპარაკების მსვლელობისას, როგორც იტყობინებიან, მიაღწიეს კონსესუსს, დაუბრუნდნენ სტრატეგიას, რომლის მიხედვით, მოსახლეობის ზრდის საკითხი გადაწყდება როგორც პოტენციური კატასტროფული ეკოლოგიური, სოციალური და საწარმოო საშიშროება.

**გეიტსისა და ბაფეტის, ისევე, როგორც ტერნერის ევგენიკის გლობალური პროგრამა განიხილება, როგორც მოსახლეობის შემცირების დაფინანსების წყარო.**

**ეს არის მოსახლეობის იძულებითი სტერილიზაცია ვაქცინაციისა და სხვა სამკურნალო საშუალებებით, რომლებიც ქალებს უსპობს მშობიარობის უნარს, უნაყოფოს ხდის მათ.** გეიტსის ფონდი, რომელშიც ბაფეტმა თავისი ქონების დიდი ნაწილი ჩადო ორი წლის წინ, მხარს უჭერს აფრიკაში გენმოდიფიცირებული თესლის გაგზავნას კოფი ანანის „მეორე მწვანე რევოლუციის“ საფარქვეშ. ამ „რევოლუციას“ აფრიკის მოსახლეობა დღემდე დიდ წინააღმდეგობას უწევს. მედექსპერტები აღნიშნავენ, რომ **გეიტსის განზრახვა მართლაც რომ იყოს აფრიკელების გაჯანსაღებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა, მაშინ იმავე ასობით მილიონი დოლარი, რომლის ინვესტირებაც მან განახორციელა შეუმოწმებელი და არასაიმედო ვაქცინების დასამზადებლად, გაცილებით ეფექტიანი შედეგის მომტანი იქნებოდა მინიმალური სანიტარული ღონისძიებების — წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების შექმნის შემთხვევაში.** ეს ღონისძიებები რევოლუციური გადატრიალება იქნებოდა შავი კონტინენტის ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

გეიტსის კომენტარები TED 2010 წლის კონფერენციაზე მთელ მსოფლიოში მოსახლეობის შესამცირებლად საჭირო ახალი ვაქცინების ფლობის შესახებ შემთხვევითი, უნებური წამოცდომა არ არის. ვისაც ამაში ეჭვი შეეპარება, შეუძლია იხილოს 2009 წლის იმავე კონფერენციაზე გეიტსის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია. მაშინ მან თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა თეზისი პლანეტის მოსახლეობის შემცირების შესახებ.

**„კარგი კლუბის“ ძლიერი და გავლენიანი წევრებისთვის ადამიანები არიან გარემოს დაბინძურების მხოლოდ ერთ-ერთი ფორმა, ისეთი, როგორც ნახშირწყალბადის გაზის გამონაბოლქვი.**

svobodaslova.in.ua

## ვაქცინაციის მიზანი ადამიანების ჯანმრთელობის დასუსტებაა, რაც მათ ორგანიზმის დაავადებათა მიმართ წინააღმდეგობის გაწევის უნარს უქვეითებს და ლეტალური შედეგით მთავრდება


უორენ ბაფეტი

## ბილ გეიტსისა და უორენ ბაფეტის, ისევე, როგორც ტერნერის ევგენიკის გლობალური პროგრამა განიხილება, როგორც მოსახლეობის შემცირების დაფინანსების წყარო

## გენმოდიფიცირებული სიმინდის ღარიბი ქვეყნებისთვის მიწოდება ბილ გეიტსისა და როკფელერის ფონდების დაფინანსებით ხორციელდებოდა. სიმინდის ასეთი ჯიში სპერმის საწინააღმდეგო ანტისხეულაკებს წარმოქმნის, რაც დემოგრაფიული განვითარების წასალეკად მიმართული ცუნამის ტალღაა. ამორალური სააკაშვილი კი ასეთ დანაშაულს მოსახლეობაზე თავგადადებულ ზრუნვად გვასაღებდა

# ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებზე უარესი

მთავარი



## კეტრინ ეშტონი უკრაინაში ჩავიდა

**ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში, კეტრინ ეშტონი, უკრაინაში ჩავიდა. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ „ტვიტერზე“ ეშტონის ოფიციალური წარმომადგენელი მაია კოსიანჩიჩი წერს.**

მისი თქმით, კეტრინ ეშტონის ვიზიტი ორდღიანია, რომლის განმავლობაში შეეცდება, უკრაინაში ვითარების დარეგულირებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გამართოს.

**„ეშტონი ჩავიდა უკრაინაში, სადაც შეხვდება ქვეყნის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს, ოპოზიციის ლიდერებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და დააფიქსირებს პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტის მხარდაჭერას“,** — აცხადებს კოსიანჩიჩი.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამერიკელი დაქირავებულები კონტრაქტებს აძლევენ თავიანთ დაქირავებულებს, ისინი ამ კონტრაქტებს კიდევ ვიღაცას გადასცემენ, მერე — კიდევ ვიღაცას და მხოლოდ ამის შემდეგ ხვდება ფული ავღანეთში, ანუ ერთი კონტრაქტი გაივლის რამდენიმე კომპანიას, რომელთაგანაც თითოეული თანხის დაახლოებით ერთ მეოთხედს თავისთვის იტოვებს. და თუ პროექტის ღირებულება დეკლარირებულია 100 მილიარდ დოლარად, კონტრაქტის 75% არის საკომისიო, რომელსაც ამ ზემოხსენებული სქემით კომპანიები იტოვებენ და, საუკეთესო შემთხვევაში, 25% იხარჯება თავად პროექტზე“.**

# ტერორიზმთან ბრძოლის დოლარისფერი ხიბლი

**ავღანეთის აღორძინებისთვის ამერიკის მიერ გამოყოფილი დახმარების დიდი ნაწილი ადრესატამდეც კი ვერ აღწევს. ავღანეთის აღდგენასთან დაკავშირებით აშშ-ის ხელისუფლებასთან არსებული სპეციალური საინსპექციო სამსახურის ანგარიშის მიხედვით დასახელდა ფანტასტიკური ციფრი — 12 წლის მანძილზე აშშ-მა მის მიერვე მიწასთან გასწორებული ქვეყნის ასაღორძინებლად 96,6 მილიარდი დოლარი გამოყო.**




ეს თანხა ამერიკელი სამხედროების შენახვას ან საბრძოლო მასალების შეძენას კი არა, უშუალოდ ავღანეთის ეკონომიკის აღორძინებას დაახარჯეს. საარაკო ინვესტიციების შედეგების სანახავად საერთაშორისო გამოძიების სტინგერული ბიუროს მოხალისეები ავღანეთში ჩავიდნენ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ავღანელებს ამხელა ფული თვალითაც არ უნახავთ.

ავღანელებს შედარების საშუალებაც აქვთ და იქაური უფროსი თაობა ამ დრომდე ნოსტალგიით იხსენებს წლებს, როდესაც აშშ-ის ამჟამინდელი ადგილი მათთვის საბჭოთა კავშირს ეკავა. **„ისინი ფულს გონივრულად ხარჯავდნენ,** — ამბობს ნაციონალური ასამბლეის უმაღლესი პალატის წევრი ურუზგანის პროვინციიდან ხაჯი ამანულა აზიმი. — **სალანგის უღელტეხილი ამ დრომდე რჩება ქვეყნის მთავარ სატრანსპორტო არტერიად, ელექტროსადგური ნაგლუ კი ელექტროენერგიით ამარაგებს მთელს ქაბულსა და პროვინციის შემოგარენს. ამერიკელები კოლოსალურ სახსრებს ხარჯავენ, მაგრამ მასშტაბით შესაბამისი ერთი პროექტიც არ გააჩნიათ.**

საბჭოთა კავშირი ავითარებდა ავღანეთში მრეწველობას, ხალხს სამუშაოს აძლევდა, გაგებით ეკიდებოდა ავღანეთის ეკონომიკურ განვითარებას, ამერიკული პოლიტიკა კი აბსოლუტურად უპასუხისმგებლოა“.

გარდა ამისა, სხვადასხვა შეფასებით, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დახმარება „ინტერნაციონალური ვალის“ მოხდის მთელი წლების განმავლობაში 15-დან 30 მილიარდ დოლარამდე თანხას მოიცავდა, შედეგი კი ახლაც სახეზეა. რატომ არ გამოსდის აშშ-ს? ახლა უკვე ვაშინგტონშიც ხელები გაასავსავეს — კორუფცია! სწორედ ამ თემას ეძღვნება ზემოხსენებული 240-გვერდიანი სამთავრობო ანგარიშიც. თავად ავღანეთის აღდგენის სპეციალური ინსპექტორული სამსახურიც (SIGAR) აშშ-ის ხელისუფლებამ 2008 წელს მას შემდეგ შექმნა, რაც აღმოჩნდა, რომ ავღანეთში ინვესტირებული ფული თითქოს წყალს მიჰქონდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ფულს, უბრალოდ, იპარავდნენ.

ცხადია, იპარავენო, — ამბობდნენ მაშინ აშშ-ის წარმომადგენლები, Transparency International-ის რეიტინგში ხომ ავღანეთი ჩრდილო კორეასა და სომალისთან ერთად მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებული ქვეყნების პირველ სამეულში შედიოდა. მაგრამ SIGAR-ის მოღვაწეობის პირველივე შედეგებმა აჩვენა, რომ თავად ინვესტორები მათზე მეტად იყვნენ დამნაშავენი, ვისაც ბრალს სდებდნენ. ავღანელები ბრალდებულებად ფიქსირდებიან SIGAR-ის მხოლოდ ყოველ მეოთხე გამოძიებაში, დანარჩენ საქმეებში კი აუცილებლად ფიგურირებენ ამერიკელები.

**„ობამას ადმინისტრაციამ ყარზაის ხელისუფლების წინააღმდეგ ანტიკორუფციული კამპანია იმის გაუცნობიერებლად დაიწყო, რომ სახსრების მხოლოდ 20% მოძრაობს ავღანური ინსტანციების გავლით, დანარჩენი 80% კი ნაწილდება უშუალოდ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო დეპარტამენტის და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (US-AID) მიერ,** — ირწმუნება ქაბულში პაკისტანის საელჩოსთან მომუშავე ჟურნალისტი იმან ჰასანი. — **ამასთან, თითქმის არ შემონახულა არანაირი დოკუმენტი იმის შესახებ, თუ როგორ იხარჯებოდა ფული 2001-დან 2006 წლამდე, დანარჩენი დოკუმენტების დიდი ნაწილი კი დაიკარგა „გაფლანგვის, თაღლითობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების“ გამო. ასე რომ, SIGAR-ის ანგარიში ბრალდებას, როგორც ჩანს, აშშ-ს უყენებს ავღანეთში კორუფციის გამო“.**

**„ამერიკელების გამოჩენამდე ავღანელებისთვის ამ მასშტაბების კორუფცია უცხო იყო,** — ამბობს ავღანეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირველი ვიცეპრეზიდენტი ხან ჯან ალოკოზაი. — **დღეს უკანონო სქემებში იმდენი ადამიანია ჩართული, რომ კორუფცია კონტროლს აღარ ექვემდებარება. ავღანელებს უბრალოდ აიძულებენ, მიღებული ფულიდან ნაწილი უკან დააბრუნონ. ხშირად კონტრაქტის მიღების პირობებში პირდაპირაა გაწერილი იმის მოცულობა, რასაც საკომისიოს უწოდებენ. და გამოდის, რომ**

ამერიკელი დაქირავებულები კონტრაქტებს აძლევენ თავიანთ დაქირავებულებს, ისინი ამ კონტრაქტებს კიდევ ვიღაცას გადასცემენ, მერე — კიდევ ვიღაცას და მხოლოდ ამის შემდეგ ხვდება ფული ავღანეთში, ანუ ერთი კონტრაქტი გაივლის რამდენიმე კომპანიას, რომელთაგანაც თითოეული თანხის დაახლოებით ერთ მეოთხედს თავისთვის იტოვებს. და თუ პროექტის ღირებულება დეკლარირებულია 100 მილიარდ დოლარად, კონტრაქტის 75% არის საკომისიო, რომელსაც ამ ზემოხსენებული სქემით კომპანიები იტოვებენ და, საუკეთესო შემთხვევაში, 25% იხარჯება თავად პროექტზე“.

„საქმე ისაა, რომ ამერიკის ხელისუფლებისგან კონტრაქტის მიღება შეუძლია მხოლოდ კომპანიას, რომელიც აშშ-შია დარეგისტრირებული, — ადასტურებს კორუფციასთან ბრძოლის საზოგადოებრივი კომიტეტის — Integrity Watch Afghanistan-ის აღმასრულებელი დირექტორი იამა ტორაბი. — **და როდესაც ამერიკის ხელისუფლება ამერიკულ კომპანიას აძლევს კონტრაქტს, დიდად არ ზრუნავს და არ ამოწმებს, სინამდვილეში ვინ შეასრულებს სამუშაოს და რამდენ საფეხურად დაიქირავებენ შემსრულებლებს. შედეგად პირველადი დაქირავებულები წარმოუდგენლად ბერავენ ფასებს — 10-ჯერ და მეტადაც! თუ შენობის აშენება შეიძლება 200 ათას დოლარად, კონტრაქტში ჩაიწერება, რომ ღირებულება შეფასებულია 2 მილიონად. ამის შემდეგ ჩვეულებრივი სქემით ვითარდება მოვლენები — პირველადი დაქირავებული გადასცემს კონტრაქტს პირველ ქვედაქირავებულს, ეს უკანასკნელი გადასცემს მეორეს და ასე შემდეგ... ამგვარად, ფულის სამი მეოთხედი ვიღაცების ჯიბეში რჩება ისე, რომ მიმღებ ქვეყნამდე ვერც კი აღწევს.**

**ამასთან, ფორმალურად ამ შემთხვევაში რაიმეზე გამოდავება ძნელია. კონტრაქტის ღირებულებას ბაზარი ადგენს. ბაზარი კი ვინაა? — პირველადი ამერიკელი დაქირავებულები, რომლებიც მრავალჯერადად ბერავენ სამუშაოს ღირებულებას. ამასთან, მე არ გამოვრიცხავ შეთქმულებას მათ შორის იმის გამო, რომ მოახდინონ ბაზრის მონოპოლიზება“.**

საქმისადმი ანალოგიური მიდგომის კონკრეტული მაგალითები მოყვანილია SIGAR-ის ანგარიშში. მაგალითად, გარდეზში საავადმყოფოს მშენებლობა სხვადასხვა მიზეზის გამო, უკვე ორი წელია, ყოვნდება, რაც სულაც არ უშლის ხელს დაქირავებულ კომპანიას, ფული მიმდინარე ხარჯებზე გამოიყენოს, მაგალითად, საწვავზე. თანაც ეს დამქირავებელი საწვავის ერთ გალონს 500 დოლარად ყიდულობს, მაშინ, როდესაც მისი საბაზრო ღირებულება მხოლოდ 5 დოლარია.

**„მხოლოდ აბსოლუტური იდიოტი შეიძლება გამოიჭირონ,** — ამბობს იამა ტორაბი. — **მაგალითად, მახსენდება შემთხვევა, როდესაც ერთმა ქალბატონმა, ამერიკული არმიის ჯარისკაცმა, 1 მილიონი დოლარის ანგარიშები წარადგინა და იმის გამო ჩავარდა, რომ სახლში ნაღდ ფულს გზავნიდა. კიდევ ერთმა ამერიკელმა დაქირავებულს სთხოვა, მისი მეუღლის ანგარიშზე 50 ათასი დოლარი გადაერიცხა. და ამ დროს ვხედავთ, რომ ავღანეთიდან ფული რატომღაც ხვდება იმ ადამიანის ცოლის ანგარიშზე, რომელიც ავღანეთში მუშაობს. იგი, ალბათ, ფიქრობდა, რომ კავშირს ვერავინ აღმოაჩენდა...**

**დიდ კონტრაქტებზე ყველაფერი გაცილებით მოხერხებულადაა დამალული. მაგალითად, დაახლოებით ერთი წლის წინ ერთ-ერთი საავადმყოფოსთვის უნდა მიეწოდებინათ 41 მილიონი დოლარის აღჭურვილობა და მედიკამენტები, ექიმებმა კი დაითვალეს, რომ მხოლოდ ერთი მილიონის საქონელმა მიაღწია მათთან. ისტორიაში ჩაერთო SIGAR-ი, მაგრამ გამოძიება ჩიხში შევიდა, რადგან ამერიკელმა სამხედროებმა დაკარგეს ზუსტად 40 მილიონი დოლარის განკარგვის დამადასტურებელი 6000 დოკუმენტი.**

იყო კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც არმიასა და პოლიციასთან 700 მილიონი დოლარის საწვავის მიწოდებას ითვალისწინებდა.

ამერიკელმა სამხედროებმა, უბრალოდ, დაწვეს ყველა ანგარიში! მათ საკუთარი ქმედება იმით ახსნეს, რომ ბაზების დატოვებისა და რეგიონის ავღანური ჯარისა და პოლიციისთვის გადაბარებისას დოკუმენტაციის განადგურება ევალებათ, რათა სხვათა ხელში არ მოხვდეს რაიმე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 700 მილიონი დოლარის კვალს ვერავინ ველარსად მიაგნებს.

შემთხვევა ასახულია SIGAR-ის ანგარიშში, მაგრამ საქმეს ეს არ შველის...“

ქაბულში ახლა სამშენებლო ბუმია — ყველგან ახალი სახლები და სავაჭრო ცენტრებია. მით უფრო გასაოცარი იყო, რომ უმსხვილესი დეველოპერული კომპანია MACC-ის ოფისში მისულნი ქალაქის არც თუ საუკეთესო რაიონში კომპანიის გვარიანად შელახულ კართან აღმოჩნდნენ.

**„მე აყვავებული ბიზნესი მქონდა, ოფისები ქაბულსა და დუბაიში, მაგრამ სრულიად დავიწვი მას შემდეგ, რაც**

**საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დახმარება «ინტერნაციონალური ვალის» მოხდის მთელი წლების განმავლობაში 15-დან 30 მილიარდ დოლარამდე თანხას მოიცავდა, შედეგი კი ახლაც სახეზეა. რატომ არ გამოსდის აშშ-ს? ახლა უკვე ვაშინგტონშიც ხელები გაასავსავეს — კორუფცია!**

**«კონტრაქტების შეწყვეტით ისინი არამხოლოდ ინარჩუნებენ ფულს, არამედ ზეწოლას ახდენენ ყარზაის ხელისუფლებაზე. და როდესაც ქაბული დათმობაზე მიდის, ამერიკელები განაახლებენ პროექტს, ოღონდ უკვე ნულიდან და ის ფული, რომელიც ადრე იყო პროექტისთვის გამოყოფილი, მიდის, სადაც ნებავთ, გარდა ავღანეთისა»**

**„დიდ კონტრაქტებზე ყველაფერი გაცილებით მოხერხებულადაა დამალული. მაგალითად, დაახლოებით ერთი წლის წინ ერთ-ერთი საავადმყოფოსთვის უნდა მიეწოდებინათ 41 მილიონი დოლარის აღჭურვილობა და მედიკამენტები, ექიმებმა კი დაითვალეს, რომ მხოლოდ ერთი მილიონის საქონელმა მიაღწია მათთან. ისტორიაში ჩაერთო SIGAR-ი, მაგრამ გამოძიება ჩიხში შევიდა, რადგან ამერიკელმა სამხედროებმა დაკარგეს ზუსტად 40 მილიონი დოლარის განკარგვის დამადასტურებელი 6000 დოკუმენტი.“**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელი მოვკიდე ამერიკელი სამხედროების სამშენებლო პროექტებს,** — დაიწყო თხრობა მუჰამედ იონას ბეიარმა. — **8 ობიექტის აღმართვის კონტრაქტები ამერიკის არმიამ ამერიკულ კომპანიებს მისცა, მათ კი იგივე საქმე ავღანეთში ქვედაქირავებულებს გადაულოცეს. ფულს სამაგალითოდ გვიხდიდნენ პირველი სამი თვის განმავლობაში, მაგრამ შემდგომ გადახდებმა შეყოვნება დაიწყო და ამას ბიუროკრატიული წინაღობებით ხსნიდნენ. ჩვენ საკუთარი ხარჯით ვაგრძელებდით მშენებლობას და კრედიტებს ვიღებდით მასალებისა და აღჭურვილობის მომწოდებლებისგან. უცებ პროექტი შეაჩერეს. პირველადი დაქირავებულები, უბრალოდ, გაქრნენ ფულთან ერთად. სულ 40-მდე კომპანია დაზარალდა. საორიენტაციოდ დაახლოებით 60 მილიონი დოლარი დავკარგეთ.**

**იძულებული გავხდი, გამეყიდა სამშენებლო ტექნიკა, დამეხურა ოფისები, საკუთარი სახლიც კი გავყიდე, რომ ნაწილობრივ მაინც ამენაზღაურებინა ნამუშევარი დაქირავებული მუშებისთვის. ისინი ხომ ღატაკები არიან, ოჯახებს ვერაფრით გამოკვებავდნენ. უფრო მეტიც, ისინი საკუთარ სიცოცხლეს რისკავდნენ. მაგალითად, პაკტიას პროვინციაში სასაზღვრო საგუშაგოს მშენებლობისას სამი მშენებელი მომიკლეს — თალიბებმა მათ თავები მოჰკვეთეს, ჯერ თავები გამოგვიგზავნეს, შემდეგ კი — სხეულები, მაგრამ ჩვენ განვაგრძობდით მშენებლობას, ვიდრე კონტრაქტი არ გაგვიწყვიტეს.**

**ჩვენ განვაგრძობდით დიდ სამუშაოებს საკუთარი ფულის დაბრუნების მცდელობით, მაგრამ აბსოლუტურად უშედეგოდ. ამერიკის საელჩომ გვიპასუხა, რომ, ვინაიდან ფული მართებს ამერიკულ კომპანიას და არა ამერიკის ხელისუფლებას, ამერიკაში უნდა გავემგზავროთ და იქ ვუჩივლოთ პირველად დაქირავებულებს. მივმართეთ SIGAR-საც, მაგრამ ეს მხოლოდ აზრაა, ისინი აბსოლუტურად უძლურნი არიან. გვითხრეს, რომ განიხილავდნენ ჩვენს საქმეს, მაგრამ უკვე ორი წელია, ვერ მოახერხეს, რაიმე პასუხის გაცემა“.**

„უცხოელი და განსაკუთრებით ამერიკული კომპანიების მხრიდან თაღლითობის უამრავი შემთხვევაა დაფიქსირებული, — ადასტურებს ტორაბი, — **მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, პასუხისგებაში მივცეთ დანაშაულის ჩამდენნი. თუ სტანდარტულ ხელშეკრულებას წაიკითხავთ, მასში ნათქვამია, რომ ადგილობრივ კანონმდებლობასთან დაკავშირებული დაქირავებულთა პრობლემები ამერიკას არ აწუხებს. ქვედაქირავებულებს პრაქტიკულად არ გააჩნიათ რაიმე შანსი, სასამართლო მოიგონ აშშ-ში ან ავღანეთში. ეს ხაფანგია და ძალზე ბევრი ავღანური კომპანია ამ ხაფანგში გაება“.**

ამ კომპანიებს შორის აღმოჩნდა Paktin Construction Company, რომელმაც ტენდერი მოიგო ამერიკული არმიისთვის გადამზადების რეგიონული ცენტრის ასაშენებლად. პროექტის ღირებულება 31 მილიონი დოლარია. **„აქ უკიდურესად მარტივი კრიმინალური სქემაა,** — სევდიანად ამბობს კომპანიის ხელმძღვანელი რახმატულა ზალანდი. — **პირველადი ამერიკელი დაქირავებული იგებს კონტრაქტს, ჩამოდის ქვეყანაში და ქირაობს ადგილობრივ ქვედაქირავებულებს. შემდეგ პროექტი ჩერდება, პირველადი დაქირავებულები კი ქრებიან ფულთან ერთად. ავღანელი ქვედაქირავებულები იძულებულნი არიან, საკუთარი სახსრებით აანაზღაურონ გაწეული სამუშაოც და დახარჯული მასალებიც. გარკვეული დროის შემდეგ პირველადი დაქირავებულები ახალი სახელით ჩნდებიან, აღადგენენ კონტრაქტს და დაასრულებენ სამუშაოს“.**

RLTC-ს შემთხვევა ამას ადასტურებს. ახლახან ობიექტზე სამუშაოები განაახლეს, მაგრამ მათ უკვე სხვა კომპანია აწარმოებს. ამასთან, ვერავინ დაიჟინებს, რომ პირველადი დაქირავებული განმეორებით არ გამოიყენებს იმავე სქემას და ფულთან ერთად არ გაქრება მას შემდეგ, რაც ობიექტი უკვე დასრულდება.

**„ეს ყველაფერი არის მაღალი რანგის ამერიკელი ჩინოვნიკებისა და მათი მარიონეტული ფირმების თამაში გადასახადების გადამხდელთა ფულით, ერთის მხრივ, და ავღანეთის ხელისუფლების, მეორე მხრივ,** — დარწმუნებულია ბატონი ზალანდი. — **კონტრაქტების შეწყვეტით ისინი არამხოლოდ ინარჩუნებენ ფულს, არამედ ზეწოლას ახდენენ ყარზაის ხელისუფლებაზე. და როდესაც ქაბული დათმობაზე მიდის, ამერიკელები განაახლებენ პროექტს, ოღონდ უკვე ნულიდან და ის ფული, რომელიც ადრე იყო პროექტისთვის გამოყოფილი, მიდის სადაც გნებავთ, გარდა ავღანეთისა“.**

**„ავღანეთის აღდგენაზე დახარჯული სახსრების 65% გაივლის ამერიკის თავდაცვის სამინისტროს, ეს უკანასკნელი კი მჭიდრო კავშირშია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კომპანიებთან. ამასთან, ეს უდიდესი კორპორაციები დიდწილად ან სრულად არიან დამოკიდებულნი პენტაგონის დაკვეთებზე,** — დარწმუნებულია იმან ჰასანი. — **საიდუმლო არავისთვისაა, რომ აშშ-ის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებს ამ კორპორაციებში პირდაპირი ფინანსური ინტერესები აქვთ. ვიცეპრეზიდენტი ჩეინი ხუთ წელზე მეტხანს იყო კომპანია HALLIBURTON-ის აღმასრულებელი დირექტორი, ერაყის ომისას კი ეს კომპანია პირდაპირ ოქროში ამოევლო.**

ავღანეთში კონტრაქტებით მომსახურების უმსხვილესი მიმწოდებლები მხოლოდ ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კომპანიები არიან და თითქმის 100%-ით არიან დამოკიდებულნი პენტაგონიდან მიღებული დაკვეთების შემოსავლებზე. წარმოიდგინეთ, რამდენი ფული მიიღო Dyn Corp-მა მთელი 12 წლის მანძილზე, თუ მხოლოდ ერთ კონტრაქტზე ნარკოტიკების განადგურებისთვის მან 1,8 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა!“

ამასთან, ამ სამუშაოს შესრულების ხარისხიდან გამომდინარე, ნათელია, ზემოხსენებული თანხიდან რამდენი წავიდა საქმეზე და რამდენი უკან დაუბრუნდათ ამერიკელებს.

სხვათა შორის, ბარაკ ობამა აპირებს, მომავალ 2014 წელს ავღანეთის აღდგენისთვის გამოყოფილი სახსრები 23%-ით, ანუ 12 მილიარდ დოლარამდე გაზარდოს.

fbii.org



**აშშ-ის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებს სამხედრო-სამრეწველო კორპორაციებში პირდაპირი ფინანსური ინტერესები აქვთ. ვიცეპრეზიდენტი ჩეინი ხუთ წელზე მეტხანს იყო კომპანია Halliburton-ის აღმასრულებელი დირექტორი, ერაყის ომისას კი ეს კომპანია პირდაპირ ოქროში ამოევლო**

# ამერიკა — სამოთხე გარყვნილთათვის

**ამერიკაში ტრადიციული და ერთსქესიანი ოჯახების უფლებების გათანასწორება საქმის მხოლოდ დასაწყისია. ამერიკელი სამართალდამცავები სერიოზულად განიხილავენ სექსუალური გარყვნილების თითქმის ოცდაათი სახეობისთვის იურიდიული და ფედერალური დაცვის მინიჭების საკითხს. ამ ოცდაათს შორის არის ნეკროფილია, ზოოფილია და პედოფილიაც.**



**აშშ-ის ძალოვანი სტრუქტურების სამხედრო მოსამსახურეებს ცხოველებთან კავშირის ნება დართეს**

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი ობამას თანაპარტიელებმა შარშან გადადგეს — **სამხედრო იუსტიციის ერთიანი კოდექსის 125-ე მუხლში შეიტანეს ცვლილება და აშშ-ის ძალოვანი სტრუქტურების სამხედრო მოსამსახურეებს ცხოველებთან კავშირის ნება დართეს.** მაგრამ ზოოფილებისგან ბევრ ხმებს ვერ მიიღებ, პედოფილები კი სულ სხვა თემაა. მხოლოდ სექსუალურ დამნაშავეთა ნაციონალურ სახალხო რეესტრში ამგვარი 650 ათასი შემთხვევაა დაფიქსირებული. რეალურად კი, სპეციალისტთა აზრით, პედოფილების რაოდენობა სამჯერ მეტია. ამასთან, **ამ ორმილიონიან არმიას, „პიროვნებებს, რომლებსაც არასრულწლოვანები იზიდავთ“, ძლიერი ლობისტები ჰყავთ მრავალი შტატის ხელისუფლებაში, კონგრესსა და აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.**

ჯერ კიდევ 1977 წელს გაკეთდა პირველი განცხადებები იმის თაობაზე, რომ პედოფილია არც ისე საშიშია, როგორც წარმოადგენენ. მალე ამ აზრს ჩაეჭიდა ამერიკის ფსიქიატრთა ავტორიტეტული ასოციაცია, რომელიც დარგის ათი ათასობით სპეციალისტს აერთიანებს. 90-იანი წლების ბოლოს ასოციაციის მრავალი წევრი ნერგავდა ამერიკის საზოგადოებაში აზრს, რომ უფროსების ბავშვებთან სექსის ნეგატიური პოტენციალი ძალზე გადაჭარბებულია. პედოფილების ლოგიკით, პედოფილია ფსიქიატრიული აშლილობა კი არა, ნორმიდან უმნიშვნელო გადახრაა და არანაირ ზიანს არ აყენებს ბავშვს ან მოზარდს. შესაბამისად, ეს ქმედება საფრთხეს არ წარმოადგენს, სისხლის სამართლით დასჯადი არ არის და მკურნალობას არ საჭიროებს.

**2003 წლიდან კი პედოფილების რეაბილიტაციის საქმეში მძიმე არტილერია — პროფესიონალი ფსიქოლოგებისა და აქტივისტების გაერთიანება B4U-ACT ჩაერთო.**

**ორგანიზაცია გამძვინვარებული შეუდგა პედოფილების დაცვას. მის აპოთეოზად იქცა 2011 წლის აგვისტოში ბალტიმორში გამართული კონფერენცია, რომელზეც ხანგრძლივი განხილვის შემდეგ აშშ-ის წამყვანი ინსტიტუტების ფსიქოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ საზოგადოება უსამართლოდ ექცევა პედოფილებს და უფროსების სურვილი, დაკავდნენ ბავშვებთან სექსით, ნორმალურია!**

მორალის უკანასკნელი ბასტიონი დაემხო!

კალიფორნიაში, ჯორჯიაში, აიოვაში და მთელ რიგ სხვა შტატში პედოფილებმა გააპროტესტეს კანონი, რომელიც მათ სკოლებისა და პარკების სიახლოვეს ცხოვრებას უკრძალავდა.

**პედოფილურმა ლობმა ისიც კი მოახერხა, რომ ყველა ამერიკელისთვის წმინდა ღირებულებაზე — ფულზე აეგო რიტორიკა. დაითვალეს, რომ ერთი პედოფილის დაჭერა, გასამართლება და სამუდამოდ ციხეში შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს 110 მილიონი დოლარი უჯდება.**

ამგვარი პროპაგანდის ნათელი მაგალითის როლს ასრულებს სტივენ მარტინესი, რომელიც 1998 წლიდან იხდის სასჯელს ბავშვის გატაცების, გაუპატიურებისა და მკვლელობისთვის. სექსუალურ დამნაშავეებს ციხეში არავინ ინდობს. მარტინესს ყელში დანა ჩაარტყეს და ხერხემალი გადაუტეხეს. მისი შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს წელიწადში 625 ათასი დოლარი უჯდებოდა.

როგორც ჩანს, **იგრძნეს რა ოფიციალური წრეების მხარდაჭერა, აგრესიული გახდა არა მხოლოდ პროპაგანდის მეთოდები, არამედ თავად პედოფილებიც. სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ნაციონალური სამსახურის მონაცემებით, ბავშვებისადმი სექსუალური ძალადობის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში დარეგისტრირებულია სამ მილიონზე მეტი ანალოგიური შემთხვევა, მაგრამ სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ რეალურად ამგვარი შემთხვევების რაოდენობა ორჯერ მეტია.**

მაგრამ არც ეს ციფრები და არც მშობლების განგაშის ზარი, არც იმ 39 მილიონი ამერიკელის უბედურება, რომლებმაც ბავშვობაში სექსუალური ძალადობა გადაიტანეს, და არც იმ 15 მილიონი ამერიკელის ბედი, რომლებმაც ამის შესახებ დუმილი ამჯობინეს, ვერ ცვლიან პოლიტიკოსთა დაუოკებელ სურვილს, იბრძოლონ „სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის“. ეს რომ მსოფლიო დემოკრატიის მედროშის შიდა საქმედ რჩებოდეს, კიდევ გაიგებდა ვინმე, მაგრამ **2009 წელს ხომ ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა „ჰომოფობების საწინააღმდეგო აქტს“ და სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის ბრძოლა ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად გამოაცხადა.**

**ბავშვებისადმი სექსუალური ძალადობის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში აშშ-ში დარეგისტრირებულია სამ მილიონზე მეტი ანალოგიური შემთხვევა**

fbii.org

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას ამერიკულმა კომპანიებმა იპოვეს ხვრელი, რომლის წყალობითაც ანტიირანული სანქციების შუაგულში ახერხებდნენ ირანული ნავთობის ყიდვასა და ხელმეორედ გაყიდვას. ეს მეთოდი პრეზიდენტმა სუდანში დახვეწა — იქ ემბარგოს პირობებში ამერიკული კომპანია თეთრი სახლის დახმარებით შეუფერხებლად მოიპოვებდა და ჰყიდდა ნავთობს.**

# ვინ და რისთვის აშტერებს მოსახლეობას

**ეს მატრიცის პრინციპია. ჩვენ კოლექტიური სისულელეების სართულებს მოვივლით. სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პარადოქსების ქაოსში მოვინიშნავთ ფარულ ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს. საუბარია ახალგაზრდობის ტრენდზე, ამერიკელების დეგრადაციასა და მსოფლიო ტექნიკური მეინსტრიმის ზოგიერთ მხარეზე.**



მასობრივი კულტურა ორიენტირებულია ახალგაზრდობაზე. ახალგაზრდები შეადგენენ რეკლამებისა და პიარკამპანიების ძირითად სარეფერენტო ჯგუფს, პოლიტიკური თეატრი ორიენტირებულია ახალგაზრდებზე.

მაგრამ **ახალგაზრდობას შორის ინფანტილობა იზრდება. მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან ევროპაში გამუდმებით იზრდება სამედიცინო პროცედურების, კოსმეტიკისა და სპორტული ინვენტარისთვის გაღებული ხარჯების მოცულობა.**

**ამასთან, აშშ-ში ლამის მიწასთან გასწორდა შობადობა, ევროპის ძირძველი მოსახლეობა კი, უბრალოდ, გაწყვეტის სტადიაშია.**

**არც ევროპაში და არც ამერიკაში შვილები არ ჩქარობენ მშობლების მიტოვებას — ერთად ცხოვრების პერიოდი XX საუკუნის დასაწყისიდან ამ დრომდე 8,5 წლით გაიზარდა.**

სოციალური გამოკითხვების შედეგების მიხედვით, **ევროკავშირში ორმოც წელს მიტანებული მამაკაცებისა და ქალების 60%-ზე მეტი თვლის, რომ საკუთარი თავის არახალგაზრდად აღიარება ნიშნავს უმიზნო, უმოქმედო ცხოვრებას.**

ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ევროპა მედიური ჰიპნოზის ქვეშაა და ადამიანები ვირტუალურ რეალობაში ცხოვრობენ. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ 40 წლის ასაკში ცხოვრება მხოლოდ იწყება. მათ არაფერი იციან იმის შესახებ, რომ **მსოფლიოში სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირდება და სხვადასხვა ქვეყანაში ის უკვე შემცირდა 3-დან 17 წლამდე პერიოდით. სიცოცხლის ხანგრძლივობის პიკი 1968-1984 წლებზე მოდის, 1985 წლიდან კი სიცოცხლის ხანგრძლივობა განუხრელად მცირდება. დასკვნა: ადამიანები სიბერემდე არ აპირებენ გაზრდას!**

> **ევროკავშირში 40 წელს მიტანებული მამაკაცებისა და ქალების 60%-ზე მეტი თვლის, რომ საკუთარი თავის არახალგაზრდად აღიარება ნიშნავს უმიზნო, უმოქმედო ცხოვრებას**

ცხოვრების სამომავლოდ გადადება ცნობილი სინდრომია. ეს ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ჩვენს რეალობაში საზოგადოებრივ სტანდარტად იქცა. ამასთან, ყველგან საწინააღმდეგოსკენ მოუწოდებენ, მაგრამ ამას იმდენად მოხერხებულად აკეთებენ, რომ მეთოდურად ერეკებიან ადამიანებს ინფანტილიზმისკენ.

მაგალითად, აშშ-ის სტატისტიკის მიხედვით ჩანს შემდეგი:

**18-დან 29 წლამდე ასაკის გამოკითხულთა 75% თავს აბსოლუტურად დამოუკიდებლად და სრულფასოვნად მიიჩნევს, მაგრამ მშობლებთან ცხოვრებას განაგრძობს.**

XX საუკუნის 20-იან წლებში საშუალო ამერიკული ოჯახის სახლის კედლებს ამშვენებდა რამდენიმე სურათი — სკოლის გამოსაშვები საღამო, ჯარი, ქორწილი და ერთი-ორი სხვა ღირსშესანიშნაობის აღმნიშვნელი კადრი. XXI საუკუნეში ფოტოების რაოდენობა გაიზარდა რამდენიმე ათეულიდან ასეულებამდე! მათ შორის ნახავთ შინაური ცხოველების, წვეულებების, მოგზაურობების, პიკნიკებისა და კიდევ უამრავი სისულელის ამსახველ კადრებს.

საბოლოო ჯამში, **ამერიკელთა სახლები დაემსგავსა ჰედონიზმის ტაძრებს, რომლებშიც ღმერთები თავად არიან!**

**1980-იანი წლებიდან მოქალაქეების ინტერესები ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მიმართ ყოველწლიურად იკლებს. 1985 წლის შემდეგ დაბადებულ ამერიკელებს ეს ინტერესი პრაქტიკულად ნულოვან დონეზე აქვთ.**

ეს არაფერზე მიანიშნებს?

აი, დეგრადაციის ამსახველი რამდენიმე ფაქტი:

Pew-ის მონაცემებით, **ამერიკელი მოზარდები სოციალურ ქსელებში დღეში საშუალოდ 88 შეტყობინებას აგზავნიან!**

ტორანსის ტესტები შემდეგ სურათს ხატავენ: **კრეატიულობა ეცემა, ემპათიის უნარი საერთოდ ქრება. დასკვნა — ეს არის თავის ტვინის ორივე ნახევარსფეროს ქერქის ფუნქციის დეგრადაცია!**

ამ ფუნქციების განვითარება დამოკიდებულია გარემოზე. თუ მოზარდი თავისი დროის ნახევარს ვირტუალურ სამყაროში ატარებს, რაღაში სჭირდება გონების უმაღლესი საზოგადოებრივი ფუნქციები?

**ვის აძლევს ხელს საზოგადოებრივი ინფანტილიზმი?**

საზოგადოებრივი სისტემა ძლიერ დეტერმინირებულია. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რატომ მიმდინარეობს რაღაც მოძრაობა, უნდა დავსვათ კითხვა — ვის სჭირდება ის?

**ყველაფერი, რაც ნელნელა ხდება, მხედვე-** ▶

# ეკონომიკური სანქციები გამორჩენის მიზნით



**იყო დრო, როდესაც აშშ თავისი არმიის, დოლარისა და ეკონომიკური სანქციების საშუალებით ახერხებდა, სული და მთელი რესურსები ამოერთვა ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის. ახლა ამერიკისთვის ომი მძიმე ტვირთია, დოლარი სულს ღაფავს, ხოლო ამერიკული ემბარგო, შიშის ნაცვლად, მისთვის საპასუხო ემბარგოს გაგზავნის სურვილსღა ბადებს.**

XXI საუკუნის დასაწყისში ამერიკის ეკონომიკური სანქციები მსოფლიოს 75 ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებდა და ამ ქვეყნებში მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ლამის ნახევარი ცხოვრობდა. ამ ზომების ადამიანთა უფლებების დაცვის აუცილებლობით, ტერორიზმთან, ნარკობიზნესთან და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან ბრძოლის გამართლებით აშშ ახორციელებდა თავის ფუძემდებლურ მიზნებს: ახალი ბაზრების ათვისება, კონკურენტების ჩამოშორება და ზეწოლა არასასურველ ხელისუფლებებზე რეჟიმის შეცვლამდე.

**1977 წლის 28 ოქტომბერს მიღებული „საერთაშორისო საგანგებო სიტუაციების პირობებში ეკონომიკური უფლებამოსილების შესახებ“ კანონის თანახმად, აშშ-ის პრეზიდენტი, უბრალოდ, ვალდებულია, გამოიყენოს სანქციები, როგორც კი წარმოიშობა „არა ჩვეულებრივი ან ექსტრაორდინალური საფრთხე ნაციონალური უშიშროებისთვის, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ან ეკონომიკისთვის და ამ საფრთხის წყარო სრულად ან მნიშვნელოვანწილად აშშ-ის საზღვრებს გარეთაა“.**

აღმოჩნდა რა აშშ-ისა და გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების უღელქვეშ, 1990 წლის აგვისტოდან ერაყმა სრულად იწვნია, თუ რას ნიშნავს აშშ-ის ნაციონალური ინტერესების სფეროში მოხვედრა. **ბაღდადის წინააღმდეგ ემბარგო დაწესდა ნებისმიერი სახის იარაღისა და ყველა საქონლის თაობაზე, გარდა სურსათისა და მედიკამენტების შეზღუდული სიისა. ამ სიაში ჩამოთვლილი საქონლის უკმარისობამაც ერაყში ნახევარი მილიონი ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა.** როდესაც აშშ-ის მაშინდელ სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ზედმეტად მკაცრი ხომ არ იყო ეს სანქციები, მან ცინიკურად უპასუხა, რომ **500 ათასი ერაყელი ბავშვის სიკვდილი იყო ის საზღაური, რომელიც ერაყელებმა სადამ ჰუსეინის რეჟიმის შესუსტებისთვის გადაიხადეს,** თუმცა ამ სანქციებმა რეჟიმი ვერ დაამხო და ამერიკელებმაც უკიდურესი არგუმენტი — სამხედრო ძალა გამოიყენეს. ტყუილად ხომ არ უყვარდა ოლბრაიტს გამეორება ფრაზისა: **„რა აზრი აქვს ასეთი მშვენიერი არმიის ყოლას, თუ ჩვენ არ შეგვეძლება მისი გამოყენება?“**

კუბა ნახევარ საუკუნეზე მეტია აშშ-ის უმკაცრესი ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკადის პირობებში ცხოვრობს, მაგრამ დღესაც სოციალისტურია და დღესაც კასტრო მართავს. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, აშშ-ის ემბარგომ ქვეყნის ეკონომიკა 1,1 ტრილიონი დოლარით დააზარალა.

გაეროს უკანასკნელ გენერალურ ასამბლეაზე სანქციების ვადის გახანგრძლივებას მხარი მხოლოდ აშშ-მა და ისრაელმა დაუჭირეს. ამის შემდეგ ამერიკა იძულებული გახდა, განეცხადებინა, რომ კუბას ხელს გაუწვდის, თუმცა ეს ბლოკადის დაჟანგული ბორკილების ერთბაშად ახსნას არ გულისხმობს. **ჰავანასთან სავაჭრო ურთიერთობებში გამოჭერის გამო მხოლოდ ბოლო ათი წლის მანძილზე აშშ-მა საკუთარი და უცხოური კომპანიები, საერთო ჯამში, 2,4 მილიარდი დოლარით დააჯარიმა.**

**პირდაპირ და ირიბად ისარგებლა აშშ-ის ბიუჯეტმა 1979 წლიდან ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებითაც. ამ სანქციებმა ერთი ნაბიჯითაც კი ვერ მიაახლოვა ამერიკა თავის მთავარ მიზანთან — აიათოლების ხელისუფლების დასუსტებასთან და ჩამოგდებასთან, სამაგიეროდ, ჯიბე გაუსქელა ათობით ამერიკულ კომპანიას და მთელ მსოფლიოს აჩვენა ამერიკის უპრინციპო და ადვილად მოსაქრთამი არსი.** თეთრი სახლის ირანულ აფერებს ფარდა ჩამოხსნა „ირან-კონტრას“-ის სკანდალმა 1986 წელს. მაშინ პრესაში გაჟონა იმ საიდუმლო გარიგებების დეტალებმა, რომლის დროსაც რონალდ რეიგანის ადმინისტრაცია საკუთარი ემბარგოს დარღვევით, იარაღს და ფულს, მიუხედავად აშშ-ის კონგრესის აკრძალვისა, ნიკარაგუელი მეამბოხეების დასახმარებლად ჩუმად გზავნიდა. **ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას ამერიკულმა კომპანიებმა იპოვეს ხვრელი, რომლის წყალობითაც ანტიირანული სანქციების შუაგულში ახერხებდნენ ირანული ნავთობის ყიდვასა და ხელმეორედ გაყიდვას. ეს მეთოდი პრე-** ▶

> **როდესაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანს — ჯეიმს ბეიკერს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ზედმეტად მკაცრი ხომ არ იყო სანქციები ბაღდადის წინააღმდეგ, მან ცინიკურად უპასუხა, რომ 500 ათასი ერაყელი ბავშვის სიკვდილი იყო ის საზღაური, რომელიც ერაყელებმა სადამ ჰუსეინის რეჟიმის შესუსტებისთვის გადაიხადეს**

**ნორფოლკის ოლქის პროკურორი მაიკლ მორისეი ახლა ათასობით საქმეს ხელახლა სწავლობს, რათა დუჰანის კორუმპირებულების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებები გაუქმდეს და საქმეები ხელახლა იქნეს გამოძიებული. ფედერალურ სასამართლოებში მრავალმა უდანაშაულო ადამიანმა გაცილებით უფრო მკაცრი სასჯელი მიიღო ენი დუჰანის მიერ მტკიცებულებების გაყალბების შედეგად მათ საქმეში არსებული წინა განაჩენების გამო.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ლობის არედან ქრება. მაგრამ ის, რაც ერთი ადამიანისთვის ნელია, ძალზე სწრაფია ისტორიისთვის. ჩვენ ვცხოვრობთ იმ სოციალური რევოლუციების პირობებში, რომელთა დარიც ისტორიას არ ახსოვს. მისი ექსპანსისური განვითარება დასრულდა ფართომასშტაბიანი კოსმოსური პროგრამების შეწყვეტის მომენტში.**

მაშ, ვის აძლევს ხელს კოსმოსური კვლევების შეწყვეტა და ადამიანთა კრეატიულობის ყველანაირად შემცირება, საგანმანათლებლო ცენზის დაცემა? ვისთვისაა მომგებიანი ბებერი ევროპის ქცევა მომაკვდავი ინფანტილების თავშეყრის ადგილად და სკანდინავიის ქვეყნების ზანგებით დასახლება?

შეთქმულების თეორიის ყველა ოპუსიც რომ შეგესწავლათ, იქ ბანალურობისა და მონსტრების მეტს ვერაფერს მონიშნავდით. რაც ყველაზე მთავარია, ავტორებს, რომლებიც ამ მონსტრებს ქმნიან, არ აქვთ მოდელი, რომელიც აჩვენებს, თუ რისთვისაა საჭირო ეს, არ გააჩნიათ საბოლოო შედეგის მცნება. **ზღაპრები იმ ელიტის შესახებ, რომლებიც ვერ იტანენ ადამიანებს და ბნელ ძალებს ან უცხოპლანეტელებს ემსახურებიან, მხოლოდ დიასახლისებისა და სკოლის მოწაფეებისთვის თუ გამოდგება. ამ დონეზე მოაზროვნე ადამიანების გამოშტერება უკვე გვიანია, გამოფიტვა კი აღარ ღირს — საკმარისია, უბრალოდ, ხელი არ შეუშალო.**

**◀ზიდენტმა სუდანში დახვეწა — იქ ემბარგოს პირობებში ამერიკული კომპანია თეთრი სახლის დახმარებით შეუფერხებლად მოიპოვებდა და ჰყიდდა ნავთობს.**

ბირთვული იარაღის საკითხი გამოიყენა აშშ-მა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციების დასაწესებლად. საინტერესოა, რომ ზემოხსენებული ქვეყნების გარდა 2001 წლამდე ამერიკის სანქციები ვრცელდებოდა ინდოეთსა და პაკისტანზეც. ამ უკანასკნელთ ეს „პატივი“ 1998 წლის მაისში ხვდათ წილად, მას შემდეგ, რაც ბირთვული გამოცდა ჩაატარეს. მაგრამ სანქციებმა დელი და ისლამაბადი ვერ შეაჩერა — ორივე ქვეყანამ მეორე წელსვე გაუშვა საცდელი ბალისტიკური რაკეტები. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ბუშმა ეს სანქციები გააუქმა იმ პირობით, რომ ინდოეთიც და პაკისტანიც მას მხარს დაუჭერდნენ ტერორიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში.

ასე რომ, **ამერიკული ემბარგოს წესების დაცვა აუცილებელია ყველასთვის, გარდა თავად ამერიკისა, ეს წესები კი მუდამ იცვლება, ცხადია, ისევ ამერიკის ინიციატივით.** თუმცა მსოფლიოში სულ უფრო ნაკლები მსურველი რჩება ვარსკვლავ-ზოლოვანი მოთამაშის გვერდით ერთ მაგიდასთან დასაჯდომად და ვაშინგტონსაც სანქციები ვეღარ ეხმარება, ამ სათამაშო მაგიდაზე მსოფლიო ლიდერობა „მოიგოს“.

fbii.org

# ამერიკული მართლმსაჯულება: სასამართლო ექსპერტმა 40 000 საქმე გააყალბა

**მასაჩუსეტსის შტატში სკანდალი ატყდა იმის გამო, რომ კრიმინოგენული ლაბორატორიის ექსპერტმა შეგნებულად გააყალბა ხელმოწერები და მტკიცებულებები, სულ მცირე, 40 ათას სისხლის სამართლის საქმეზე. იმავე ქმედებით მან უამრავი უდანაშაულო ამერიკელის ცხოვრება გაანადგურა. ენი დუჰანი მასაჩუსეტსის შტატში ექსპერტ-ქიმიკოსად მუშაობდა და, როგორც გაირკვა, მჭიდრო კავშირი ჰქონდა პროკურორებთან. ამ პროკურორებმა დიდი წარმატებით გამოაცხადეს დამნაშავეებად აბსოლუტურად უდანაშაულო ამერიკელები იმის გამო, რომ დუჰანი „მტკიცებულებებს“ აყალბებდა. შედეგად პროკურორები კარიერულ კიბეზე სულ უფრო მაღლა მიცოცავდნენ, უდანაშაულო ადამიანები კი ოჯახებს წყდებოდნენ და ციხეში ისხდნენ.**



პროკურორები აქებდნენ დუჰანის მუშაობას, რადგან სწორედ ამ უკანასკნელზე იყო დამოკიდებული ადამიანთა დამნაშავედ ცნობა, რაც თავად პროკურორებს სჭირდებოდათ.

ათასობით მსჯავრდებული უკვე გათავისუფლებულია, პოტენციურად კიდევ მრავალი შეიძლება გათავისუფლდეს დაუმსახურებელი პატიმრობისგან.

ნორფოლკის ოლქის პროკურორი მაიკლ მორისეი ათასობით საქაღალდეს ამოწმებს, რათა დაადგინოს, საქმეთაგან რომელი უნდა გადააგდოს, რომელზე კი ხელახალი სასამართლო სხდომის ჩატარება დაინიშნოს მტკიცებულებებით მანიპულირების გამო.

**დუჰანი თითქმის 10 წლის განმავლობაში იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, რათა გაეყალბებინა სასამართლო ექსპერტიზის შედეგები.**

„არ მგონია, რომ ოდესმე ვინმე იფიქრებდა, ერთ ადამიანს თუ ამხელა ქაოსის გამოწვევა შეეძლო“, — განაცხადა ნორფოლკის ოლქის პროკურორმა მაიკლ მორისეიმ.

**„ხომ ხედავთ ყუთებისგან აღმართულ მთელ კედლებს... თითოეულ ასეთ ყუთში, შესაძლოა, ასობით საქმე ინახებოდეს“,** — ამბობს იგი.

ასობით ბრალდებული ირწმუნებოდა, რომ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მანიპულაციებს ჰქონდა ადგილი, რომ მათ უსამართლოდ ადანაშაულებდნენ იმისთვის, რაც არ ჩაუდენიათ და ყველა მათგანი მართალი აღმოჩნდა.

გამყალბებლის ხელში გავლილი უკანასკნელი საქმეებიდან ერთ-ერთი ეხებოდა მამაკაცს, რომელსაც ბრალი ედებოდა კოკაინისა და ჰეროინის გაყიდვაში. მისი საზოგადოებრივი ადვოკატი — კულიან ჰემონი მიიჩნევს, რომ იგი დუჰანის ყალბი მტკიცებულებების მორიგი მსხვერპლია და უნდა გათავისუფლდეს.

**„დუჰანი ატარებდა მტკიცებულებების არასწორ ანალიზებს, ბეჭდავდა მათ შედეგებს კომპიუტერზე, ნაცვლად იმისა, რომ ექსპერტიზა ჩაეტარებინა და ირწმუნებოდა, რომ ჩაატარა ანალიზები. ცხადია, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საქმეშიც გაყალბებულია მტკიცებულებები, რადგან მათთან საქმე დუჰანს ჰქონდა“,** — ამბობს ჰემონი.

კიდევ ერთ ბოლოდროინდელ საქმეში მსჯავრდებულის ადვოკატმა უილიამ სალივენმა მოახერხა, წარმატებით უკუეგდო თავისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის წაყენებული ბრალდება, რადგან დუჰანი ამ საქმეში მეორე ექსპერტ-ქიმიკოსი იყო.

**„ეს ლაბორატორია სრულად კომპრომეტირებულია ენი დუჰანის მიერ,** — განუცხადა სალივენმა მოსამართლეს, — **ამ ქალს ნებისმიერ ნარკოტიკზე მიუწვდებოდა ხელი“.**

მართალია, დუჰანის მოღვაწეობის შედეგად დაპატიმრებულთაგან მრავალი უკვე გაათავისუფლეს, მაგრამ ის ადამიანები ვეღარასდროს დაიბრუნებენ ციხეში გატარებულ წლებს.

**„ტრაგედია ის არის, რომ ჩემმა კლიენტმა უკვე მოიხადა ოთხი წელი და ეს თავისთავად ძალზე სამწუხაროა“,** — ამბობს სალივენი.

კიდევ უამრავმა აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანმა დაკარგა სამსახური, კარიერა, შვილები და მეუღლე.

## ახლა ამერიკაში პატიმრების რაოდენობა მასწავლებლებისა და ინჟინრების რაოდენობას აღემატება

**ნორფოლკის ოლქის პროკურორი მაიკლ მორისეი ახლა ათასობით საქმეს ხელახლა სწავლობს, რათა დუჰანის კორუმპირებულების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებები გაუქმდეს და საქმეები ხელახლა იქნეს გამოძიებული.**

**ფედერალურ სასამართლოებში მრავალმა უდანაშაულო ადამიანმა გაცილებით უფრო მკაცრი სასჯელი მიიღო ენი დუჰანის მიერ მტკიცებულებების გაყალბების შედეგად მათ საქმეში არსებული წინა განაჩენების გამო.**

მათ, ვინც მტკიცებულებებით მანიპულირების საფუძველზე იქნა მსჯავრდებული, რამდენიმე სამოქალაქო სარჩელი შეიტანეს სასამართლოში და დუჰანს უჩივლეს იმის გამო, რომ შელახა მათი უფლება — განსჯილნი ყოფილიყვნენ სამართლიანი სასამართლოს მიერ.

**„მე დიდი დანაშაული ჩავიდინე, მრავალი შეცდომა დავუშვი. ეს ჩემი დანაშაულია და არ მსურს, რომ ჩემ გამო ლაბორატორია დაზარალდეს“,** — ამბობს თავად დუჰანი.

ცხადია, დუჰანის მიერ იმის აღიარება, რომ დანაშაული ჩაიდინა, ვერ გააცოცხლებს იმ ადამიანებს, რომლებიც მან ათწლეულის მანძილზე შეგნებულად დაღუპა და გაანადგურა.

დუჰანის კარიერის ანალიზმა აჩვენა, რომ იგი პერიოდულად იგონებდა თავისთვის უცნაურ ტიტულებს, მაგალითად, — „ოპერაციების საგანგებო აგენტი“ და „ტერორიზმის მორიგე ინსპექტორი“. სასამართლოებზე იგი ექსპერტის სტატუსით გამოდიოდა.

ეს ქალი წლიდან წლამდე ინარჩუნებდა ცივსისხლიანობას, რაც უფრო მეტი უდანაშაულო ადამიანი ხვდებოდა ციხის გალიაში.

**განხილვას დაექვემდებარა პროკურორებთან მისი ურთიერთობაც. ერთხელ დუჰანმა ერთ-ერთ პროკურორს ელექტრონულ ფოსტაზე მისწერა, რომ ვერ გამოიყენებდა სასამართლოში მის დასკვნას, რაზეც პროკურორმა მოკლედ და გარკვევით უპასუხა: „არა, არა, არა! შენ მე მჭირდები!“**

**ახლა ამერიკაში პატიმრების რაოდენობა მასწავლებლებისა და ინჟინრების რაოდენობას აღემატება.**

ბოსტონელმა ადვოკატმა დევიდ მეიერმა დაითვალა, რომ დუჰანის მოღვაწეობის წლებში მისი ფალსიფიცირების მსხვერპლი შეიძლებოდა 40 000-ზე მეტი ადამიანი გამხდარიყო.

ოჯახებისთვის მიყენებული ზარალის დაანგარიშებაც კი შეუძლებელია.

წინასწარვე იყო ცნობილი, რომ, თუ დუჰანს ამ ყველაფერში ბრალდებულად სცნობდნენ, მას მოკრძალებული სასჯელი — სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობა ელოდა. ასეც მოხდა მას შემდეგ, რაც მან, ყველა წაყენებული ბრალდების მიხედვით, დამნაშავედ სცნო თავი. მას არანაირი ემოცია არ გამოუხატავს, როდესაც სასამართლოში საუბარი იყო მის მიერ ჩადენილ ქმედებებზე.

**საბრალდებო დასკვნა გაუქმდა ან გადაიდო 600-ზე მეტი ადამიანისთვის, 300-ზე მეტი უკვე გათავისუფლებულია, პოტენციურად გათავისუფლების პერსპექტივა ელის დუჰანის კიდევ ათასობით პატიმარს.**

ყველაზე შემაშფოთებელი კი ის არის, რომ უდანაშაულო ადამიანების ციხეში გამწესების საქმესთან დაკავშირებული სკანდალი მალე, ალბათ, გასცდება დუჰანის საქმეს, რადგან ამერიკაში ახლა უკვე უამრავ ადამიანს აინტერესებს, როგორ ახერხებდა ეს ქალი ყოველივე ჩაედინა ისე, რომ წლების მანძილზე ეჭვიც კი არავის გასჩენოდა.

მასაჩუსეტსის შტატის ადვოკატურის გენერალური იურისკონსულტი მარტინ ჰილი მთელი ლაბორატორიის მუშაობას იძიებს.

**ახლა დუჰანი ქალთა ციხეშია,** მაგრამ, როგორც მისი ადვოკატი ამბობს, მალე ჩვეულებრივ ციხეში გადაიყვანენ. **მისი ლაბორატორიიდან კი კიდევ ერთ ქიმიკოსს სდებენ ბრალს სიცრუეში და ამჯერად უკვე 180 ათას საქმეს დასჭირდება ხელახალი განხილვა.**



## საბრალდებო დასკვნა გაუქმდა ან გადაიდო 600-ზე მეტი ადამიანისთვის, 300-ზე მეტი უკვე გათავისუფლებულია, პოტენციურად გათავისუფლების პერსპექტივა ელის დუჰანის კიდევ ათასობით პატიმარს

filmingcops.com

**ფოსტა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ისა და ნატოს მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სიტყვიერი აღიარება როდი შველის საქმეს. არც ნატოზე დანდობა შეიძლება, მითუმეტეს, რომ, ნატოს წესდების მიხედვით, საქართველო ვერასდროს გახდება ნატოს წევრი. ეს ძალიან კარგად იცის აშშ-მაც და ნატოს ხელმძღვანელობამაც და, მიუხედავად ამისა, მაინც იტყუებიან, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდებაო... აშშ-სა და ნატოს თაღლითობას ზღვარი არა აქვს და დროა, ჭკუას მოვუხმოთ რეალური, გონივრული პოლიტიკის გატარებისკენ.**

# აშშ არასანდო ქვეყანაა, ნატო — მას დაქვემდებარებული სამხედრო ორგანიზაცია, რომლის ტყუილ დაპირებებს ბოლო არ უჩანს

**აშშ რომ არასანდო მოკავშირე ქვეყანა იყო, ამაში ჩვენ, დიდი სამამულო ომის მონაწილეები, უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის დროს დავრწმუნდით. თეირანში დიდი სამეულის მოლაპარაკების თანახმად, მოკავშირე ქვეყნების, კერძოდ: ამერიკისა და ინგლისის გაერთიანებული ძალების მთავარსარდლობას, ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ უნდა გაეხსნა მეორე ფრონტი ევროპაში 1943 წელს. ჩვენ, საბჭოთა არმიის მებრძოლები, დიდი მოთმინებითა და იმედით ყოველდღე ველოდით მოკავშირეების მიერ მეორე ფრონტის გახსნას, მაგრამ ამაოდ. საბჭოთა მთავრობის არაერთგზის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ისინი მეორე ფრონტის გახსნას არ ჩქარობდნენ. სხვადასხვა ყალბი, უფრო სწორად, თაღლითური ვერსიებით, წელავდნენ დროს, რათა არ ჩაბმულიყვნენ ომში.**

ამერიკელები იმედოვნებდნენ, რომ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა არმია დაუძლურდებოდა და დამარცხდებოდა, რაც მათ სტრატეგიულ გეგმაში შედიოდა. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ძლევამოსილმა წითელმა არმიამ გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, შეიჭრა გერმანიის ტერიტორიაზე, წარმატებებს წარმატებებზე აღწევდა და, **როცა აშკარა გახდა საბჭოთა ჯარების გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე, მოკავშირეებმა მხოლოდ ამის შემდეგ იკადრეს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა და გადმოსხეს ჯარები ნორმანდიაში. ამერიკამ თავისი სახე კიდევ უფრო გააშიშვლა 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში. არა მგონია, ამერიკის იმედის გარეშე პარანოიდ სააკაშვილს გაებედა რუსეთის წინააღმდეგ ომის წამოწყება. ეს ხომ ავანტიურა იყო, რომელიც ძალიან ძვირად დაუჯდა საქართველოს.**

2010 წელს დიდი სამამულო ომის დამთავრების 65-ე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოდან ხუთი ვეტერანი მიწვეული ვიყავით ქ. მოსკოვში, გამარჯვების დღესასწაულზე დასასწრებად. 9 მაისს წითელ მოედანზე დავესწარით შეიარაღებული ძალების აღლუმს, რომელიც რუსეთისთვის ჩვეული ორგანიზებით დიდებულად ჩატარდა. აღლუმზე გამოტანილი იყო ყველა ტიპის იარაღი, რომელიც კი რუსეთის შეიარაღებულ ძალებს გააჩნია, მათ შორის, როგორც დიქტორმა გადმოსცა, აღლუმზე გამოტანილი იყო ახალი საბრძოლო იარაღი, რომლის მსგავსი დღეისთვის მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს არ გააჩნიათ. ამ გრანდიოზული სამხედრო ტექნიკის შემხედვარე, ჩვენი დელეგაციის წევრებმა ერთმანეთს გადავულაპარაკეთ: **„ამ არმადის მქონე ქვეყნის წინააღმდეგ როგორ შეიძლებოდა ომის წამოწყება, რომელიც ტირანმა პრეზიდენტმა, სააკაშვილმა და მისმა თანაბანდელებმა ჩაიდინეს?!“.** გაგვახსენდა უგონო გივი თარგამაძის ტრაბახი: **„რას დაგვაკლებს რუსეთი თავისი ჟანგიანი ტანკებითა და შეიარაღებითო“.**

სწორედ რუსეთის ამ სამხედრო სიძლიერის შედეგი იყო, რომ 2008 წელს საქართველოს არც ერთი ქვეყანა, მათ შორის ამერიკაც, არ დაუდგა გვერდით. **რიგი ქვეყნების და მათ შორის აშშ-ისა და ნატოს მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სიტყვიერი აღიარება როდი შველის საქმეს. არც ნატოზე დანდობა შეიძლება, მითუმეტეს, რომ, ნატოს წესდების მიხედვით, საქართველო ვერასდროს გახდება ნატოს წევრი. ეს ძალიან კარგად იცის აშშ-მაც და ნატოს ხელმძღვანელობამაც და, მიუხედავად ამისა, მაინც იტყუებიან, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდებაო.** ვერ გამიგია, თუ რატომ იტყუებს თავს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა, როცა გაიძახის, რომ ნატოში აუცილებლად მიგვიღებენო. აშშ-სა და ნატოს თაღლითობას ზღვარი არა აქვს და დროა, ჭკუას მოვუხმოთ რეალური, გონივრული პოლიტიკის გატარებისკენ.

**შოთა ბუაძე,**
**დიდი სამამულო ომის მონაწილე**

# უნიკალური ფრაგმენტები საქართველოს უახლესი ისტორიიდან

**აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის ახლახან გამოცემული წიგნის „სხივი წყვდიადში“ (წიგნში შეტანილი მასალების უმრავლესობა პირველად გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.) წაკითხვა, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით დავამთავრე და, დავრწმუნდი, რომ საქართველოში 1980-90-იან წლებში განვითარებული მოვლენების აღწერა მისი აქტიური მონაწილის მიერ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ წიგნის სახელწოდება სრულად ვერ ასახავს იმ ისტორიული პერიოდის პერიპეტიების მასშტაბებს. მას უფრო შეეფერება „უნიკალური ფრაგმენტები საქართველოს უახლესი ისტორიიდან“, ამიტომაც ჩემი წერილის სათაურადაც ეს გამოვიტანე.**


ნაპოლეონ ქარქაშაძე

ხმამაღლა ვაცხადებ: დადგება დრო და წიგნში ნაამბობი და სამზეოზე გამოტანილი უცნობი ისტორიული ფაქტები საქართველოს უახლეს ისტორიაში დაიდებს ბინას. რატომ? იმიტომ, რომ ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე 1970-80-იანი წლების აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ქართული მხარის სათავეში იდგა და მას დააწვა აფხაზეთში ქართული სულის შენარჩუნების უმძიმესი ტვირთი.

**არავინ იფიქროს, ნაპოლეონ ქარქაშაძე მარტოოდენ სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი იყო. იგი აფხაზეთის „ეროვნული ერთიანობის საბჭოს თავმჯდომარე“ გახლდათ. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთის ხელმძღვანელობის ელიტა. სწორედ ეს საბჭო წყვეტდა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა სასიცოცხლო საკითხებს. სამწუხაროა, რომ ამ თემაზე ავტორს ბევრი არაფერი აქვს ნათქვამი მხოლოდ იმიტომ, რომ „ვინმემ განდიდებად არ ჩამითვალოსო“, მაგრამ სწორედ ამ საბჭოს მუშაობის დეტალები არის საქართველოს უახლესი ისტორიის ოქროს ფურცლები.**

**სამწუხაროდ, ქართველმა ხალხმა და მათ შორის ინტელიგენციის დიდმა ნაწილმაც სრულყოფილად არ იცის ბატონ ნაპოლეონ ქარქაშაძის, როგორც საზოგადო მოღვაწის, სიმართლე და პოლიტიკური წონა.**

ნაპოლეონ ქარქაშაძეს, უმეტესწილად, აღიქვამენ, როგორც ცნობილ მეცნიერს, მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრს, უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების საპატიო დოქტორს, პროფესორს, ასევე, წარმატებულ რექტორს.

მაგრამ, ამასთან ერთად, **იგი არანაკლებ გამორჩეული სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეა.**

მე მონაწილე ვარ 1980-იანი წლების დასაწყისში სოხუმში გამართული იდეოლოგიური დარგის მუშაკთა თათბირ-სემინარებისა, როცა ბატონი ნაპოლეონი ახალი გადაყვანილი იყო სოხუმში და უკვე აფხაზეთში მცხოვრები ქართველების აღიარებული ლიდერი გახლდათ. მის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არამარტო აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისთვის, არამედ საღად მოაზროვნე აფხაზებისა და აფხაზეთის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებისაც კი.

ამის დამამტკიცებელ საბუთებს ბევრს აღმოაჩენთ, თუ ყურადღებით ჩაუღრმავდებით ბატონი ნაპოლეონის ახალ წიგნს „სხივი წყვდიადში“.

**აბა, გაიხსენეთ მისი საუბარი საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან — ბორის ადლეიბასთან.**

**ადლეიბამ ბატონი ნაპოლეონი იმისთვის მიიწვია, რომ დაედგინა, მართებული იქნებოდა თუ არა მოცემულ მომენტში მისი საოლქო კომიტეტის პირველი მდივნობიდან გადადგომა. ფიქრისა და განსჯის შემდეგ ბატონმა ნაპოლეონმა გადადგომა ურჩია, რის შემდეგაც ადლეიბამ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა და იმ დროს სოხუმში მყოფ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებისთვის მისი გადაცემა ისევ და ისევ ნაპოლეონ ქარქაშაძეს სთხოვა.**

ამ წიგნიდან შევიტყობთ, რომ **ბატონ ნაპოლეონს ტელეფონით ორჯერ უსაუბრია ზვიად გამსახურდიასთან, ორივეჯერ ხაზგასმით ურჩევია, სულით ხორცამდე ქართველთმოძულე სეპარატისტის — ვლადისლავ არძინბას არჩევას არავითარ შემთხვევაში არ დათანხმებულიყო, სესიის ჩატარების დრო გადაეწია, დანარჩენს სოხუმშივე ჩვენ თვითონ მოვაგვარებთო.** სამწუხაროდ, ბატონ ზვიადს არც ერთხელ ბოლომდე არ მოუსმენია (გვ. 67-71). შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. გვიან გაირკვა, რომ თურმე გამსახურდია თვითონაც არ იცნობდა არძინბას.

წიგნში მოთხრობილი ამ ერთი ფრაგმენტიდანაც კარგად ჩანს, რომ ქვეყნის სწორი ხელმძღვანელობა-გაძღოლისთვის მარტოდენ ქვეყნის სიყვარული არ კმარა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საიმედო პირველი ხელმძღვანელების გარეშე უფეხო სკამს რომ დაემსგავსებოდა, ვერ გათვალა ცხოვრების გამოცდილებას მოკლებულმა ეროვნულმა ხელისუფლებამ.

**აფხაზეთსა და ოსეთში ქართული სულის დასამკვიდრებლად „წყეული კომუნისტური ხელისუფლება“ წლობით ამზადებდა ადგილობრივ პერსპექტიულ ახალგაზრდებს.**

**მე იმ პერიოდში მომიწია კომკავშირის ქალაქკომის მდივნობა ტყიბულში** (კომკავშირში მუშაობას არ ვმალავ), **როცა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ერთდროულად გადმოიყვანეს სოხუმიდან ვალერი ხინთბა და ცხინვალიდან ფელიქს სანაკოევი. მუშაობდნენ საორგანიზაციო განყოფილების ჯერ ინსტრუქტორებად, შემდეგ განყოფილებათა გამგეების მოადგილეებად. ამ საფეხურების გავლის შემდეგ აირჩიეს კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნებად: ხინთბა — აფხაზეთში, სანაკოევი — ოსეთში.**

რამდენიმე წლის შემდეგ ორივე გადაიყვანეს თბილისში კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში პასუხისმგებელ ორგანიზატორებად, შემდეგ კი — განყოფილებათა გამგეების მოადგილეებად. წლების შემდეგ დააბრუნეს პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნების რანგში.

როგორც ვხედავთ, **აფხაზეთსა და ოსეთში ქართული ცნობიერებისა და სულიერების მხარდასაჭერად წლების მანძილზე ამზადებდნენ ხელმძღვანელებს. როცა ამ კატეგორიის ხალხი მმართველობაში აღარ იყო და სულით ხორცამდე ანტიქართულად განწყობილი სეპარატისტების არჩევა გადაწყვიტეს** (ვინ გადააწყვეტინა, ესეც გასარკვევია), **„ეროვნული ერთიანობის საბჭოს თავმჯდომარესთან“ ტელეფონით ბოლომდე საუბარიც კი არ ისურვეს.**

ლოგიკური დასასრული სახეზე გვაქვს.

უფრო უარესი კიდევ ისაა, რომ **აფხაზეთის პრობლემების განხილვისას ისეთ მაღალპროფესიონალებს, როგორებიც ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე და სხვები არიან, საკონსულტაციოდ არავინ იწვევს და საქმეს ისევ ისეთი უვიცები განაგებენ, როგორებიც შოთა მალაშხია და ძმანი მისნი არიან.**

ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძის ნაშრომი „სხივი წყვდიადში“ ამ საუკუნის პირველი ათწლეულის საქართველოს ხელისუფლების მმართველი ელიტის უზუსტესი სარკეა.

ნათქვამის დასტურად ყურადღებით წაიკითხეთ 154-160 გვერდები, სადაც აღწერილია მეცნიერი-აკადემიკოსის — ნაპოლეონ ქარქაშაძის თბილისის ციხის ჯურღმულებში ყოფნის პერიპეტიები: როგორი პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობიან თანამოსაკნე სისხლის სამართლის დამნაშავენიც კი და შემდეგ შეადარეთ 142-152 გვერდებში მოთხრობილი უმაღლესი ხელისუფლებისა და პროკურატურის მუშაკების მოქმედება და გამოიტანეთ დასკვნა: ვის უფრო მეტი ზნეობრიობა გააჩნია — ციხემისჯილ დამნაშავეებს თუ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილს და მის გარშემო შეჯარულ მაღალჩინოსნებს.

**ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძის მიერ წიგნში გადმოცემული ციხის დღეების ქრონიკა ნათლად ადასტურებს, რომ კაცი ყველგან კაცად რჩება, თუნდაც ციხის კედლებში, მაგრამ ზნეობრიობისგან მთლიანად დაცლილი არაკაცი, უმაღლესი ხელმძღვანელის რანგშიც კი, მაინც არაკაცია.**

კიდევ ერთ გარემოებასაც მიაქციეთ ყურადღება: **საქართველოს დამაქცევარ სააკაშვილსა და მის დამნაშავეთა ხროვას დიდად ავტორიტეტული და სახელმოხვეჭილი მეცნიერები და სახელმწიფო მოღვაწეები სამშობლო-ქვეყნის წინსვლა-განვითარებისთვის არ სჭირდებოდათ, ჭეშმარიტ ელიტას ისინი დაჭერითა და ციხეში ჩასმით აშინებდნენ, აშანტაჟებდნენ; ცდილობდნენ ხალხისა და ბიზნესმენებისთვის რაც შეიძლება მეტი ფული და ქონება წაეგლიჯათ.**

წიგნში ისეთი ღირებულებების ფაქტია მოთხრობილი, რომელიც დიდად გამოადგებათ საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევარებს.

დასანანია, რომ წიგნის ბაზარზე ეს უნიკალური ნაშრომი არც გამოჩენილა.

**ბუხუტი ორჯონიკიძე,**
ტყიბული

**საქართველოს პარლამენტის მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონის მიღება უდავოდ უნდა ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების ახლებურ, რაციონალურ ორგანიზაციულ მოწყობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ კანონის ის ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად ნეგატიურად აისახება ამ პროცესზე.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უნდა ვისწრაფვოდეთ ნატოსკენ?

**ცნობილია, რომ ყველა მოვლენას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. რას მოგვიტანს ნატოში შესვლა (დადებითი) და რას მოითხოვს იგი ჩვენგან (უარყოფითი)? დარწმუნებული ვარ, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს, რადგან არ არის გარკვეული საქმის არსში. მე ვარ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, რაც იმას მაინც ნიშნავს, რომ ორი წიგნი მაინც მაქვს წაკითხული, ვფლობ გარკვეულ ინფორმაციას და ასე თუ ისე პოლიტიკაში ვერკვევი. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, ღირს თუ არა ნატოში შესვლა. ამიტომ იმის თქმა, რომ საქართველოს მოსახლეობას ძალიან ეჩქარება ნატოში შესვლა, უბრალოდ, მცდარია. ეს შეეძლო ეთქვათ სააკაშვილსა და მის ჯგუფს, რადგან მათ ეს ძლიერ აძლევდათ ხელს.**

ქვეყნის ხელმძღვანელობა რომ მოსახლეობის მოსაწონ კურსს დაადგეს, საჭიროა მათი აზრის გაგება, მაგრამ მანამდე ფართო ახსნა-განმარტებაა აუცილებელი ნატოში მიღებასთან დაკავშირებით ყველა დადებითი და უარყოფითი მხარის შესახებ.

ნატოში რომ არასოდეს მიგვიღებენ, პეტრე მამრაძის თქმით, უკვე მიუღიათ გადაწყვეტილება ნატოს მესვეურებს და უცნობებიათ კიდეც რუსეთისთვის. ეს ამბავი, ალბათ, ბიძინა ივანიშვილმაც კარგად იცის, მაგრამ არ შეუძლია ხალხისთვის ამის თქმა. ჩემი აზრით, ბიძინას რომ თავიდან არ განეცხადებინა დასავლური კურსის აუცილებლობაზე, ის ვერ გაიმარჯვებდა „ნაცებთან" ბრძოლაში.

**ჩვენი ქვეყნის ნატოში მიღებას უნდა შევხედოთ რუსეთის პოზიციიდანაც. განა გასაგები არ არის მათი გაღიზიანება, რომ მეზობლად არა თუნდაც ნეიტრალური, არამედ მტრული ნატოს წევრი საქართველოს გაჩენა არ უნდათ?**

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ფურცლებზე კარგად იყო ნაჩვენები, რომ არ უნდა ვიყოთ უმადურნი რუსეთის მიმართ. თურმე ერეკლე II-სა და სხვა მეფეების მისწრაფება რუსეთისკენ მცდარი ნაბიჯი ყოფილა. **ბევრმა არ იცის, რომ რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში არ ყოფილა არც ერთი საჯარო სკოლა, ხოლო თავად-აზნაურთა უმრავლესობას ხელის მოწერის მაგივრად მხოლოდ ჯვრის დასმა ეხერხებოდა.**

ჩემი აზრით, **რუსებთან 2008-ში ომის დაწყება და წაგება, აგრეთვე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, უდიდესი დანაშაულია ქართული სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ გავარკვიეთ კი, — რა ტერიტორიები დავკარგეთ და ჩვენ რა დაგრჩა? — სამწუხაროდ, არა!** ბევრი ლაპარაკი, განსაკუთრებით, „ნაცების" მხრიდან, ე. წ. მცოცავ აგრესიაზე შეიძლება ყოველთვის არ იყოს გამართლებული. თურმე ოსები მავთულხლართებით შემოსაზღვრავენ „თავიანთ" ტერიტორიას 1930 წელს მოქმედი რუკით ხელში. რაკი ისინი მაინც საქართველოს შემადგენლობაში ითვლებოდნენ, არაა გამორიცხული, რომ ქართველებს ოსების ტერიტორიაზე აეშენებინათ სახლი. ამიტომაცაა, რომ მათ ეს იცოდნენ და საკუთარი ხელით ანგრევდნენ მას.

**ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდია წერდა, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს, რომლებიც ჩაერევა მსოფლიოს ნებისმიერ რაიონში განვითარებულ მოვლენებში. ჩვენ კი თურმე ვაპირებთ ამ ძალებში მონაწილეობას. ავღანეთი საკმარისი არაა, საოცარია!**

ჩვენ ნატოსკენ ვისწრაფვით, რათა დაცული ვიყოთ მტრისგან და ამავე დროს ვაშენებთ მაღალ კაშხალს ხუდონზე. საინტერესოა, რომელი „ექსპერტი" იძლევა იმის გარანტიას, რომ არ მოხდება დიდი მიწისძვრა ან გაბრაზებული მტრის ერთი გასროლა არ დაამსხვრევს ერთი ქილა ერბოს პატრონის ფუჭ ოცნებებს განვითარებაზე.

**ოთარ ველიაშვილი,**
**ეკონომისტი, პენსიონერი,**
**82 წლის**

# კიდევ ერთხელ კოოპერატივების არსის განმარტებისთვის

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელება გამიზნულია უშუალოდ სოფლად მცხოვრები ადამიანების და, საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. არსებული რეალობის გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და განვითარებული ქვეყნების მსგავსად იკისროს კოოპერაციის პროცესის წარმმართველის ძირითადი (მაკოორდინირებელი და ხელშემწყობი) ფუნქცია.**



პაატა კოლუაშვილი

კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების ადეკვატური. სახელმწიფოსთვის იგი წარმოადგენს ძლიერ და სანდო პარტნიორს სოფლად რთული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას. ამ მიზნის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების შექმნისა და მათი გადამმუშავებელ საწარმოებთან ინტეგრირების გზით (სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლი).

სწორედ ამიტომ **საქართველოს პარლამენტის მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონის მიღება უდავოდ უნდა ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების ახლებურ, რაციონალურ ორგანიზაციულ მოწყობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.** მიუხედავად ამისა, **არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ კანონის ის ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად ნეგატიურად აისახება ამ პროცესზე.** კერძოდ, **კანონით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ არ ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემოსავლების განაწილებისა და საპაიო ფონდის ფორმირების ძირითადი წესების განსაზღვრა. მოგებისა და ზარალის საკითხი რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ" კანონის 68-ე მუხლით.** კერძოდ:

**მუხლი 68.**

მოგებისა და ზარალის განაწილება (14.03.2008 N5913)

წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისთვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს.

პირველი სამეურნეო წლისთვის განაწილება ხდება მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისთვის კი — მოგების მიმატებით და ზარალის ჩამოწერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსთვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის ოდენობა.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს.

სანამ არ მიიღწევა ზარალის გამო შემცირებული პაის ოდენობა, მოგება არ განაწილდება.

წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

ეს ნორმა არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია, კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რომელიც მას დიამეტრალურად განასხვავებს მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვ.). კოოპერატივის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა საპაიო ფონდში შეტანილი ფულადი და სხვა სახის ქონებრივი სახსრები, რომლებიც მეპაიეს აძლევს დივიდენდების მიღების საშუალებას, არამედ მისი წევრების შრომითი რესურსების კაპიტალიზაცია, სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთ დანიშნულებას არა საპაიო შენატანების პროპორციულად დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

**ევროპული ტიპის კოოპერატივების გამოცდილებიდან ყველაზე ნიშანდობლივია ის, რომ ამ მიმართულებით განვითარებული ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, რითაც ახდენენ კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას საკანონმდებლო დონეზე იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში განმსაზღვრელი იყოს შრომითი რესურსის ფაქტორი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა, საპაიო შენატანების სახით, არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა.**

მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის 68-ე მუხლი შეიცავს ჩანაწერს: „წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს", კანონი იძლევა საპაიო შენატანების მიხედვით მოგებისა და ზარალის განაწილების საშუალებას, რაც დამახასიათებელია მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისთვის და კატეგორიულად ეწინააღმდეგება კოოპერატივის შიდა საწარმოო ურთიერთობის პრინციპებს.

**მრავალი წარმატებული ქვეყნის გამოცდილებით კოოპერატივის მოგება ნაწილდება არა საპაიო შენატანების, არამედ კოოპერატივის საერთო სამეურნეო ბრუნვაში მისი წევრების მონაწილეობის პროპორციულად.**

რაც შეეხება საპაიო შენატანების შეუსაბამობას კოოპერატივის წევრების მონაწილეობასთან კოოპერატივის საერთო სამეურნეო ბრუნვაში, ამან, რა თქმა უნდა, ჰპოვოს ასახვა კოოპერატივის მოგების განაწილებაში. სწორედ ამისთვის არის განსაზღვრული ისეთი კატეგორიები, როგორიცაა აუცილებელი და დამატებითი საპაიო შენატანები და მათი რეგულირების წესები, როგორიცაა:

**1. კოოპერატივის წევრის პაი ყალიბდება აუცილებელი და დამატებითი საპაიო შენატანებიდან;**

**2. აუცილებელი საპაიო შენატანი კოოპერატივის წევრს უფლებას აძლევს, მიიღოს მოგება კოოპერატივის შემოსავლებიდან;**

**3. კოოპერატივის წევრების აუცილებელი საპაიო შენატანი განისაზღვრება თანაბრად ან კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობაში მათი მონაწილეობის პროპორციულად;**

**4. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს, აუცილებელი საპაიო შენატანის გარდა შეიტანოს დამატებითი საპაიო შენატანი, რომელიც მისი სურვილის შემთხვევაში გადაეცემა კოოპერატივის რომელიმე მიზნობრივ ფონდს;**

**5. კოოპერატივის წევრს შეუძლია განახორციელოს დამატებითი საპაიო შენატანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ სრულად იქნება დაფარული აუცილებელი საპაიო შენატანი;**

**6. დამატებითი საპაიო შენატანი კოოპერატივის წევრს უფლებას აძლევს, მიიღოს დივიდენდი.**

მოგებისა და ზარალის განაწილება ხდება შემდეგნაირად:

**1. შემოსავლების ნაწილი, სახელმწიფო გადასახადების, სახელფასო დავალიანების, სხვა აუცილებელი ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების დაფარვის შემდეგ ნაწილდება კოოპერატივის წევრებზე დამატებითი საპაიო შენატანების პროპორციულად;**

**2. დივიდენდების გაცემის შემდეგ დარჩენილი შემოსავლები ნაწილდება კოოპერატივის წევრებზე, კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობაში მათი მონაწილეობის პროპორციულად, ან გამოიყენება სხვა მიზნებისთვის კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. ამ შემოსავლებიდან ავტომატურად ხდება აუცილებელი საპაიო შენატანის გადაუხდელი ნაწილის დაფარვა;**

**3. კოოპერატივის წევრის მოთხოვნით, კოოპერატივის შემოსავლებიდან მისთვის განკუთვნილი მოგების და/ან დივიდენდების ნაწილი შეიძლება მიმართული იქნეს მისი დამატებითი პაის მოცულობის გაზრდისთვის.**

ასეთი ადმინისტრაციული რეგულაციების გარეშე კოოპერატივები ვერ უზრუნველყოფენ ყველაზე მთავარს – იყვნენ ორიენტირებული შრომითი რესურსის კაპიტალიზაციაზე, მის მაქსიმალურ უკუგებაზე და არა ფულადი და მატერიალური რესურსების დაბანდებით დივიდენდების მიღებაზე (შპს-ებისა და სხვა მომგებიანი საწარმოების მსგავსად). ასეთ შემთხვევაში ზოგიერთს მიეცემა კარგი საშუალება – საკუთარი მიზნებისთვის წარმატებით გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის კანონით მინიჭებული საგადასახადო და სხვა სახის შეღავათები და საკუთარ ინტერესებს დაუქვემდებაროს სხვა წევრების შრომითი რესურსები და ინტერესები, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება კოოპერატივების ფუნდამენტურ პრინციპებს (**კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" მალევე გადაიქცევა კანონად „სასოფლო-სამეურნეო შპს შესახებ", რადგან „კოოპერატივისგან", როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისგან, დარჩება მხოლოდ სახელი**). ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავებს საზოგადოებაში ისედაც შორს წასულ სოციალურ პოლარიზაციას და ვერანაირად უზრუნველყოფს იმ მთავარი მიზნის განხორციელებას, რისთვისაც შეიქმნა კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ.

**სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ ეს საკითხები არ მიიჩნია მნიშვნელოვნად, რათა მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირება საკანონმდებლო დონეზე. ამიტომ რჩება ერთადერთი სწორი გამოსავალი: შევიდეს ცვლილებები კანონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ და ზემოთ აღნიშნულმა ნორმებმა ასახვა ჰპოვოს მასში.** ამასთან, საქართველოს მთავრობამ გამოსცა ნორმატიული აქტები: „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ტიპური წესდების დამტკიცების შესახებ" და „სოფლის მეურნის (ფერმერის სტატუსი) შესახებ", რომელიც სავალდებულო იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მიღების მსურველი ყველა იურიდიული სუბიექტისთვის.

**პაატა კოლუაშვილი,**
**პროფესორი**

უბედური ქვეყანა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ურთულეს წლებში, რომლებიც დიდი ომის შედეგად შეიქმნა ქვეყანაში, ბატონი გრიშას ძმამ ნიკოლოზ ონიანმა, რომელიც კოლიმაში სასჯელს იხდიდა სამშობლოს ღალატის მუხლით, სტალინს წერილი მიწერა. ბელადს თხოვნით მიმართა, რომ მისი შვილი გიორგი, რომელიც გადასახლებაში შეეძინა, სამშობლოში, საქართველოში ბებია-ბაბუასთან გაეგზავნათ, რათა ჭეშმარიტ პატრიოტად აღეზარდათ. და მოხდა ისე, რომ ეს პატარა ბიჭი მილიციელისა და პედიატრის თანხლებით ჩაიყვანეს ლენტეხის რაიონის სოფელ სასაში და ბებიასა და ბაბუას ჩააბარეს.**

# არამზადები სტალინის წინააღმდეგ

**ნიკოლაი სტარიკოვის წიგნს: „სტალინი. ერთად გავიხსენოთ“ ასეთი ეპიგრაფი აქვს წამძღვარებული:
„სტალინი რუსი ნაციონალისტია, — ამბობენ რუსი ნაციონალისტები.
სტალინი კომუნისტია, — ამბობენ კომუნისტები.
სტალინი მურტალი და არამზადაა, — ამბობენ მურტლები და არამზადები“.
ავტორი უცნობია.
სამაგიეროდ ცნობილია, რომ დღეს იმდენი თოკშოუ და ამ სატელევიზიო ჟანრის იმდენი წამყვანი აღმოცენდა ქართულ ტელესივრცეში, რომ მათი რაოდენობა მათივე მომზადების დონის უკუპროპორციული გახდა.
ყველაფერი იციან, ყველა დარგში ერკვევიან და, ვაი, ამ ცოდნასა და გარკვევას!
ჯანდაბას! მათი განათლებულობის შკალის დაბალი მაჩვენებელი მათივე პრობლემაა,
მაგრამ ტელემაყურებლებს რომ აბითურებენ?!**

ვიღაცას არამარტო მოსწონს, არამედ, როგორც ჩანს, ვიღაც ხელსაც უწყობს საზოგადოებრიობის მასობრივი გამოშტერების ასეთი მეთოდის საყოველთაო გამოყენებას.

ვხდებით მოწმენი იმისა, როგორ გადმოინაცვლა ქუჩის ჩხუბმა ეკრანზე, წიოკმა და თმების გლეჯამ, ისტერიკამ და მუშტი-კრივამდე მისულმა დაპირისპირებამ.

**1971 წელს რომში სრულიად შემთხვევით შევესწარი დაპირისპირებული ორი დაჯგუფების შეტაკებას „იდეოლოგიურ ნიადაგზე“.**

**— კომუნისტო! — უყვიროდნენ „ფრონტის“ ერთ მხარეს მდგარი წინახაზელები მეორეთ.**

**— ფასისტო! — უპასუხებდა მეორე მხარის ავანგარდი.**

**ხმას უწევდნენ ჩახლეჩამდე, ერთმანეთზე იწევდნენ.**

**პირველად ვნახე ასეთი გაბოროტებული დამოკიდებულება ადამიანებისა ერთმანეთის მიმართ, გავვოცდი.**

**ახლა ყოველ დილა-საღამოს ვხედავ ქართული ელექტრონული მედიის მინდორში ნაზამთრალს ამოწვერილი კვარაკუნჩხებივით გამრავლებული ტელეარხების ეკრანებზე ასეთსავე ჯახსა და უბედურებას. და არ მიკვირს.**

ინტელექტუალური ტელევიზიები!

გასული კვირის ხუთშაბათს ერთ-ერთმა ქართულმა ტელეარხმა სწორედ ასეთი პერფომანსი მოაწყო. საცოდავი სანახაობა იყო. თემა: **საჭიროა თუ არა სტალინის ძეგლების დადგმა საქართველოს ქალაქებში?**

**ერთი წიგნი მაინც წაიკითხეთ, ადამიანებო, პატიოსანი, ობიექტური მეცნიერის დაწერილი ნაშრომი, და შემდეგ შეეცადეთ, გაერკვეთ სტალინის, ამ უაღრესად რთული, არაერთგვაროვანი ფენომენის რაობაში. შემდეგ შეებრძოლეთ! ან დაიცავით.**

არა მგონია, ამ წინადადებას მხარი დაუჭირონ სტალინის მაგინებლებმა, ამიტომ დღეს შემოგთავაზებთ რამდენიმე ნაყვეტს (ადაპტირებულ თარგმანს) **ნიკოლაი სტარიკოვის** 2013 წელს „პიტერის“ (პეტერბურგი) მიერ გამოცემული წიგნიდან **„სტალინი. ერთად გავიხსენოთ“.**

## მარტო რიგით რაიანს არ ეძებდნენ ომის დროს

იმ თოკშოუში, რომელიც ეს-ესაა ვახსენეთ, ბატონმა გრიშა ონიანმა, საზოგადოება „სტალინის“ ხელმძღვანელმა, ერთი საოცარი ფაქტის შესახებ მოუთხრო დამსწრე საზოგადოებას.

**ურთულეს წლებში, რომლებიც დიდი ომის შედეგად შეიქმნა ქვეყანაში, ბატონი გრიშას ძმამ ნიკოლოზ ონიანმა, რომელიც კოლიმაში სასჯელს იხდიდა სამშობლოს ღალატის მუხლით, სტალინს წერილი მიწერა. ბელადს თხოვნით მიმართა, რომ მისი შვილი გიორგი, რომელიც გადასახლებაში შეეძინა, სამშობლოში, საქართველოში ბებია-ბაბუასთან გაეგზავნათ, რათა ჭეშმარიტ პატრიოტად აღეზარდათ.**

**და მოხდა ისე, რომ ეს პატარა ბიჭი მილიციელისა და პედიატრის თანხლებით ჩაიყვანეს ლენტეხის რაიონის სოფელ სასაში და ბებიასა და ბაბუას ჩააბარეს.**

საოცრებაა? გამონაკლისია? არ ღირს განზოგადებად?

ახლა სხვა ამბავიც მოისმინეთ, ომისდროინდელი ამბავი იმის თაობაზე, შეეძლო თუ არა უბრალო მოქალაქეს ქვეყნის ხელმძღვანელის იმედი ჰქონოდა თავისი კერძო პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

ეს ამბავი ნიკოლაი სტარიკოვს ერთმა ქალბატონმა მოუთხრო. მისი ოჯახი ომამდე ქალაქ კოკსტოლმში (ამჟამად პრიოზერსკი) ცხოვრობდა, ლენინგრადის მახლობლად.


სტალინი, გვერდით — ხრუშჩოვი

**„დაიწყო ომი და ეს პატარა, ცხრა წლის გოგონა ორსულ დედასთან ერთად ევაკუირებულ იქნა საშიში ადგილიდან. ერთ დღეს მათი ეშელონი ქალაქ რიბინსკის შუალედურ სადგურში გაჩერდა. ამ ქალაქში მისი დეიდა ცხოვრობდა.**

**ეშელონი აქ ერთ დღე-ღამეს უნდა გაჩერებულიყო. მე და დედაჩემი დეიდის მოსანახულებლად წავედით. როცა მან დაგვინახა, რა გაწამებულებიც ვიყავით, უბარგოდ, დედას ჩემი თავისთან დატოვება შესთავაზა ომის დამთავრებამდე (საერთოდ, რაგინდ შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოთ, ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ომი მალე დამთავრდებოდა). დედა დაეთანხმა. მაგრამ სანამ იგი, ვინ იცის, რა გზებით დონის როსტოვამდე ჩააღწევდა გერმანელები რიბინსკს მიადგნენ. ჩვენ — მე და დეიდაჩემის ოჯახი ბარჟებით ვოლგით გაგვიყვანეს. სად მივყავდით, არ ვიცოდით. ბოლოს და ბოლოს ჩავედით ნიჟნი ტაგილში — ჩვენი მგზავრობის ბოლო პუნქტში.**

**გერმანელებმა როსტოვი ორჯერ აიღეს, და არავითარი კავშირი დედასთან არ მქონდა, მით უფრო, რომ მას მოუწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. დეიდაჩემის ცხოვრება ისე აეწყო, რომ იძულებული გავხდი ბავშვთა სახლში წავსულიყავი. გამაგზავნეს პატარა ქალაქ ვერხნაია ტავაში, ძალიან კარგ ბავშვთა სახლში, შესანიშნავი დირექტორითა და მზრუნველი აღმზრდელებით. ომის დროს ალბათ ყველა ადამიანს ჰქონდა გული. იქ 1943 წლის ოქტომბრამდე დავყავი.**

**გამომიძახა დირექტორმა და მეუბნება: — ედა, დედასთან უნდა გაგაგზავნოთ როსტოვში და აღმზრდელსაც გაგაყოლებთ.**

**მაშინ ვიფიქრე, რომ ასეც უნდა მომხდარიყო: რახან იპოვეს დედა, ბავშვიც მისთვის უნდა გაეგზავნათ. მით უფრო, რომ იმ დღეებში ჩვენი ბავშვთა სახლიდან ქალაქ შახტინსკში მშობლებთან გაამგზავრეს ერთი ბიჭი. ბავშვური ჭკუით ვერ გავთვალე, რომ რაც მოხდა, სასწაული იყო: ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყო ჩაბმული, როცა ჯარისკაცებით და იარაღით დატვირთული ეშელონები დასავლეთისკენ მიემართებოდა, დაკარგული ვიღაც პატარა გოგოს, რომელიც, ამასთან ერთად, ხალხის დახვრეტილი მტრის შვილი იყო, იპოვიდნენ ამ მოთუხთუხე ქვაბში და გაუგზავნიდნენ დედას, რიგით სახლმმართველს.“**

1943 წლის 11 ნოემბერს, მატარებლიდან მატარებელში ხუთი გადაჯდომის შემდეგ (მათ შორის ერთი დანგრეულ სტალინგრადში იყო), გოგონა გამცილებელთან ერთად ჩავიდა დონის როსტოვში და დედას ჩააბარეს.

**როგორ იპოვა დედამ შვილი? თურმე მან წერილი გაუგზავნა სტალინს და შედეგად მისი გოგონა დედას ჩაუყვანეს,** — წერს ნიკოლაი სტარიკოვი.

ახლა ამ ამბის მეორე ნახევარსაც დავუგდოთ ყური:

**„რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მოგვაკითხა ქალმა მილიციელმა და დედაჩემი იკითხა: — თქვენ ხართ ტატიანა ვლადიმირის ასული კოშევაროვა? დამადასტურებელი პასუხი რომ მიიღო, სამხედრო სალმით გაეჭიმა დედას და გადასცა ხუთი ბეჭდით დალუქული დიდი პაკეტი გრიფით „უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის პირადი მისაღები“. ტექსტი იტყობინებოდა: „თქვენი წერილი, რომელიც ამხანაგ სტალინს გამოუგზავნეთ, მივიღეთ. თქვენი თხოვნა შესრულებულია“. არ მახსოვს, ვისი თანამდებობა და გვარი ეწერა. ტექსტი კი მეხსიერებაში ფოტოგრაფიულად ჩამებეჭდა, სამუდამოდ. რა თქმა უნდა, მესმის, რომ ამგვარი საქმეებით სტალინი ვერ დაკავდებოდა. მაგრამ მან შექმნა უბრალო ადამიანების მიმართ ყურადღების გამოჩენის წესი და ეს წესი განუხრელად ხორციელდებოდა.**

ეს ამბავი ედიტა იოჰანეს ასულ ანდრიანოვას გადახდა.

იყო ეს ცალკეული მაგალითები, გამონაკლისი თუ სისტემის გამართული მოქმედების შედეგი, თავად უპასუხეთ!

ახლა გულზე ხელი დაიდევით და თქვით, ადამიანებისადმი ყურადღების გამოჩენის მსგავსი სისტემის შექმნა კი არა, ერთი ფაქტის დასახელებაც თუ შეგიძლიათ სააკაშვილის „ეპოქის“ „რვა საუკუნის განმავლობაში არნახული აღმშენებლობის“ პერიოდიდან?

სააკაშვილი „დემოკრატია“ და სტალინი „ტირანი“.

ან ვინმე ერთმა მაინც თუ დაიჯერა, რომ ათობით და ასობით სისხლის სამართლის დამნაშავის ერთი ხელის მოსმით ამნისტირება სააკაშვილის გულმოწყალების შედეგი იყო?! და არა უნიჭო პიარკომპანიის უგნური აქტი?!

ეს — ერთი შტრიხი სისხლისმსმელი დიქტატორის პორტრეტისთვის, ახლა სხვა თემაზე გადავიდეთ.

## სტალინი და კულტურის მოღვაწენი

**„სტალინი ზედმიწევნით იცნობდა მხატვრულ ლიტერატურას,** — წერს სტარიკოვი, — **ამასთან, აღსანიშნავია მისი არაიდეოლოგიზებული გემოვნება. იგი კომუნისტების ბელადი იყო, მაგრამ არ იყო მხოლოდ „წითელი“ ხელოვნების გამფეტიშებელი. დადასტურებულია მოწმეთა მიერ, რომ ჯერ კიდევ 1920-იან წლებში იგი თვრამეტჯერ (!) დაესწრო მიხაილ ბულგაკოვის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს „ტურბინების დღეები“** *(ამ პიესას საფუძვლად აქვს დადებული ბულგაკოვის რომანი „თეთრი გვარდია“. — ა.ს.).* **პიესაში არცერთი კომუნისტი და გმირი წითელი მეთაური ნახსენებიც არ არის, აღწერილი არიან თეთრი ოფიცრები, რომლებიც „წითლებს“ ებრძოდნენ.**

**აი, რას წერს ამის თაობაზე არტემ სერგეევი, სტალინის რევოლუციონერი მეგობრის თევდორეს (იგი ადრე დაიღუპა) შვილი, რომელიც სტალინმა, მისმა მამობილმა აღზარდა (სტალინი ყმაწვილებს — მას და ვასიას უხსნიდა):**

წითლები და თეთრები — უკიდურესობებია. წითლებსა და თეთრებს შორის დიდი ფენაა თითქმის წითლების და თითქმის თეთრების. ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ეომებიან (პიესა- ▶


ომის დროს უპატრონო ბავშვთა სახლებში ათი ათასობით არასრულწლოვანი იზრდებოდა

უბელადო ქვეყანა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინის 60 წლის იუბილისთვის ბულგაკოვმა დაწერა პიესა „ბათუმი“, ახალგაზრდა სტალინის რევოლუციური წარსულის შესახებ, მაგრამ სტალინმა არ მიიღო. არ უყვარდა ბულგაკოვი და იმიტომ? არა. მიზეზი სხვა იყო: სტალინს არ უყვარდა მლიქვნელობა და მლიქვნელები და ყოველთვის, სადაც მოასწრებდა და როცა შეეძლო, აღკვეთდა მლიქვნელური ნაწარმოებების გამოჩენას...

◀ ში), ზოგნი ძალიან თეთრები არიან, სხვები - ცოტა მოვარდისფრო, მაგრამ არა წითლები. ერთმანეთთან დაახლოება არ შეუძლიათ, რადგან ომობენ. ნუ იფიქრებ, რომ შეძლებ ადამიანების დაყოფას მხოლოდ წითლებად და მხოლოდ თეთრებად. ასეთები მხოლოდ ხელმძღვანელები არიან, ყველაზე უფრო განათლებული, შეგნებული ადამიანები. მასა კი ან ერთს მიჰყვება, ან მეორეს, ხშირად გზა ერევა და მიდის იქით, საითკენაც საჭირო არ არის“.

აი ასე აგვიხსნა სტალინმა მე და ვასიას ზოგი რამ“.

სტალინი არასოდეს ხელმძღვანელობდა მარტივი პრინციპით „წითელი — თეთრი“. ცალკეული ავტორების კულტურული და აღმზრდელობითი ღირებულებების შეფასებისას. **ბულგაკოვთან დაკავშირებული მაგალითი ფრიად ნიშანდობლივია. ამ ავტორს ვერავითარ შემთხვევაში პროლეტარულ მწერალს ვერ უწოდებდი... რომანების „ოსტატი და მარგარიტა“ და „ძაღლის გული“ ავტორმა ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი რუსულ კლასიკურ ლიტერატურაში.** 20-იანი წლების საბჭოთა რუსეთისთვის მიხაილ ბულგაკოვი, უწინარეს ყოვლისა, იყო დრამატურგი, საინტერესო პიესების ავტორი. მაგრამ ავტორი ბურჟუაზიული და უცხო. წითელი მეთაურების, პროლეტარიატისა და ამხანაგ ტროცკის მხედართმთავრული ნიჭის განდიდების ნაცვლად მიხაილ ბულგაკოვი სულ სხვა რამეზე წერდა. სინდისზე, ვალდებულებაზე, რუსეთზე. **როცა დღეს თქვენ ნიკოლაი სვანიძის აღშფოთების სიტყვებს ისმენთ სტალინის გამოსახულებიანი სასკოლო რვეულების გაყიდვის დაუშვებლობის შესახებ, თქვენ უნდა მიხვდეთ, რომ ბულგაკოვის დევნა თავის დროზე ასეთმა „სვანიძეებმა“ დაიწყეს.** მათი ლოგიკა ყველა დროში ერთნაირია — არ შეიძლება იმის კეთება (წერა), რისაც არ შეიძლება...

(ბულგაკოვის) პიესა „ტურბინების დღეები არ არის სწორი იდეოლოგიური მიმართულების ნაწარმოები. ის შესანიშნავად დაწერილი მასალაა, გულწრფელი და გულში ჩამწვდომი. ნამდვილი. ამიტომაც ეუბნებოდა სტალინი თავის შვილობილ არტემს: **„ამ მწერალმა გაბედულად გვიჩვენა, რომ გმირები მხოლოდ წითელი არმიის მხარეს არ იყვნენ. გმირები ისინი არიან, ვისაც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად სამშობლო უყვართ. ასეთები კი მხოლოდ ჩვენს მხარეს არ იბრძოდნენ“.**

არსებობს ზუსტი დადასტურება იმისა, რომ სტალინი ცდილობდა, დახმარებოდა ბულგაკოვს, რომლის განდევნასაც თეატრალური სცენიდან აქტიურად ცდილობდნენ მაშინდელი „იდეალების თავგამოდებული დამცველები“. 1928 წლის დეკემბერში გაერთიანება „პროლეტარული თეატრის“ წევრებმა ე. წ. „რევოლუციური სიტყვით“ მიმართეს ქვეყნის ხელმძღვანელობას: **„პატივცემულო ამხანაგო სტალინ!.. როგორ უნდა შეფასდეს, ფაქტობრივად, „უპირატესად ხელსაყრელი პირობების შექმნა ყველაზე უფრო რეაქციული, ბულგაკოვის მსგავსი ავტორებისთვის, რომელმაც (ბულგაკოვმა) შეძლო მოსკოვის სამ უდიდეს თეატრში თავისი ოთხი, აშკარად ანტისაბჭოთა პიესის დადგმის განხორციელება: ამასთან ისეთი პიესებისა, რომლებიც მხატვრული ღირებულებით, საუკეთესო შემთხვევაში, საშუალო დონისაა?“**

1929 წლის 2 თებერვალს მათ მიიღეს სტალინის პასუხი: **„იმიტომ, ალბათ, რომ თქვენი პიესები, რომლებიც დასადგმელად ივარგებდა, არ გვყოფნის... რაც შეეხება კერძოდ პიესას „ტურბინების დღეები“, იგი არც თუ ცუდია, იგი უფრო მეტად სასარგებლოა, ვიდრე საზიანო“.** რადგან ბულგაკოვის წყალობით, მთელი მსოფლიო, რომელმაც ეს სპექტაკლი ნახა, რწმუნდება, რომ **„ისეთი ადამიანებიც კი, როგორებიც ტურბინები არიან, იძულებული ხდებიან, დაყარონ იარაღი და დაემორჩილონ ხალხის ნებას, თავიანთი საქმე კი საბოლოოდ წაგებულად აღიარონ...“**

სტალინის მხარდაჭერის მიუხედავად, მწერლის დევნა „კოლეგების“ მხრიდან გაგრძელდა და 1929 წლის ივლისისთვის არც ერთ საბჭოთა თეატრში მისი პიესები აღარ იდგმებოდა.

1930 წლის 28 მარტს ბულგაკოვი წერილით მიმართავს საბჭოთა მთავრობას. იგი თავის მდგომარეობას გამოხატავს სიტყვებით — **„ამჟამად მე განადგურებული ვარ“... „წერის შეუძლებლობა ჩემთვის ცოცხლად დამარხვას ნიშნავს“.**

წერილის დასასრულს, რომელიც განწირული ადამიანის ყვირილის მსგავსია, მწერალი ითხოვდა საზღვარგარეთ გაშვებას, რადგან სამშობლოში იგი არ სჭირდებათ და მასზე მოთხოვნილება არ არის. ვლადიმერ მაიაკოვსკის თვითმკვლელობის ფონზე, რომელმაც სიცოცხლესთან ანგარიში 1930 წლის 14 აპრილს გაასწორა, ბულგაკოვის განცხადება და მისი ტონალობა განსაკუთრებით უიმედო და პირქუში ჩანს. და სტალინი იმ დროისთვის უჩვეულოდ იქცევა. იგი ბულგაკოვს თავისთან კი არ გამოიძახებს, არც არავის დაავალებს, დაინტერესდეს ამ პრობლემით, საქმეს არ აჭიანურებს და მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან ოთხი დღის შემდეგ, 1930 წლის 18 აპრილს სახელმწიფოს მეთაური ურეკავს მწერალს, რომელსაც დევნიან და რომელსაც პირადად არ იცნობს.

ელენა ბულგაკოვა იხსენებს:

**„...1930 წლის 18 აპრილს, საღამოს 6-7 საათისთვის იგი (ბულგაკოვი) მოვარდა აღელვებული ჩვენს ბინაში ბოლშაია რჟევსკაიაზე და მოგვიყვა შემდეგი რამ: სადილის შემდეგ, ჩვეულებისამებრ დასაძინებლად დაწვა, მაგრამ იმავე წუთში გაისმა ტელეფონის ზარი, და ლუბამ (ლუბა ბელოზერსკაია, მწერლის ცოლი) ტელეფონთან იხმო, უთხრა, რომ ცკ-დან რეკავენ. მიხაილ ათანასეს ძემ არ დაიჯერა, იფიქრა, რომ ვიღაც ხუმრობდა (მაშინ ასე ხშირად აკეთებდნენ), აბურძგნული და გაღიზიანებული იღებს ყურმილს და ესმის:**

**— მიხაილ ათანასეს ძე ბულგაკოვი?**

**— დიახ, დიახ.**

**— ახლა თქვენ ამხანაგი სტალინი დაგელაპარაკებათ.**

**— რაო? სტალინი? სტალინი?**

**და იმავე წამს ესმის ხმა აშკარა ქართული აქცენტით:**

**— დიახ, სტალინი გელაპარაკებათ. გამარჯობათ, ამხანაგო ბულგაკოვ.**

**— გამარჯობათ, იოსებ ბესარიონის ძევ.**

**— თქვენი წერილი მივიღეთ. ამხანაგებთან ერთად წავიკითხეთ. დადებით პასუხს მიიღებთ... მართალია, რომ საზღვარგარეთ წასვლას ითხოვთ? ძალიან მოგბეზრდით? (მიხაილ ათანასეს ძემ თქვა, რომ იგი იმდენად არ ელოდა ასეთ შეკითხვას და, საერთოდ, არც დარეკვას ელოდა, რომ დაიბნა და უცებ ვერ უპასუხა):**

**— ბოლო დროს ძალიან ბევრს ვფიქრობდი — შეუძლია თუ არა რუს მწერალს იცხოვროს სამშობლოს გარეშე? და, მე მგონია, რომ არ შეუძლია.**

**— მართალი ხართ. მეც ასე ვფიქრობ. სად გინდათ, იმუშაოთ? სამხატვრო თეატრში?**

**— დიახ, მინდოდა, მაგრამ ამის შესახებ ვთქვი და უარი მითხრეს.**

**— მაშ, შეიტანეთ იქ განცხადება. მე მგონი, რომ ისინი დაგეთანხმებიან. კარგი იქნება, თუ შევხვდებით და ვილაპარაკებთ.**

**— დიახ, დიახ! იოსებ ბესარიონის ძევ, მე ძალიან მინდა თქვენთან საუბარი.**

**— დიახ, უნდა გამოვნახოთ დრო და შევხვდეთ აუცილებლად. ახლა კი ყველაფერს კარგს გისურვებთ“.**

ამ საუბარმა ბულგაკოვის ცხოვრება შეცვალა. თავის მეგობარს ვერესაევს მან გაუმხილა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა თავის მოკვლა. ასე რომ, სტალინმა იგი რეალურად სიკვდილს გადაარჩინა.

ყველაფერი აეწყო. 1930 წლის 19 აპრილს ბულგაკოვი ჩარიცხეს MXAT-ის რეჟისორის ასისტენტად. მისი პიესები კვლავ დაიდგა თეატრებში, მიიღო ახალი დაკვეთები, დამთავრდა ნახევრადშიმშილობის ხანა. მწერალი სტალინის მადლიერი იყო. ერთ-ერთ წერილში იგი აღიარებდა: **„უკიდურესი სასოწარკვეთის ჟამს... გენერალურმა მდივანმა დამირეკა... ენდეთ ჩემს გემოვნებას: მას საუბარი მიჰყავდა ძლიერად, გასაგებად, სახელმწიფოებრივად, ელეგანტურად. მწერლის გულში იმედი აენთო“...**

მაგრამ სტალინთან შეხვედრა, რომელზეც მოილაპარაკეს, არ შემდგარა.

წერილიც კი მისწერა ბულგაკოვმა ამის გამო 1930 წლის 30 მაისს.

ამასობაში სტალინს უხდებოდა ბულგაკოვის პიესების ცალ-ცალკე აღდგენა თეატრების რეპერტუარში. **„ვახტანგოვის თეატრის მსახიობის ლეონიდოვის სიტყვით, სტალინი ორჯერ მაინც იყო მისული „ზოიკას ბინის“ საყურებლად (ბულგაკოვის პიესა). ლაპარაკობდა აქცენტით: კარგი პიესაა! არ მესმის, სრულებით არ მესმის, რატომაა, რომ ხან აკრძალავენ, ხან ნებას დართავენ. კარგი პიესაა, ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ“.**

1932 წლის თებერვალში სტალინი დაესწრო აფინოგენოვის პიესის — „შიშის“ წარმოდგენას და არ მოეწონა. თეატრის წარმომადგენლებთან საუბრისას მან შენიშნა: **„თქვენ გაქვთ კარგი პიესა „ტურბინების დღეები“ — რატომ არ დგამთ?“** შეწუხებულებმა უპასუხეს, რომ აკრძალულია. **„სისულელეა,** — არ დაეთანხმა სტალინი, — **კარგი პიესაა, უნდა დადგათ. დადგით“.** და ათდღიან ვადაში მისი აღდგენის განკარგულება გაიცა.

სტალინის 60 წლის იუბილისთვის ბულგაკოვმა დაწერა პიესა „ბათუმი“, ახალგაზრდა სტალინის რევოლუციური წარსულის შესახებ, მაგრამ სტალინმა არ მიიღო. არ უყვარდა ბულგაკოვი და იმიტომ? არა. მიზეზი სხვა იყო: **სტალინს არ უყვარდა მლიქვნელობა, მლიქვნელები და ყოველთვის, სადაც მოასწრებდა და როცა შეეძლო, აღკვეთდა მლიქვნელური ნაწარმოებების გამოჩენას...**

სხვათა შორის, სწორედ ამიტომ არ მიიღო მან კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „ბელადი“. ეს ცნობილი ფაქტია.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი შემთხვევა, რომელიც კრემლში გამართულ ბანკეტზე მოხდა. სტალინი საზეიმო სუფრის გასწვრივ ბოლთას სცემდა, ჩიბუხს აბოლებდა. გრძელ და დიდებულ სადღეგრძელოს სტალინის პატივსაცემად წარმოთქვამს ალექსეი ტოლსტოი. ლაპარაკობს დიდხანს, უფრო და უფრო ამაღლებულ ეპითეტებს ხმარობს. სტალინი დადის, ისმენს, შემდეგ შეჩერდება და ტოლსტოის მხარზე ხელს დაჰკრავს: „თავს ნუ აკლავთ, გრაფო“.

შეაჩერა.

ასევე შეაჩერა სტალინმა ბულგაკოვი, რომელიც მისი (სტალინის) განსადიდებლად ემზადებოდა, კერძოდ, სპექტაკლ „ბათუმის“ დამდგმელი შემოქმედებითი კოლექტივის წევრებთან ერთად საქართველოსკენ მიემგზავრებოდა პიესაში აღწერილი ადგილების გასაცნობად: მას მატარებელშივე გადასცეს დეპეშა, რომლითაც აცნობებდნენ — „გამგზავრების აუცილებლობა აღარ არის, დაბრუნდით მოსკოვში“. გაირკვა, რომ MXAT-ში მისულმა სტალინმა რეჟისორ ნემიროვიჩ-დანჩენკოს უთხრა, რომ „ბათუმი“ ძალიან კარგ პიესად მიაჩნია, მაგრამ „მისი დადგმა არ შეიძლება“.

**გაგრძელება იქნება**



სტალინი და მიხაილ ბულგაკოვი

**«უკიდურესი სასოწარკვეთის ჟამს... გენერალურმა მდივანმა დამირეკა... ენდეთ ჩემს გემოვნებას: მას საუბარი მიჰყავდა ძლიერად, გასაგებად, სახელმწიფოებრივად, ელეგანტურად. მწერლის გულში იმედი აენთო»...**



სცენა სპექტაკლიდან „ტურბინების დღეები“

**«ისეთი ადამიანებიც კი, როგორებიც ტურბინები არიან, იძულებული ხდებიან, დაყარონ იარაღი და დაემორჩილონ ხალხის ნებას, თავიანთი საქმე კი საბოლოოდ წაგებულად აღიარონ...»**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მსოფლიო მუტანტ ვირთხებს ებრძვის

**ბრიტანეთი ახალი პრობლემის წინაშე დგას — ქუჩებში მუტანტი ვირთხები დარბიან.**

მუტანტი „სუპერ ვირთხები“ მათ იმიტომ უწოდეს, რომ ჩვეულებრივი საწამლავი ვერ სპობს, პირიქით, შხამს საკვებად იყენებენ და მრავლდებიან. მეცნიერები მთავრობას სასწრაფო რეაგირებისკენ მოუწოდებენ, რადგანაც ეს სახეობა სწრაფად იზრდება.

**„ეს სერიოზული პრობლემაა. ამ ვირთხების თავიდან მოშორების ერთადერთი ხერხი ძალიან ძლიერი საწამლავის გაშვებაა, მაგრამ დიდი შანსია, ამან სხვა ცხოველებსა თუ ფრინველებსაც მიაყენოს ზიანი. ვირთხა ძალიან საშიშია, მას უამრავი სასიკვდილო დაავადება გადააქვს. საზოგადოება სერიოზული საფრთხის წინაშეა“,** — ამბობენ ბრიტანელი მეცნიერები.



## ჩინელმა კაცმა ფეხი საკუთარი ხელით მოიჭრა

**ჩინეთის პროვინცია ხებეიში მცხოვრები 47 წლის ჟენგ იანლიანგი უსახსრობის გამო ქირურგთან ვერ მივიდა.**

სამი თვე ჟენგი აუტანელი ტკივილით იტანჯებოდა, მას ფეხში ინფექცია შეეჭრა და სამედიცინო დახმარება სასწრაფოდ ესაჭიროებოდა, მაგრამ არც დაზღვევა ჰქონდა და არც ფული, ამიტომ დანითა და ხერხით საკუთარი ხელით მოიჭრა ფეხი, შემდეგ კი პირსახოცით შეიხვია.

მან ეს პროცედურა მაშინ ჩაატარა, როდესაც ცოლს ეძინა. საბედნიეროდ, თრომბოზის გამო, პაციენტს ამპუტაციის დროს სისხლდენა არ დასწყებია.

## სიკვდილის შიშით

**მამაკაცმა, რომელიც თავს ბიო-ჰაკერს უწოდებს, გადაიტანა მძიმე ოპერაცია — ანესთეზიის გარეშე მან მკლავზე კანქვეშ უზარმაზარი ჩიპი ჩაიკერა.**

ტიმ ქენონმა, პიტსბურგში მდებარე Grindhouse Wetware კომპანიის გამომგონებელმა მექანიკოსმა და კონსტრუქტორმა, საკუთარი სურვილით სხეულში ჩიპი ჩაისვა, რომელიც სხეულში მომხდარ ყოველგვარ ტემპერატურულ ცვლილებებს დააფიქსირებს. ეს მოწყობილობა ბლუთუზის მეშვეობით უკავშირდება პლანშეტს. მას მწვანე მოციმციმე ღილაკი აქვს, რომლის დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება ტიმის კანზე.

მამაკაცის თქმით, ის გახლავთ პირველი სულიერი, რომლის სხეულშიც მოხდა მსგავსი აპარატის ჩამონტაჟება. მისი განცხადებით, ეს აპარატი მას სრულყოფს და მის დიდი ხნით სიცოცხლეს განაპირობებს.

კომპანია Grindhouse Wetware მიმართულია ხელმისაწვდომი და ადამიანის ორგანიზმისთვის უსაფრთხო ტექნოლოგიების შექმნისა და ძველის განახლებისკენ.

ინტერვიუში ქენონმა განაცხადა: „მე მინდა ვიცოცხლო ათასი წელი. მე არ მინდა, მოვკვდე ანდა რატომ უნდა უნდოდეს ვინმეს სიკვდილი, ჩემთვის გაუგებარია?!“

ჩიპის სხეულში განთავსების პროცედურა მხატვარმა და სხეულის მოხატვის სპეციალისტმა სტივენ ჰავორტმა ჩაატარა.

პროცედურა ანესთეზიის გარეშე ჩატარდა, ვინაიდან სპეციალური ლიცენზიის გარეშე ნარკოზის გამოყენება აკრძალულია. ტკივილის გასაძლებად მოხალისე-ავანტიურისტმა ყინული გამოიყენა.

ბატონი ქენონის თქმით, იმ ჩიპის ჩასმა, რომელიც ბანქოს ჩასადების ზომისაა, წარმოუდგენლად მტკივნეული და შემზარავი იყო.








## აღსარება ტაქსიში

**ცოდვები რომ მიეტევოთ, ნიუ იორკის მკვიდრთ ეკლესიაში წასვლა აღარ მოუწევთ, რადგანაც პასტორი ჯოზეფ ჯანი ტაქსის მძღოლად მუშაობს და აღსარებას პირდაპირ მანქანაში იბარებს.**

პასტორი მას „ბორბლებზე მოსიარულე ეკლესიას“ უწოდებს. მისი თქმით, ეს ხერხი საუკეთესოა, რადგან გზაზე ხვდება უამრავი მგზავრი, რომელთაც ეკლესიაში წასვლა ან არ სურთ, ან ვერ ახერხებენ, შესაბამისად, ამ ხერხით ცდილობს, მათ დაეხმაროს.

ჯოზეფის თქმით, როდესაც ტაქსის მგზავრები იგებენ, რომ მძღოლი პასტორია, საკუთარ ცოდვებსა და პრობლემებზე გულღიად საუბრობენ.

# მიწისქვეშა ფუნიკულიორი

**Carmelite მიწისქვეშა ფუნიკულიორია, რომელიც ჰაიფაში (ისრაელი) მდებარეობს. მისი საშუალებით ყველა მსურველს შეუძლია ასვლა და დაშვება მთა Carmel-იდან ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე.**

მიწისქვეშა ფუნიკულიორის რკინიგზის მშენებლობა 1956 წელს დაიწყო და სამ წელიწადში — 1959 წელს დასრულდა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, დაახლოებით 1986 წელს Carmelite დაიხურა და მხოლოდ აღდგენითი სამუშაოების, რეკონსტრუქციის შემდეგ ხელახლა გაიხსნა 1992 წლის სექტემბერში.

ჰაიფა სიდიდით მესამე ქალაქია ისრაელში, რომელიც აშენებულია მთა Mount Carmel-ის ფერდობებზე დაახლოებით 3000 წლის წინ, ხოლო მიწისქვეშა ფუნიკულიორის სახელი Carmelite ამ მთის სახელს უკავშირდება. სიმაღლის სხვაობა პირველსა და ბოლო სადგურებს შორის არის 274 მეტრი. „კარმელიტი“მსოფლიოში ერთ-ერთი უმოკლესი მეტროპოლიტენის სისტემაა, რომელსაც აქვს მხოლოდ ექვსი სადგური და 1,8-კილომეტრიანი ერთი გვირაბი, სიგრძით 1,8 კილომეტრი.














## 12-თითიანი მამაკაცი წუთში 100 სიტყვას კრეფს

**ინდოეთის მოქალაქე, 48 წლის ვიჯეი სინგჰი უნიკალურ უნარს ფლობს. მას 12 თითი აქვს და კომპიუტერში წუთში 100 სიტყვას კრეფს. მაგრამ სტენოგრაფისტის სამსახურის შოვნას სამშობლოში ვერ ახერხებს. მისი წინადადება 50-ზე მეტმა სხვადასხვა კომპანიამ უარყო.** სინგჰას თქმით, ყველა დამქირავებელს ლამაზი გარეგნობის ქალის აყვანა უნდა, ხოლო ნამდვილი პროფესიონალები, რომელთაც გარეგნობის გარკვეული დეფექტები აქვთ, არავის აინტერესებს. სინგჰა ერთდროულად კარგად ფლობს 12-ვე თითს, რაც პოლიდაქტილიის მქონე ადამიანებისთვის იშვიათია. ინდოეთში იმედგაცრუებული ვიჯეი სინგჰი ბედის ცდას დიდ ბრიტანეთში აპირებს.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მებაჟეთა მონაგარი



**თუ ფიქრობთ, რომ საბაჟოზე მუშაობა მოსაწყენი და ერთფეროვანია, ნამდვილად ცდებით. ხანდახან კონტრაბანდისტები ისეთი უცნაური ნივთების გადატანას ცდილობენ, რომ თავად ცივსისხლიანი მებაჟეებიც კი განცვიფრებულნი რჩებიან.**



მაიამის საბაჟოს თანამშრომლები გაოცებულები დარჩნენ, როდესაც ერთ-ერთ მგზავრს უპოვეს ეგვიპტური სარკოფაგი, რომელიც 3000 წლისაა. ამ საოცარი ტვირთის გატანას ესპანეთში ცდილობდნენ. როგორც აღმოჩნდა, სარკოფაგი მოპარული იქნა ეგვიპტეში ჯერ კიდევ 100 წლის წინათ.

მიუნხენის საბაჟოს თანამშრომლები შოკირებულნი დარჩნენ, როცა 2 იტალიელი ტურისტის ტვირთში იპოვეს ადამიანის თავის ქალა. ქალებმა განაცხადეს, რომ ეს იყო მათი ნათესავის თავის ქალა, რომელიც წამოიღეს ბრაზილიიდან, რათა მშობლიურ იტალიაში დაემარხათ. პოლიციელების მიერ შემოწმების შემდეგ ნათესავებს ნება დართეს, თავის ქალა იტალაში წაეღოთ.



არალეგალური იარაღი აკრძალული ნივთების სიაში, რა თქმა უნდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, მაგრამ ერთ ჩემოდანში აღმოჩენილი ამდენი ნიღაბი უკვე მეტისმეტია. ეს ნივთები ამოღებული იქნა ფრანგი ტურისტების ბარგიდან შვეიცარიელი მებაჟეების მიერ.



2009 წელს სიდნეის აეროპორტში დააკავეს 24 წლის მამაკაცი, რომელსაც ჩემოდნით 4 შხამიანი გველი და ხვლიკები გადაჰყავდა.

კენედის აეროპირტის მებაჟეებმა 2009 წელს დააკავეს კორეელი მგზავრი, რომელსაც 100 000-დოლარიანი 2 კუპიურა უნახეს. ეს ბანკნოტები გამოუშვეს 1934 წელს, მაგრამ მიმოქცევაში ისინი არასოდეს ყოფილა. რა თქმა უნდა, ბანკნოტები ყალბი აღმოჩნდა.





დიდი ბრიტანეთის მებაჟეებმა ერთი ტურისტისგან ამოიღეს საკმაოდ სახიფათო ბრჭყალებიანი ხელთათმანები ფრედი კრიუგერის სტილში.

კანადისა და აშშ-ის საზღვარზე 50 წლის ბარბადოსელმა მგზავრმა მებაჟეები დააეჭვა. მისი ტვირთის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მას მიჰქონდა 100 ბოთლი „ნაკურთხი წყალი“, როგორც თავად განაცხადა. წყლის მაგივრად ბოთლებში თხევადი კეტამინი აღმოჩნდა, ეს კი მომწამვლელი ნივთიერებაა.

ნამდვილად იწვევს გაოცებას იმ კონტრაბანდისტის საქციელი, რომელიც ცდილობდა, ბანგკოკიდან იოჰანესბურგში თვითმფრინავით ჩუმად გადაეყვანა 70 ცხოველი, მათ შორის ნიანგი.






მიუნხენის აეროპორტის თანამშრომლებმა ერთ-ერთი მგზავრის ტვირთში აღმოაჩინეს მაიმუნის ნახევრად გახრწნილი თავი, რომელსაც საშინელი სუნით მიაგნეს.

დენვერის აეროპორტის თანამშრომლებს ზიზღით სახეები მოექცათ, როცა ერთ-ერთი მგზავრის ტვირთში იპოვეს სელაპის მოჭრილი თავი. აღმოჩნდა, რომ სელაპის თავის პატრონი იყო ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელმაც განაცხადა, რომ თავი მოაჭრა უკვე მკვდარ ცხოველს და მისი გამოყენება უნდოდა „საგანმანათლებლო მიზნებისთვის“.







2010 წელს პარიზის აეროპორტში აღმოაჩინეს ფაბერჟეს კვერცხის 350-ზე მეტი ასლი. ისინი კონტრაბანდის სახით გაიტანეს რუსეთიდან.

საბერძნეთის პოლიციამ ორ ამერიკელ ტურისტს ბრალი დასდო მიცვალებულების წაბილწვაში, როცა მათ ხელბარგში იპოვეს 6 ადამიანის თავის ქალა. ტურისტებმა განაცხადეს, რომ თავის ქალები იყიდეს სუვერინების მაღაზიაში და არ ეგონათ, რომ ისინი ნამდვილი იყო.





ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ხილი, რომელიც 17 წლით აახალგაზრდავებს

**ბრიტანელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყოველდღიურ რაციონში ვაშლის ჩართვა კოსმეტოლოგთან ვიზიტს აგვარიდებს თავიდან.**

**„ვაშლი 17 წლით აახალგაზრდავებს“,** — ამტკიცებენ ლონდონის სამეფო უნივერსიტეტის სპეციალისტები. სპეციალისტების თქმით, გამაჯანსაღებელი ეფექტი ვაშლს ფლავონოიდისა და პოლიფენოლის წყალობით აქვს, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანის ორგანიზმში ჟანგვით პროცესზე. პოლიფელონი განამტკიცებს იმუნურ სისტემას, ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას, ამიტომ სასურველია, ვაშლი ყოველდღიურად მივირთვათ. ამასთან, სასურველია, თუ მას კანიანად შევჭამთ.

# 5 ყველაზე ძვირადღირებული ლუდი

**ლუდი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საყვარელი სასმელია. თუმცა არსებობს ისეთი ლუდი, რომლის ღირებულება იმდენად მაღალია, რომ რიგითი კლიენტი მის შეძენას ვერ ახერხებს.**




### Antarctic Nail Ale – 1 ბოთლის ღირებულებაა 800 დოლარი

ამ ლუდს ავსტრალიური კომპანია Nail Brewing აწარმოებს. მისი გაყიდვიდან შემოსული თანხა ირიცხება ორგანიზაციაში, რომელიც ზღვის ბინადრებს იცავს. ამ ძვირადღირებული ლუდის ხარშვისას ანტარქტიკის ყინულს იყენებენ. ასეთი სულ 30 ბოთლი დამზადდა.



### Brewdog’s «The End of History» – 1 ბოთლის ღირებულებაა 765 დოლარი

ამ ლუდის მხოლოდ 11 ბოთლი დამზადდა და დასახელება ფილოსოფოს ფრენსის ფუკუიამას წიგნის პატივსაცემად მიიღო. ღია ფერის ბელგიურ ლუდს ღვიისა და ჭინჭრის გემო დაჰკრავს. თითოეული ბოთლი „გახვეულია“ ციყვის ან სინდიოფალას ფიტულში.



### Carlsberg Vintage 3 – 1 ბოთლის ღირებულებაა 348 დოლარი

2008 წელს ლუდის მწარმოებელმა კომპანია Carlsberg Group-მა წარმოებაში ელიტური სასმელი ჩაუშვა

ლუდი მუხის კასრებში იხარშება და ვანილისა და ქოქოსის გემო დაჰკრავს. 2008-დან 2010 წლამდე ასეთი სულ 600 ბოთლი ლუდი გაიყიდა.



### Samuel Adams Utopias – 1 ბოთლის ღირებულებაა 100 დოლარი

ეს ლუდი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ლუდი. სულ ამ ლუდის 8 000 ბოთლი იწარმოება. ის მაღალი ხარისხის სვიისგან იხარშება. სასმელს კარამელისა და ვანილის გემო აქვს, საერთოდ არაგაზირებულია და მიღებულია, რომ ის ოთახის ტემპერატურის მივირთვათ.



### Tutankhamun Ale – 1 ბოთლის ღირებულებაა 52 დოლარი

ამ ლუდს თავისებური ისტორია აქვს. სასმელი კემბრიჯის ლაბორატორიაში იმ სპეციალური რეცეპტის მიხედვით მზადდება, რომელიც ეგვიპტეში, ნეფერტიტის ტაძარში აღმოაჩინეს. ამ ლუდის პირველი ბოთლი 7686 დოლარად გაიყიდა.



## 102 კილო ფული საჩუქრად

ჩინეთის მკვიდრმა საცოლეს 102 კილოგრამი ფული აჩუქა. ჯეძიანის პროვინციის ქალაქ იუში გამვლელთა ყურადღება იმ საქორწინო მსვლელობამ მიიპყრო, რომელშიც 18 ადამიანს ზურგით საქორწინო საჩუქრები მიჰქონდათ, მათ შორის ფულით სავსე ყუთები იყო. მსვლელობას უკან ათი ძვირფასი ავტომობილისგან შემდგარი კოლონა მისდევდა.

ადგილობრივი წეს-ჩვეულებების თანახმად, საქმრომ პატარძლის ოჯახს საჩუქრად ღვინო, საყოფაცხოვრებო ნივთები და 8 888 888 იუანი მიართვა — რვა ჩინეთში ბედნიერ რიცხვად ითვლება და სიმდიდრესთან ასოცირდება. პატარძლის მხარემ მზითვის სახით ათი ავტომობილი — Maserati, Mercedes-Benz და ლუქსის კლასის სხვა ბრენდის ავტომობილები შეიძინა. საქმროს ოჯახმა გამოსასყიდის შეგროვება ქორწილამდე ორი კვირით ადრე დაიწყო. ფული ბანკიდან ახალი კუპიურებით გამოიტანა. იგი 102 კილოგრამს იწონიდა და სახლის სეიფში დაცვის გარეშე ინახებოდა.

საქორწინო მსვლელობის დაწყებამდე კუპიურების შეკვრები ჩაალაგეს ბამბუკის ყუთებში, რომლებიც პატარძლის სახლამდე მიიტანეს. ამის შემდეგ ფული ბანკში წაიღეს.

ჩინეთში ქალაქ იუს არაოფიციალურად საბითუმო ვაჭრობის დედაქალაქს უწოდებდნენ, იქ ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი საყოფაცხოვრებო საქონლის ბაზარია. ძვირფასი საქორწინო საჩუქრები და მზითვი იუში უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.



## დეპრესიის წამალი

**უიღბლოებზე გადაღებული ფილმები და სატელევიზიო შოუები დეპრესიას კურნავს, ხოლო წარმატებულ ადამიანთა ისტორიები ყოველთვის არ აღგვაფრთოვანებს, — განაცხადეს მეცნიერებმა.** მკვლევართა თქმით, ადამიანები, რომლებიც ხუთი დღის განმავლობაში აუტსაიდერებზე ფილმებს უყურებდნენ, უფრო თავდაჯერებულნი ხდებოდნენ და შემდგომი სამი დღე მოტივირებულნი იყვნენ. უფრო მეტიც, კვლევამ აჩვენა, რომ კონკიას ისტორია ყოველთვის აღმაფრთოვანებელი არაა. კერძოდ, ერთ-ერთი სამოტივაციო ვიდეო იყო ფილმიდან „ყოველ კვირა“, რომელშიც სუსტი საფეხბურთო გუნდის მწვრთნელი გამამხნევებელ სიტყვას წარმოთქვამს.

**„ადამიანებს იმედს პრობლემების გადალახვის პროცესი აძლევს და არა „ჰეფიენდი“,** — ამბობს მკვლევარი პრესტონი. ის თვლის, რომ მსგავსი ვიდეოების ნახვა ადამიანებს იმედის ჩასახვაში, დეპრესიის, პრობლემებისა და მავნე ჩვევების დაძლევაში დაეხმარება.





ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# VIP-ციხე

ყველა ეკონომიკური სირთულისა და დაბრკოლების მიუხედავად, უკრაინაში არის წარმოუდგენელად სუფთა და ელიტური ციხე. ის მდებარეობს ხარკოვში, ხოლო ღარიბ სტუდენტებს შურთ პატიმრების საცხოვრებელი პირობების და, რაც მთავარია, მათი კვების რაციონის, რადგანაც გააზრებული აქვთ, რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა და ჯანმრთელობა 65%-ით კვების სისტემაზეა დამოკიდებული, ხოლო VIP-ციხეში კი მსჯავრდებულებს სრულფასოვანი კვება აქვთ.

ციხის შენობაში არის 3-ადგილიანი ან 2 -ადგილიანი კამერა-ოთახები, ტრენაჟორები, ჩოგბურთის სათამაშო კორტი, ტელევიზორები, საშხაპეები, ბიბლიოთეკა, ზამთარში კი ბუხარსაც ანთებენ.















## დაამტკიცო, რომ ქალი ხარ

**მსოფლიოში ქალთა ფეხბურთი ძალიან პოპულარულია და ამ შემთხვევაშიც გულშემატკივრები ძირითადად კაცები არიან.** 26 წლის სამხრეთ კორეელი თავმდასხმელი ეუნ სეონი ახალ სკანდალში გაეხვა — მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელები კატეგორიულად მოითხოვენ, კიდევ ერთხელ ჩატარდეს გამჭირვალე გენდერული ტესტი და დადგინდეს, ქალია ის თუ კაცი. ეს მითქმა-მოთქმა იმან გამოიწვია, რომ ქალმა სპორტსმენმა მსოფლიოში პოპულარული ფეხბურთელი კაცების რეკორდიც კი მოხსნა, როდესაც 22 თამაშში 19 გოლი გაიტანა. მწვრთნელები ამბობენ, რომ, მიუხედავად ინტენსიური ვარჯიშებისა, ქალი ფეხბურთში ასეთ წარმატებას მაინც ვერასდროს მიაღწევს და იმ დატვირთვას ვერ აიტანს, რომელსაც ეუნი უძლებს. მისი გარეგნობაც, თანაგუნდელი გოგონებისგან განსხვავებით, თვალშისაცემია — იგი 180 სანტიმეტრი სიმაღლისაა და 74 კილოგრამს იწონის. თუმცა ფედერაციაში ამბობენ, რომ გოგონასთვის კიდევ ერთ გენდერულ ტესტს აღარ ჩაატარებენ, რადგან ეს ბოიკოტი მისმა წარმატებულმა გოლებმა და გუნდის გამარჯვებამ გამოიწვია. ამის გამო კი ფეხბურთელის უფლებების შელახვას არავინ აპირებს.



## ხინკალი Demilked-ის მსოფლიოს ყველაზე კრეატიული კერძების სიაში მოხვდა

**დიზაინის ჟურნალი Demilked მკითხველს მსოფლიოში ყველაზე კრეატიულ გამოგონებებს, გემრიელი და ორიგინალური კერძების რეცეპტებს, ახალ ტექნოლოგიებსა და საინტერესო რეკლამებს სთავაზობს.**

ამჯერად სტატიის ავტორი საზოგადოებას მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის ეროვნულ სამზარეულოს აცნობს. იტალიელი ფოტოგრაფის, გაბრიელა გალიმბერტის ფოტოები გაერთიანებულია სერიაში **„სიყვარულით მომზადებული დელიკატესები“.** მან რამდენიმე ქვეყანაში იმოგზაურა და შემდეგი სიუჟეტის კადრები გადაიღო: ერთ მხარეს დიასახლისი დგას და მაგიდაზე მოსამზადებელი კერძისთვის განკუთვნილი ინგრედიენტებია წარმოდგენილი, მეორე მხარეს კი უკვე გამზადებული პროდუქტია გადაღებული. ქართველი ქალბატონი ხინკალს უკეთებს რეკლამას.





## თურქი მამაკაცები ულვაშს ინერგავენ

**თურქეთში ახალი მოდაა — მამაკაცები ულვაშის იმპლანტანტებს იკეთებენ. ბუჩქივით ულვაში და წვერი თურქებისთვის დახვეწილობისა და გალანტურობის მთავარი ნიშანია, ამიტომ ქვეყნის მასშტაბით უამრავი დაწესებულება გაიხსნა, რომლებშიც კაცები გადანერგვის პროცედურას იკეთებენ.** ექიმი ყველაზე თმიანი არედან ბეწვს იღებს და წვერისა თუ ულვაშის მონაკვეთში ნერგავს. იმპლანტანტი ძალიან ბუნებრივია და თითქმის შეუძლებელია, ხელოვნურობა შეამჩნიო. წვერ-ულვაში ქვეყანაში მამაკაცურობასთან ასოცირდება, თუმცა, ბოლო რამდენიმე წელია, ახალგაზრდა კაცები სახეს საგულდაგულოდ იპარსავენ.



# საკმაოდ ემოციური პრემიერი ბავშვობის მეგობრის თვალით



## ნათია ზურაშვილი:

# ირაკლი რასაც იტყოდა, აუცილებლად გააკეთებდა

**ირაკლი ღარიბაშვილმა 31 წლის ასაკში სერიოზულ წარმატებას მიაღწია — საქართველოს პრემიერმინისტრის პოსტი დაიკავა. ყოფილმა პრემიერმა, ბიძინა ივანიშვილმა, მინისტრთა კაბინეტიდან ქვეყნის მართვის სადავეები სწორედ ყველაზე ახალგაზრდა მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, ანდო. თუ რა თვისებების გამო გამოარჩია ივანიშვილმა ღარიბაშვილი, საზოგადოებისთვის საინტერესოა. დღეს უკვე ყველას აინტერესებს, როგორი ბავშვი იყო ახალი პრემიერი, რა იყო მისთვის პრიორიტეტული, რა ინტერესები და მიზნები ჰქონდა... „საქართველო და მსოფლიოს" საქართველოს პრემიერმინისტრის ბავშვობის მეგობარი ნათია ზურაშვილი ესაუბრა.**

— ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ირაკლი მთელ რაიონში გამორჩეული იყო და, ალბათ, არ მოიძებნება ერთი ადამიანიც კი, რომელიც მას ცუდად დაახასიათებს. ძალიან ჭკვიანი, მობილიზებული, სამართლიანი ადამიანი გახლდათ. ჩვენს კლასში ბევრი ნიჭიერი ბავშვი სწავლობდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ირაკლი მაინც ყველასგან გამოირჩეოდა. თავიდანვე სწავლაზე ორიენტირებული იყო. **მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ემოციური ადამიანია, არასდროს არავისთან უჩხუბია. ყოველთვის ყველა საგანს სწავლობდა. ყველას გვქონია შემთხვევა, ან გაკვეთილი არ გვცოდნოდა, ან დავალება არ მოგვიმზადებია, მაგრამ მსგავსი რამ ირაკლისთან დაკავშირებით არ მახსოვს. ყოველთვის მომზადებული იყო. შეიძლება ახლა დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ საყვედურიც არასდროს მიუღია მასწავლებლისგან. მართლა სხვანაირი ადამიანი იყო. ყოველთვის გაწონასწორებული და მოწესრიგებული გახლდათ.**

ამას გარდა, ძალიან მიზანდასახული იყო, რასაც ჩაიფიქრებდა და იტყოდა, აუცილებლად გააკეთებდა. მაშინვე ცხადი იყო, რომ მისი მომავალი ყველასგან განსხვავებული იქნებოდა.

**— ირაკლი ღარიბაშვილის მისამართით ხშირად ისმის პრეტენზია, რომ საკმაოდ ახალგაზრდაა პრემიერის თანამდებობისთვის. როგორ ფიქრობთ, როგორ გაართმევს თავს დაკისრებულ რთულ მოვალეობას?**

— ასაკის მიუხედავად, ირაკლის პრემიერობამდეც საკმაოდ კარგი ბიოგრაფია ჰქონდა. საფრანგეთიდან ჩამოსვლისთანავე დაიწყო მუშაობა „ქართუ ბანკში", სადაც საკმაოდ სერიოზულ საქმეს უძღვებოდა. დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, რის გამოც, მგონია, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავს გაართმევს. მეტიც, მას აქვს ბევრი ისეთი თვისება, რომელიც იმედის საფუძველს მაძლევს, რომ ხალხისთვის ყველაზე საყვარელი პრემიერი იქნება.

**— როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილმა მინისტრთა კაბინეტიდან არჩევანი რატომ შეაჩერა მაინცდამაინც ირაკლი ღარიბაშვილზე და არა სხვებზე, რომელთაც გაცილებით მეტი პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდათ?**

— ირაკლი უზომოდ ერთგული ადამიანია და ვფიქრობ, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილმა მასზე სწორედ ამიტომ შეაჩერა არჩევანი. ალბათ, ირაკლის ყველაზე მეტად ერთგულება დაუფასა ივანიშვილმა. **ძალიან მიზანმიმართულია, რასაც საკუთარ თავზე აიღებს, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანს. მე ვიცი ისტორია, როდესაც ირაკლი „ქართუ ბანკში" მუშაობდა, საკმაოდ სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმის მოსაგვარებლად ივანიშვილმა საფრანგეთში გააგზავნა და ირაკლიმ ყველაფერს თავი წარმატებით გაართვა. ივანიშვილი ხშირად აქებდა მას და, სიმართლე გითხრათ, ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის, მოულოდნელი არ ყოფილა.** ისიც ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილი ასე ტყუილუბრალოდ და დაუმსახურებლად არ გამოარჩევდა და ენდობოდა ირაკლის.

**— როგორ მოახერხა ირაკლი ღარიბაშვილმა საფრანგეთში სასწავლებლად წასვლა?**

— ირაკლიმ კონკურსში გაიმარჯვა და ისე წავიდა საფრანგეთში, რამდენადაც ვიცი, ოჯახს მისი სწავლა არ დაუფინანსებია. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ირაკლის დედამ, ქალბატონმა მარინამ, დიდი წვლილი შეიტანა ირაკლის წარმატებაში და დედა მის ცხოვრებაში გამორჩეული ფიგურაა.

**— ირაკლი ღარიბაშვილმა სწავლის დასრულების შემდეგ ბანკში დაიწყო მუშაობა. ოდესმე თუ ოცნებობდა პოლიტიკურ კარიერაზე?**

— კი, პოლიტიკურ კარიერაზე ნამდვილად ფიქრობდა. ყველაზე მეტად სკოლის საგნებს შორის ისტორია უყვარდა და მახსოვს, მასწავლებელს ყოველთვის აოცებდა ხოლმე, ისეთ კითხვებს უსვამდა და ისეთი ფაქტები აინტერესებდა, რომელთა შესახებ სასკოლო სახელმძღვანელოში არ ეწერა. სხვანაირად აზროვნებდა, რასაც პედაგოგები ყოველთვის აღნიშნავდნენ. **სხვათა შორის, კარგად მღეროდა და უკრავდა, ფანდურზე დაკვრას ერთად ვსწავლობდით. სპორტზეც დადიოდა. ჰქონდა გატაცებები, მაგრამ მაინც ნათელი იყო, რომ სერიოზულად მხოლოდ პოლიტიკა აინტერესებდა. შეიძლება ითქვას, სერიოზული წარმატებისთვის ბავშვობიდანვე ემზადებოდა.**

**— როგორი მეგობარია საქართველოს პრემიერი, დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, თუ იცლის მეგობრებისთვის?**

— მიუხედავად იმისა, რომ ყველას ჩვენ-ჩვენი საქმე გვაქვს და ისე ხშირად ველარ ვახერხებთ შეხვედრას, როგორც სკოლის პერიოდში, დღესასწაულებზე დღემდე ვიკრიბებით.

როდესაც ცოტა ხნის წინ, ქორწილამდე ორი კვირით ადრე, ჩვენი მეგობარი მოულოდნელად გარდაიცვალა, ირაკლი მის ოჯახს გვერდით დაუდგა. ამ პერიოდში შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და საქმის გამოძიების მიმდინარეობას პირადად აკონტროლებდა.

**— პრემიერსა და მის მეუღლეს სკოლის პერიოდიდან უყვარდათ ერთმანეთი. თქვენც, ალბათ, იყავით მომსწრე, როგორ იწყებოდა ეს ყველაფერი...**

— ნუნუკასაც ძალიან ახლოს ვიცნობ, მიუხედავად იმისა, რომ მამამისი, ბატონი თამაზი, ყოველთვის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა, ყოველთვის თავმდაბალი ადამიანი იყო. ნუნუკასა და ირაკლის სკოლის პერიოდიდან უყვარდათ ერთმანეთი. მათი სიყვარულის ისტორია მერე დედაქალაქშიც გაგრძელდა...

**— ადამიანებს თანამდებობა ხშირად ცვლის. როგორ ფიქრობთ, შეცვალა თუ არა პრემიერმინისტრი თანამდებობამ?**

— მიუხედავად იმისა, რომ **ირაკლი საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან იყო და არასდროს არაფერი აკლდა, მასზე გაჭირვებული ბავშვებისთვის ზემოდან ქედმაღლურად არასდროს დაუხედავს, პირიქით, როგორც შეეძლო, ყველას გვერდით ედგა.** არც შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს და არც შემდეგ ნამდვილად არ შეცვლილა და არა მგონია, ოდესმე შეიცვალოს.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

## უცნობი პუტინი




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა" გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი". წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.

ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის" და „ბესტსელერის" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში" (ყაზბეგის გამზ. №4).




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა" გამოსცა ცნობილი პოლიტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. მეორე ტომი ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში წაიკითხავთ ალექსანდრე ჭაჭიას 2012-1013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებს და გამოსვლებს.

ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.

კრებულის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსისა" და „ბესტსელერის" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში" (ყაზბეგის გამზ. №4)


## ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზის, ოსტეპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100% გარანტიით.

ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა



ყოველკვირეული გამოცემა
ეწვიეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894